საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში



1,50 ლარი

30 ნოემ

№47

®

...lselebi.ge

გვ. 14

რა ულტიმატუმი დაუკმაყოფილეს ნოდიკო ტატიშვილს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პროდიუსერებმა და რატომ არის ჯულიანა ბარ-გნარი მხოლოდ მისი

გვ. 79

რატომ არ ურჩევს არავის მირანდა მირიანაშვილი ჯუნგლებში დასვენებას და რამდენი ხნით სწყდება ის ყოველწლიურად ცივილიზაციას

გვ. 70

რატომ დაჰყავს ზალიკო სულაკაურს ღამით ცოლი ვაჟა-ფშაველას საფლავთან და ვინ შეასხა მას ფრთები

გვ. 18

როდის აქვს გაჭედვის მომენტები „ბრავოს“ ფინალისტ თამუნა შავერდაშვილს და როგორი ურთიერთობისთვის არ არის ის ჯერ მზად





როგორ ემზადება ლიზა ყენია „ერთი ერთში“ კაცად გარდასახვისთვის და რას პასუხობს მის ფოტოებზე გაკეთებული უარყოფითი კომენტარების ავტორებს

გვ. 66

გვ. 74

როგორ აპირებს დათო ევგენიძე საქართველოს აოხრების გამო თემურ ლენგისთვის სამაგიეროს გადახდას



გვ. 16

რა სასწაულის მხილველი გახდა ხალხი ეკლესიაში გევორქ პეტროსიანის მართლმადიდებლად მონათვლის დროს და როგორ აიღო მან პატრიარქისგან კურთხევა წიგნის დაწერაზე



გვ. 12

რას უწოდებს გოჩა კაპანაძე „სულთა გაყინვას“ და ვის შემხედვარეს იპყრობს მას შიში

## კვირის ფრაზები

- გააგდეთ ქმარი, მიართვით ვიღაც ქალებს, მერე დაჯექით მარტო, სვით ყავა, მოწიეთ სიგარეტი და იწუწუნეთ თუ იგლოვეთ თქვენს გაუხარელ წუთისოფელზე
- ოქროს უნიტაზი უდგას და ლატოია ჯეკსონი და ჯენიფერ ლოპესი ჩამოჰყავს დაბადების დღეზე ჩუმად თავის აგარაკზე
- ბრძანება გასცა, თავი მოეკვეთათ მეფის შვილების ყველა აღმზრდელისთვის, ასევე, მეფის ცოლების, ხარჭების, მსახურებისა და კომპანიონი ქალებისთვის




# რესტორანი „სამი საუკუნე“

## გემოვნებიან მუსიკას, ყველასათვის მისაღებ ფასებს და უგემრიელეს კერძებს გთავაზობთ

რესტორან „სამ საუკუნეში“ ყოველდღე, 19:00 საათიდან ჟღერს ცოცხალი მუსიკა: გიორგი წერეთლის, ლოლიტას, სოფო სიმონიშვილის, გიორგი იობაშვილისა და ილო თოფურიას შესრულებით. თქვენ შეგიძლიათ, რესტორნით ასევე ისარგებლოთ: ივენთების, კორპორაციული საღამოების, ბანკეტებისა და ქორწილების დროს. აქ გელით გემოვნებიანი მუსიკა, კარგი განწყობა და უგემრიელესი კერძები. თქვენს მომსახურებაშია სამი დარბაზი 300, 130 და 120-კაციანი. რესტორნის პირველ სართულზე არის სახინკლე, რომელიც 24 საათის განმავლობაში თქვენს განკარგულებაშია. დააგემოვნებთ, როგორც ტრადიციულ, ასევე ევროპულ სამზარეულოსაც. უმაღლესი კლასის მომსახურება,



ზაზა გოგისვანიძე
მენეჯერი



*30-წლიანი გამოცდილების მქონე შეფ-მზარეულები, საუკეთესო ფასები და კმაყოფილი სტუმრები. თუ გსურთ, სასიამოვნო საღამოს გატარება მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად, რესტორანი „სამი საუკუნე“ ნამდვილად დაგეხმარებათ.*

**ზაზა გოგისვანიძე** *(მენეჯერი):* რესტორანი „სამი საუკუნე“ წლებია, არსებობს. ჩვენგან სტუმრები ყოველთვის კმაყოფილები მიდიან. წელს რესტორანში ფილმიც გადაიღეს. გვყავს გამოცდილი შეფ-მზარეულები და საუკეთესო მუსიკოსები. რესტორან „სამი საუკუნის“ ხშირი სტუმარია ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი.

**ეთო ხურციძე**







**ორთაჭალა, პირველი ხეივნის №12.**
**ტელეფონი: +995 32 2 18 17 18;**
**ზაზა გოგისვანიძე: +995 592 777-333.**




# სარჩევი

რატომ გახშირდა რუსულ მედიაში საქართველოს მოსალოდნელი დაშლის შესახებ ინფორმაცია, საქართველოს რომელ რეგიონებში მუშაობენ აქტიურად უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები და რატომ ვრცელდება ჩრდილო ოსეთში ხმები მოსალოდნელი ომის შესახებ ...... 6

რატომ ვერ გაუწევს საქართველო კონკურენციას წყლის იმპორტში მსოფლიო მონოპოლისტებს და რა შემთხვევაშია შესაძლებელი ექსპორტის გაზრდა 100-ჯერ ...... 8

რატომ იქნება დასაქმება აუცილებელი პირობა კერძო პენსიის მიღებისთვის, ვის შეეძლება, ისარგებლოს დაგროვებითი პენსიის სისტემით და რა ბედი ეწევა სახელმწიფო პენსიას ...... 10

რა საქმიანობით იღებს 150 000 ლარზე მეტ შემოსავალს წლიურად თამარ ბერუჩაშვილის მეუღლე რემა ღვამიჩავა ...... 11

2014 წლის საუკეთესო საფეხბურთო მწვრთნელების ტოპ-ხუთეული ...... 19

სძულთ თუ არა ცოლებს მოღალატე ქმრებზე მეტად მეტოქე ქალები ...... 20

როგორ ეძებს საქართველოში მცხოვრები 26 წლის გოგონა მამას, რომელიც მას არასდროს უნახავს ...... 21

როდის იწყება ადამიანის რელიგია ცხვრის ყიდვით და მთავრდება ცხვრის დაკვლით და რატომ არიან დღევანდელი ქრისტიანები წარმართობაში ...... 22

რა ომი მოუწყვეს ერთმანეთს ჯემალ ჭკუასელმა და მისმა ცოლმა ...... 26

სხეულის გამაჯანსაღებელი მეთოდი რომელმაც მსოფლიო შეძრა ...... 27

რა საფრთხეს უქმნის ადამიანს საიტებზე გამომზეურებული ფოტოები და შესაძლებელია თუ არა ამ გზით გათვალვა და წარმატების დაბლოკვა ...... 28

როგორ დაუპირისპირა ერთმანეთს სტალინმა ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია ...... 34

როგორ დავიცვათ თავი სამყაროში არსებული ნეგატიური ენერგიების შემოტევებისგან ...... 45

რაზეა დამოკიდებული ავტომობილის მართვისას დაღლა ...... 51

მაფიის შვილობილი ...... 52

როგორ მოკლა წმიდა სამების ხატმა თბილისის ერთ-ერთ ტაძარში ჯალათი მილიციის მაიორი .. 56

როგორ დააარსეს ერაყის ქურთისტანში ერაყის მმართველის, ქართველი სულეიმან ფაშას სახელობის ქალაქი ...... 64

ბენდერელთა მოძრაობის გადამრჩენი ქართველი საბჭოთა სუკისა და გერმანელთა „აბვერის“ ორმაგი აგენტი იყო ...... 68

## მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი

***კოლხი ნათია** ბავშვობიდან ხალხური მედიცინით კურნავს ხალხს. მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარი, ბებიისგან, ფაფალა დადიანისგან მემკვიდრეობით ერგო. თუ გსურთ, ახალ 2015 წელს ახალი ენერგიით, განწმენდილი აურით, ხვავითა და ბარაქით შეხვდეთ და ყველაფერი ცუდი ძველ წელში დატოვოთ, სასურველია, 25 დეკემბრამდე ჩაეწეროთ კოლხ ნათიასთან. ის დაგიმზადებთ თილისმას, რომელიც მუდმივად დაგიცავთ ბოროტისგან.*



**კოლხი ნათია**: ვხსნი ჯადოს, გათვალვას, ჩაკეტილ ბედს, გზას, შევულოცავ ბარაქაზე, ვწმენდ აურას. ჩემი მიზანი პოპულარობა არ არის, ვეხმარები ადამიანებს და მათი ბედნიერებით, მეც უზომოდ ბედნიერი ვარ.

**ლაურა კ-შვილი**, ***47 წლის (თბილისი):*** მოხსნის მერე, უამრავი პრობლემა მომეხსნა ოჯახში, ვიზა ჩამირტყეს, რომელი ერთი ჩამოვთვალო... 2 თვის წინ ქალიშვილი გამითხოვდა.

**მერაბი**, ***60 წლის, მძღოლი (ზუგდიდი):*** მოხსნის მერე, ჩემი პრობლემები ავადმყოფობასთან ერთად გაქრა, სასწაულია პირდაპირ. ულრმესი მადლობა კოლხ ნათიას.

**თინიკო მ-ძე**, ***33 წლის (თბილისი):*** 10 წელი უშვილო ვიყავი, რა აღარ ვცადე... კოლხი ნათია სასწაულებს ახდენს, მისი წყალობით, მე დღეს პატარა ლუკას დედა ვარ.

**ნატო**, ***40 წლის (ქუთაისი):*** რაც ქალბატონ ნათიასთან მივედი, სახლისა და მიწის კარგ ფასში გაყიდვა შევძელი, ვიზაც ჩამირტყეს, ახლა კანადაში ვარ. ჩემმა ოჯახმა ფინანსურად ამოისუნთქა.

**ელენე**, ***38 წლის, ექიმი:*** კოლხი ნათიას წყალობით, გაყიდული სახლ-კარი ნელ-ნელა დავიბრუნე. მთავარია, რწმენით მიხვიდეთ მასთან და ყველა პრობლემა უკან დარჩება.

**ანონიმურობა დაცულია.**

**ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81**
**Skype bulvarzelioni**

# გამოწვევა

## „და დღეიდან ჩვენ ორ შუა მოციქული არის ტყვია“

გასულ კვირას **თვითგამოცხადებული „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის“ მეთაურმა,** ვინმე იგორ პრლოტნიცკიმ, **უკრაინის პრეზიდენტი** პიოტრ პოროშენკო, არც მეტი, არც ნაკლები, **დუელში გამოიწვია**!

სხვათა შორის, **მეტად კეთილშობილური მოტივით: ომი დავასრულოთო!** მეტიც, **ისიც დააკონკრეტა, რომ, თუ დუელში ბ-ნი პოროშენკო იმარჯვებს,** ეს **თვითგამოცხადების გაუქმებაზეც იმოქმედებს.**



კერძოდ, ლუგანსკელი სეპარატისტების თავკაცმა ბ-ნ პოროშენკოს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა: „მოდი, **ვიმოქმედოთ ძველი სლავი ბელადებისა და გამოჩენილი კაზაკი ატამანების ტრადიციით და, ვინც გაიმარჯვებს, სწორედ მან უკარნახოს მეორე მხარეს თავისი პირობები.“**

ისიც სათქმელია, რომ **დუელის ადგილისა და იარაღის შერჩევა ლუგანსკელი სეპარატისტების თავკაცმა ბ-ნ პოროშენკოს დაუთმო**; მეტიც, შერკინების **პირდაპირ ეთერში ტრანსლირებასაც კი დაჰყაბულდა** (მე რომ მკითხოთ, დაჭიდება აჯობებდა).

უდიდესი ალბათობით, **უკრაინის პრეზიდენტი წიხლს უკრავს ლუგანსკელი ნომერ პირველი სეპარატისტის შეთავაზებას**, თუმცა ამ შეთავაზებიდან **ისიც აშკარაა** (რაკი ცოდვა გამხელილი ჯობს), რომ **ჩვენებური სეპარატისტები მათი უკრაინელი კოლეგების ფონზე ადეკვატურობის სიმბოლოები ყოფილან** (ამაში მაინც გაგვიმართლა?!). –

# „მრჩეველი“

გასულ კვირას **სრულიად საქართველოს მოსახლეობამ** და, **განსაკუთრებით, მისმა 60 წელს გადაცილებულმა მოსახლეობამ, ფრიად გაიხარა**, როდესაც შეიტყო, რომ **მომავალი წლის სექტემბრიდან პენსია 10 ლარით გაიზრდება**.



თუმცა, **აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც 10 ლარიც დაიწუნეს** და მომავალი წლის **სექტემბერიც**, ან კი როგორ არ დაიწუნებდნენ, როდესაც **პატიოსან გვამთა ხელფასდანამატებთან 10 ლარი სახსენებელიც არ არის** (იმიტომ რომ, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის **თავმოყვარე დეპუტატი ან მთავრობის არანაკლებ თავმოყვარე წევრი დავარდნილი 10-ლარიანის ასაღებად თავის ძვირფას წელს არც კი გაატოკებს**).

მეორე მხრივ, **ვერც ის არის დიდი შეღავათი, რომ პენსიონერთა რაოდენობა 850 000-მდეა** (რაც იმას ნიშნავს, რომ 10 ლარით

## კაცობა – ლარ-დოლარ-ევროში

პენსიის გაზრდა ყოველთვიურად ბიუჯეტისთვის დამატებით რვა-ნახევარი მილიონი ლარია), **ბიუჯეტით გამოკვებილ მაღალხელფასიან ჩინოვნიკთა რაოდენობა კი – გაცილებით ნაკლები.**

**თანამემამულეთა** დამუნათების მიზნით (**იმაში დასარწმუნებლად, რომ 10 ლარიც ფულია),** ხალხის რჩეულმა **ტყემალაძემ წელიწადის ფრაზა თქვა** (რითაც ისე ავნო საკუთარ თავს, ასზე მეტი მტერიც რომ ვერ დაუშავებდა): **160 ლარი კი არ უნდა ეყოს კაცს, კაცი უნდა ეყოს 160 ლარსო.**

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **ამ კონკრეტული დეპუტატის მიერ სულ ბოლოს შევსებული დეკლარაციის** თანახმად, ბ-ნ ტყემალაძეს დეკლარაციის შევსების მომენტში, **ნაღდ ფულად, ჰქონდა: 20 000 აშშ დოლარი, 5 000 ევრო და 85 000 ლარი**, იბადება კითხვა – **რამდენ აშშ დოლარზე, ევროსა და ლარზე ჰყოფნის კაცობა?!**

# „ამპარტავანსაი ჰგევხარო“

## ანუ „მოხდა, არ მოხდა – საკითხავი აი, ეს არის“

მართალია, **ძველებს კრეატივში ვერ უსწრებენ,** თუმცა **მახათების სიმცირით ვერც ახლები დაიწუნებიან.** ჰოდა, **რაკი ვერ დაიწუნებიან, საქართველოს პარლამენტმა დადგენილების პროექტი შეიმუშავა**, რის მიხედვითაც, **სახელმწიფო ჰიმნის შესრულების ახლებური წესი განისაზღვრება.**

ამ დადგენილებით, ამიერიდან, **სახელმწიფო ჰიმნის შესრულებისას ქუდის მოხდა სავალდებულო აღარ იქნება**. კერძოდ: **თუკი აქამომდე სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს სავალდებულო იყო ფეხზე ადგომა, ასევე, მამაკაცებისთვის ქუდის მოხდა** (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა), **აწ უკვე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს სავალდებულო მხოლოდ ფეხზე ადგომა იქნება.**

მეორე მხრივ, დადგენილების პროექტის მიუხედავადაც, **ხალხის რჩეულნი ვერ თანხმდებიან, დაიტოვონ ქუდი თავზე სახელმწიფო ჰიმნის მოსმენისას თუ მაინც მოიხადონ?!**

**დეპუტატთა ნაწილი თანახმაა, ნაწილს კი მიაჩნია, რომ ქუდის მოხდა-არმოხდის ქუდის პატრონის სურვილის ამარა დატოვება არასახელმწიფოებრივი მიდგომაა.**

ერთი სიტყვით, რაკი **ჩვენს რჩეულებს უჭირთ ქუდთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევა, იქნებ ამომრჩევლები**, რათა კანონმდებლებმა ჭეშმარიტი გადაწყვეტილება მიიღონ, საკითხის განხილვისას **პარალმენტის შენობასთან შევკრებილიყავით** და დაგველიინებინა: **„ქუდი გვერდზე დაგიხურავს, ამპარტავანსაი ჰგევხარო“?!** –


### ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# სა-უცხო-ო ინიციატივა

## „გასაღება“ გასაღებით

ეგერთ წოდებული **გასაღების გარშემო ისეთი ვნებათაღელვაა ამტყდარი, მთავრობის წევრები ლამის არასამთავრობოებმა „გაასაღონ“.** ამ **უკანასკნელებს, რაკი მედგრად დგანან ჩვენი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სადარაჯოზე** (და მერე რა, რომ, აი, იმას კი არ უკიჟინებენ მოქმედ ხელისუფლებას, ყოფილი ხელისუფლების პირობებში ტოტალური მოსმენების შემკვეთ-შემსრულებლები გამოავლინონ და დასაჯონ), **მტკიცედ სწამთ, რომ მხოლოდ მაშინ ვიქნებით დაცულნი უცხო თვალყურისგან**, თუკი **„გასაღები“ მობილურ ოპერატორებს ექნებათ**, ზედაც – **სასამართლოს**. თუმცა ამ ჩვენმა **სასამართლომ გამოამჟღავნა პოლიტიკური სიმწიფე და განაცხადა** – თუ მოსმენის სანქცია მე უნდა გავცე, გასაღებს რა თავში ვიხლიო (არავის უნდა ზედმეტი თავის ტკივილი). –



ერით სიტყვით, **ჩვენებური არასამთავრობოები არაფრით იჯერებენ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ მობილურ ოპერატორებს**, თავიანთი ფუნქციიდან გამომდინარე**, ისედაც აქვთ მოსმენა-თვალთვალის საშუალება** (თუ მოიწადინებს, თვით მათ ყველაზე დაბალი რაგნის თანამშრომელსაც კი) **და ამას ძეხორციელი ვერ დაუმტკიცებს.**

ასეა თუ ისე, შერეული კომისიის წევრი ლაშა **ტუღუში** კვლავ გვამუნათებს, ჩვენ რა, **მთავრობას ამუნათებს**: „მიმაჩნია, რომ **არ იქნება სწორი, გასაღები დავუტოვოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს**... ჩვენი შეთავაზება არის ის, რომ **ერთი გასაღები იყოს მობილურ ოპერატორებთან და მეორე – სასამართლოსთან“.** მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, სასამართლომ, ასეო, ისეო, თქვენი დიდი ხათრი მაქვსო, მაგრამ, არაო!

ჩვენ არ ვიცით, **რატომ ენდობიან ასე უკიდეგანოდ ჩვენებური უფლებადამცველები მობილურ კომპანიებს** ან **რატომ ეწევიან ასე დაჟინებით საკუთარი ძალოვანი სტრუქტურებისადმი უნდობლობის დემონსტრირებას**, რითაც **იმთავითვე გამორიცხავენ**, რომ **შსს მოქალაქეების უსაფრთხოებაზეა ორიენტირებული** (ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს), მაგრამ, რაკი აშკარაა, რომ **უცხოელი მეპატრონეების საკუთრება – მობილური კომპანიების კეთილსინდისიერებისა სჯერათ**, გამოვდივარ **საუცხო-ო ინიციატივით: „გასაღები“ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს გადავცეთ** (ნუ, რასაკვირველია, მეგობარი ქვეყნისა).

# ეული

## ანუ „Не виноватя я, он сам пришел“

თუმცა **პრ. პუტინს,** როგორც ოკუპანტები იტყვიან, **„ვ გორდომ ოდინოჩესტვე“ მოუწია ყოფნა ავსტრალიაში, G20-ის შეხვედრაზე** (რაც, ანუ რფ-ის პრ.-ს მარტოობა თავად დრფ-ში შემდეგნაირად ახსნეს – ის იმპერატორია, სხვებზე მაღალ დგას, ამიტომაც მისი ეულობა სავსებით ბუნებრივიაო), **უცხოური მედია მაინც ინტერესდება მისი შეფასებებით.**



სახელდობრ, გერმანული სატელევიზიო არხისთვის მიღებულ ინტერვიუში **რფ-ის პირველკაცმა შეკითხვას, თუ საიდან აქვთ დონბასელ „ბოევიკებს“ ჯავშანტექნიკა, საარტილერიო სისტემები და სხვა შეიარაღება, შემდეგნაირად უპასუხა** (მოვიხმობ ციტატას): **„თანამედროვე მსოფლიოში ადამიანები, რომლებიც იბრძვიან და მიაჩნიათ, რომ მათი ბრძოლა სამართლიანია, ყოველთვის პოულობენ შეიარაღებას“**, რაც, ლოგიკურად, ნიშნავს, რომ **შეიარაღება, თუ ის იმ ადამიანების ხელში აღმოჩნდა, რომელთა ბრძოლასაც რფ- თანაუგრძნობს,** სწორედ რომ, **„ნა ულიცე ვალიაუტსია“.**

მეტიც, იქით **დაადანაშაულა უკრაინის ხელისუფლება, არმია გაგზავნეს უკრაინის აღმოსავლეთში და თვით ბალისტიკური რაკეტებიც კი გამოიყენესო (**ესე იგი, **უკრაინის ხელისუფლებას სამადლობელი დეპეშა უნდა გაეგზავნა დონბასელ და ლუგანსკელ სეპარატისტებთან, „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებისთვის).**

ხოლო, რაკი **ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ შეიარაღება ქუჩაში არ ყრია**, ჩვენმა **პარტნიორებმა კი დანამდვილებით, თუ საიდან მოხვდა ის** დონბასელი და ლუგანსკელი **სეპარატისტების ხელში**, საკითხავი ისღა დარჩა, **სანამდე დაეთანხმება დასავლეთი ჩრდილოელი პრ.-ს ვერსიას: „Не виноватая я, он сам пришел“-ო?!** –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# მოქალაქეთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე

## „მოწევა კლავს“

უცნობია, რა მიზეზით, მაგრამ **ფაქტია, რომ ჩეკომანიამ ჩაიარა** (და, თუკი აქამომდე ნებისმიერი დაწესებულებიდან ლამის სახლში გამოგყვებოდნენ, რომ ჩეკის აღება ეიძულებინათ, მთელ რიგ სავაჭრო ობიექტებში აწ ძალიან უნდა შეეხვეწო, რომ ჩეკი დაგანახვონ). მეორე მხრივ, **ამან კი ჩაიარა, მაგრამ ბიუჯეტის შევსებაა კვლავაც აქტუალური.**



ხოლო, **რაკი აქტუალურია, ფინანსთა სამინისტრომ აქციების ზრდის შესახებ კანონპროექტი მოამზადა**, რითაც **შეგვამზადა, რომ ალკოჰოლსა და თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი გაიზრდება, შესაბამისად, პროდუქციისაც.**

თუმცა **დაგვაიმედეს** (მოქალაქეთა **მწეველი და მსმელი ნაწილი**), რომ ბიზნესმენებთან **კონსულტაციები მიმდინარეობს და საინტერესო მოდელზეც შეჯერდებიან** (ვითომ იმას გულისხმობენ: აქციზი მოიმატებს, პროდუქციის ფასი კი დაიწევსო?!).

აქციზის **ზრდის ოფიციალურ მოტივად ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელდება** – „აქციზს, ზოგადად, მსოფლიოში და არა მხოლოდ საქართველოში, აქვს ამოცანა, შეზღუდოს მავნე ნივთიერებების მოხმარება.“

და იქვე შეგვახსენეს, რომ **„საქართველო გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გადასახადით თამბაქოს საკითხში** (და მერე რა, რომ საქართველო ერთ-ერთი დაბალი პენსიითაც გამოირჩევა?!)“.

**რაკი კანონპროექტი მზადაა, ფაქტია, რომ ალკოჰოლი და თამბაქოს პროდუქცია გაძვირდება**, რაც იმას ნიშნავს, რომ **საბიუჯეტო შემოსავლებიც გაიზრდება**. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ, როგორც წესი, **აქციზის ზრდა ვერ ამცირებს თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებას** (ანუ მოქალაქეები არც სიგარეტის გაბოლებას მოიშლიან და არც მემთვრალეობას), **საქართველოს მწეველსა და მსმელ მოსახლეობას საშუალება ეძლევა**, **საკუთარი ჯიბის შეთხელება ბიუჯეტის გასუქებით დაამშვიდოს,** ბუნებრივია, იმას გარდა, **შანსი ეძლევა, ჯანმრთელი ფილტვებით წარდგეს საიქიო სამსჯავროზე**. –

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ამ ბოლო კვირას, აქეთ ედუარდ კოკოევი გამოჩნდა ავანსცენაზე, ძველი მოწოდებით, დავიბრუნოთ თრუსოს ხეობა, „ისტორიული ოსეთიო“, იქით საქართველოში პერსონა ნონგრატად გამოცხადებულმა ვინმე აგასი არაბიანმა, თავისი გაუგებარი ორგანიზაციის (რუსეთში ჯავახეთის დიასპორა) დაარისხა განგაშის ზარები: „საქართველო საფრთხეშიაო“, „დაშლა და სახელმწიფოებრიობის დაშლა ემუქრებაო“. შესაბამისად, სამოქმედო გეგმაც გაუმზადებიათ: „საქართველოში გადატრიალების შემთხვევაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონი უნდა გამოცხადდეს სუვერენულ ტერიტორიად, შეიქმნას დროებითი ხელისუფლება ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანოების ჩამოყალიბებამდე, უარი ეთქვას დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ კოჰაბიტაციას, დაიშალოს ყველა პოლიტიკური პარტია და დაისაჯოს ყველა პირი, ვინც მონაწილეობა მიიღო ქვეყნის დაშლაში.“ ეს ბოდვითი განცხადება არ იქნებოდა ყურადღების მისაქცევი, რომ არა ის, რომ, ჯერ ერთი, აგასი არაბიანი მთლად დამოუკიდებლადაც არ გააკეთებდა მსგავს განცხადებას და, მეორე, რუსულ მედიაში გააქტიურდა მასალები საქართველოს რღვევის შეუქცევადობაზე. როგორ უნდა გავიგოთ ეს გზავნილები და რა შეიძლება, იყოს პრევენცია? – თემას მამუკა არეშიძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ გახშირდა რუსულ მედიაში საქართველოს მოსალოდნელი დაშლის შესახებ ინფორმაცია, საქართველოს რომელ რეგიონებში მუშაობენ აქტიურად უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები და რატომ ვრცელდება ჩრდილო ოსეთში ხმები მოსალოდნელი ომის შესახებ

– აგასი არაბიანის და ასეთი ტიპის ავანტიურისტების პროგნოზი კი არ არის მთავარი, არამედ სიტუაციის ანალიზი. საზოგადოებას არ აქვს იმის დრო, რომ ღრმა ანალიზი გააკეთოს, სიტუაცია კი უაღრესად მძიმეა და რომ არა უკრაინის მოვლენები, კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა. დღეს მთავარ დარტყმას თავის თავზე იღებს და ამით გვიწევს ფასდაუდებელ სამსახურს.

**– თუმცა, საბოლოოდ, ჩვენ ეს ვერ დაგვიცავს.**

– ვერ დაგვიცავს, მაგრამ ამ წუთას ასეთი ვითარებაა: დღეს კრემლმა აბსოლუტურად მოიშორა ნიღაბი, ყოველგვარ საერთაშორისო შეთანხმებასა და თამაშის წესზე უარი თქვა და ამიტომ ის ორმაგად სახიფათოა, თუმცა ამ ხიფათში სიცხადეც მეტია. რადგან იცი, რომ ხელს ვერაფერი შეუშლის და ყველაფრის გამკეთებელია, სხვა საქმეა, რამდენად მიიყვანს ბოლომდე და შეუძლია თუ არა საქართველოს წინააღმდეგ რეალურად განახორციელოს ფართომასშტაბიანი აგრესია. დღეს ამის არც დრო აქვს რუსეთს და არც თავი. შეიძლება, თვალსაჩინო არ არის, მაგრამ ის უზარმაზარ რესურსს ხარჯავს უკრაინაში როგორც ადამიანურსა და სამხედროს, ისე ფინანსურს. ამდენად, დღევანდელ შეჭირვებულ ვითარებაში რუსეთისთვის რთულია კიდევ ერთ ავანტიურაში თავის გაყოფა, მაგრამ ეს არ არის შეუძლებელი.



მეცინება, როდესაც ოპოზიცია ან საქმეში ჩაუხედავი მოქალაქეები ამბობენ, რომ საქართველომ კურსი იცვალა. ასე არ ხდება: ვალდებულებების მთელი სისტემაა, რაც არ გაძლევს მკვეთრი მანევრის საშუალებას

**– როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ჩრდილო ოსეთში დადის ხმები, რომ კვლავ ომია მოსალოდნელი. ფაქტია, ჩვენ არავისზე თავდასხმას არ ვაპირებთ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ რუსეთის ხელისუფლება ხალხის განწყობას ამზადებს.**

– შევაფასოთ, რა ვითარებაა თვითონ მოსკოვში: მოსკოვში გარდამავალი პერიოდია, როდესაც სურსათის ნაირსახეობა გაქრა ამ სანქციების გამო, ფულის მასა აღარ არის ხალხში და ერთგვარი ბლოკადის პირობებშია ქალაქი, დანარჩენი რუსეთის მდგომარეობა ბევრად უფრო კატასტროფულია. ზუსტად ვიცი, რომ ტოპჟურნალისტები ხელფასს ვერ იღებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უბრალო ხალხი განაწყენებული კი არ არის ხელისუფლებაზე, არამედ მობილიზებულია, რადგან რუსეთის ხელისუფლებამ სწორი პროპაგანდისტული ფონი შექმნა, ჩვენ მსოფლიო გვებრძვისო.

**– ძველი ლოზუნგით: დამპალი კაპიტალისტები.**

– ამიტომაც არიან მობილიზებულები, აქედან გამომდინარე, მოლოდინი იმისა, რომ რუსეთში სოციალური აფეთქება მოხდება, არ არსებობს, თუმცა რაღაც დროის შემდეგ ეს საფრთხე შეიძლება, დადგეს, მაგრამ არა ახლა. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, გაღიზიანებაა ჩინეთის მიმართ, რომელიც მოკავშირეობას არ უწევს რუსეთს.

**– ჩინეთი რაღა შუაშია?**

– პროპაგანდა ასე იყო აგებული: კაპიტალისტები არიან ცუდები, თუმცა ჩინეთია კარგი, მაგრამ ახლა ჩინეთმაც უარი თქვა 25 მილიარდის გადახდაზე, რასაც საგაზო კონტრაქტი გულისხმობდა და ამის გამო არიან გაბრაზებულები. თუმცა მთავარი ისაა, რომ რუსეთის მოსახლეობა მობილიზებულია და მოგეხსენებათ, რომ მობილიზებული რუსი ხალხი ომისთვის მზა მასალაა და ძალიან საშიშია. რაც შეეხება სავარაუდო სცენარს, თუ როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები: მოვლენების განვითარების რამდენიმე ვექტორია. ის, რასაც ჟირინოვსკი ამბობს, რომ რუსეთი თავს დაესხმება ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ამ ეტაპზე უტოპიურია. ჟირინოვსკი ახმოვანებს კრემლის მესვეურთა სურვილს, რომ „ნატო“ დასაჯონ და ითვლება, რომ „ნატოს“ დასჯის საუკეთესო ხერხია ბალტიისპირეთის ქვეყნებზე შეტევა, თუმცა, ვფიქრობ, ეს კონსტრპროდუქტიულია და არაფერს მოუტანს რუსეთს.

**– ყურადღების გადატანის მანევრიც ხომ არ არის? სხვა მიმართულებით აპირებს დარტყმას და აქცენტს აკეთებს ბალტიისპირეთზე?**

– შეიძლება... სხვა ერთადერთი მიმართულებაა კავკასია. ჩვენ ხშირად ვამბობთ, მეც, მათ შორის, რომ, თუ საქართველო განაგრძობს „ნატოსთან“ ინტეგრაციის პროცესს, ეს მისცემს რუსეთს საბაბს, რომ საქართველოს შეუტიოს. მინდა, განსაკუთრებით, ხაზი გავუსვა იმას, რომ რუსეთის მთავარი ამოცანა საქართველოს დასჯა კი არ არის, არამედ – კავკასიის არდაკარგვა. ამიტომ „ნატოსთან“ საქართველოს ინტეგრაცია რუსეთს იძულებულს ხდის, ეს ნაბიჯი გადადგას საქართველოს მიმართ.

**– ხომ არ აკეთილშობილებთ რუსეთის ზრახვებს?**

– შემეკამათეთ და მესმის თქვენი, მაგრამ ჩვენ ყოველთვის მეტოქის მდგომარეობაში უნდა ჩავიყენოთ თავი, რომ ვიცოდეთ მისი ინტერესები, რათა დავიცვათ ჩვენი ინტერესები და თუ არ შეგიძლია შენი ინტერესების დაცვა, მაშინ მაქსიმალურად უნდა მოერიდო კონფრონტაციას, რასაც არ აკეთებდა მიხეილ სააკაშვილი. დღევანდელი მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს, კონფრონტაციაზე არ წავიდეს, მაგრამ მოვლენათა განვითარება იძულებულს ხდის, გადადგას ნაბიჯები, რომლებიც ერთ-ერთი მხარისთვის, ამ შემთხვევაში, რუსეთისთვის არასასურველია.

**– ცალსახაა, რომ რუსეთი სასიკვდილოდ ჩაგვეჭიდება და ამიტომ წავა ყველაფერზე, რომ არ დაკარგოს გავლენა საქართველოზე, რადგან ამის შემდეგ ის დაკარგავს მთლიანად კავკასიასაც. დასავლეთსაც ხომ ესმის ეს, ის რატომ არ მიმართავს არანაირ ქმედით აქტივობას, რომ დაგვიტოვოს თავის გავლენაში, რომ არ დაკარგოს კავკასია?**

– დასავლეთი, სამწუხაროდ, არ არის ერთი პირი. დასავლეთის ტრანსნაციონალურ კომპანიებს ხშირად განსხვავებული მიზნები და ამოცანები აქვთ. ტრანსნაციონალური კომპანიები მართავენ, ფაქტობრივად, პოლიტიკურ პროცესებს. დღევანდელი პოლიტიკა რეალურად არის რესურსებისთვის ბრძოლა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთისადმი დასავლეთის შეტევა განპირობებულია იმით, რომ რუსეთის პოლიტიკა არ მოსწონთ, ცდება. ხვალ თუ ზედ მსოფლიოში რესურსული შიმშილი დაიწყება, ამიტომ საჭიროა იმ უზარმაზარი ტერიტორიის ათვისება, რასაც ჰქვია რუსეთი, რომელიც უმდიდრესია თავისი რესურსებით. დასავლეთი, ბუნებრივია, ჩქარობს, რადგან გამოჩნდა ამ რესურსების ამთვისებელი ჩინეთის სახით. ასე რომ, ან ერთის მოკავშირე უნდა იყოს რუსეთი, ან – მეორის. მაგრამ რუსეთი მოკავშირეობას არ ინდომებს და თვითონ უნდა, გახდეს ზესახელმწიფო, ამიტომაა ყველა მობილიზებული მის წინააღმდეგ. რუსეთს მიაჩნია, რომ მსოფლიო უნდა აკონტროლოს სამმა ქვეყანამ – ამერიკამ, ჩინეთმა და რუსეთმა, მაგრამ იმის თავი, იყოს ამ სამეულში ერთ-ერთი, რუსეთს არ აქვს. ამიტომ ცდილობენ, გადმოიბირონ ან შეეცილონ მას იმ რესურსების დაუფლებაში, რაც რუსეთს აქვს. თან, ეს ბრძოლა მხოლოდ ამ სამეულს შორის არ მიდის. ამ ბრძოლაში აქტიურადაა ჩაბმული ზოგიერთი სხვა ქვეყანა და რეგიონული გაერთიანება, მაგალითად, არაბები. მათ თავიანთი ინტერესები აქვთ და დღეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ნავთობის ფასის ვარდნას არაბები დაეთანხმნენ, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე. მაგრამ არ არის გამორიცხული, ხვალ ისევ აწიონ ფასები ნავთობზე და რუსეთის წისქვილზე დაასხან წყალი, თავიანთი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. საუდის არაბეთისთვის მნიშვნელ-

# განკურნების რა სასწაულებრივ მეთოდს ფლობს ექიმი თინათინ მაჩაიძე და როგორ უბრუნებს ის დაკარგულ იმედს თავის პაციენტებს



თინათინ მაჩაიძე

*დღესდღეობით ასე მომრავლებული მკურნალების ფონზე განკურნების საოცარი ისტორიებით ვერავის გააკვირვებ. ექიმები თავიანთი განკურნებული პაციენტებით იწონებენ თავს და კიდევ მრავალ პაციენტს ეპატიჟებიან თავისთან. ძნელია ასეთ დროს ნდობის მოპოვება ექიმისთვის, თუმცა პაციენტი, უპირველესად, საკუთარ თავზე გრძნობს, ჭეშმარიტად შესწევს თუ არა განკურნების უნარი იმ ექიმს, ვისთანაც ის მკურნალობას გადაწყვეტს. მაგრამ, არიან ისეთებიც, ვისი ძალა და მკურნალობის უტყუარი მეთოდი, არავისთვის გამხდარა ეჭვის საბაბი, რადგან მათ უკმაყოფილო პაციენტი პრაქტიკულად არ ჰყავთ. სწორედ ასეთი მკურნალია ექიმი-ბიოენერგოთერაპევტი, საერთაშორისო კლასის მკურნალი, ბიოენერგოთერაპევტთა ამერიკა-კანადის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ქალბატონი თინათინ მაჩაიძე, რომელსაც ჩვენი მკითხველი საკმაოდ კარგად იცნობს ისევ და ისევ მისი მადლიერი პაციენტების წყალობით, რომლებიც ავადმყოფობისგან განკურნების საკუთარ ისტორიებს დაუზარებლად გვიყვებიან. ქალბატონ თინათინს საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს და არც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ცდილობს ხშირად გამოჩენას. აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმ დაავადებებს, რომლებსაც ქალბატონი თინათინი უკვე ათეული წლებია, თავის მიერვე დასმული უტყუარი დიაგნოზის შემდეგ, წარმატებით მკურნალობს. ესენია: ნერვული სისტემის მოშლილობა და მასთან დაკავშირებული ყველანაირი პრობლემა: ნევროზები, შიშები, აკვიატებული აზრები, თავის ტკივილი, უძილობა, მოთენთილობა, გაბრუება, ენერგიის ნაკლებობა, დეპრესია, ღამის უნებლიე შარდვა (ენურეზი), ოსტეოქონდროზი, მარილები, რადიკულიტი, ნერვის ანთება, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები, ალერგიები და, რაც ყველაზე მთავარია, თინათინ ექიმი წმენდს დაბინძურებულ აურას და ასუფთავებს ბიოველს.*

*თინათინ მაჩაიძის პაციენტების დაჟინებული თხოვნით, აქვე გთავაზობთ მათი განკურნების ისტორიებს:*

**ნანა ინწკირველი** *(36 წლის, პედაგოგი):* ქალბატონ თინასთან ჩემი მეზობლის წყალობით მოვხვდი. ეს ბედის საჩუქარი იყო, რადგან არ ვიცი, რა მეშველებოდა მისი დახმარების გარეშე. ალბათ, იქამდე მივიდოდი, რომ სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავასრულებდი. ჩემი პრობლემა იყო მწვავე ნევროზი – აკვიატებული შიშები, უძილობა, თავის ტკივილები, დეპრესია. თინა ექიმმა ამქვეყნად დამაბრუნა, რასაც სულ რამდენიმე სეანსი მოანდომა. ულრმესი მადლობა, ჩემო გადამრჩენელო.

**ნიკოლოზ გელაშვილი** *(49 წლის, იურისტი):* უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მოვხვდი ქალბატონ თინათინთან, სხვათა შორის, თქვენი ჟურნალის მეშვეობით. მქონდა ნერვის ანთება და რადიკულიტიც დამემატა, რასაც საშინელი ტკივილები ახლდა თან. ჯერ თავს ისევ ახალგაზრდად მივიჩნევ, მაგრამ ტკივილებმა ყველაფრის ხალისი დამაკარგვინა და იმედი გამიქრო. თინა ექიმმა კი თავისი ჯადოსნური ხელებით და მკურნალობის მეთოდით სასწაული მოახდინა და თითქოს ხელახლა დავიბადე.

**ნანა ჩოგოვაძე** *(62 წლის):* საშინელი ალერგია მქონდა ბოლო წლებში. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ალერგიის შეტევა მძლიერდებოდა, რასაც მაღალი წნევაც დაემატა. ქალბატონ თინათინთან მკურნალობის შემდეგ მთლიანად აღმიდგა ჯანმრთელობა.

**გურამ ბაინდურაშვილი** *(68 წლის):* ქალბატონ თინასთან ჩემმა შვილებმა მომიყვანეს. საშინელ მდგომარეობაში ვიყავი: მაწუხებდა გულის არითმია, სისხლძარღვების შევიწროება, შაქრიანი დიაბეტი. არ მქონდა სიცოცხლის ხალისი. სამი სეანსის შემდეგ შვება ვიგრძენი. სულ 15 სეანსი დამჭირდა.

**ქეთევან ფირცხალავა** *(55 წლის, დიასახლისი):* მე ჩემმა გასაჭირმა, კუჭ-ნაწლავის და ნაღვლის ბუშტის პრობლემებმა მიმიყვანა თინა ექიმთან. უკვე წლებია ვმკურნალობ სხვადასხვა ექიმთან, მაგრამ საშველის რა მოგახსენოთ. ამდენმა დიეტამ და არასწორად დანიშნულმა უამრავმა წამალმა უარეს დღეში ჩამაგდო. ქალბატონმა თინათინმა შეუძლებელი შეძლო და მკურნალობის პირველი კურსის შემდეგ თავს სრულფასოვან ადამიანად ვგრძნობ. მადლობის მეტი რა მეთქმის!

***P. S.* ვისაც გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და საიმედო მკურნალობა გჭირდებათ, მიმართეთ თინათინ მაჩაიძეს. ის თავისი მკურნალობის უნიკალური მეთოდით მალევე გაგათავისუფლებთ აბეზარი დაავადებებისგან და თავს ჯანმრთელად და ბედნიერად იგრძნობთ!**

**ტელ: 599-58-69-47, 555-12-78-30, 555-96-44-21, 235-18-68 (ოფისი).**

**პაციენტთა მიღება ხდება წინასწარ ჩაწერით! $11^{00}$–$16^{00}$ სთ**

ოვანია, რომ ამერიკელებმა არ განავითარონ ფიქალის გაზის მოპოვება. ერთი სიტყვით, რესურსებისთვის ბროლა განაპირობებს დღეს მსოფლიო პოლიტიკას. ჩვენ ამ გეოპოლიტიკურ ომში ვართ ქვიშის მარცვალი პატარა კოზირებით და ამ კოზირების გამოყენება მხოლოდ პოლიტიკური სიბრძნითაა შესაძლებელი, რის ხილვასაც ამ ქვეყანაში ვერაფრით მოვესწარით. დღეს ასეთი ვითარებაა: საქართველომ გადადგა აქტიური ნაბიჯი „ნატოსკენ“, ვგულისხმობ წინა კვირას სტოლტენბერგის ვიზიტი.

**– აბა, არ ჩამოხვიდე, შე არამზადაო, ხომ არ ეტყოდნენ?**

– ამიტომ მეცინება, როდესაც ოპოზიცია ან საქმეში ჩაუხედავი მოქალაქეები ამბობენ, რომ საქართველომ კურსი იცვალა. ასე არ ხდება: დილით გავიღვიძე და რუსეთში ვარ. ვალდებულებების მთელი სისტემაა, რაც არ გაძლევს მკვეთრი მანევრის საშუალებას. პოლიტიკა ბინძური რამაა და კეთდება პრინციპით: ვინც მეტს იხდის, რაც საკმაოდ სწორი ფორმულაა. ვნახოთ, რა განსხვავებაა ამერიკელებსა და რუსებს შორის: ამერიკელები გთავაზობენ თავიანთი გავლენის დამკვიდრებას და ამაში იხდიან ფულს, რუსები გთავაზობენ თავიანთი გავლენების დამკვიდრებას და ამაში არ იხდიან არაფერს.

**– ბოლო დროს დახვავდა ანტიქართული ინფორმაცია: იქით – თრუსოს ხეობის „ოსურობის“, აქეთ – არაბიანი არისხებს განგაშის ზარებს, საქართველო იშლება და გადავარჩინოთ სუვერენული სამცხე-ჯავახეთიო.**

– არსებობს ჩვენთვის სახიფათო გამოწვევათა ჩამონათვალი. კერძოდ: საქართველოს ზოგიერთი რეგიონი, სადაც რუსეთის აგენტურა ძალიან ეფექტიანად მუშაობს და სიტუაციის არევა შეუძლიათ, მაგალითად, ჯავახეთი და სამეგრელოც.

**– მე სამეგრელოს იმედი მაქვს!**

– თქვენ მეგრელების იმედი გაქვთ და ეს სხვა რამაა. როდესაც არ არსებობს სახელმწიფო იდეოლოგია, ქვეყნის დაშლა ძალიან მარტივია. ამას გარდა, არსებობს რეგიონი, სადაც სხვა ქვეყნის პეცსამსახურები მუშაობენ აქტიურად – ქვემო ქართლი; აჭარა, კახეთის ზოგიერთი რეგიონი. საქართველოში ერთდროულად არსებობს რუსეთის ექსპანსიის, რეგიონული დეზინტეგრაციის, პოლიტიკური ისლამის პრობლემა... ამასთან, არსებობს მითიური ტერიტორიული პრეტენზიები თრუსოს ხეობასთან დაკავშირებული. საერთოდ, ცნება „თრიალეთის ოსეთი“ შეიქმნა 2000-ნების დასაწყისში და მასში იგულისხმება ბორჯომის ხეობა, სადაც ადრე ოსები ცხოვრობდნენ, თრუსოს ხეობა და კობის ქვაბული, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს ოსებთან. მაგრამ ამ იდეას მთლიანობაში ჰქვია „თრიალეთის ოსეთი“. ამ იდეოლოგიისთვის მთელი ორგანიზაციებია შექმნილი საქართველოს ტერიტორიაზე თუ საქართველოს საზღვრებთან ახლოს, რომლებიც საქართველოს დეზინტეგრაციაზე მუშაობენ. მაგალითად, ამ იდეოლოგიის გამტარებელია ორგანიზაცია „დარიალი“ ვლადიკავკაზში, საქართველოშიც გვაქვს ასეთი ორგანიზაციები, ოღონდ ისლამისტური. ავიღოთ იგივე ჯავახეთი: იმის თქმა, რომ იქ სეპარატისტული განწყობებია, მტკნარი სიცრუეა, მაგრამ ჯავახეთში არსებობს რუსეთის გავლენის აგენტურა, რომელიც იქ დარჩა რუსეთის ბაზის გასვლის შემდეგ. სეპარატისტული განწყობა კი იმიტომ არ არის, რომ ცხოვრება შეიცვალა. არ მინდა დავასახელო, მაგრამ ერთ-ერთმა ცნობილმა იქაურმა სეპარატისტმა სესხი აიღო ბანკიდან, ფერმას აკეთებს და საერთოდ არ სცხელა სეპარატიზმისთვის. მაგრამ რუსეთს, თუ მოინდომებს, სიტუაციის შეცვლა შეუძლია და ამისთვისაა ზუსტად აგასი არაბიანის მსგავსი ორგანიზაცია. მეორე მხრივ, აგასი არაბიანს არ მიიჩნევენ ავტორიტეტად ჯავახეთში და ამიტომ სერიოზულად არც აღუქვამთ მისი განცხადება, მაგრამ, როდესაც მუდმივადაა ლაპარაკი, რომ დღეს თუ ხვალ საქართველო დაიშლება, ესეც მუშაობს. ამიტომ სახელმწიფომ კონტრლონისძიებათა წყება უნდა შეიმუშაოს და გაანეიტრალოს ასეთი გამოწვევები. პრევენციისთვის შესაქმნელია კონტრლონისძიებების პაკეტი, რასაც ჯერჯერობით ვერ ვხედავთ. შეიძლება, ვილაცამ თქვას, იქნებ არსებობს და ჩვენ არ ვიცითო, მაგრამ რომ იყოს, დავინახავდით, რომ სწორად მუშაობენ ეროვნულ უმცირესობებთან, სწორად იყენებენ იმ კადრებს, რომლებიც იცნობენ პრობლემას და იყენებენ ეროვნულ უმცირესობებს სახელმწიფო მართვაში.

**საქართველოს დაშლისთვის მთელი ორგანიზაციებია შექმნილი საქართველოს ტერიტორიაზე თუ მის საზღვრებთან ახლოს, რომლებიც საქართველოს დეზინტეგრაციაზე მუშაობენ**

**ნინო ხაჩიძე**

**ის, რომ წყალი ნავთობზე დიდი სიმდიდრეა, მხოლოდ თეორიულად ვიცით, რადგან პრაქტიკულად წყლის უზარმაზარი მარაგების საჩვენოდ გამოყენებასაც ვერ ვახერხებთ: სასმელი წყლის ნაკლებობასაც უჩივის მოსახლეობა და სარწყავისაც. გავრცელებული ინფორმაციით, თითქოს წყლის საექსპორტოდ ჩამოსასხმელი ქარხნის აშენება იგეგმება. ქართული წყლის საექსპორტო პერსპექტივაში გარკვევას სანდრო თვალჭრელიძესთან ერთად შევეცდებით.**

# რატომ ვერ გაუწევს საქართველო კონკურენციას წყლის იმპორტში მსოფლიო მონოპოლისტებს და რა შემთხვევაშია შესაძლებელი ექსპორტის გაზრდა 100-ჯერ

**– დანამდვილებით ვიცი, რომ ჩამოსულები არიან ჩეხი სპეციალისტები, რომლებმაც უნდა შეისწავლონ ჩვენი არტეზიული წყლების მდგომარეობა.**

– ნამდვილად ასეა... თუმცა საქართველო ჰიდროგეოლოგიურად ყველაზე კარგად შესწავლილი რეგიონი იყო მსოფლიოში საბჭოთა დროს. ძალიან ბევრი პარამეტრული ჭა არსებობდა, რომლებშიც იდგა სხვადასხვა დანადგარი წყლის წნევის, დონის შესასწავლად, ქიმიური სინჯების ასაღებად. რაც თავისუფალი საქართველო გაჩნდა, ასეთი კვლევები აღარ ჩატარებულა, რაც ძალიან ცუდია ჩვენთვის. ნავთობი კარგია, მაგრამ უნავთობოდ ადამიანი იარსებებს, უწყლოდ კი – ვერა. არადა, ჩვენ გვაქვს ოცდამეერთე საუკუნის ყველაზე დიდი სიმდიდრე – მსოფლიო მნიშვნელობის წყლისა და მინერალური მიწისქვეშა წყლის რესურსი, რომელიც სეზონურად არ იცვლის თავის თვისებებს.

**– წყალი სეზონურად იცვლის თვისებებს?**

– ზედაპირული წყალი, რომელსაც ჩვენ ვსვამთ, სხვადასხვა ხარისხისაა. მაგალითად, ბულაჩაურის წყალსაცავის წყალი კარგია, მაგრამ ჟინვალის წყლის ქიმიური შედგენილობა იცვლება წვიმის შემდეგ, იმიტომ რომ, სხვადასხვა ნატანი მოაქვს.

**– თითქოს დაიწია მიწისქვეშა არტეზიულმა წყლებმა, რაც დეფიციტს შექმნისო.**

– ეს არ ვიცით, პარამეტრული დაკვირვებები არ ჩატარებულა, ამიტომ დაველოდოთ შედეგებს. ფაქტია, რომ არტეზიული წყლები უნდა შევისწავლოთ, მაგრამ რისთვის გვჭირდება ჩეხები? ყველაფერი იმის ბრალია, რომ გამქრალია გეოლოგიური სამსახური. ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის, მიხეილ სააკაშვილის ყველაზე დიდი დანაშაული არის გეოლოგიური სამსახურის მოსპობა. პირადად მე, ჩავდიოდი ჩეხეთში ლექციების წასაკითხად და ვასწავლიდი მათ გეოლოგიას. აბსოლუტური პასუხისმგებლობით გეუბნებით: კარლოს უნივერსიტეტში ლექციებს ვუკითხავდი ჩეხ პროფესორებსა და დოცენტებს. კარგად ვიცნობ მათ გეოლოგიურ სამსახურს. ჩეხეთის გეოლოგიურ სამსახურს აქვს ფული და არ აქვს საქმე, ამიტომ თავად აფინანსებენ ასეთ კვლევებს და თავიანთ სპეციალისტებს ასაქმებენ. მაგალითად, ჩეხებმა უნდა შეისწავლონ დევდორაკის მყინვარი. მათი სპეციალისტები არიან 22-23 წლის გოგონები, რომლებმაც გეოლოგია გუშინ ისწავლეს. აი, ასეთ სპეციალისტებს გვიგზავნიან. ამდენად, ეს იქნება ჩეხეთის მთავრობის ფულის ათვისება და რეზულტატი იქნება საკმაოდ მწირი.

**– როგორია მსოფლიოში წყლის მოპოვებისა და ექსპორტის პრაქტიკა და ვინ არის წამყვანი კომპანია?**

– უდავო მსოფლიო ლიდერი საფრანგეთია, რომელიც მილიონობით ლიტრი ბუტილირებული წყლის ექსპორტს ახერხებს. თავის დროზე, შემოგვყავდა კიდეც საქართველოში ფრანგული კომპანია „პერიე ვიტელი“, მაგრამ, რატომღაც, მაშინ საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ მოიგო ტენდერი და მსოფლიოში წყლის ექსპორტის ლიდერი „პერიე ვიტელი“ არ შემოვუშვით. ის ფლობს ისეთ მსოფლიო ბრნედებს, როგორიცაა „სან პელეგრინო“ იტალიაში, მთელი რუსეთის ბუტილირებულ წყლებს, მთელი ჩეხეთის ბუტილირებულ წყლებს. ჩვენ ჩამოგვყავს ჩეხი სპეციალისტები, მათ მიწისქვეშა წყლებს კი ფრანგები უვლიან.

**– რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი ფრანგული კომპანიის შემოყვანა ქართული წყლის ექსპორტისთვის?**

– ამ შემთხვევაში მინერალურ და მტკნარ წყლებს ჩამოასხამდა არა საქართველო-უკრაინის ერთობლივი საწარმო და წყლის ექსპორტი იქნებოდა 100-ჯერ მეტი. არავინ იცნობდა მსოფლიოში „სან პელეგრინოს“ წყალს 20 წლის წინათ. „პერიე ვიტელმა“ გაუკეთა მსოფლიო რეკლამა. არადა, გაცილებით უკეთესი წყალია „ბორჯომი“ და „მიტარბი“, მაგრამ ჩვენ იმას, რასაც აკეთებს „პერინე ვიტელი“ ვერ ვაკეთებთ. მე ამ კომპანიას კარგად ვიცნობ, ვმუშაობდი კიდეც მათ კონსულტანტად.



**ჩვენ ჩამოგვყავს ჩეხი სპეციალისტები, მათ მიწისქვეშა წყლებს კი ფრანგები უვლიან**

**– იმას ამბობთ, რომ ჩვენს მტკნარ და მინერალურ წყლებს, ევროპულ ბაზარაზე შეღწევის საშუალება არ აქვს?**

– ჩეხების მეშვეობით ნამდვილად არა.

**– პერსპექტივაზე თუ ვისაუბრებთ?**

– ამის სხვადასხვა ტექნოლოგია არსებობს, მაგრამ ეს საქმე უნდა მართონ პროფესიონალებმა და არა ბიზნესმენებმა, რომლებმაც არაფერი იციან ამ ბიზნესის, კარგი კონსულტანტები უნდა ჰყავდეთ და ასე შემდეგ. ვიმეორებ – ჩეხურ მინერალურ წყლებს მართავენ ფრანგები, ჩვენ კი ჩეხებს ვანდობთ არტეზიული წყლების შესწავლას, რომლებიც, როგორც სპეციალისტები ქართველ სპეციალისტებზე უარესები არიან და უფრო დაბალი კვალიფიკაცია აქვთ.

უნდა განვასხვავოთ არტეზიული და წყაროს წყლები. დღეს ჩვენთან წყალი ისხმება წყაროებიდან, რადგან გვაქვს უამრავი წყარო, რომელიც იღვრება. წყაროს წყლის ბუტილირების შემთხვევაში, დაახლოებით, მილიარდი ლიტრის გამოშვება შეგვიძლია. და ეს არის გაცილებით კარგი ხარისხის წყალი, ვიდრე „ვიტელი“ ან შვეიცარიული წყალი. იმიტომ რომ, ევროპულ წყალში მაგნიუმის შემცველობა მაღალია. მათი კირქვები მაგნიუმის შემცველი დოლომიტებია, ჩვენთან დოლომიტები, ფაქტობრივად, არ არის. ჩვენი კირქვები უმაგნიუმოა, ამიტომაც არის ჩვენი წყალი ძალიან კარგი. პარიზში რომ ღარიბ მოსახლეობას დააკვირდეთ, განსაკუთრებით კონსიერჟებს, რომლებიც უბრალო წყალს სვამენ, ნახავთ, რომ ქვედა კბილები არ აქვთ. ეს არის წყალში ჭარბი მაგნიუმის ბრალი.

**– რადგან სპეციალისტები ჩამოიყვანეს, ვიგულისხმე, რომ არტეზიული წყლების ექსპორტს აპირებენ-მეთქი.**

– არ მგონია, რადგან არტეზიული წყლების ჩამოსხმა გაცილებით ძვირია, ვიდრე არსებული წყაროების წყლის ჩამოსხმა. ჩვენი მტკნარი წყლის საერთო მარაგი არის 6 მილიონი ტონა, ანუ 6 მილიარდი ლიტრი დღე-ღამეში. ეს ის წყალია, რომელიც იღვრება, რაც ნიშნავს, რომ წელიწადში მილიარდი ბოთლის გატანა შეგვიძლია. არადა, ამდენი წელიწადში საფრანგეთს ვერ გააქვს.

**– ერთია რომ შეგვიძლია გატანა, მაგრამ ამდენის მუშტარი არის?**

– ამას ვამბობ, რომ ძირითადია ბაზრის პრობლემა და არაფერი გამოგვივა, თუ ფრანგულ ფირმას არ შემოვიყვანთ საქართველოში. იმიტომ რომ, მსოფლიო მონოპოლია მინერალურ წყლებში უჭირავთ ფრანგულ ფირმებს და ლიდერია „პერიე ვიტელი“, რომელიც ეკუთვნის „ნესთლე ჯგუფს“ და ისინი ბაზარზე არ შეგიშვებენ.

**– არც აღმოსავლეთში?**

– ჩვენებმა სცადეს საუდის არაბეთში, ემირატებში წყლის გატანა. ჩვენგან ძალიან მაღალი დონის ჩინოვნიკები ჩავიდნენ საუდის არაბეთში, მაგრამ მაშინვე ჩაფრინდა „პერიე ვიტელის“ მეხუთე თუ მეექვსე ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე და მეორე დღესვე უთხრეს ქართველებს არაბებმა, აქედან წადითო.

**– რატომ, თუ უფრო იაფ და ხარისხიან წყალს სთავაზობდნენ?**

– იმიტომ რომ, მაშინ საფრანგეთი წყალს გადაუკეტავდა მათ. მათ საფრანგეთი ამარაგებდა წყლით, ქართველები კი ერთი წლის შემდეგ თუ შეძლებდნენ წყლის შეტანას: ერთ წელს უწყლოდ ხომ არ იქნებოდნენ?! ვიმეორებ – მე ვმუშაობდი „პერიე ვიტელის“ პრეზიდენტის ექსპერტ-კონსულტანტად და კარგად ვიცი, როგორ კეთდება წყლის საერთაშორისო ბიზნესი. თავის დროზე ჩამოვიყვანე და ედუარდ შევარდნაძეს შევახვედრე „პერიე ვიტელის“ ვიცე-პრეზიდენტი დომენიკ დიუვალი, მაგრამ უშედეგოდ. არადა, „პერიე ვიტელთან“ თანამშრომლობის გარეშე, საერთაშორისო წყლის ბიზნესს ვერ აწარმოებ. შეგიძლია, ცოტა წყალი გაიტანო ისრაელში, უკრაინაში, რუსეთში, რაც დღეს ხდება, მაგრამ ნორმალურ, საერთაშორისო ბაზარზე პირველი რანგის მოთამაშე ვერასდროს გახდები. სხვა თუ არაფერი, მათი პოლიტიკა ასეთია: თუ ისინი ერთ მილიონს ხარჯავენ წარმოებაზე, 37 მილიონს ხარჯავენ მარკეტინგზე. აი, ეს არის მათი თანაფარდობა, 37-ზე მეტს ხარჯავენ ბაზრის შესწავლაზე, ბაზრის მოპოვებაზე, მარკეტინგზე და ასე შემდეგ.

**– უკვე გასაგებია, რომ ჩვენ მათ კონკურენციას ვერ გავუწევთ.**

– ვინ გაუწევს კონკურენციას „ნესთლე ჯგუფს“?! ის ყველაზე მდიდარი კომპანიაა მსოფლიოში.

# „ფორესი“ – კადრის შერჩევის ყველაზე ობიექტური ინსტრუმენტი – HR ფორუმის შეფასება

„უნარების განვითარებისა და შეფასების ცენტრის” ორგანიზებით, სასტურმო „ქორთიარდ მარიოტში” HR ფორუმი გაიმართა. ფორუმში 25-მდე კერძო ორგანიზაციისა და სახელმწიფო დაწესებულების HR მენეჯერი მონაწილეობდა.

ფორუმის მიზანი გახლდათ HR მენეჯერების მიერ დასაქმების, სამუშაოს შეფასებისა და კადრების დაქირავების პროცესში ტესტირების დანერგვა/გამოყენების პრობლემატიკის განხილვა და მიმდინარე პრაქტიკის ერთმანეთისთვის გაზიარება.

ფორუმზე სიტყვით გამოვიდნენ: „ბანკი რესპუბლიკის“ წარმომადგენელი, HR პარტნიორი, თეონა სამსონაძე; Easy Recruitment LLC დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი ირაკლი დადიანი; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის აპარატისა და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების უფროსი ნინო ბერუაშვილი; უნარების განვითარებისა და შეფასების ცენტრის ახალი ინოვაციური პროდუქტის – 4S (ფორესი) პროექტის მენეჯერი მელანო სირბილაზე და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე HR მენეჯერების მესვეურები, რომელთა შორისაც გაიმართა საინტერესო და აქტიური დისკუსია.

**თეონა სამსონაძე – HR Business Partner, „ბანკი რესპუბლიკა“:** ბაზარზე არ არსებობდა ამ სახის პროდუქტი – კადრის შერჩევის ობიექტური ინსტრუმენტი. ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს ფორესი არსებობს. მივესალმები ამ ინიციატივას.



**ირაკლი დადიანი – Easy Recruitment LLC-ის დამფუძნებელი:** ფორუმი ძალიან საინტერესო და კარგად მომზადებული იყო. თემებიც შესანიშნავად გახლდათ შერჩეული, რაც დღეს არსებულ პრობლემატიკას ეხმიანებოდა.

ფორუმის დასკვნით ნაწილში, 4S (ფორესი) პროექტის მენეჯერმა მელანო სირბილაძემ იმსაუბრა 4S ტესტის შექმნის მიზეზებზე, მის უპირატესობებზე, მეთოდოლოგიასა და ნორმებზე, რომელთა საფუძველზეც მოხდა ტესტის სტრუქტურირება. ფორუმზე დამსწრეებმა ასევე, განიხილეს 4S ტესტის დაქირავების-დაწინაურების პროცესში გამოყენებისა და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები.

„უნარების განვითარებისა და შეფასების ცენტრი” მომავალშიც აპირებს მოაწყოს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე HR მენეჯერების შეხვედრები და მათ შორის ინტერაქციას შეუწყოს ხელი. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანია ადამიანური რესურსების მართვის სფეროში ბაზარზე ახალი და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს, ზოგადად, დასაქმების ბაზრის განვითარებას და კვალიფიციური, ინოვაციური და საერთაშორისო სტანდარტების პროდუქტების დამკვიდრებას. ახალი ტიპის ფორუმები საშუალებას მისცემს სფეროს პროფესიონალებს, განიხილონ ახალი პროდუქტები, გამოავლინონ საჭიროებები და დანერგონ თანამედროვე ტრენდები გამოცდილების ურთიერთგაზიარების გზით.

**ეკა სალაღაია**

---

**– თქვენი სიტყვებიდან გამოდის, რომ არანაირი აზრი არ აქვს წყლის გატანას რომელიმე ფრანგულ კომპანიასთან თანამშრომლობის გარეშე?**

– აბსოლუტურად სწორია და ჩვენი მთავრობის ტრაგიკული შეცდომა იყო, რომ „პერიე ვიტელთან“ არ გააფორმეს კონტრაქტი, როდესაც ამ კონტრაქტის ძალიან კარგი პირობებით დადება შეიძლებოდა. ისინი უბრალოდ მოატყუეს და უარი უთხრეს.

**– ახლა რა შეიძლება, გაკეთდეს?**

– ახლა გაცილებით უარეს პირობებზე მაინც უნდა წავიდნენ ჩვენი მეწარმეები, თითი მოკაკვონ, მოეფერონ და სთხოვონ, იქნებ შემოხვიდეთ საქართველოშიო. თუმცა, სანამ გარემოს დაცვის სამინისტროში პროფესიონალები არ იმუშავებენ, ამას გამოვრიცხავ. მით უფრო, რომ „პერიე ვიტელმა“ სხვაგვარი სტრატეგია აირჩია: სომხური, რუსული, ჩეხური, იტალიური წყლები აიღეს და აღარ აინტერესებთ ქართული. პირველი, რაც მათ გააკეთეს, ქართულ წყლებს გასასვლელი გადაუჭრეს საერთაშორისო ბაზარზე და ეს ჩვენი ამბიციუროობის, უცოდინრობისა და ქართული მენტალიტეტის ბრალია, თავი რომ კიტრად მოგვაქვს და ყველაზე ჭკვიანი გვგონია.

**– აფრიკაც დაკეტილია?**

– ფრანგულენოვანი აფრიკა დაკეტილია. სადაც ებოლაა, იქ შეგვიძლია შეტანა, მაგრამ იქ მხოლოდ ჰუმანიტარული ტვირთის სახითაა შესაძლებელი ნებისმიერი რამის შეტანა. მათ ფული არ აქვთ, რომ წყალი იყიდონ.

**– აბა, მაშინ ქარხნები რად გვინდა?**

– ეს არ ვიცი, რა იმედით აშენებენ, შეიძლება, გაიტანონ ჩეხეთში, მაგრამ ძალიან მალე შეწყვეტენ ამ პროექტს.

**– ამერიკის კონტინენტებზეც ფრანგული წყლის კომპანიებია მონოპოლისტი?**

– იქ შეიძლება გატანა, მაგრამ ჩვენი მთავრობა უნიათო აღმოჩნდა. როდესაც ავღანეთში ოპერაცია იწყებოდა, ქართველები ლოგისტიკურად ეხმარებოდნენ. მათ სჭირდებოდათ 5 მილიონი ლიტრი წყალი დღეში. იყო ჩემი პროექტი, რომ საქართველოდან შეგვეტანა ის წყალი. წერილი გავუგზავნეთ ჩვენს ელჩს, რომ მიეწოდებინა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის, მაგრამ ჩვენს ქმედებებს აშკარა ობსტრუქცია დახვდა წინ ელჩის ქმედების სახით. შემდეგ ამერიკელები თავში ირტყამდნენ ხელებს, ერთი მილიარდი დოლარით მეტი დავხარჯეთო.

**– ამერიკის ბაზარზე წყალს ვერ შევიტანთ? მით უფრო, რომ ჩვენ გვაქვს სავაჭრო ურთიერთობების დამყარების ვალდებულება ქარტიით?**

– ამერიკაში ძალიან დიდი მარკეტინგის გაწევაა საჭირო. თუ ევროპაში ათეულობით მილიონი დოლარი ჯდება მარკეტინგი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეულობით მილიონი დაჯდება, იმიტომ რომ, იქ სხვა მასშტაბებია. ამდენად, ამერიკელი პარტნიორის გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელია. უნდა დაუმტკიცო ამერიკელ პარტნიორს, რომ ჩიტი ბრდღვნად ღირს და დღეს დახარჯოს 100 მილიონი დოლარი, რომ ამოიღოს ათი წლის პერსპექტივაში. ან უნდა მონახო ისეთი მდიდარი ამერიკელი, რომელიც გაბრაზებულია ფრანგული წყლის ბიზნესზე.

**– როდესაც ამბობთ, ჩიტი ბრდღვნად ღირდესო, ჩვენი წყლის ხარისხს გულისხმობთ?**

– არა, ჩვენი წყლის ხარისხი უმაღლესია. ჩვენ გვაქვს სიმძლავრეები, რომელიც საკმარისია ჩვენი ბაზრისთვის. შეგვიძლია, ვთქვათ, 5 მილიონი ბოთლის გამოშვება წელიწადში, მათ კი 5 მილიონი სჭირდებათ დღეში. ანუ 300-ჯერ უნდა გაიზარდოს ჩვენთან არსებული სიმძლავრეები, ამაში კი ამერიკელი ფულს არ ჩადებს. ასე რომ, ჩვენ ამერიკის ბაზრისთვის მზად არ ვართ.

**– ევროკავშირთან ასოცირება ხომ გვაძლევს საშუალებას, შევიტანოთ ჩვენი წყალი?**

– შეგატანინებს და დაგიდგამს „ბორჯომს“ სუპერმარკეტში, მაგრამ რომელი ფრანგი იყიდის?! როდესაც კაპიკებად უდგას სუპერმარკეტში საუკეთესო მტკნარი წყალი „კონტრექსი“, 900 მილიონ ლიტრს უშვებენ წელიწადში. ამ წყალს აქვს გასახდომი ფუნქციაც და თითოეული ფრანგი ქალი ყოველდღე სვამს ლიტრანახევარ ამ წყალს.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 2 0 0 2 0 0

SMS – 93094



დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**დაგროვებით საპენსიო სისტემის აუცილებლობაზე ჩვენი თითქმის ყველა მთავრობა საუბრობდა, თუმცა მისი შემუშავება ჯერჯერობით ვერც ერთმა ვერ შეძლო. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საპენსიო რეფორმების სამსახურმა კონცეფცია უკვე მოამზადა, რომელსაც საბოლოო სახე, მართალია, ჯერ არ მიუღია, თუმცა ჩვენი მეტნაკლებად უზრუნველყოფილი სიბერის ზოგადი კონტურები უკვე გამოიკვეთა. ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება – კერძო პენსიის დანიშვნის საშუალება მხოლოდ დაქირავებით დასაქმებულ მოქალაქეებს შეეძლებათ. დეტალურად საკითხს სამსახურის უფროსი ოთარ ძიძიკაშვილი განგვიმარტავს.**

# რატომ იქნება დასაქმება აუცილებელი პირობა კერძო პენსიის მიღებისთვის, ვის შეეძლება, ისარგებლოს დაგროვებითი პენსიის სისტემით და რა ბედი ეწევა სახელმწიფო პენსიას

**– დაგროვებითი პენსიის ქვეყნეული სქემა რომელი ქვეყნის გამოცდილებას ეყრდნობა, კოპირებულია თუ მორგებულია ქართულ რეალობას?**

– უპირველესად, მინდა, ვთქვა, რომ დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ საპენსიო შემოსავალი ორი ძირითადი წყაროსგან შედგება. ერთია, სახელმწიფოს მიერ გაცემული პენსია და მეორეა – კერძო დაგროვებითი პენსია. შესაბამისად, უცხოეთში მცხოვრები პენსიონერები, ძირითადად, იღებენ ამ ორი ტიპის პენსიას, რაც სოლიდურ თანხას შეადგენს. თუმცა იმისთვის, რომ სახელმწიფო პენსია აილოს ადამიანმა, ყველა ქვეყანაში არსებობს საკმაოდ ბევრი წინაპირობა, მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში არანაირი წინაპირობა არ არის და, როგორც კი შეუსრულდება მოქალაქეს საპენსიო ასაკი, მას მაშინვე ენიშნება სახელმწიფო პენსია, რაც, რეალურად, უფრო სოციალური შემწეობაა. სხვა შემთხვევებში, პენსია, რომელსაც ადამიანი იღებს სახელმწიფოსგან, სტაჟსა და დამსახურებაზეა დამოკიდებული. მე ვიმეორებ ამ ტერმინს, თუმცა არ ვეთანხმები, რადგან „დამსახურება“ კომუნისტური ტერმინია.

**– კი ბატონო, ვთქვათ, მხოლოდ სტაჟი.**

– ასე ვთქვათ, სტაჟი და შემოსავალი. სახელმწიფო პენსია განვითარებულ და, თუნდაც, განვითარებად ქვეყნებში პენსიონერის შემოსავლის ძირითადი წყარო არ არის, რადგან სახელმწიფოს როლი არის მოკრძალებული. სახელმწიფოს გააჩნია ლიმიტები და ძირითადი საპენსიო შემოსავალი გამომდინარეობს კერძო დაგროვებითი პენსიიდან. მაგალითად, ბრიტანეთში მაქსიმალური სახელმწიფო პენსია თვეში 450 ფუნტია, დანარჩენებს აქვთ უფრო ნაკლები – 200-300 ფუნტი, ამასთან, ეს თანხა რაღაც ზღვრამდე არ იბეგრება. ჩვენს შემთხვევაში კი თანხა არც საპენსიო ფონდში შეტანისას დაიბეგრება, არც გამოტანისას და არ დაიბეგრება არც მოგება. მაგალითად, ბელგიაში, სადაც ყველაზე მაღალია სოციალური პაკეტი და, დაახლოებით, 1 800 ევროა თვეში მაქსიმალური სახელმწიფო პენსია, ასევე, იბეგრება პენსია. ხშირად მოგვისმენია, რომ დასავლეთ ევროპაში ძალიან მაღალია პენსია, მაგრამ ხალხმა არ იცის, რომ ეს პენსია იბეგრება.

**– მაგრამ მათი დაბეგრილი პენსია ჩვენსაზე მაინც გაცილებით მეტი გამოდის.**

– მეტია, მაგრამ, როდესაც სახელმწიფო თავის მოქალაქეს შემოსავლების 60 პროცენტამდე ახდევინებს გადასახადების სახით, რა თქმა უნდა, მეტ პენსიასაც გასცემს. იმავე ბელგიაში საშუალო პენსია 1 000 ევროს ფარგლებშია და დაბეგვრის შემდეგ, თუნდაც, 800 ევრო დარჩეს, ეს თანხა ბელგიაში დიდი შეღავათი არ არის, იქ არსებული ცხოვრების დონისა და ფასების გათვალისწინებით. ამიტომ, როდესაც ამბობენ, რომ აი, ამერიკელი პენსიონერები კარგად ცხოვრობენ, მთელ ცხოვრებას შრომობენ და შემდეგ საპენსიო ასაკში მოგზაურობენ, მთლად ასეც არ არის.

**– მაგრამ ეს რეალურადაა ასე, თქვენ გინახავთ ბუნებაში მოგზაური ქართველი პენსიონერი?**

– ეს იმიტომ, რომ მათ აქვთ კერძო დანაზოგიც. ამიტომ გვინდა ჩვენც, რომ შევქმნათ დაგროვებითი პენსიის სისტემა, რასაც შედეგი გრძელვადიან პერსპექტივაში ექნება. რადგან, როცა არ უნდა დავნერგოთ ეს სისტემა, დღეს, 10 თუ 100 წლის შემდეგ, შედეგი ექნება დანერგვიდან, მინიმუმ, 20 წელიწადში. მინიმუმ 20 წელი სჭირდება შენატანების დაგროვებას, მათზე მოგების დარიცხვას, რომ ადამიანმა მიიღოს შემოსავალი.

**– სქემა როგორი არის, მივხვდით, რომ დაგროვებითი პენსიით საქართველოს 40 წლამდე მოსახლეობა თუ ისარგებლებს, თუ ამ მოდელს ახლავე დავნერგავთ?**



**თუ თქვენ არ გადაიხდით ამ 20 ლარს და გირჩევნიათ, რომ ახლა აიღოთ ის, რეალურად აიღებთ 16 ლარს, იმიტომ რომ ის 20 ლარი დაიბეგრება, ასე რომ, თქვენი ასარჩევია: 16 ლარი გირჩევნიათ თუ 60 ლარი?!**

– მე ვიტყოდი 45 წლამდე მოსახლეობა. შეიძლება, მამაკაცებისთვის დავუშვათ 50 წელი, ქალებისთვის – 45 წელი და მათთვის, ვისაც ექნება დაგროვების ხანგრძლივობა 15-დან 20 წლამდე და არა 20 წელი, გამოტანის სქემა იქნება განსხვავებული. იმ თანხის გამოტანა კი საპენსიო ასაკი დადგომიდან ადამიანს შეეძლება იმდენი წლის განმავლობაში, რაც იმ დროისთვის იქნება ქვეყანაში საპენსიო ასაკის შემდეგ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. დღეისთვის, ეს მაჩვენებელი მამაკაცებისთვის, დაახლოებით 13-15 წელია.

**– იგივე მაჩვენებელი დასავლეთ ევროპაში 22-24 წელია საშუალოდ.**

– დიახ. თუმცა ჩვენთან ქალების მაჩვენებელი უფრო მეტია – 19 წელი. ტენდენციაც გვიჩვენებს, რომ მოიმატა 85 წელს ზემოთ პენსიონერთა რაოდენობამ, დაახლოებით, 155 პროცენტით და ეს არის ჯანდაცვის რეფორმის დამსახურება.. მაგალითად, თუ 20-წლიანი დაგროვების მქონენი 15 წელიწადის განმავლობაში შეძლებენ კერძო პენსიის მიღებას, მათ, ვისაც 15-წლიანი დაგროვების ვადა ექნებათ, შეძლებენ 10 წლის განმავლობაში. აქ მნიშვნელოვანია, რომ დაგროვებითი პენსია ხელს არ უშლის სოციალურ სახელმწიფო პენსიას, ამ უკანასკნელს ყველა მიიღებს, რაც დამატებითი სტიმულია, რომ ადამიანმა მონაწილეობა მიიღოს დაგროვებითი პენსიის სისტემაში, იმიტომ რომ ამით არაფერს კარგავს, პირიქით.

**– ციფრებით დავითვალოთ: თუ ყოველთვიურად გადავიხდი, პირობითად, 10 ლარს, რა თანხას მივიღებ 20 წლის შემდეგ, ასევე, ყოველთვიურად?**

– ხშირად გაგვიგია მოსაზრება, რომ ადამიანს შეუძლია იგივე გააკეთოს ბანკში ანაბარზე თანხის დაგროვებით, მაგრამ ეს არასწორი მიდგომაა: ის, ვინც მონაწილეობას იღებს კერძო დაგროვებით სისტემაში, როგორც წესი, იღებს საგადასახდო შეღავათს.

**– ანუ?**

– მაგალითად, თქვენ გაქვთ ხელფასი 1 500 ლარი და გინდათ, რომ ყოველთვიურად კერძო სადაზღვევო ფონდში გადარიცხოთ 500 ლარი. ეს 500 ლარი ისე გადაირიცხება თქვენს საპენსიო ანგარიშზე, რომ არ დაიბეგრება, დაიბეგრება თქვენი დარჩენილი ხელფასი, რომელსაც ხელზე აიღებთ, ანუ 1 000 ლარი. წინააღმდეგ შემთხვევაში 1 500 ლარიდან დაიბეგრებოდით, ანუ გადაიხდიდით იმ 500 ლარის 20 პროცენტს საშემოსავლო გადასახადის სახით და ხელზე დაგრჩებოდათ 400 ლარი.

**– ანუ მოვიგებ 100 ლარს.**

– ანუ თქვენ გაქვთ ორი არჩევანი: თუ ირჩევთ დაგროვებითი პენსიის სისტემას, თქვენი 500 ლარი სრულად ხვდება თქვენს ანგარიშზე, მაშინ, როდესაც მისი ხელფასად აღების შემთხვევაში ის იქნება 400 ლარი. ესე იგი, თქვენ ავტომატურად იღებთ მოგებას დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობით. ამას გარდა, თქვენს ანგარიშზე დამატებით რიცხავს თანხას თქვენი კომპანიაც, სადაც ხართ დასაქმებული. თქვენი, ანუ დაქირავებულის წახალისების მიზნით, დამქირავებელს დაეკისრება თქვენს სასარგებლოდ თანხის ჩარიცხვა, ისევე, როგორც სახელმწიფოს. საბოლოოდ, ეს ყველაფერი პროცენტულად უნდა დადგინდეს. მაგალითად, თუ კომპანიას ექნება ვალდებულება, რომ თქვენი ხელფასის 2 პროცენტი ჩაგირიცხოთ, იმავე ოდენობის თანხას გაჩუქებთ სახელმწიფოც.

**– სახელმწიფო საიდან, ბიუჯეტიდან?**

– იმ 20 პროცენტი საშემოსავლო გადასახადიდან, რასაც თქვენ იხდით, სახელმწიფო დაგიბრუნებთ 2 პროცენტს. ოღონდ ამ შემთხვევაში სახელმწიფო და დამსაქმებელი არ არიან უპირატეს მდგომარეობაში, უპირატეს მდგომარეობაშია დასაქმებული. თუ დასაქმებული თანხმდება, რომ სახელმწიფოსგან და დამსაქმებლისგან მიიღოს თავისი ხელფასის 2-2 პროცენტი საჩუქრად, აქვს ერთი ვალდებულება – თავისი ჯიბიდანაც გაიღოს თავისივე ხელფასის 2 პროცენტი, რომ მთლიანი შენატანი გამოვიდეს მისი ხელფასის 6 პროცენტი.

**– დავითვალოთ, თუ 1 000 ლარი მაქვს ხელფასი, მე ვიხდი 20 ლარს, ჩემი დამსა-**

(გაგრძელება 69-ე გვერდზე)

# რა საქმიანობით იღებს 150 000 ლარზე მეტ შემოსავალს წლიურად თამარ ბერუჩაშვილის მეუღლე რემა ღვამიჩავა

აწ უკვე საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი 1961 წლის 9 აპრილს დაიბადა თბილისში. უმაღლესი განათლება მოსკოვის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში მიიღო (1978-1985 წლებში), სადაც ორ – ფიზიკა-მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და უცხო ენათა (ფრანგული ენის განხრით) ფაკულტეტზე სწავლობდა. 1996-1998 წლებში ინდიანას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიღრმავა ცოდნა საერთაშორისო და შედარებითი ურთიერთობების ფაკულტეტზე. 1998 წელს საჯარო ადმინისტრირების მაგისტრიც გახდა. 2002-2006 წლებში თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის ასპირანტურაშიც ისწავლა და მიენიჭა ეკონომიკის დოქტორის კვალიფიკაცია; იმავდროულად, 2002-2006 წლებში კარლტონის უნივერსიტეტშიც გაიარა ტრენინგი კომერციულ დიპლომატიაში. უფრო ადრე, 1992-1993 წლებში ლიმერიკის უნივერსიტეტის პროფესიული ტრენინგი გაირა ევროპათმცოდნეობასა და ინგლისურ ენაში. 1991-1992 წლებში კი იუნესკოს საერთაშორისო მენეჯმენტის ცენტრში, თბილისში, მენეჯმენტსა და საერთაშორისო ურთიერთობებში.

მისი შრომითი გამოცდილება 1986 წელს დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად; 1990-1992 წლებში კი უკვე საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი იყო. 1992 წელს საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტში გადავიდა – ევროკავშირის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა ტასისის (TACIS) საკოორდინაციო ბიუროს ადმინისტრატორად. 1994 წელს კი იქვე, საკოორდინაციო ბიუროს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეც გახდა. 1997 წლის აგვისტომდე ზბიგნევ ბზეჟინსკის ოფისის ანალიტიკოსი იყო. 1998 წელს რამდენიმე თვით საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის მოადგილედ იმუშავა. შემდეგ მინისტრიც გახდა, 2000 წელს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა; 2003 წელს – სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ; 2004 წელს რამდენიმე თვით სახელმწიფო მინისტრადაც იმუშავა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. 2004 წლის დეკემბრიდან 2010 წლამდე სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილედ ჩამოაქვეითეს. 2011 წელს – იმავე სახმინისტრის მთავარი მრჩეველი გახდა, 2012 წლის ნოემბრიდან კი კვლავ ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. 2013 წლის 1 აპრილიდან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, ხოლო 2014 წლის 11 ნოემბრიდან კი უკვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია.



იმ მიზეზით, რომ სტაჟიანი ჩინოვნიკია, თავისი პირველი დეკლარაცია 1998 წელს შეავსო, თუმცა საძიებო სისტემაში არ იძებნება, შესაბამისად, პირველ ინფორმაციას ქ-ნი ბერუჩაშვილის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, მის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეობისას, 2000 წელს შევსებული დეკლარაცია გვამცნობს. მასში ოჯახის წევრებად მიუთითებდა, მეუღლეს, რემა ღვამიჩავას და ორ შვილს – 1983 წელს დაბადებულ გიორგისა და 1998 წელს დაბადებულ რუსუდანს. ოჯახის უძრავ ქონებას მხოლოდ რემა ღვამიჩავა ფლობდა: ბინასა და ავტოფარეხს თბილისში (70 000 ლარად ღირებულს) და აგარაკს წავკისში – 70 000 ლარად ღირებულს; თამარ ბერუჩაშვილს კი ჰქონდა 10 000 ლარად ღირებული ქურქი. მაშინ, როდესაც ქ-ნი ბერუჩაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახლდათ, მისი მეუღლე ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ცენტრში მუშაობდა. მათი შემოსავლები იმ წელს შემდეგნაირი იყო: ქ-ნი ბერუჩაშვილის მინისტრის მოადგილის წლიურმა ხელფასმა 1 482 ლარი შეადგინა, ბ-ნ ღვამიჩავას კი სამედიცინო სფეროში საქმიანობამ, საერთო ჯამში – 4 700 ლარი მოუტანა.

ქ-ნი ბერუჩაშვილის მიერ შევსებული ბოლო დეკლარაცია 2013 წლით თარიღდება, რომელიც მან, ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში შეავსო (ეს დეკლარაცია იმის საშუალებასაც გვაძლევს, ვნახოთ, როგორ შეცვალა აწ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის მატერიალური მდგომარეობა სახელმწიფო სექტორში უწყვეტმა დასაქმებამ).

საგარეო საქმეთა მინისტრის ოჯახი ფლობს შემდეგ უძრავ ქონებას: ქ-ნი ბერუჩაშვილის საკუთრებაა მიწის ნაკვეთი წავკისში (1 000 კვ.მ.); რემა ღვამიჩავას კი ეკუთვნის: ბინა თბილისში, აღმაშენებელის გამზირზე (99 კვ.მ.) და ავტოფარეხი; ბინა ბათუმში (43 კვ.მ.), მიწის ნაკვეთი თბილისში, თრიალეთის ქუჩაზე (527 კვ.მ) და იმავე მისამართზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართი – (1 718 კვ.მ), ოღონდ წილის მხოლოდ ნახევარი.

დეკლარაციის შევსების დროს, ნაღდი ფულის სახით, თამარ ბერუჩაშვილს ჰქონდა 4 500 ევრო, რემა ღვამიჩავას – 60 000 აშშ დოლარი. რაც შეეხება შემოსავლებს: 2012 წლის განმავლობაში თამარ ბერუჩაშვილმა, როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, 80 824 ლარი მიიღო, ხოლო, როგორც ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში ასოცირებულმა პროფესორმა – 13 200 ლარი. რემა ღვამიჩავამ კი, როგორც ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ქირურგმა, 22 205 ლარი, როგორც ეროვნული სკრინინგცენტრის დირექტორმა, 97 391 ლარი, როგორც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, 8 604 ლარი, როგორც ონკოპრევენციის ცენტრის დირექტორმა, 25 494 ლარი, როგორც შპს „ესემოფარმინას“ მთავარმა მკვლევარმა, 15 023 ლარი. ამას გარდა, 11 280 ლარი საექსპერტო ჰონორარის სახით.

2012 წელს გასავალიც ჰქონდათ. კერძოდ, რემა ღვამიჩავას 40 000 აშშ დოლარი დაუჯდა არასაცხოვრებელი ფართის შეძენა, 4 000 აშშ დოლარი – მოგზაურობა, 5 500 აშშ – სწავლის გადასახადი. თამარ ბერუჩაშვილმა კი მშობლების დასახმარებლად 10 000 აშშ დოლარი დახარჯა, შვილის დახმარებისთვის – 9 000 დოლარი, ხოლო გერმანიაში სამედიცინო მომსახურება კი, 15 000 აშშ დოლარი დაუჯდა.

**ნინო ხაჩიძე**



**მას ნამდვილად აქვს ის თვისება, რითაც სამშობლოსადმი ქართველის სიყვარული იზომება. გოჩა კაპანაძისთვის ქართველობა – უპირველესად პასუხისმგებლობაა და, ისურვებდა, რომ ბევრისთვის ყოფილიყო ასე. მაშინ გაცილებით კარგ, ძლიერ და პოზიტივებით სავსე საქართველოში ვიცხოვრებდით...**

# რას ეძახის გოჩა კაპანაძე „სულთა გაყინვას" და ვის შემხედვარეს იპყრობს მას შიში

**გოჩა კაპანაძე**: რას ნიშნავს, იყო ქართველი – ქართველისთვის უპირველესად ეს არის სიამაყის განცდა და უდიდესი პასუხისმგებლობა. თუ აცნობიერებ ამ ყველაფერს, მაშინ, სერიოზულ მოთხოვნებს უყენებ საკუთარ თავს – ცდილობ, იყო მოწესრიგებული მოქალაქე და შენი საქმის პროფესიონალი. მე ვისურვებდი, რომ ქართველობა არ იყოს აღქმული ქართველის მიერ მხოლოდ ემოციურად, არამედ, სრული შეგნებით მოვეკიდოთ მას, გავამყაროთ ინტელექტუალური ბაზითა და რესურსებით.

**– რა შეიძლება გაუკეთოს ერთმა, რიგითმა ქართველმა ქვეყანას?**

– რა თქმა უნდა, ყველას ვერ მოსთხოვ, დავით აღმაშენებელი ან ცოტნე დადიანი იყოს; არავინ ჩაუშენება ციხის კედელში... მაგრამ, ჩვენ, თითოეულ ჩვენგანს, შეგვიძლია, კარგად ვაკეთოთ საქმე, რომელიც ვიცით. შეიძლება, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ისეთი შესაძლებლობები, როგორისაც ვინატრებდით, მაგრამ, საქმის კარგად კეთების სურვილი უკვე ბევრს ნიშნავს. წარმატებული ქართველი ჩემში ყოველთვის იწვევს სიამაყის განცდას, სულერთია, რა საქმესაც უნდა აკეთებდეს ის და, თეთრი შურითაც კი არ მშურს ხოლმე მისი *(იღიმება)*. რა სჯობია წარმატებული ქართველის ყურებას! მერე უკვე შთამომავლობა მოგიჩენს ადგილს და ისტორიის თაროზე შენთვის შესაფერის ნიშაში მოგათავსებს; ის გადაწყვეტს, ერთი ჩვეულებრივი ქართველი ხარ თუ გამორჩეული. თუმცა, ჩვეულებრივი ქართველობაც ძალიან საპატიოა, თუკი ცხოვრობ და შრომობ ისე, როგორც შენს ქვეყანას სჭირდება.



**ვისურვებდი, რომ ქართველობა არ იყოს აღქმული ქართველის მიერ მხოლოდ ემოციურად**

**– ამბობენ, ქართველი თავის საუკეთესო თვისებებს თავის ქვეყანაში კი არა, უცხოეთში ავლენსო. ეთანხმებით ამას?**

– ნაწილობრივ კი. იცით, რაშია საქმე? ამ დროს ძალიან დიდ როლს თამაშობს ის, რომ უცხოეთში ყოფნისას, ფაქტობრივად, ექსტრემალურ მდგომარეობაში ხარ, უფრო მეტი ბრძოლა გიწევს გადარჩენისა და თვითდამკვიდრებისთვის; ირთვება და აქტიურდება ინსტინქტი. ქართველი სამშობლოში და ქართველი სამშობლოს გარეთ – არ არის ერთი და იგივე მდგომარეობაში. სხვა ქვეყანაში, სხვა პოლიტიკურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ გარემოში, გაცილებით მეტი ძალისხმევა გჭირდება, რომ დაამტკიცო, ვინ ხარ შენ და საკუთარ თავსაც დაუმტკიცო შენი უპირატესობა. თუ არა და, მაშინ, რისთვის მიდიხარ იმ ქვეყანაში? ცხადია, იმისთვის, რომ, მიგაჩნია, იქ გექნება შენი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი. ხშირად ამიტომ ხდება, რომ იქ სწრაფად აღწევენ წარმატებას და ეს ძალიან კარგია. უცხოეთში ფასობს იდეები. იდეები, კი ძალიან ბევრი აქვს არა მარტო ქართველს, არამედ, პოსტსაბჭოურ, ჩაკეტილ სივრცეში მცხოვრებ ბევრ ადამიანს. შინაგანად ყოველთვის ვიყავით თავისუფლები და ვართ კიდეც, მაგრამ, ძალიან დიდხანს არ გვქონდა საშუალება, ფიზიკურად გამოგვევლინა ჩვენი ნიჭი და შესაძლებლობები. მედიცინაში როგორი წარმატება აქვთ ქართველებს, თუნდაც ინგლისში? კარგი იყო, მათი ცოდნა ჩვენს ქვეყანას მოხმარებოდა და ამაზე მეც გული მწყდება, მაგრამ, მსოფლიო ცოდნის სკივრშიც რომ დებენ საინტერესო და მნიშვნელოვან ფურცელს, ესეც მეამაყება. მიხარია, მსოფლიოს განებივრებული მსმენელი აღფრთოვანებით რომ უსმენს ქართველ საოპერო მომღერლებს და იცის, რომ ის ქართველია. იმედი მაქვს, ის დროც დადგება, ჩვენს ქვეყანაშიც იქნება ყველაფერი ისე, როგორც უნდა იყოს. არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ეს არის ფუჭად დახარჯული ენერგია და გადაყრილი პოტენციალი...

**– ქართველობას გვართმევენო... – რას ფიქრობთ ამაზე?**

– ვფიქრობ იმას, რომ ჩვენ ქართველობას ყოველთვის ვიცავდით და დავიცავთ კიდეც. ჩვენი სულიერება ითხოვს ამას და ასეა ბევრი სხვა, ჩვენზე დიდი ერიც. ავიღოთ, თუნდაც, ინგლისელები – ისინი ძალიან უფრთხილდებიან თავიანთ ტრადიციებსა და იდენტურობას. მტერი ყოველთვის გვყავდა და ჩვენც ვიცავდით ჩვენს იდენტურობას, ჩვენს მეობას. საკითხი ახლაც ასე დგას და, მით უფრო მწვავეა იმ ფონზე, როცა ჩვენი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულია. ბევრი ჩვენზე ძლიერი ერი გაქრა ფიზიკურადაც და სულიერადაც. განგებამ ინება, რომ გადავრჩენილიყავით. ბუნებრივია, გაზულუქებული ერი ვერ შეძლებს თავისი მეობის, იდენტურობის გადარჩენას. ილია ჭავჭავაძესაც აწუხებდა ეს პრობლემა და ძალიან სტკიოდა. იმიტომაც აკრიტიკებდა თავის „ლუარსაბ თათქარიძეში" გაზულუქებულ ქართველს. ძალიან სიფხიზლეა საჭირო და ყოველთვის დასაცავი იქნება ჩვენი ქართველობა გლობალიზაციის ეპოქაში. თუმცა, ეს პრობლემა მარტო ქართველს არ უდგას, როგორც უკვე გითხარით. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ, თუ ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც მათ ტრადიციებს, იდენტობას, კულტურას შეჰფერის, ინგლისიც კი გამოვა ევროგაერთიანებიდან და, ასევეა საფრანგეთიც. ისე არ მინდა გაიგოთ, რომ ვინმე ევროგაერთიანების წინააღმდეგია, მაგრამ უნდა ვეცადოთ, ჩვენი იდენტურობის მნიშვნელოვანი დეტალები არ დაიკარგოს. პატარა ერი ვართ და, ბუნებრივია, უფრო მტკივნეულად განვიცდით ამას. ქართველმა საკუთარ ქვეყანაში ქართველად უნდა იგრძნოს თავი; დაცული უნდა იყოს უფლებები, ჰქონდეს დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყანა – ეს ის პრიორიტეტებია, რომლებიც გვჭირდება. ინგლისის მაგალითზე გეტყვით ისევ: კარგი ტრადიციების დაცვაზე რომ ვილაპარაკოთ, როცა ახლახან ინგლისში ჩაატარეს გამოკითხვა, უნდა დარჩენილიყო თუ არა მონარქია, აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი დედოფალს. მიუხედავად იმისა, რომ იაფი ნამდვილად არ უჯდებათ სამეფო ოჯახის შენახვა და ხშირად აკრიტიკებენ, ვერ წარმოუდგენიათ ინგლისი მონარქის გარეშე და ასეთ რალაცეებს მე ძალიან დიდ პატივს ვცემ.

**პასუხისმგებლობას ძალიან ბევრი პოზიტივი მოაქვს. მაგალითად, პუნქტუალურობა... შურისგან და ბოროტებისგან გათავისუფლება**

**– ჩვენც ხომ არ გვჭირდება ერთი „პატარა" მეფე?**

– „პატარა მეფეებს" მე თითქმის ყოველდღე ვხედავ ჩვენს ქვეყანაში – გუბერნატორების, სახელმწიფო მოხელეების სახით და შიში მიპყრობს. მონარქია გვჭირდება თუ არა?! არ ვიცი. ამას მენტალური მომზადება სჭირდება. თუმცა, ქართველი იდეალური მეფე ძალიან კარგი იქნებოდა. მოდი, ისევ ინგლისელებს მოვიყვან მაგალითად. როცა ქვეყანას უჭირდა, ომის დროს, ინგლისის დედოფალმა სასახლეში გამორთო სინათლე და გათბობა, გამოვიდა გარეთ და დილის ექვს საათზე დგებოდა ნახშირის რიგში – მე ვალდებული ვარ, ახლა ისე ვიცხოვრო, როგორც ჩემი ქვეშევრდომები ცხოვრობენო. ასეთ მონარქს ვისურვებდი და ვინატრებდი...

**– ქართველის სამი მთავარი ნაკლი...**

– ზარმაცობა, ზარმაცობა და ზარმაცობა *(იღიმება)*. თუმცა, თუ მიხეილ ჯავახიშვილს დავესესხები, რომელმაც შესანიშნავად თქვა: „სამი რამ აკლია ქართველს: ეროვნული შეგნება, რეალობის ალღო და შრომის უნარი." ძალიან ცოტა ჰკლებია... რაღა შერჩა?! – მადა, ზარმაცობა და ოცნება... – პრობლემა სერიოზული ყოფილა მაშინაც და ახლაც...

**– ის, რომ ბოლო დროს ერთმანეთის მიმართ აღარ ვართ, შემწყნარებლები და გულისხმიერები?**

– მე ამას „სულების გაყინვა" დავარქვი. თუმცა, მას „სხვა" სახელიც მოუფიქრეს და „გლობალიზაცია" უწოდეს. ევროკავშირის შეკრებაზე ვერ გამოხვალ და ვერ იტყვი, ეს იმიტომ მოხდა, რომ სულები გაგვეყინაო *(იცინის)*, მაგრამ, თქვენ ხომ მიხვდით?! რა თქმა უნდა, გვაკლია ერთმანეთის პატივისცემა, გულისხმიერება, ჩვენზე სუსტის დაცვის სურვილი, შემწყნარებლობა; ერთმანეთის ტკივილის თანაზიარები აღარ ვხდებით... ავტობუსში მოხუცს და ორსულ ქალბატონს ადგილს არ უთმობენ... მაგრამ, ეს არ სჭირს მარტო ქართველს, უბრალოდ, ზოგჯერ მეტისმეტად კრიტიკულები ვართ საკუთარი ეროვნულობის მიმართ და, შეიძლება, ეს არც არის ცუდი, მთავარია, სულები ბოლომდე არ გაგვეყინოს. ჩვენ პატარა ერი ვართ და გვაქვს ისეთი შესანიშნავი თვისებები, როგორიც არის სტუმართმოყვარეობა, ქველმოქმედება და მოყვასის მიმართ სიყვარული – ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არსებობს ჩვენში...

**ნინო წულუკიძე**

**ჩვენს რუბრიკაში ერთი და იმავე კითხვებით მივმართავთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე და სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ ცნობილ ადამიანებს.**

# როდის ხდება გია აბესალაშვილი „ბულკი" და რატომ არასდროს ექნება მას ფული

**– ვინ ხართ? გაგვეცანით.**

– გია აბესალაშვილი, თუმანიშვილის თეატრის მსახიობი.

**– ყველაზე მძაფრი შეგრძნება ბავშვობიდან...**

– პირველი მძაფრი შეგრძნება ბავშვობაში მაშინ მქონდა, როცა მაგარ ავარიაში მოვყევი. იმ ავარიაში ბევრი დაიღუპა, მე გადავრჩი, ღვთის წყალობით. პატარა სათამაშო მანქანა მეჭირა, დაიფშვნა, ეტყობა, გამივარდა ხელიდან და იმას ვდარდობდი. ცხვირიანი, ძველი ავტობუსები რომ იყო, იმით მოვდიოდით დასავლეთიდან.

სხვათა შორის. ავარიაში მოხვედრილი ვარ თითქმის ყველანაირი სამგზავრო საშუალებით, გემის გარდა, ერთხელ, გასტროლებზე მივდიოდით ცეკვიდან უჟგოროდში. სადღაც წიფის გვირაბს რომ მივუახლოვდით, მახსოვს, მასწავლებელი ლიმონათის ბოთლს მაწვდიდა, მე ეგრეთ წოდებულ, ზედა „კოიკაზე" ვიწექი და უცებ რაღაცა ძალამ გამისროლა მეზობელ „კოიკაზე." მერე ვაგონი გადაყირავდა, ჩაქრა სინათლეები და ყველაფერი მდინარე ყვირილას ხმაურმა მოიცვა.

ერთხელაც იყო, ციმბირში რომ ავფრინდით თვითმფრინავით, ვერ აილო სიმაღლე და ისევ დავხტით. სალონში მთელი ჩანთები თავზე დაგვეყარა.

**– დაახასიათეთ საკუთარი თავი.**

– ძალიან ბევრი მეგობარი და ნათესავი მყავს. წარმოიდგინეთ, მამაჩემი იყო მერვე დედმამიშვილებში. ბიძაჩემსაც 8 შვილი ჰყავდა და 16 ბავშვი იზრდებოდა ჩვენთან ოჯახში. მიყვარს ამ ადამიანების საზოგადოებაში ყოფნა. კიდევ, თუ არ მომწონს საქმე – ვერ გამაკეთებინებთ – საშინელი ჯიუტი ვარ.

**– ყველაზე სასაცილო და არარეალური, რაც საკუთარ თავზე გსმენიათ.**

– მე და რუსუდან ბოლქვაძე ცოლ-ქმარი რომ ვეგონეთ ძალიან დიდხანს, ეგ ხომ არარეალურია. სინამდვილეში რუსუდანი ჩემი შვილის ნათლიაა. სხვა ჭორები არ გამიგია, ეტყობა ჩემთვის არ სცალიათ, უფრო საინტერესო ხალხი ჰყავთ საჭოროდ.

**– სწორი არჩევანი გააკეთეთ ცხოვრებაში?**

– რა ვიცი, აბა, ვფიქრობ კიდევ... მსახიობობაზე არასდროს მიფიქრია. ჩემი მიზნები მქონდა, ვცეკვავდი, მერე უნივერსიტეტში ვაბარებდი „მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა – დაგეგმვაზე", ძლივს დავიმახსოვრე ეს დასახელება. ყველაზე ნაკლები კონკურსი მანდ იყო. საერთოდ, ვხატავდი და აკადემიაში მინდოდა ჩაბარება, მაგრამ ისეთი კონკურსი იყო, არც იფიქრო, იქ ვერ მოხვდებიო – მირჩიეს. მერე, სრულიად შემთხვევით, გადამიღეს ფილმში. ეს იყო „წერილები ბამიდან" და მოვხვდი ციმბირში გადასაღებ მოედანზე ხუთ-თვენახევარი. ტაიგა იყო ულამაზესი. ისე მომეწონა, ვიფიქრე, სატყეოზე ჩავაბარებ-მეთქი. ამის შემდეგ, რეზო ჩხეიძემ მომაწყო სამუშაოდ თუმანიშვილის თეატრში. მიმიღეს ჯერ გამნათებლად, მერე – რეკვიზიტორად, მერე მიცვალებულიც ვითამაშე და ბოლოს ჩავაბარე თეატრალურში. მოვხვდი თუმანიშვილთან და ნელ-ნელა შემოვრჩი ამ ადგილს. მქონდა მომენტი, როცა ვერ დამიხსნეს და ძალით წამიყვანეს ჯარში. ზუსტად იმ პერიოდში რაჭველებზე ვიღებდით ფილმს, გიორგობიანი რომ თამაშობს „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში". ეგ ფილმი დაწყებული გვქონდა და მე ვიყავი გიორგობიანის ადგილას, მაგრამ დამიჭირეს და წამიყვანეს ჯარში. ჯარში მოვხვდი მენაღმეებში და ვიყავი მოსკოვიდან 2 000 კილომეტრში – ცხინვალში *(იცინის).*

**– ვინ გინდოდათ ყოფილიყავით და ვინ ხართ რეალურად დღესდღეობით?**

– მხატვარი მინდოდა ვყოფილიყავი. რამდენიმე სპექტაკლი გავაფორმე და რამდენიმე ფილმიც. პრიზებიც მაქვს აღებული, ამით ვტრაბახობ ხოლმე.

**– ყველაზე დიდი სისულელე, რაც ცხოვრებაში ჩაგიდენიათ...**

– ციგით გადმოვხტი ერთხელ ბაკურიანში, მელიების ფერმისკენ რომ პატარა ტრამპლინი იყო, იქიდან. გზაში მივხვდი, რომ ვამთავრებდი სიცოცხლეს, რადგან ციგამ, რომელზეც ვიჯექი, მე გამასწრო და ამოვტრიალდი... საბედნიეროდ გადავრჩი. მერე რომ დავდიოდი ბაკურიანში, ყველა თითით აჩვენებდა ჩემზე: ესაა ის დეგენერატი იქიდან რომ გადმოხტაო. იქაც ვილაცეებს ვეპრანჭებოდი და იმიტომ გადმოვხტი.



**თუ ვინმესგან რამე მეწყინა, არ არსებობს მობრუნება და შეგუება, გადაწყვეტილი ამბავია – იმ ადამიანს ვკარგავ**

**– რომელ ეპოქასა და ცივილიზაციაში იცხოვრებდით და რას გააკეთებდით?**

– სადაც ვცხოვრობთ, საინტერესო დროა, მაგრამ ძალიან რთულია. აღარ დამთავრდა ეს გაუთავებელი კინკლაობა.

**– საერთოდ, ფიცხი ხართ?**

– ჩემი მდგომარეობიდან გამოყვანა ძნელია, მაგრამ თუ გავბრაზდი...

**– როგორი ხართ გაბრაზებული?**

– ძალიან ცეცხლოვანი. შემიძლია, დავლეწო, დავანგრიო ყველაფერი – დიდი ხნის ნაშენები ერთ წამში. თუ ვინმესგან რამე მეწყინა, არ არსებობს მობრუნება და შეგუება, გადაწყვეტილი ამბავია – იმ ადამიანს ვკარგავ. იმას კი არა, იმის გარშემოც ვკარგავ ყველას. ეს ცუდი თვისებაა.

**– რა შემთხვევაში კარგავთ თავს?**

– როცა ვხედავ ადამიანის საოცარ სითავხედეს, „ხამობას," მაშინ მართლა ვკარგავ თავს.

**– მეშინია...**

– მეშინია: უფლის, ჩემი არასწორი საქციელის; უზიარებლად რომ არ წავიდე ამქვეყნიდან.

**– მომწონს...**

– მომწონს ის, ვინც იმას ახერხებს, რაც მე მინდა.

**– მაღელვებს...**

– მაღელვებს მთელი ჩვენი მდგომარეობა. ძალიან მაღელვებს.

**– მაშფოთებს...**

– მაშფოთებს ვილაცეების გულგრილობა და თავხედობა, წინ და უკან რომ დახტიან პარტიიდან-პარტიაში, ერთმანეთზე ლაპარაკობენ და საერთოდ, ვერ ვიტან ტელევიზორს. იმხელა ღვარძლი და ღვარცოფი გადმოდის იქიდან... არ ვიცი, რა ხდება.

**– კომფორტულად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა...**

– ვარ მონასტერში. ხშირად ჩავდივარ და იქ ვარ ბედნიერი.

**– ხშირად თუ დამთვრალხართ და როგორი ხართ ამ დროს?**

– ხშირად დავმთვრალვარ, კი. კარგი სიმთვრალე მაქვს. „ბულკი"ვარ სიმთვრალეში.

**– ვის ეკუთვნოდა რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამოგადგათ და რა იყო მისი შინაარსი?**

– რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამომადგა ეკუთვნის მიხეილ თუმანიშვილს. მეუბნებოდა: ნუ გეგონება, რომ ძალიან მაგარი ხარ, დაიღუპები ბიჭო, დაიღუპები...

**– ცხოვრებამ მასწავლა, რომ...**

– მოთმინებაა საჭირო.

**– მინდა, ყველამ იცოდეს, რომ...**

– მარტონი არა ვართ და ბევრი ვილაც გვიყურებს, როგორც იმქვეყნიდან, ისე უფლისგან. ძალიან მჯერა სულთა კავშირის.

**– რას არ გააკეთებთ არასდროს, რამდენი ნულით დაბოლოებული თანხაც არ უნდა შემოგაძლიონ?**

– ჩემთვის ფინანსები დიდ ფასეულობას არ წარმოადგენს. არასდროს მექნება ფული, დედას გეფიცებით, იმიტომ რომ, ფულს ვერ გავაჩერებ ჯიბეში.

**– რაზე არ ამბობთ არასდროს უარს?**

– კარგ ქეიფსა და მეგობრებთან ურთიერთობაზე არ ვამბობ უარს, ასევე, თევზაობაზე.

**– ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება, რაც კი ოდესმე მიგიღიათ?**

– ჭკვიანურ გადაწყვეტილებებს ჩემთან სიახლოვე არ აქვს *(იცინის).* მე მაქვს სპონტანური გადაწყვეტილებები...

აი, უჭკუო გადაწყვეტილება მაქვს მიღებული, რომელზეც დღესაც დამცინიან ჩემი მეგობრები. ჯარში რომ ჩავედი, იქ ხომ მენაღმეები ვიყავით. მე და დათო გოგიაშვილი – „თავგასა" ვიწექით ერთ საწოლზე. ეს საწოლი ფერდობზე იდგა, „პალატკაში" ვიყავით და სრიალებდა ჩვენი საწოლი. ავწიე მძიმე თავგასა ღამით, საწოლს ვიწყობდი და ორი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი აქეთა ფეხებში დავუდე, ორიც – იქით. გავასწორე კარგად, დავწექი და გემრიელად დამეძინა. დილით მაღვიძებდა მთელი სამშობლო, რომ არ გადმოვსულიყავი საწოლიდან, – ავწევდი ჰაერში ყველაფერს. თავგასა იძახდა, მკლავდი, შე შობელძაღლო, რა გინდოდაო.

**– რას გვეტყვით თქვენი რელიგიური ცხოვრების შესახებ?**

– იყო პერიოდი, საერთოდ წავედი თეატრიდან და მივედი მონასტერში. უნდა ვეკურთხებინე მღვდლად, მაგრამ მერე შემაჩერეს და უკან დამაბრუნეს.

**– რას დაწერენ თქვენზე 22-ე საუკუნეში?**

– ჩემი შვილები დაწერენ, ალბათ, რომ მათი მამა ვიყავი. მთავარია, იქ რას იტყვიან, იქ რომ მიხვალ. იმათმა გიცნონ მთავარია, თორემ აქ ვინ გიცნობს, რა მნიშვნელობა აქვს.

**ეკა სალაღაია**

**პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები" სულ უფრო დაძაბულ ფაზაში შევიდა. ყოველ კვირას თითო-თითო წყვილი დგება აუტსაიდერებში და ტოვებს პროექტს. ასევე, ნელ-ნელა გამოიკვეთა ფავორიტი წყვილები, რომელთა შორის არიან, მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი და მოცეკვავე, უმშვენიერესი ჯულიანა ბარ-გნარი. როგორც თავად ამბობენ, გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად შრომობენ და, ცდილობენ, ფინალამდე დამსახურებულად მივიდნენ.**

# რა ულტიმატუმი დაუყენა და ნოდიკო ტატიშვილმა „ცეკვავენ ვარსკვლავების" პროდიუსერებს და რატომ არის ჯულიანა ბარ-გნარი მხოლოდ მისი

**ნოდიკო ტატიშვილი:** ბავშვობაში ქართულ ცეკვებზე მატარებდნენ, თუმცა, ცუდი პერიოდი იყო – ტრანსპორტიც კი არ დადიოდა და მამასაც ხშირად არ ეცალა ჩემთვის, რომ მანქანით გვიან მოეკითხა და სახლში წავეყვანე. ამიტომ, ცეკვას თავი დავანებე. რაც შეეხება, პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებს", ყოველ სეზონზე მქონდა შემოთავაზება, მაგრამ, მერიდებოდა მონაწილეობის მიღება – მიმაჩნდა, რომ კარგად ვერ ვიცეკვებდი და, არ მინდოდა თავის შერცხვენა და იმ იმიჯისა და ხარისხის დაკარგვა, რაც სცენაზე სიმღერით მოვიპოვე. წელს კი ისე შემომიჩნდნენ, უარი ველარ ვთქვი და პროდიუსერებს ულტიმატუმიც წავუყენე.

**– რა ულტიმატუმი წაუყენე?**

– ვუთხარი, მივიღებ მონაწილეობას, თუ ჩემი მეწყვილე ჯულიანა ბარ-გნარი იქნებამეთქი და დამთანხმდნენ. მე და ჯულიანა მეგობრები ვართ, კარგად ვიცნობ ამ ადამიანს და, თუ მეწყვილესთან გარკვეული ურთიერთობა არ გაკავშირებს, ისე რთულია ცეკვა. ჯულიანასთან კი არც ცეკვა მეუხერხულება და კომპლექსებიც მოხსნილი მაქვს. ისე ზუსტად მიხსნის და მაგებინებს ყველა ნიუანსს, რომ ეგრევე ვიგებ და ვასრულებ. ასე რომ, მგონი, ჩვენგან კარგი წყვილი შედგა.

**ჯულიანა ბარ-გნარი:** მე და ნოდიკო ორი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და ვმეგობრობთ და, ამიტომაც, არ გვიჭირს ერთად ცეკვა. ძალიან მონდომებული ადამიანია. მანამდე ვიცნობდი როგორც კარგ მეგობარსა და მომღერალს, ახლა კი აღმოვაჩინე, რომ ის კარგი მოცეკვავე და მეწყვილეცაა *(იცინის)*. ყველაფერს პროფესიონალურად უდგება და გამოსდის კიდეც. ნებისმიერ ცეკვას გულით და მონდომებით სწავლობს და ეს მაყურებლის წინაშე გამოსვლის დროს ჩანს. ვფიქრობ, ჩვენ გამარჯვების ყველა შანსი გვაქვს, მთავარია, დაგვიმესიჯონ ნომერზე: 95 104! ნოდიკო ძალიან დამყოლი, თბილი და რბილი ადამიანია და ყოველთვის ითვალისწინებს იმ შენიშვნებს, რასაც ვაძლევ.

**ნოდიკო:** ჯულიანამ ჩხუბი არ იცის, შენიშვნას ისე მშვიდად მაძლევს, როგორი მშვიდი საუბარიც აქვს. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ ვიცოდი, კარგად რომ ვიცეკვებდი, მაგრამ, ასე კარგად თუ გამომივიდოდა, ამას ვერ წარმოვიდგენდი, ეს კი ჯულიანას დამსახურებაა.

**– როგორც ვიცი, ამ პროექტის გამო ორ გასტროლზე თქვი უარი. „ცეკვავენ ვარსკვლავები" ამ მსხვერპლად ღირდა?**

– ნამდვილად ღირდა! ამ პროექტმა მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება და გეგმები. ორ გასტროლზე ვთქვი უარი: ერთი იყო ისრაელში, მეორე კი – პოლონეთში. გასტროლები მიყვარს, ჩემი ცხოვრების წესია, მაგრამ, „ცეკვავენ ვარსკვლავების" გამო მსხვერპლი გავიღე *(იცინის)*. პარალელურად, მეორე ალბომის ჩაწერა დავიწყე და საბავშვო სტუდია გავხსენი.

**– ესე იგი, ჯულიანა შენთვის იღბლიანი ადამიანი აღმოჩნდა?**

– ჯულიანასთან რომ ცეკვავ, უკვე იღბლიანი ხარ *(იცინის)*. ასე რომ, ეს ადამიანი ჩემი თილისმაა და ეს ფაქტია! თან, ათი კილოგრამი დავიკელი – 89-დან 79 კილოგრამამდე ჩამოვედი. რომ მეკითხებიან – ვაიმე, როგორ გახდი, რა დიეტაა, ვპასუხობ: ამ დიეტას „ვარჯიში ჯულიანასთან ერთად" ჰქვია-მეთქი *(იცინის)*. ასე რომ, ვისაც გახდომა გინდათ, „ჯულიანას დიეტა" უტყუარია!

**– ჯულიანა, არ შემიძლია, არ გკითხო: წინა სეზონის მეწყვილესთან დაკავშირებით უამრავი ჭორი აგორდა, რაზეც, ფაქტობრივად, კომენტარს არ აკეთებდი. ვიცი,**



**ჯულიანა: „როცა ცეკვავ, სიყვარული, ინტიმი და ჰარმონია შენში უნდა დაიბადოს, იგრძნო და გიყვარდეს"**

**პირად საკითხებზე საუბარს ერიდები, მაგრამ, იქნებ, ორი სიტყვით გვითხრა, რა მოხდა?**

**ჯულიანა:** მართალია, პირად საკითხებზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ, მე თუ არ ვთქვი, სხვა ვერ გეტყვით ჩემ შესახებ. ამ პროექტით, პოპულარულები გავხდით და ჭორებიც წამოვიდა, თუმცა, ჩემ გამო არც ოჯახები დანგრეულა და არც ვინმე ვინმეს დაშორებია. რაც მანამდე იყო დანგრეული, ამაში მე არ მიმიძღვის წვლილი და მე ნუ დამაბრალებენ. იმას არ გამოვრიცხავ, რომ მეწყვილე, რომელთანაც ვცეკვავ, მამაკაცია და, გამორიცხული არ არის, გრძნობა გამიჩნდეს, მაგრამ, ეს იმას არ გულისხმობს, ვინმეს ოჯახი დავუნგრიო. ჭორები თავიდან ძალიან მოქმედებდა ჩემზე, რადგან, ტყუილს წერდნენ და მტკიოდა ამდენი სისულელის მოსმენა და წაკითხვა, მაგრამ, მერე მივხვდი, რომ ამაზე პასუხი არ უნდა გამეცა. ჩემგან ოჯახის დანგრევა გამორიცხულია. დღეს მე და გიორგი ყიფშიძე მეგობრები ვართ და ის ჭორები აღარც არავის ახსოვს.

**ნოდიკო:** იცით, როგორაა? ის სამწუთიანი ცეკვა, როცა მეწყვილესთან ერთად პარკეტზე ხარ, არის სრული ინტიმი, სიყვარული და ჰარმონია. თუ ეს სამი გრძნობა არ ჩადე, ისე ვერ იცეკვებ – ეს პროფესიონალიზმია. როცა ჯულიანა და მე ვცეკვავთ „ვენურ ვალსს", თუ სიყვარული და გრძნობა არ ჩავდეთ ამ ცეკვაში და ეს მაყურებლამდე არ მივიტანეთ, ისე არაფერი გამოვა.

**ჯულიანა:** ეს სიყვარული, ინტიმი და ჰარმონია, შეიძლება, კონკრეტულად ნოდიკოს მიმართ არ იყოს, მაგრამ, ეს შენში უნდა დაიბადოს – უნდა იგრძნო და გიყვარდეს.

**ნოდიკო:** ეს ხალხისთვის მიუღებელია, მაგრამ, დამიჯერეთ, სიმღერის დროსაც ასეა. როცა ვმღერი – მიყვარს, ვტკბები და სიმღერით ინტიმს ვგრძნობ. სიმღერის დროს ამას ხმით და ვოკალით ვახერხებ, ცეკვაში კი ეს მოქმედებით და მოძრაობით უნდა გამოხატო.

**ჯულიანა:** რასაკვირველია, ამასთან თან ერთვის ტექნიკა და კარგი შესრულება – ისე არაფერი გამოვა. ცეკვა გრძნობაა და ეს გრძნობა უნდა დაინახო ხალხს. შენი აურა კარგად გადადის მაყურებელზე და ამისთვის აუცილებელია გრძნობით ცეკვა. ემოციით თუ არ იცეკვე, ისე რთულია, ვინმეს თავი მოაწონო.

**ნოდიკო:** როცა ვცეკვავ, ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ვამჩნევ, მარტო ჯულიანას შევიგრძნობ და მუსიკა მესმის. სანამ ცეკვას დავიწყებ, რამდენიმე წუთით ადრე სხვა განზომილებაში გადავდივარ, „მექანიკური" ვხდები და არითმია მეწყება. გული წამში რამდენჯერ მიცემს, ვერ ვითვლი. ის სამი წუთი კი, როცა პარკეტზე ვცეკვავ, მართლა „მექანიკური" ვარ.

**– ნოდიკო, მოდი, პირდაპირ მითხარი – გამარჯვების ამბიცია გაქვს?**

– როცა პროექტში მონაწილეობის მიღებაზე თანხმდები, უკვე გაქვს მოგების ამბიცია და, თუ ამას არ აღიარებ, მაშინ, აფერისტი ხარ! რასაკვირველია, მაქვს მოგების ამბიცია.

**ჯულიანა:** ამ პროექტში არასდროს გამიმარჯვია და, დიდი სურვილი მაქვს, მე და ნოდიკო გავხდეთ გამარჯვებულები. სანამ აუტსაიდერებს გამოაცხადებენ, ისე ვღელავ, ჭკუაზე არ ვარ – პირი მიშრება და ქცევებს ვერ ვაკონტროლებ *(იცინის)*.

**ნოდიკო:** „ჯეოსტარზე" სამჯერ ვიდექი აუტსაიდერებში და საბოლოოდ მე გავიმარჯვე; ასე რომ, ტრაგედიას ნამდვილად ვერ ვხედავ, თუ მე და ჯულიანა „ცეკვავენ ვარსკვლავების" აუტსაიდერებში მოვხვდებით. მთავარია, ხალხმა დაგვიმესიჯოს: 95 104! რა ვქნა, არ მინდა, დავტოვო ეს პროექტი და მინდა გამარჯვებული გავხდე *(იცინის)*.

**ჯულიანა:** რომ წარმოვიდგენ, რომ გამარჯვებული ვარ, ტირილი მინდება *(იცინის)*.

**ნოდიკო:** მე კიდევ, თუ გავიმარჯვე, ჯულიანას რომ ჩავეხუტები, ვერ „გაგვწინკნიან" *(იცინის)*. ამ სეზონზე, უფრო სწორად, დარჩენილი ხუთი კვირის განმავლობაში, ჯულიანა ჩემია – მორჩა და გათავდა და, ნებისმიერზე ვიეჭვიანებ, ვინც მას გაეკარება *(იცინის)*.

**ნონა დათეშიძე**

# შემოდგომის საუკეთესო ხილი და ბოსტნეული

*არ ვიცი, ვინ როგორ მოახერხეთ ზაფხულის განმავლობაში მრავალფეროვანი ხილის ათვისება და რამდენად მოამარაგეთ ორგანიზმი ზამთრის ცივი დღეებისთვის საჭირო ვიტამინებითა და მინერალებით, მაგრამ, თუ ამ მხრივ დიდად ვერ იყოჩაღეთ, ძალიანაც ნუ დადარდიანდებით – შემოდგომაზე ამ ყველაფრის გამოსწორების შესაძლებლობა გეძლევათ. გაიარეთ გარე მოვაჭრეებში და ნახავთ, თუ რამდენად დიდია სეზონური ხილის არჩევანი, ხოლო იმას, თუ რისთვისაა სასარგებლო თითოეული მათგანი, დღევანდელ სტატიაში მოგახსენებთ.*

შემოდგომის **ვაშლი** ხილის ნამცხვრისთვის საუკეთესო ინგრედიენტადაა მიჩნეული – ხრაშუნა ვაშლი მდიდარია ანტიოქსიდანტებით, განსაკუთრებით კი C ვიტამინით, რაც იმუნური სისტემის გაძლიერებასა და სიმსივნის რისკის შემცირებაში გვეხმარება. ამას გარდა, ვაშლი დიდი რაოდენობით პექტინს შეიცავს, რომელიც არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებს გულსისხლძარღვოვანი დაავადებების პროფილაქტიკაში.

**ბოგრა, კვახი** – როგორც გსურთ ისე მოიხსენიეთ, მაგრამ ეს ბოსტნეული თქვენი საშემოდგომო ნობათის აუცილებელ ნაწილად რომ უნდა აქციოთ, ეს დანამდვილებით ვიცი. ის მდიდარია A ვიტამინით, რაც დადებითად აისახება ჩვენს მხედველობაზე, ასევე დიდი რაოდენობით შეიცავს ფიტოსტეროლებს (ეს უკანასკნელი ცუდ ქოლესტერინს ამცირებს) და ბეტა-კაროტინს, რომელიც თავისუფალი რადიკალებისგან გვიცავს.




**ლეღვი** – ამ ხილის დიდი მოყვარული არასდროს ვყოფილვარ – უფრო სწორად, ყოველთვის შორიდან ვუყურებდი იმის გამო, რომ მაღალკალორიულობით არის სახელგანთქმული. მაგრამ მას შემდეგ, რაც გავარკვიე, რომ ის ბლომად კალიუმს შეიცავს, უჯრედისის არაჩვეულებრივი წყაროა, სისხლში შაქრის დონეს არეგულირებს და დანაყრებითაც საკმაო დროით გვანაყრებს.

**ყვავილოვანი კომბოსტო** თავისი საკვები ღირებულებით მწვანე ფოთლებს ნამდვილად არ ჩამოუვარდება. ეს კომბოსტო ძალიან დიდი რაოდენობით C და K ვიტამინებს, უჯრედისს და ფოლიუმის მჟავას შეიცავს – ფოლიუმის მჟავა ორსულობაგამოვლილი ქალებისთვის უკვე ნაცნობი უნდა იყოს, ყველამ ვიცით, რომ ეს მჟავა უმნიშვნელოვანესია ნაყოფის განვითარებისთვის.

ასევე, **მსხალი**, რომელიც გარდა იმისა, რომ წვნიანი, არომატული და საოცრად სასიამოვნო მისართმევია (ჩემთვის ასეა, ყოველ შემთხვევაში), ორგანიზმს საჭირო რაოდენობით უჯრედისს და C ვიტამინს აწვდის, აკონტროლებს სისხლში შაქრის დონეს და ამცირებს ცუდ ქოლესტერინს. გარდა ამისა, მსხალი შეიცავს სპილენძსა და ბორს, რომელიც ორგანიზმს კალციუმის შენარჩუნებაში ეხმარება.

***და ბოლოს, არ დაგავიწყდეთ დღის განმავლობაში მიიღოთ 2 ლიტრი „ბაკურიანი" იმისათვის, რომ გამოიყურებოდეთ ლამაზად და წყლის ბალანსი ორგანიზმში დაცული იყოს.***

**ნინო მდივანი**

**გევორქ პეტროსიანმა „ნიჭიერში“ გამოსვლისთანავე აალაპარაკა მთელი საქართველო. მას არა მხოლოდ საოცარი ხმა აქვს, არამედ, ძალიან საინტერესო მოსაუბრეცაა, ისეთი, მოლოდინს რომ გადააჭარბა, თუმცა, ყველაფრის დაწერა, ჟურნალის ფორმატიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა.**

# რა სასწაულის მხილველი გახდა ხალხი ეკლესიაში გევორქ პეტროსიანის მართლმადიდებლად მონათვლის დროს და როგორ აიღო მან პატრიარქისგან კურთხევა წიგნის დაწერაზე

**გევორქ პეტროსიანი**: აბანოთუბანში დავიბადე; გავიზარდე, აზერბაიჯანულ მეჩეთთან, ბოტანიკური ბაღის ჭიშკართან, სომხურ ოჯახში. მამაჩემი პროფესიონალი მძღოლია, მექანიკოსი. დედა დაიბადა და გაიზარდა ზემო ბეთლემში. უცხო ენების სპეციალისტია, ისიც სომეხია. მე კიდევ კარგა ხანს ვერ ვიქნები მომღერალი. დიდი ხმა მაქვს – ვაღიარებ; შეიძლება, იშვიათიც არის, მაგრამ, ამას გამოყენება სჭირდება. ჩემში მოტივაცია იყო ჩახშობილი და, მე, როგორც პიროვნება, ნელ-ნელა გადმოვდივარ ამ კალაპოტიდან. ჩაკეტილ სექტაში ვიყავი წლების განმავლობაში და, შესაბამისად, ფსიქოლოგიური დარტყმა ძალიან დიდი იყო. მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი ცხოვრების ათი წელი დავკარგე, მე ჩამომაშორეს ყველაფერს, დამაშორეს მიზანს, სამხვერპლოზე დავდე ჩემი ნიჭი, მომავალი; მომატყუეს, დამანგრიეს...

**– სანამ იელოველი გახდებოდით, მანამდე რომელი რელიგიის აღმსარებელი იყავით?**

– არ ვიყავი მორწმუნე, უფრო მეტიც – კერპთაყვანისმცემელი ვიყავი, მუსიკის იქით არაფერი მაინტერესებდა. როცა ადამიანი რაღაცაზეა მიჯაჭვული, ნებისმიერი რამ, რაც მას ბოჭავს და განდევნის მისგან ცოცხალ ღმერთს – ეს არის კერპი. ჩემს შემთხვევაში ეს იყო მუსიკა. „ოქროს შუალედი“ არ მქონდა დაჭერილი და ეს იყო ჩემი დიდი პრობლემა, ისევე, როგორც ბევრი სხვა ადამიანის. ამას ახლა მართლმადიდებელი ადამიანის გადასახედიდან ვამბობ, თორემ, მანამდე ამას ვერ ვაცნობიერებდი.


ნათლობის დროს ჩემდაუნებურად „უფალო შეგვიწყალეს“ გალობა დავიწყე, მთელი გუმბათი ჩემი ხმით აივსო, ხალხი გახდა საოცრების მხილველი – სულიწმიდა რომ ჩამოვიდა

ჩვენთან, სომხებში, იცი, როგორ არის? არ აქვს მნიშვნელობა, დიდი განათლება გაქვს თუ არა, მთავარია, როგორ გაუძლვები შენს ოჯახს; რამდენად ხარ მზად; შენი ნიშა თუ გაქვს საზოგადოებაში, ფინანსური ბაზა თუ გაგაჩნია. არავინ გამოგატანს გოგოს ცოლად, თუ არ ხარ დამოუკიდებელი. მეც, ერთი გოგო მომწონდა და, ამის გათვალისწინებით, აღარ ჩავაბარე არსად, თუმცა, მანამდე დავამთავრე ტელევიზორების მონტაჟი, მაგრამ, სამსახური ვერ ვიშოვე, რადგან, ცუდი პერიოდი დაემთხვა. მამამ მითხრა, მე დაგასაქმებო: პურის მოედანზე სარდაფი იყო და იქ გავხდი ვულკანიზატორი. ქალაქში „პიპკას“ არავინ აკეთებდა და ჩემთან მოდიოდნენ სხვადასხვა რაიონიდან, მუშაობა მქონდა. ოჯახი ვერ შევქმენი – ჩემი ხმა აღმოვაჩინე და სხვა ამბიცია გამიჩნდა. შესვენების დროს რადიოს ვუსმენდი, სარდაფში კარგი აკუსტიკა მქონდა. ერთ მშვენიერ დღეს, პავაროტი მღეროდა და ძალიან მომეწონა. გავიფიქრე: მეც მინდა ასე ვიმღერო-მეთქი და მივბაძე. ამ დროს შემოვიდა ცალფეხა ბორია, ვულკანიზაციის მეპატრონე და მკითხა, ვინ მღეროდაო. მე ვმღეროდი-მეთქი. მეუბნება: ხვალ აღარ დაგინახო აქ, სხვა გზით უნდა იარო. შენ რომ სცენაზე გახვიდე და მერე ისევ სარდაფში ჩახვიდე, ძალიან დაითრგუნები, მეტამორფოზას ველარ გადაიტან, ერთ-ერთი ნიშა უნდა დაიკავოო. მოკლედ, სანზონაში მუსიკალურ სასწავლებელში ჩავაბარე. შემდეგ კონსერვატორიაში მინდოდა ჩაბარება და ათიანები მივიღე, მხოლოდ მუსიკალური კოლოკვიუმი ვერ ჩავაბარე – ქართულ ხალხურ სიმღერებს ვგულისხმობ. ვერ ჩავაბარებდი, რადგან, სომხურ ოჯახში გავიზარდე და ბაზა არ მქონია. მერე ვეზიარე ქართულ გენს, პეწსა და სილამაზეს და, უკვე არ შემიძლია, ქართული მენტალობის გარეშე ვიცხოვრო. შემდეგ კონსერვატორიაში პედაგოგთან მივედი, რომელმაც მითხრა: იმდენად ძლიერი ხმა გაქვს, უფლება არ მაქვს, აგიყვანო, რადგან, შენ მეტი ყურადღება გჭირდებაო. ამიტომ, სხვა პედაგოგთან გამიშვა – შავი სამუშაო იქ გააკეთე და მერე „შალაშინზე“ ჩემთან მოდიო. ვინც შავ სამუშაოს ასრულებს, ხოტბა მას უნდა შეასხა, ამიტომ, დავრჩი და დავრჩი მასთან. 22 წლის ვიყავი, როდესაც პირველ კურსზე ჩავაბარე, წარმატებულად, ათიანებზე.

ჯერ კიდევ სასწავლებლის მოსწავლე რომ ვიყავი, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში საანგარიშო კონცერტი გვქონდა. ჩემზე ასეთი რამ გავრცელდა: ახალგამოჩეკილი ტენორია, რომლის ხმა მარიო ლანცას ხმას წააგავსო. გულბათ ტორაძემ მითხრა: შენ არ ხარ მარიო ლანცა, შენ ხარ ახალი გიორგიო – ეს ჩემთვის საუკეთესო შეფასება იყო. სიმღერიდან პირველი შემოსავალი საკმაოდ დიდი იყო – დაახლოებით ერთი მანქანის ფული მაჩუქეს. ბოტანიკურ ბაღში ჩატარდა კონცერტი, რომელიც ეძღვნებოდა ებრაელების 26-საუკუნოვან ცხოვრებას საქართველოში. უბნელებმა თქვეს, გიორგი ამღერეთო. ცნობილი მეცენატი იყო – ვოლფგანგ ფრიკე და მან იკითხა, ვინ არის ეს გიორგიო. მამღერეს და რამდენიმე თვეში დამირეკა: 2000 წელს ჩვენთან, გერმანიაში შეხვდი, ფულს გამოგიგზავნი და ჩამოდიო. სამ დღეში საბუთები მზად მქონდა და 2000 წელს გერმანიაში შევხვდი – ეს იყო ჩემი პირველი გასტროლი.

**– კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუსიკალური კარიერის გაგრძელება არ გიცდიათ?**

– ვერ შევძელი. ბაკალავრი რომ დავამთავრე, სოტკილავამ უმაღლესი ქულა დამიწერა, ხელიც კი ჩამომართვა: არ ველოდი, ასეთ ხმას თუ მოვისმენდიო. მაგისტრატურისთვის ძალიან კარგი ნაწარმოებები მოვამზადე, მაგრამ, გამოცდაზე დაბალი შეფასება მივიღე – 3 პლუსით. იმ პედაგოგს, რომელთანაც „გასაშალაშინებლად“ უნდა მევლო, არ მოეწონა, სხვასთან რომ დავრჩი და, საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მათი ქიშპობის მსხვერპლი გავხდი. ჩემმა სულმა ეს ვერ გადაიტანა – ველარ ჩავაბარე, მოტივაცია აღარ მქონდა. დეპრესია დამემართა: ხალხი მიცნობს, „ბეზ პიატ მინუტ“ კარუზო უნდა ვყოფილიყავი და, როგორ წავიდე ვულკანიზაციაში-მეთქი. ამ დროს ჩემთან ბიცოლა მოვიდა, რომელმაც დამიწყო ჩემი მდგომარეობის ახსნა და მოკლედ გამაცნო „იელოვას მოწმეების“ დოქტრინები. ამ გადასახედიდან მათმა მლიქვნელურმა, იმ დროს კი გულწრფელმა ღიმილმა, მიმიზიდა. ყველა მიღიმოდა, ყველას ესმოდა ჩემი; არავინ მეკითხებოდა, რა ნოტს ვიღებდი, არავის აინტერესებდა ჩემი განათლება, მხოლოდ აინტერესებდათ, კარგად ჩავღრმავებოდი ბრუკლინის დოქტრინებს. რაც უფრო ვუღმრავდებოდი, მით უფრო ფართოვდებოდა მათი ღიმილი და მიმიღეს თავიანთ საზოგადოებაში, გავხდი „მაუწყებელი“ – ეს იყო ერთ-ერთი ეტაპი მონათვლამდე, შემდეგ მოვინათლე. მანამდე კი იქ გავიცანი გოგონა, რომელიც ჩემი მეუღლე გახდა. ცოტა ხანს რესტორანში ვმღეროდი და ხუცესებმა მითხრეს: არ გინდა, დეკანოსი ან ეპისკოპოსი გახდეო? რა თქმა უნდა, სურვილი მაქვს-მეთქი. მაშინ, აღარ იმღერო რესტორანში, გახდი მეწალე. ლამაზად, კარგად მღერი, მაგრამ, შენი მუსიკის დროს მათ შეუძლიათ, ულირსი გააკეთონ, შენ ამას ვერ გააკონტროლებ და, ავტომატურად, თანამონაწილე ხდებიო. დავუჯერე და წამოვედი რესტორნიდან. რა უნდა მეკეთებინა? ცოტა დანაზოგი მქონდა, მამამაც მაჩუქა ფული, ვიყიდე მანქანა და დავიწყე ტაქსაობა. იელოვას სექტაშიც დამაწინაურეს – დეკანოსი გავხდი, საჯარო მოხსენებებს ვკითხულობდი.

**– როდის მოინათლეთ მართლმადიდებლად?**

– მეორე წელს უკვე დამებადა ბევრი კითხვა, რაზეც ვერ მცემდნენ პასუხს. დავიწყე დამოუკიდებლად ქექვა და გზადაგზა ბევრი რამ აღმოვაჩინე. ამას, ძირითადად, გვიან ვაკეთებდი, როცა მეუღლეს ეძინა. ბოლო ორი წელი აღარც ვქადაგებდი... ჩემს მიგნებებზე წიგნსაც ვწერ, რომელსაც ერქმევა „იელოვას მოწმეების ნაპრალები“; პატრიარქმაც იცის, მომცა კუთხევა: საერო საქმეს აკეთებ, ამხილეო. ექვსი თვის წინ მოვინათლე ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიაში, მამა გურამთან (გურამიშვილთან). საოცრება მოხდა: ნათლობის დროს, ჩემდაუნებურად, „უფალო შეგვიწყალეს“ გალობა დავიწყე და მთელი გუმბათი ჩემი ხმით აივსო. ხალხი საოცრების მხილველი გახდა – სულიწმიდა რომ ჩამოვიდა. მეუღლე ჩემგან ხუთი თვის წინ წავიდა. ჩემი გოგონა 7 წლის არის და მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. „ნიჭიერში“ მეუღლემ ნახა ჩემი გამოსვლა; თან, სომხეთის არხზეც გავიდა, სომხური რადიოდანაც იყვნენ და ხვალ ტელევიზიიდან მოდიან. ცოლს ვუთხარი: თუ გინდა, საჯაროდ შევწყვიტო იელოველების მხილება, ერთად ვიცხოვროთ და მერე ვნახოთ, ვინ არის მართალი; მთავარია, შენ ჩემი სიყვარული დაინახო-მეთქი. ვიფიქრებო, – პირველად მითხრა ამ ექვსი თვის განმავლობაში. ათი წუთით მომეცა საშუალება, მათ ცდომილებებზე გამემახვილებინა მისი ყურადღება და, მითხრა, გამოვიკვლევო, რაც უკვე დიდი პროგრესია.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ დააჯილდოვა „ნაბეღლავმა" კონკურსში გამარჯვებულები და რა სიურპრიზებს პირდება ბრენდი ერთგულ მომხმარებლებს

14 ნოემბერს „ნაბეღლავის" მოყვარულთა ზეიმი იყო რესტორან Loft-ში. თავშეყრის მიზეზი, „ნაბეღლავის" მიერ გამოცხადებული ფოტოკონკურს „მიქსტერია" – გააგრძელე ზაფხულის გამარჯვებულთა გამოვლენა და მათი სპეციალური პრიზებით დაჯილდოება გახლდათ.



შეგახსენებთ, კონკურსი „მიქსტერია" – გააგრძელე ზაფხული! 3 კვირის განმავლობაში „ნაბეღლავის" ოფიციალურ „ფეისბუქის" გვერდზე მიმდინარეობდა. „გამოიყენე „ნაბეღლავის" მინერალური წყალი შენთვის სასურველი კოქტეილის მომზადებისას, გადაუღე ლამაზად გაფორმებული ფოტო, გამოგვიგზავნე და დაელოდე გამარჯვებას!" – ეს იყო ის მარტივი მოთხოვნა, რომელიც კომპანიამ კონკურსის მონაწილეებს დაუწესა.

უნდა ითქვას, რომ კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერი ასაკის, სქესისა და სოციალური საფეხურის წარმომადგენლისთვის საინტერესო აღმოჩნდა. მათ, ვისაც კრეატიული ხედვა და განსაკუთრებული ფანტაზიის უნარი გააჩნდათ, „წყალი მარგებელმა" ნიჭისა და შემოქმედების გამოვლენის შესაძლებლობა მისცა. კონკურსანტებს შესაბამის ელექტრონულ მისამართზე, საკუთარი ხედვისა და ფანტაზიის შესაბამისად, შექმნილი კოქტეილის ფოტო უნდა გამოეგზავნათ, რომლის აუცილებელი ინგრედიენტი „ნაბეღლავის" მინერალური წყალი იქნებოდა. მართლაც, 40-მდე მონაწილემ გამოაგზავნა თავისი ნაშრომი და გამოთქვა „ნაბეღლავის" მიერ გამოცხადებულ ამ კონკურსში მონაწილეობის სურვილი.

Loft-ში გამართულ საღამოზე კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ფოტოგრაფი ალეკო შარვაძე, კომპანია „ნაბეღლავის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ვიქტორია ჟიჟკო და ბარმენთა ასოციაციის პრეზიდენტი ჟაკო ჯორჯაძე, საზეიმო ვითარებაში გამოავლინა 2 გამარჯვებული. ეს ბედნიერი ადამიანები აღმოჩნდნენ: 29 წლის ოთარ გორდელაძე და 28 წლის ზურაბ ლოლაძე. პრიზებიც ძალიან საინტერესო იყო, თითოეულ გამაჯვებულს გადაეცა: Galaxy Tab 4 და შეიკერი.

„ასეთი კონკურსი ჩავატარეთ პირველად და წამახალისებელ სახეს ატარებდა," – გვითხრა კომპანია „ნაბეღლავის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ვიქტორია ჟიჟკომ, – „იდეა, მისი მოწყობისა იყო ის, რომ ყველასთვის საყვარელი ბრენდის, „ნაბეღლავის" კიდევ ერთი მხარე დაგვენახვებინა მოსახლეობისთვის. თან, ამაში სოციალური ქსელის ყველა მონაწილე ჩართულიყო. „ნაბეღლავი" აქამდეც ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა ბარმენის მიერ კოქტეილების მომზადების პროცესში და გადავწყვიტეთ, ამ ყველაფერში ჩვენი პროდუქციის რიგითი მომხმარებელიც ჩაგვერთო. ყველას თავისი გემოვნების მიხედვით შეეძლო, გამოეყენებინა მინერალური წყალი და შესაბამისად, კრეატიულად გაფორმებული ფოტო გამოეგზავნა ჩვენს ელექტრონულ მისამართზე. გვინდა, კომპანიის სახელით გამარჯვებულებს მივულოცოთ, ხოლო ყველა მონაწილეს მადლობა გადავუხადოთ კონკურსში მონაწილეობისთვის".




საზიმო შეხვედრისას „ნაბეღლავის" კონკურში გამარჯვებულებმა გაასაჯაროეს მათ მიერ მომზადებული კოქტეილის რეცეპტები და დამსწრე საზოგადოებას დააგემოვნებინეს საკუთარი ნახელავი. რის შედეგადაც, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ჟიურის კომპეტენტურობაში.

***„თბილსელებმა" „ნაბეღლავის" კონკურსში გამარჯვებულებს წარმატება მიულოცა და გაესაუბრა.***



**ზურაბ ლოლაძე**: მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვე ამ კონკურსში. თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი ჩემს ძალებში. ცხოვრებაში პირველად მომინდა კოქტეილის მომზადება და საკმაოდ ფეხბედნიერი გამოდგა ჩემი დებიუტი ამ საქმეში. ჩემს მომზადებულ კოქტეილს დავარქვი „ჰელსი", რადგან არ შეიცავდა ალკოჰოლს. დიდი მადლობა „ნაბეღლავს" ამ ბედნიერი დღისთვის.

**ოთარ გორდელაძე**: არანაირი ბარმენული გამოცდილება ამ მქონია აქამდე. იმედია, ყველას მოეწონა. ჩემი პრიზები მაძლევს საფუძველს, რომ ასე ვიფიქრო. მადლობა „ნაბეღლავს," რომ ასე დააფასა ჩემი ძალისხმევა და გამახარა.

„მომავალშიც აუცილებლად იქნება ასეთი კონკურსები, რასაც უფრო მასშტაბური ხასიათი ექნება. გპირდებით!" – ასეთი სასიამოვნო სიახლით დაგვემშვიდობა დამსწრე საზოგადოებას კომპანია „ნაბეღლავის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ვიქტორია ჟიჟკო.

**ეკა სალაღაია**

**მომღერალი თამუნა შავერდაშვილი მაყურებელმა „X ფაქტორიდან“ გაიცნო. მან თავისი არაჩვეულებრივი ხმითა და ნიჭიერებით, შეძლო, მაყურებლისთვის თავი დაემახსოვრებინა. ახლა თამუნა უკვე „ბრავოს“ სუპერფინალისტია.**

# როდის უბერავს და აქვს გაჭედვის მომენტები „ბრავოს“ ფინალისტს, თამუნა შავერდაშვილს და როგორი ურთიერთობისთვის არ არის ის ჯერ მზად

**თამუნა შავერდაშვილი:** კონკურსებში რომ გამოვდივარ, არ ვფიქრობ იმაზე, რალაც პრიზი რომ უნდა მომცენ, რალაც მოვიგო ან ფული გადამიხადონ და ასე შემდეგ. „X ფაქტორში,“ რისთვისაც მივედი, ზუსტად ის მივიღე, ის წამოვიღე იქიდან და ძალიან ბედნიერი ვიყავი. გულწრფელად ვამბობ, საერთოდ არ დამწყდა გული, რალაც ისე, რომ ვერ წავიდა, როგორც ეს ჩემებს უფრო უნდოდათ, ვიდრე მე. ყოველთვის ჩემი გამარჯვება ჩემებს უფრო უნდოდათ, ვიდრე მე.

**– რა მიიღე და რა წამოიღე?**

– ხალხის სიყვარული, მხარდაჭერა – გამიცნეს, ბევრი შემოთავაზება იყო, მოკლედ, ძალიან მაგარია ეს თემა. რომ გითხრა, რამე რადიკალურად შეიცვალა-მეთქი, არა. სუპერრადიკალური არის ის, რომ ქუჩაში უკვე გცნობენ, ადრე არ გცნობდნენ. ერთი ნაწილი ძალიან თბილად მხვდება, მეორე ნაწილი ჩურჩულებს, ბუნებრივად ხდება ყველაფერი. ავტობუსითაც მიმგზავრია და ვფიქრობ ხოლმე: ვაიმე, უხერხულად ვარ, ხალხი მიყურებს, რალაცეებს ლაპარაკობენ. მიხარია, როცა ადამიანები გამოხატავენ სიყვარულს, თავის დამოკიდებულებას და არ აქვთ იმის მომენტი: სირცხვილი ხომ არ არის, ჩემი ემოციები სხვის მიმართ ასე საჯაროდ რომ გამოვხატო.



**ვჩხუბობ ცუდად, მთელი თავისი ჩუქურთმიანი სიტყვებით**

**– შენც შეგიძლია ამის გაკეთება?**

– რა თქმა უნდა. მე ხომ გამოვხატავ ემოციებს და ზოგჯერ ზედმეტადაც. რამდენი ხანია, რაც კონკურსებში ვმონაწილეობ, მაგრამ ვერ შევეჩვიე ამ გარემოს. ის, რომ კონკურსანტი ვარ, ამას ვერასდროს შევეჩვევი. ვერ ვგრძნობ, რომ ჩემია, ჩემს გარემოშია, რადგან, გინდა თუ არა, მაინც გაფასებენ, თან ისე: ვინ უფრო უკეთესია და არა, როგორც ინდივიდუალურ შემსრულებელს. ეს ძალიან დიდი დისკომფორტია. ყველა კონკურსს თავისი ჩარჩოები აქვს, მე კიდევ ჩარჩოებს საერთოდ ვერ ვიტან. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დისკომფორტი მაქვს, მაინც სიამოვნებით ვმონაწილეობ. შიშის მომენტიც მაქვს, ნერვიულობისაც, რაც, ალბათ, პასუხისმგებლობიდან მომდინარეობს. მაგრამ, გინდა არ გინდა, სცენა მაინც სცენაა და ძალიან მშობლიურია.

**– ცდილობ, რომ ამ ჩარჩოებიდან ცოტათი მაინც გამოხვიდე?**

– ვცდილობ, როცა კონკურსის მონაწილე ვარ, ბევრი ფიქრი და კომპლექსი მანუხებს. სამაგიეროდ, თუ კონცერტზე გამოვდივარ, არანაირი კომპლექსი არ მაქვს, რაც მომდის გულში, სულში, ისე ვიქნევ ხელებსა და ფეხებს. ცხოვრებაშიც საერთოდ არ ვარ დაკომპლექსებული, ძალიან ღია ვარ და გარემოსთან ადაპტირებას ადვილად ვახერხებ. საზღვრები მაქვს. საკუთარ თავს თვალად ვუწესებ რალაც ჩარჩოებს. მაგრამ, აბსოლუტურად ვერ ვიღებ და ვერ ვითავისებ იმ ადამიანებს, ვინც მე მეუბნება: შენ რალაც ჩარჩოში უნდა მოექცეო. სიმართლე რომ გითხრათ, რთულად არაფერი გადამაქვს. ყოველთვის ვპოულობ ალტერნატივას, რომელიც იმ სირთულეს სასიამოვნოთი ჩამინაცვლებს. ამიტომ, არასდროს ვარ ჩაკეტილი. რეალურად, ახლა, ამ ეტაპზე, ცხოვრებაში ყველაფერი კარგად მაქვს. ყველანი ჯანმრთელები, ბედნიერები არიან. თუმცა, ყველას ჩვენი პრობლემები გვაქვს და არა ერთი, თუ ორი... მაგრამ, ჯერჯერობით, სუპერსასტიკი რალაცეები არ მომხდარა. თუმცა, ყველაფრისთვის მზად ვარ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ყოველთვის შევძლებ, გავუმკლავდე ცხოვრებაში არსებულ ყველა გამოწვევას. თუმცა, ეს ძალიან დიდი ნერვიულობის ფასად მიჯდება. ყოველთვის სასტიკად ვებრძვი საკუთარ თავს. ჩემი ნერვიულობა ჩემი პასუხისმგებლობაა. გარდა იმისა, რომ საკუთარი თავის წინაშე ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას, ასევეა, სხვა დანარჩენების წინაშეც.

**– რა იყო შენს ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამოწვევა?**

– ჯერჯერობით რაიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე არ ვმდგარვარ. ალბათ, „X ფაქტორი“ იყო ყველაზე დიდი გამოწვევა ჩემთვის, რადგან უკვე მასისთვის ვმღეროდი. საჯაროდ გამოვდიოდი და უნდა ვყოფილიყავი მზად აბსოლუტურად ყველა „ფუისთვის“, რადგან ყოველთვის გამოერევა რალაც „ფუები“ და ალბათ, უნდა იყოს კიდეც, თორემ ყველას მოსაწონი ვერ იქნები.

**– „ბრავოს“ შემდეგ მიხეილ გოლდმანს „ფეისბუქზე“ საკმაოდ თბილი სტატუსი დაუწერე...**

– მე ვერ ალვიქვამ იმ მომენტს, რომ ვილაცის კონკურენტი ვარ, ან ის არის ჩემი კონკურენტი. არანაირად. მუსიკას სპორტულად არასდროს ვუდგები. ეს არ არის კრივი, შეჯიბრი, რომ დაიწყო განსჯა: ეს უკეთესია ან უარესი. ჩვენ, ყველანი, კონკურსში ერთმანეთისგან განსხვავებულები ვართ.

**– რატომ მიხვედი „ბრავოში“?**

– დამირეკეს, მკითხეს: თუ მქონდა პროექტში მონაწილეობის სურვილი და შესაძლებლობა. ეს არის ჩვენი ცდუნება და მიუხედავად იმისა, რომ ისევ კონკურსია, მაინც ვცდუნდი, დავთანხმდი და წავედი. ვფიქრობ, მშვენიერი გადაწყვეტილება მივიღე. ახალი რალაც ხდება შენს ცხოვრებაში, უფრო მეტად აქტიური ხარ, დაგეგმილი გაქვს დღე, უსაქმურად არ ხარ, თან, საქმე მუსიკას ეხება.

**– როგორც ვიცი, საერთაშორისო ურთიერთობებზე სწავლობ, თუმცა თეატრალურში გინდოდა ჩაბარება.**

– თეატრალურშიც მინდოდა და სამხატვრო აკადემიაშიც. კონსერვატორიაში სწავლა არასდროს მდომებია, რადგან იქ საესტრადო ჟანრი არ არის, სამწუხაროდ. ხან მაქვს პერიოდები, როცა სულ უნდა ვხატო. ახლა გეგმაში მაქვს ხატვის დაწყება და თუ შევძლებ, მექნება ამის საშუალება და დრო, ჩავაბარებ აკადემიაში. სიურეალიზმის დიდი თაყვანისმცემელი ვარ: კრიატიული, აბსტრაქტული რალაცეები მიყვარს. რადგან არ მისწავლია, არ მაქვს ის ტექნიკა, რაც მხატვარს უნდა ჰქონდეს, თუმცა კარგად მეხერხება გადახატვა. რასაც მინდა, იმას ვხატავ. განტვირთვის კარგი საშუალებაა, ისევე, როგორც მეგობრებთან ურთიერთობა, მოგზაურობა.

**– შენთვის ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ იქნებოდა შენი ლობისტი?**

– სიმართლე გითხრა, ნამდვილად არ ჰქონია მნიშვნელობა. მე ისევ ჩემი საქმით მივედი, სამღერლად და არა გასამარჯვებლად, რომ ვინმემ რამე გადამიხადოს ხმის საფასურად. მაგრამ, როცა გავიგე გიორგი და ნინო იყვნენ ჩემი ლობისტები, გულწრფელად გამიხარდა. ურთიერთობის პროცესში დავახლოვდით, ძალიან კარგი ადამიანები არიან, პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავის საქმეს, განიცდიან და ნერვიულობენ. ის მომენტი ჰქონდათ, რომ ისე გამოსულიყვნენ, რაც შეიძლება კარგად წარმოეჩინათ თამუნა. მე კი იმ დროს ვფიქრობ იმაზე, კარგად წარმომეჩინა სცენაზე საკუთარი თავიც და ჩემი „კამანდაც“... მათი ნომერი კონცერტის წინა დღეს ვნახე, მანამდე თეორიულად ვიცოდი, რას აკეთებდნენ. სუპერექსტრემალურ პირობებში მოუწიათ გამოსვლა. ძალიან მიყვარს მსახიობებთან ურთიერთობა, საოცრად დიდი ენერგია მოდის მათგან, სულ სხვანაირები არიან: ცოტას უბერავენ, ენერგიით გავსებენ, ყველაფერი აქვთ ცოტ-ცოტა, ოღონდ დადებითი და კარგი.

**– შენ არ უბერავ?**

– როგორ არ ვუბერავ, ვუბერავ რომელია, კარგად ვუბერავ. ზოგჯერ მაქვს ხოლმე გაჭედვის მომენტები.

**– რას გულისხმობ?**

– ძალიან ცუდ ხასიათზე ვდგები, როცა ბენდთან ერთად ვმღერი და არ მომწონს აკომპანირება. ძალიან კრიტიკული და ცუდი ვხდები, ინსტუმენტალისტისგან თუ არ ვილებ იგივეს, რასაც მე გავცემ. ჩვენთან კარგი ინსტრუმენტალისტის მოძებნა ძალიან რთულია. შეიძლება, კარგი ტექნიკა ჰქონდეს, მაგრამ აკომპანირებას ყველა ვერ გაგიწევს. ამ დროს ძალიან მეცვლება ხასიათი, მე მე არ ვარ. ძალიან ვჩხუბობ, ცუდად, მთელი თავისი ჩუქურთმიანი სიტყვებით.

**– და პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– პირად ცხოვრებაში ყველაფერი ყოველთვის კარგად მაქვს, ფანტასტიკურად. სერიოზული რალაცეებისთვის მზად არ ვარ, ჯერ ვერ ვიქნები და არც ვიქნები. მაგრამ ის, რაც მინდა, ყოველთვის მაქვს. ახლა მყავს ადამიანი, ვისთანაც ფანტასტიკურად ვგრძნობ თავს, მერე რა იქნება, არ ვიცი.

**ნათია უტიაშვილი**

# 2014 წლის საუკეთესო საფეხბურთო მწვრთნელების ტოპ-ხუთეული

***„ფიფამ" გამოაქვეყნა პრეტენდენტების სია, ნომინაციაში – „2014 წლის საუკეთესო მწვრთნელი". ჯილდო გალა წარმოდგენაზე საუკეთესოს გადაეცემა წლის ბოლოს, მანამდე კი გავეცნოთ მწვრთნელების ტოპ-ხუთეულს, რომლის თითოეული წევრიც იმსახურებს ამ ნომინაციაში გამარჯვებას.***

### კარლო ანჩელოტი

იტალიელი სპეციალისტისთვის 2014 წელი წარმატებული იყო, რადგან მან, 12-წლიანი პაუზის შემდეგ, მადრიდის „რეალს" ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა და, ასევე, ესპანეთის თასის გამარჯვებულიც გახდა. ანჩელოტის ხელში იკერ კასილასი დაუბრუნდა „რეალის" კარის სადარაჯოს და ნაციონალური რეკორდი დაამყარა „მშრალი" სერიის ხანგრძლივობაში; გარდა ამისა, ანჩელოტიმ გუნდის ვარსკვლავებს შესაბამისი პოზიციები შეურჩია მოედანზე და, საუბარი, რომ გარეთ ბეილი ან ხამეს როდრიგესი სათადარიგო სკამზე დაჯდებოდა, საბოლოოდ დასრულდა. ანჩელოტი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ, ერთ დღეს მან გუნდის ვარჯიში დილის 6 საათზე დანიშნა და უკლებლივ ყველა ფეხბურთელი დროულად გამოცხადდა – არცერთ ვარსკვლავს აზრადაც არ მოსვლია მწვრთნელის გადაწყვეტილების გაპროტესტება.



### მანუელ პელეგრინი

„მანჩესტერ სიტის" ჩილელმა სპეციალისტმა 2014 წელს ორი ტიტული მოუტანა გუნდს – ინგლისის პრემიერლიგის ჩემპიონის და ინგლისის ლიგის თასის მფლობელის ტიტულები. გუნდი, ასევე, წარმატებით განაგრძობს გამოსვლას მიმდინარე სეზონშიც და ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად სახელდება. „მანჩესტერ სიტის" არაბი მფლობელები კმაყოფილები არიან პელეგრინის მუშაობით და, საშინაო წარმატებების შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე მოგებებს ითხოვენ. ცნობილია, რომ შეიხი მანსური დიდი ხანია, ოცნებობს, „სიტიმ" ჩემპიონთა ლიგა მოიგოს და მანუელ პელეგრინს სწორედ ამ რთულად შესასრულებელ მისიაში სრული კარტ-ბლანში აქვს.



### დიეგო სიმეონე

არგენტინის ნაკრების ყოფილი ლიდერი თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერ სპეციალისტად ითვლება. ბრუტალური იერის მქონე სიმეონე ჰოლივუდური „ბლოკბასტერების" გმირს უფრო წააგავს, ვიდრე მწვრთნელს. 18-წლიანი პაუზის შემდეგ სიმეონემ მადრიდის „ატლეტიკოს" ესპანეთის პრიმერადივიზიონი მოაგებინა და, ისტორიაში პირველად, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, სადაც მრისხანე „რეალთან" დამარცხდა. სიმეონეს „ატლეტიკო" 2014 წლის ერთ-ერთ ყველაზე სიმპათიურ გუნდად ითვლება, რაც „ინდიელად" წოდებული დიეგო სიმეონეს დამსახურებაა.

### ანტონიო კონტე

იტალიელმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ სამწვრთნელო საქმიანობა მოკრძალებული „სიენით" დაიწყო, რომელსაც 2010 წელს სერია ბ მოაგებინა და დღეს იგი უკვე იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია. 2014 წელს კონტემ, „იუვენტუსთან" ერთად, იტალიის ჩემპიონატში გაიმარჯვა და ახალი სეზონის დაწყებიდან „სკუადრა აძურას" ჩაუდგა სათავეში. ცნობისთვის, კონტე პირველი მწვრთნელია 1987 წლის შემდეგ, რომელმაც „სკუადრა აძურას" პირველი ოთხი მატჩი მოაგებინა.

### იოაჰიმ ლიოვი

ერთ-ერთ ფავორიტად ნომინაციაში გერმანელი მწვრთნელი, იოაჰიმ ლიოვი სახელდება, რომელმაც გერმანიის ნაკრებს, პირველად 1990 წლის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოაგებინა. ლიოვის „გერმანულ მანქანას" ფაქტობრივად არ ჰყავდა მოწინააღმდეგე, ხოლო ბრაზილიის ნაკრებთან 7:0 მოგებული მატჩი უკვე ჩაიწერა ფეხბურთის ისტორიის სახელმძღვანელოში. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მარტში გერმანიის ნაკრებს იოაჰიმ ლიოვის ხელმძღვანელობით თბილისში ვიხილავთ. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის და გუნდის ნახვა ნამდვილად იქნება წლის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებაში.

# ბეჭედი მარია შარაპოვას თითზე

ცნობა იმის შესახებ, რომ მარია შარაპოვა და გრიგორ დიმიტროვი დაშორდნენ, როგორც ჩანს, ტყუილი გამოდგა, რადგან, რამდენიმე ხნის წინ წყვილი ლონდონის ქუჩებში შეამჩნიეს და მათ ნამდვილად არ ეტყობოდათ, რომ დაშორებულები არიან. ბრიტანულ მედიაში გაჟონილ ინფორმაცის ჩოგბურთის რუსი ვარსკვლავისა და ბულგარელი ჩოგბურთელის დაშორების შესახებ, სავარაუდოდ, აბათილებს ერთი ფაქტი – მარიას უსახელო თითზე გაჩენილი მასიური ბეჭედი, რომელიც ალბათ, დაასრულებს ამ თემით სპეკულირებას და საზოგადოება სამყაროც მზად უნდა იყოს ვარსკვლავური ქორწილისთვის.

# სექსუალური ირინა შეიკის ახალი ფოტოსესია

რუსი ლამაზმანი ირინა შეიკი განაგრძობს თავისი თაყვანისმცემლების გახარებას – ის ახალი ფოტოსესიით წარდგა საზოგადოების წინაშე. უნაკლო სილამაზის ირინა ამჯერად ესპანური ჟურნალის – DT-ისთვის პოზირებდა სექსუალურ თეთრეულში. სხვათა შორის, ირინას ამ ფოტოსესიას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, რომელთა თქმით, რუსი სუპერმოდელის ბოლოდროინდელი ფოტოსესიები ერთფეროვანი გახდა და მისგან გაცილებით მეტს მოელიან. რას ელიან ოპონენტები შეიკისგან, უცნობია, თუმცა, კრიშტიანუ რონალდუს მეგობარი გოგო ფოტოებზე უნაკლოდ გამოიყურება.



# კევინ სპეისი – „მადლობა დედას..."

ამ მრავალმხრივ ნიჭიერი ამერიკელი მსახიობის ნამდვილი გვარი კევინ ფოულერია, სპეისი კი სულაც არ არის სცენური ფსევდონიმი, უბრალოდ, დედამისის ქალიშვილობის გვარია. ბავშვობაში სპეისი ოცნებობდა, მამასავით მწერალი გამოსულიყო, ახლა კი დიდი მადლობელია დედის, რომელმაც 16 წლის კევინი აიძულა, სამსახიობო სკოლაში ევლო. შემდეგ ის მშობლებმა ნორტრიჯის სამხედრო აკადემიაში მიიყვანეს, თუმცა, მალე დატოვა სასწავლებელი და ჩატსვორტის უმაღლესი სკოლის დრამატურგიის ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც 1977 წელს წარმატებით დაამთავრა. შემდეგ იყო როლები, რომელთა შესრულებაშიც ყველაფერს დებდა. მან ორჯერ გადააპარსა თმა, ბოროტი პერსონაჟები რომ განესახიერებინა.

1996 წელს სპეისმა პირველი „ოსკარი" მიიღო ფილმ „საეჭვო პირებში" განსახიერებული როჯერ კინტის როლისთვის. მეორე ამერიკული კინემატოგრაფის უმაღლესი ჯილდო კი 1999 წელს გადაეცა ლესტერ ბერნემის როლისთვის, ფილმში – „სილამაზე ამერიკულად".

1999 წელს კევინ სპეისი ჟურნალმა Englend's Empire-მა ათწლეულის საუკეთესო მსახიობად დაასახელა; 2003 წელს კი გაზეთმა Evening Standart-მა სპეციალური პრემია მიანიჭა ლონდონის მრავალსაუკუნოვანი თეატრის – Old Vik-ის აღორძინებისთვის, რომელსაც ის დღესაც ხელმძღვანელობს. 2010 წელს კევინ სპეისს მიენიჭა ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კომანდორის წოდება, რომელზეც იგი პრინცმა ჩარლზმა წარადგინა.

აღსანიშნავია, რომ იტალიელმა რეპერმა Caparezza-მ პოპულარული ამერიკელი მსახიობებისადმი მიძღვნილ სიმღერას „კევინ სპეისი" დაარქვა და არცთუ უსაფუძვლოდ: 2000 წელს სპეისმა, როგორც ბობი დარინის დიდმა თაყვანისმცემელმა, მიიღო უფლება, მასზე გადაეღო ფილმი – „ზღვასთან". გარდა იმისა, რომ კევინი ამ ფილმის რეჟისორია, მან გამოსცა ალბომი, სადაც ბობი დარინის სიმღერებს თავად მღეროდა, რისთვისაც ის „გრემზეც" წარადგინეს. კევინი შესანიშნავად ცეკვავს, განსაკუთრებით კარგად კი გამოსდის ფლამენკო, სალსა და ტანგო. იგი ცნობილია ჰოლივუდის ვარსკვლავთა პაროდიებით.

სპეისი დემოკრატია და ხშირად აქტიურად ის გამოდიოდა ბილ კლინტონის მხარდასაჭერად. 2011 წელს კი, მსახიობ ჯუდ ლოუსთან ერთად, ბელორუსიის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს წინააღმდეგ მოწყობილ ქუჩის მიტინგზე იდგა – აპროტესტებდა ქვეყანაში იმ ფილმების აკრძალვას, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ.

2006 წელს ბრიტანულმა ტაბლოიდმა კევინ სპეისი ცნობილ ჰომოსექსუალთა სიაში შეიყვანა. მოგვიანებით პროგრამის ხელმძღვანელმა პოლ პატრიკმა ბოდიში მოუხადა მსახიობს და თავი იმართლა – ეს ინციდენტი, ალბათ, იმან გამოიწვია, რომ კევინი არასდროს ყოფილა დაქორწინებული და პირად ცხოვრებასაც გულმოდგინედ მალავს.

გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ



# სძულთ თუ არა ცოლებს მოღალატე ქმრებზე მეტად მეტოქე ქალები

**ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ჯერ კიდევ გუშინ შეყვარებულ ადამიანებს სამუდამოდ შესძულებიათ და სასიკვდილოდაც კი არ დაუნდიათ ერთმანეთი. ერთი შეხედვით, ეს სრულიად გამაოგნებელია, თუმცა, ფსიქოლოგები ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავენ, რადგან, ცვალებადია ადამიანების ბუნება და მისთვის უცხო არ არის ისეთი გრძნობები, როგორიც არის აგრესია, ეჭვი, ბოღმა... ძნელია, წინასწარ გამოიცნო, რას მოიმოქმედებს ქალი, რომელსაც უღალატეს... ან, რას ჩაიდენს კაცი...**

**უფრო ხშირად, მათი აგრესია მოღალატე პარტნიორს კი არა, მეტოქეს დაატყდება ხოლმე თავს...**

თეონა *(41 წლის)*: ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მოყვარული ცოლ-ქმარი სრულიად სულელური მიზეზის გამო შორდება, თითქოსდა უმტკივნეულო სიტუაციებში კი მტრად გადაეკიდებიან ხოლმე ერთმანეთს, თუმცა, მერე ისევ რიგდებიან. არასდროს ვყოფილვარ დარწმუნებული იმაში, რომ განსაკუთრებული ქმარი მყავდა. კაცი ყველა კაცია და ზომიერად სულ ვეჭვიანობდი მასზე.

**– ქორწინების პირველივე დღიდან?**

– დიახ, ქორწინების პირველივე დღიდან. არ მითხრათ, რომ ეს ნორმალური არ არის. 33 წლის გავთხოვდი და საკმაოდ ბევრი მაგალითი მქონდა იმის, რომ ასპროცენტიანი ნდობით თავი არ მომეტყუებინა. ყველა ქალი სულელია, რომელიც ამტკიცებს, რომ ქმარი მას არასდროს უღალატებს. მე ამის ილუზია არ მქონია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქმარი არ მალავდა თავის გრძნობას, პირიქით, სულ ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ მისთვის ერთადერთი ვიყავი.

**– როგორ აკეთებდა ამას, სიტყვით?**

– არა მხოლოდ სიტყვით, ქმედებებითაც. მოჰქონდა ჩემთვის პატარ-პატარა სუვენირები... საჩუქრები, ყვავილები; ჩემი თანდასწრებით ხამივით არ აცეცებდა თვალებს; არ ფეთდებოდა დეკოლტეებზე და მოკლე კაბებზე; ვყავდი ყურადღების ცენტრში, მეუბნებოდა კომპლიმენტებს.

**– იდეალური ქმარი გყოლიათ...**

– იდეალური ადამიანები არ არსებობენ, მით უმეტეს – კაცები. სიტუაცია შეუქმენი და, ყველაზე ერთგული კაციც კი გიღალატებს – ეს აქსიომაა და, ამიტომ, არ უნდა მოეშვა, მუდმივად ტონუსში უნდა იყო შენც და ისიც უნდა გრძნობდეს ამას.

**– ასეთ რეჟიმში ცხოვრება რთული არ არის?**

– ცხოვრება, საერთოდ, რთულია, ნამდვილად არ არის ადვილი. მარტო ყოფნას თავისი სირთულეები აქვს, მარტოხელა დედობას – თავისი. ცოლობა და ოჯახის შენარჩუნებაც სერიოზული თავსატეხია. მე რეალისტი ვარ. უბრალოდ, ცოლები ხშირად არასწორ პოზიციას ვირჩევთ – ქმრებს ვუთმობთ ვიღაც ქალს, რომელიც სწორედ ამისკენ მიილტვის.

**– ვერ ვხვდები, რისი თქმა გინდათ ამით?**

– იმას, რომ, პირადად მე ოჯახის მთავარ მტრად მიმაჩნია „ის ქალი“. კაცს ჭკუა არ აქვს – შევთანხმდით ამაზე და სიტუაციას სულ სხვანაირად დავინახავთ.

**– ანუ, კაცს პასუხი საერთოდ არ უნდა მოეთხოვოს?**

– მაგას არ ვამბობ, მაგრამ, „ისეთი ქალები“ რომ არ არსებობდნენ, ქმრები ხომ ველარ გვიღალატებდნენ? დამეთანხმეთ, რომ არის ამაში ლოგიკა. დიახ, მსუბუქი ყოფაქცევის ქალები არსებობდნენ და კვლავაც იარსებებენ, მაგრამ ოჯახის დამანგრეველი, სხვების ქმრებზე მონადირე ქალები მაინც სხვა ფენომენია.

**– ამბობენ, რომ მესამე არ ანგრევს ოჯახს.**

## ყველა ქალი სულელია, რომელიც ამტკიცებს, რომ ქმარი მას არასდროს უღალატებს

– როგორ გეკადრებათ... ეს იმ „დამანგრეველების“ მოგონილი ბლეფია. კაცი არ არის გმირი, გეუბნებით, „სიტუაციის ცხოველია“. ოღონდ, კი არ ვლანძღავ, ფაქტის კონსტანტაციას ვახდენ. რეალობა ესაა. მთავარია, მომენტი არ ჩაუვარდეთ, თორემ, შანსის გამოყენებაზე რომელი კაცი იტყვის უარს?! თქვენ იცნობთ ასეთს? ყველაფერზე წამსვლელი ქალები კი იმაზე გაცილებით ჭარბად არიან, ვიდრე ვისურვებდით. „პერეხვატზეა“ ყველა და, ამ დროს, ჩვენ რას ვაკეთებთ? – ქმრებს ვუწყობთ განკითხვის დღეს და იძულებულს ვხდით, სახლიდან წავიდეს. იმათაც, იმ ქალებს, ხომ ეს უნდათ?

**– როგორც ვხვდები, თქვენ ქმარზე კი არა, იმ ქალზე გაქვთ აგრესია, ვისთანაც ქმარმა გიღალატათ.**

– აბსოლუტური სიმართლეა. როგორც ზაფხულში თოვლი, ისე დამეცა თავზე ვიღაც ქალი – უტიფარი, ნაგლი და მტაცებელი. ვერ ვიტყვი, რომ შოკის მომგვრელი სილამაზის იყო, ამაში არ არის საქმე – გარეგნობა საერთოდ რა შუაშია... დღეს ჩემს ქმარს რომ ჰკითხო, გეტყვის, ჭკუა არ მქონდა თავში, რატომ ავიტეხე შარიო, მაგრამ, ახლა ამასაც რა მნიშვნელობა აქვს. იმას მძიმე პერიოდი აქვს და ისევ მე უნდა მოვითმინო. ეს ჩემი არჩევანი იყო – არ გავაგდე, როცა მართლა იმსახურებდა ამას. მე მიმაჩნია, რომ არ დავუშვი შეცდომა. დიახ, მძულს ის ქალი, რომელთანაც ჩემმა ქმარმა მიღალატა. ამ ეტაპზე ასე ვარ და, მერე, რაღაც დრო რომ გავა, შეიძლება, ამ გრძნობამ გამიაროს.

**– ანუ, მოღალატე ქმარი არ გძულთ?**

– არანაირად, თორემ, მასთან შერიგებასა და ისევ ერთად ცხოვრებას ვერ შევძლებდი. თან, ისიც უნდა ვითამაშო, რომ მისი ავტორიტეტი ისევ ძლიერია და, შევძლებ, ისევ მჯეროდეს მისი. მაშინ არ მჯეროდა ბოლომდე, როცა ღალატში ჯერ კიდევ არ ვიყავი დარწმუნებული და, ახლა – მით უმეტეს. სულ ვფიქრობ, გამუდმებით, რომ მომხდარი უკვე წარსულია და ჩავლილია, მაგრამ, ძნელია, ძალიან ძნელი – ჩემი შინაგანი სამყარო ხომ დაინგრა... ამ ხნის განმავლობაში შეძენილი ჩვევები და ტრადიციები ცოტა არ არის. ოჯახი იმდენი კომპონენტისგან შედგება, ერთი შეხედვით ამის წარმოდგენა ძნელია. ყველა ძაფს ერთბაშად ვერ გაწყვეტ და არც უნდა გაწყვიტო. იცით, ამ სასიყვარულო სამკუთხედში, რომელსაც მე „ჯოჯოხეთის სამკუთხედს“ უფრო ვუწოდებდი, რომელი კითხვაა ყველაზე მეტად მტკივნეული? – სწორედ ის, რომელსაც ამ ორ „წერტილს“ შორის არაფერი ესაქმება. ხვდებით ხომ, ვისაც ვგულისხმობ?.. რატომ ხდება ასე, რას გვერჩიან ეს ქალები ცოლებს, რა უნდათ ჩვენგან?! ჩემს ქმარს რომ ვუყურებ, ზოგჯერ სურვილი წამომივლის, ჩავულაგო თავისი ტანსაცმელი და მივაბრძანო სახლიდან. თქვენ გგონიათ, ვაპატიე და მორჩა? არ არის ასე. ის მშველის, რომ მთელი აგრესია მართლა იმ ქალისკენ მაქვს მიმართული. ცოლებმა უნდა მოვითმინოთ და ავიტანოთ მარტო იმიტომ, რომ „ისინი“ არ გავახაროთ – ლანგრით არ მივართვათ ჩვენი

# როგორ ეძებს საქართველოში მცხოვრები 26 წლის გოგონა მამას, რომელიც მას არასდროს უნახავს

*26 წლის თეა გოგინაშვილი ეძებს დაახლოებით 48-55 წლამდე ასაკის ხაჩიკ დერდერიანს.*



**ისტორია**: ვეძებ მამაჩემს, დაახლოებით 48-55 წლამდე ასაკის ხაჩიკ დერდერიანს. ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი ქალაქ სოჭში გაიცნეს. მამაჩემი ჩემს დაბადებამდე დაბრუნებულა მოსკოვში და მან ჩემ შესახებ არაფერი იცის. ძალიან მინდა მისი პოვნა. სამწუხაროდ, მის შესახებ მისი სახელისა და გვარის გარდა არაფერი ვიცი, მაგრამ, მისი პოვნის იმედს არ ვკარგავ. ძალიან გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანეთ ჩემი ისტორია და დამეხმარეთ მამის პოვნაში.

**– მომიყევი ყველაფერი, რაც მამის შესახებ იცი.**



– ეს ისტორია დაიწყო 26-27 წლის წინ, როდესაც დედაჩემი, ნელი გოგინაშვილი, დასასვენებლად სოჭში წავიდა. მან იქ გაიცნო მამაჩემი – ხაჩიკ დერდერიანი. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და რამდენიმე თვე ერთად იყვნენ. შემდგომ დედაჩემი დაორსულდა, მაგრამ მამამ ამის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან ის ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაბრუნდა მოსკოვში (საიდანაც იყო სოჭში ჩამოსული) და დედამ ვერ მოასწრო თავისი ორსულობის შესახებ თქმა. მე სოჭში დავიბადე. ჩემი დაბადების შემდეგ დედა ისევ თბილისში ჩამოვიდა. მამის შესახებ მას არაფერი გაუგია და დღემდე არ ვიცით, რა მიზეზით წავიდა ხაჩიკა მოსკოვში. სამწუხაროდ, მეტი ინფორმაცია მამის შესახებ არ გამაჩნია. თუკი მამა ნახავს დედაჩემის სურათს, ბუნებრივია, იცნობს მას. ჩემი არსებობის შესახებ კი, როგორც გითხარით, მან არაფერი იცის.



**– დედამ მარტომ გაგზარდა?**

– დიახ. მის გვარს ვატარებ. მიუხედავად იმისა, რომ მამა არასდროს მინახავს, მისი მოძებნა ძალიან მინდა. რა თქმა უნდა, თუკი მასაც ენდომება ჩემი ნახვა და შეხვედრა, ამაზე უკეთესს ვერაფერს ვინატრებ. თავად მე უკვე ჩემი ოჯახი მაქვს და მამამ არც იცის, რომ უკვე ბაბუაა. მიუხედავად იმისა, რომ მან მიატოვა დედა და ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო წავიდა მოსკოვში, მე მაინც მინდა მისი ნახვა, თანაც, მაინტერესებს, თუ რატომ მოიქცა ასე. ასევე, მინდა ვიცოდე, მყავს თუ არა და-ძმა. ეს ყველაფერი ისე მაინტერესებს, რომ მოსვენებას მიკარგავს. გავიგე თუ არა თქვენი რუბრიკის შესახებ, მაშინვე გადავწყვიტე, მომემართა თხოვნით, რომ დახმარება გამიწიოთ მამის მოძებნაში.

**– მისი პოვნის შემთხვევაში, თუკი მას შენი ნახვის სურვილი არ ექნება, მე ვერ შევძლებ თქვენს დაკავშირებას – შენ უნდა იცოდე ეს.**

– მე ეს ვიცი და ყველაფრისთვის მზად ვარ. მთავარია, ვიცოდე, რომ მან ჩემი არსებობის შესახებ გაიგო, შემდგომ კი უკვე თავად გადაწყვიტოს, როგორ უნდა მოიქცეს. თუკი მას ოჯახი აქვს, მე არანაირად არ შევუშლი ხელს, უბრალოდ, მინდა ვიცნობდე მამაჩემს და მაინტერესებს, მყავს თუ არა და ან ძმა. სამწუხაროა, რომ მამის არც დაბადების თარილი ვიცი და არც სხვა ინფორმაცია გამაჩნია მის შესახებ, მაგრამ, იმედს მაინც ვიტოვებ – ხომ შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ მამამ გაიგოს ჩემი არსებობის შესახებ და მოინდომოს ჩემი ნახვა და ჩემთან შეხვედრა?! მე, მაგალითად, ამის მჯერა.

**– როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ დედამ მარტომ გაგზარდა, მამის წინააღმდეგ არ აუმხედრებიხარ.**

– დიახ, მამის შესახებ დედას ცუდი არასდროს არაფერი უთქვამს. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და, ამიტომ, არასდროს არ უნდა განსაჯო სხვა ადამიანი. იმ პერიოდში მამაც და დედაც ახალგაზრდები იყვნენ და, ამიტომ, შესაძლოა, რომ მათ შეცდომები მოსვლოდათ. დედამ იცის, რომ მე მამას ვეძებ და ამის წინააღმდეგი ის არასდროს ყოფილა.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

მოვლილი და ნაფერები ქმრები.

**– აბა, რა ვქნათ, ომი გამოვუცხადოთ?**

– ცუდი აზრი არ არის... და, უნდა მოვიგოთ ეს ომი, აუცილებლად. არ არის ძნელი. მთავარია, არ ავყვეთ შიშველ ემოციას, არ ვიხელმძღვანელოთ გულის კარნახით და ვიფიქროთ არა იმაზე, რას ვგრძნობთ, არამედ იმაზე, როგორ არ უნდა გავახაროთ მტერი.

## მსუბუქი ყოფაქცევის ქალები რომ არ არსებობდნენ, კაცები ვისთან გვიღალატებდნენ. არის ამაში ლოგიკა

**– მთავარი ხომ გრძნობაა?**

– შეიძლება, მაგრამ, გააჩნია, რა ეტაპზე. თუ თქვენ მარტო დარჩენა და ცხოვრების ტირილში გატარება გინდათ, მაშინ, რა პრობლემაა – გააგდეთ ქმარი, მიართვით ვიღაც ქალს თუ ქალებს, მერე კი დაჯექით მარტო, სვით ყავა, მოწიეთ სიგარეტი და იწუწუნეთ თუ იგლოვეთ თქვენს გაუხარელ წუთისოფელზე. ჩემი ქმარი დღეს დასჯილი და დამნაშავე ბავშვივით იქცევა – აღარ იცის, ჩემი გული როგორ მოიგოს. შეყვარებული თვალებით მიყურებს და ცდილობს, სულ ჩემ გვერდით იყოს, რომ არ მაეჭვიანოს. მე არ მჯერა, რომ გამოსწორდა და, თუ მომენტი ჩაუვარდება, არ მიღალატებს. სულელი და გულუბრყვილო არა ვარ, მაგრამ, ყველაფრის „დალაგება“ შეიძლება. უნდა გადააფასო რაღაცეები და მიხვდე, რა უფრო მნიშვნელოვანია შენთვის. ერთგული ქმრები არ არსებობენ. მაგრამ, როგორი საცოდავები არიან! ნაკლებად არ წვალობენ და იტანჯებიან. მამაკაცების უმრავლესობას არც თამაში შეუძლია, არც ორმაგი ცხოვრება – ეს მათთვის ძალიან მძიმეა. ამიტომ ცოლებმა ომი მათ კი არ უნდა გამოუცხადოთ, არამედ „შემცდენელებს“. ძალიან ცოტაა ისეთი მამაკაცი, რომელიც დადის და ეძებს საყვარელს, ეს ქალები ახდენენ მათ პროვოცირებას – იწყებენ ფლირტს და „შეაბამენ“ ხოლმე. ისიც ხომ ფაქტია, რომ „შეუბმელი“ კაცი არ არსებობს?!.

**– ქალი არსებობს „შეუბმელი“?**

– ეგ მამაკაცებს უნდა ჰკითხოთ, მე ნაკლებად მაინტერესებს ეს ამბავი. ვიცი ის, რომ ქმარს არავის დავუთმობ, არც სიცოცხლეს გავუმწარებ – თავისი უბედურებაც ეყოფა. ადვილი არ არის დამძიმებული სინდისითა და დანაშაულის განცდით ცხოვრება. ანუ, შეიცოდეთ ქმარი და შეიძულეთ მისი შემაცდენელი!..

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**საკმაოდ ნორმალური ქმარი მყავს და ერთად კარგად ვცხოვრობთ, მაგრამ, ძალიან ჩუმი, უემოციო და ურეაქციოა, მე კი ზოგჯერ ძალიან მჭირდება, ვიგრძნო მისი მხარდაჭერა, დაველაპარაკო, ჩავეხუტო... ფლირტიც მინდა საკუთარ ქმართან და, ვერ ვხვდები, რატომ არის ეს უხერხული ან უაზრო ჭირვეულობა. ქალი ვარ და ეს „დოპინგი“ ჩემთვის ჰაერივით აუცილებელია. როგორ მოვიქცე... სხვა კაცს ხომ არ დავუწყებ ამაზე ლაპარაკს?**

**გამოხმაურება:** რატომ სხვა კაცს და არა საკუთარ ქმარს, მით უმეტეს, თუ ნორმალური ურთიერთობა გაქვთ? მამაკაცები ხშირად ვერ ხვდებიან ქალის გულისნადებს და ამაში გასაოცარი არაფერია. თქვენი მინიშნებები მას არ ესმის, ამიტომ, პირდაპირ უთხარით, რაც გსურთ და, ნახეთ, რა მოხდება. ოღონდ, კი არ იწუწუნოთ და ისლუკუნოთ, თბილად და დამაჯერებლად ესაუბრეთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაქიძე**

**ქრისტიანები დღეს ხშირად მხოლოდ დღესასწაულებზე მოდიან ეკლესიაში ან მარხვების პერიოდში და შემდეგ ისევ ცხოვრების ჩვეულ რიტმს უბრუნდებიან. თითქმის ყოველი კვირა და ყოველი დღე არის რომელიმე დღესასწაული ან წმიდანის ხსენების დღე. ის, ვინც არ იმყოფება იმ დროს ეკლესიაში, ვერ იზეიმებს ამ დღესასწაულს და ვერ აღნიშნავს რომელიმე წმიდანის ხსენების დღეს. ამიტომაც, სასურველია, დავრჩეთ ეკლესიაში, მოვუსმინოთ ტიპიკონს, რომლის საშუალებითაც ეკლესია შეგვახსენებს, თუ ვინ უნდა ვადიდოთ, როგორ უნდა ვადიდოთ და როგორი ქრისტიანები უნდა ვიყოთ; როგორ უნდა მივხვდეთ, რომელია ნამდვილი მართლმადიდებლური წესი და რომელი – წარმართული ტრადიცია. წმიდა ბასილი დიდი ამბობს: „მტერი ამგვარ ადამიანს დასცინის, ცრუმორწმუნე ხომ ყველაფერს შიშით შესცქერის: თუკი გამოჩნდა კატა, ძაღლი ან დილით შემოხვდა მარჯვენა თვალით ან ფერდით დაზიანებული, თუნდაც ყველაზე კეთილგანწყობილი ადამიანი, ცრუმორწმუნე მას მყისვე ზურგს შეაქცევს და თვალს აარიდებს. რა არის ამგვარ ცხოვრებაზე მეტად უბედური – ყოველივეს ეჭვის თვალით შესცქეროდე და ყველაფერში წინააღმდეგობა დაინახო?!" – ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როდის იწყება ადამიანის რელიგია ცხვრის ყიდვით და მთავრდება ცხვრის დაკვლით და რატომ არიან დღევანდელი ქრისტიანები წარმართობაში

– შევხედოთ ჩვენს შვილებს და მივხვდებით, რომ კომპიუტერმა წაგვართვა ისინი – სახლში კი სხედან, მაგრამ, 24 საათის განმავლობაში ამა თუ იმ სოციალურ ქსელში არიან ჩართულები. ერთი მოაზროვნე გვარიგებს: როდესაც ადამიანი ხელში იღებს პულტს და რთავს ტელევიზორს ის საკუთარ თავიდან თიშავს ადამიანსო. ადამიანის ტვინში ბევრი მახსოვრობითი შრეა. როცა ის ამა თუ იმ რეკლამას ან სერიალს უყურებს, ერთობა და დრო გაჰყავს, უნდა თუ არა, მასში იბეჭდება გარკვეული იდეოლოგია, აზროვნება, ინფორმაცია და ამ ინფორმაციის მატარებელი ხდება. შეიძლება თქვას, რომ რაღაც სერიალი არ აინტერესებს, მაგრამ, როდესაც უყურებს, თუნდაც ნახევარი საათი, მის მეხსიერებაში ქვეცნობიერად იბეჭდება სერიალის გმირების სახეები, იდეოლოგია, ქცევები, ინფორმაცია და შემდეგ დეპრესიაშიც ვარდება – რატომ არ მაცვია ისე, როგორც იმ სერიალის გმირს; რატომ ისეთი მდიდარი და ძლიერი არ ვარ; რატომ არ არის ჩემი მეუღლე ისეთი ლამაზი, როგორიც სერიალის გმირია. შესაბამისად, მერე ეს ცუდ ქმედებებს იწვევს, რადგან, როგორც სერიალები, ასევე რეკლამებიც, ხშირ შემთხვევაში, ზეგავლენას ახდენს ადამიანის თავისუფალ ნებაზე. უფრო მეტიც, როცა ადამიანი ეკლესიაში მიდის და წირვას ესწრება, იმის მაგივრად, რომ გალობას, მღვდლის ქადაგებას მოუსმინოს, მას ფიქრებში ხშირად თავი რომელიღაც ფილმის პერსონაჟად წარმოუდგენია ან მასზე ფიქრობს, რადგან, მთელი ღამის განმავლობაში უყურებდა რაღაც სანახაობებს და წირვიდან გარბის, რომ რაღაც სანახაობას მიუსწროს ან დაწყებული სერიალის ყურება განაგრძოს. რა თქმა უნდა, მე იმას არ ვამბობ, რომ არაფერს არ ვუყუროთ და გამოვრთოთ ტელევიზორი, რადგან, იქაც გადის შემეცნებითი სერიალები და ფილმები. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ, არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი – რისთვის ვარსებობთ და რა არის ჩვენი ცხოვრების მიზანი. მთავარია, ჩვენი სულის ცხონება მოივიპოვოთ და, თუ სიკეთეზე, სიყვარულზე, უფლის მსახურებაზე არ ვფიქრობთ, რამ უნდა შეგვიცვალოს ეს ყველაფერი?! ცოდვა – ყველა ენაზე, გზიდან აცდენას ნიშნავს. ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უხვად გვაქვს ოჯახებში, იმისთვის არის, რომ ჩვენი ცნობიერება მიიტაცოს, თავისუფალი ნება, აზროვნება და შემეცნება ამაო სანახაობებითა და მათზე ფიქრით იყოს დაკავებული.



ქრისტეს დაღვრილი სისხლის შემდეგ არ უნდა დავღვაროთ არანაირი ცხოველის სისხლი, იმ იმედით, რომ ამით რაღაც ცოდვა მოგვეტევება

**– ხშირ შემთხვევაში, ტრადიციებს ისე ვასრულებთ, არც ვფიქრობთ მათ წარმომავლობაზე, ისინი მართლამდიდებლური სარწმუნოების ნაწილი გვგონია, სინამდვილეში კი, მხოლოდ წარმართული ტრადიციებია.**

– სამწუხაროდ, მართლმადიდებლობაში კარგად არის შერეული წარმართული ჩვევები. ბევრს ჰგონია, რომ ეკლესიის წეს-ჩვეულებებს აღასრულებს და, ამ დროს, წარმართობაშია. როცა შენი ცნობიერება ჩართულია წარმართულ აზროვნებაში, რაღაცას აკეთებ და არ იცი, ამას რატომ აკეთებ, ფაქტობრივად, ქრისტიანი-წარმართი ხარ. წარმართული ელემენტები კი ძალიან შემოიჭრა ეკლესიაშიც, თან, იმდენად, რომ გვიჭირს მისი განცალკევება და მრევლისთვის ახსნა. შეიძლება, ვილაცამ თქვას: შავმა კატამ გადამირბინაო და ამის გამო ეკლესიაშიც არ წავიდეს. ბევრი ამბობს, ვიცი, რომ ეს ასე არ არისო, მაგრამ, იმდენად აქვს წარმართობა ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ ვეღარ ერევა მას. ჩვენც, სასულიერო პირები, როდესაც ქრისტიანს რაღაცაზე ვეუბნებით, რომ ეს არ შეიძლება, ისიც უნდა ავუხსნათ, რატომ არ შეიძლება, რა არის ხალხური ტრადიცია და რა – ეკლესიური. შესაძლოა, ვილაცამ თქვას, ეს ტრადიციები მამა-პაპამ დაგვიტოვაო, მაგრამ, ჩვენი მამა-პაპიდან ბევრი არ იყო ქრისტიანი და, მით უმეტეს – წმიდანი. კი უნდა მივაგოთ პატივი, მაგრამ, ჯერ ჩვენთვის არის იესო ქრისტეს მაცხონებელი სწავლება და შემდეგ – სხვა დანარჩენი. როგორც სხვა ქვეყნებში, ჩვენთანაც ბევრი წარმართული ტრადიცია იყო, რაც ხალხურ სიმღერებშიც კარგად არის შემორჩენილი. მაგალითად, „ჰარალე" კერპი იყო ძველად, რასაც ქართველი კაცი უგალობდა, დღეს კი, შეიძლება, ეს ვინმეს წმიდა გამოსახულება ეგონოს.

**– ერთი ყველაზე გავრცელებული წარმართული ტრადიციაა დიდ დღესასწაულებზე საკლავის დაკვლა, ცხოველების, ფრინველების ეკლესიაში მიყვანა, შემოტარება, რასაც ხშირად ღრეობა და ზოგჯერ ტრაგედიაც მოჰყვება ხოლმე.**

– არავითარ კავშირში არ არის ცხვრის დაკვლა აღდგომასთან ან რომელიმე დღესასწაულთან. აღდგომას ცხვრის დაკვლა ძველი ებრაული წესი იყო – ეს იყო სააპასექო ბატკანი, რომელიც ითვლებოდა ებრაელი ერის მონობიდან გამოყვანის სიმბოლოდ; ჩვენთვის კი „დაიკლა" ქრისტე, ანუ, ჩვენი სააპასექო ბატკანი არის იესო ქრისტე. თუ ვინმეს იმიტომ უნდა აღდგომას, გიორგობას, ან სხვა დღესასწაულზე დაკლას ცხვარი იმისთვის, რომ მიირთვას, რა თქმა უნდა, ამაში ცუდი არაფერია; უბრალოდ, ყველაფერს თავის სახელი უნდა დაერქვას და ყველაფერს თავისი წესი აქვს. ხშირად უკითხავთ: ახალი გარდაცვლილი მყავს და რამდენი ცხვარი უნდა დავუკლაო? ეს წარმართობაა. ჭირისუფალს ხშირად ჰგონია, რომ, რაც უფრო მეტ ცხოველს დაკლავს, რაც უფრო მეტი რამ იქნება სუფრაზე, უფრო მეტს გაუკეთებს მიცვალებულს. რა თქმა უნდა, ეს არასწორია. შეგვიძლია ეს ცხვარი მოწყალების სახით გავცეთ. არ უნდა შეგვეშალოს, რომ ქრისტეს დაღვრილი სისხლის შემდეგ არ უნდა დავღვაროთ არანაირი ცხოველის სისხლი იმ იმედით, რომ ამით რაღაც ცოდვა მოგვეტევება. ეკლესია ცხოველის დაკვლას არ გიკრძალავთ, უბრალოდ, პირუტყვის დაკვლას რომელიმე დღესასწაულს ნუ დავუკავშირებთ. წარმოიდგინეთ, რა ცუდი სანახავია, როდესაც ეკლესიის ეზოში ან მიმდებარე ტერიტორიაზე ყრია ცხვრის რქები, ჩლიქები, ფეხები, ტყავი და სისხლია დაღვრილი. ადამიანი სახლში არ ყრის ნაგავს და უფლის სახლის ეზოში ნაგვის დაყრა რატომ არის დასაშვები?! მამაკაცები ხშირად მთელ მარხვას ინახავენ და მერე, აღდგომის თუ შობის ღამეს ან გიორგობას, ისე დათვრებიან, ისე იჩხუბებენ, რომ ერთ საათში კარგავენ მარხვაში მიღებულ მადლს. ამიტომ, ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ კრძალავს ეკლესია ღრეობებს, საკლავის დაკვლას. ხშირად ისიც უკითხავთ, რამდენჯერ უნდა შემოვატარო ცხვარი ეკლესიასო. იმდენად სჯერათ ამის, რომ, ხშირად, მათი რელიგია იწყება ცხვრის ყიდვით და მთავრდება ცხვრის დაკვლით. მიირთვით, ამას არავინ გიშლით, მაგრამ, ნუ დავარქმევთ ამას შესაწირს, რომ თითქოს ღმერთი ითხოვს ამას ჩვენგან. პირდაპირ ამბობს პეტრე მოციქული: არა ხრწნადი ოქრო-ვერცხლით ვართ გამოსყიდულები, არამედ, იესო ქრისტეს ძვირფასი, დაღვრილი სისხლითო. ამის შემდეგ შეიძლება, პირუტყვის სისხლი დავღვაროთ?! დღესასწაულზე გამართული სუფრები შემდეგ ღრეობებში გადაიზრდება, სამწუხაროდ, მერე ეს ყველაფერი ტრაგედიის წყაროდ იქცევა და, ამბობენ, ღმერთმა დასაჯაო. ღმერთი კი არ სჯის, შენ რომ ნასვამი ჯდები საჭესთან და ვერ იყურები თვალებიდან, ღმერთი რა შუაშია? შენი უგუნურებით ისჯები, თავად ისჯის ადამიანი თავს. მისი ჩადენილი ცოდვა ყოველგვარი უხამსობის, უგუნურობის, უბედური შემთხვევის მიზეზი. მერე, რომ გადარჩება, სამწუხაროდ, ისევ ცხვარი მიჰყავს და იგივე მეორდება. ახლა უკვე იმის თქმა, რომ „არცოდნა არცოდვაა", არ გვეპატიება, რადგან, უცოდინარობით ჩადენილი ცოდვები ცოდვებად მიიჩნევა; რადგან ადამიანს აქვს სათანადო ცოდნის მიღების საშუალება, მაგრამ, არ ცდილობს, დაეუფლოს მას, რითაც ორმაგ ცოდვაში იგდებს თავს.

**ნათია უტიაშვილი**

# ყაზანის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი

ყაზანის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წელიწადში ორჯერ აღნიშნავს, რუსეთის ეკლესია კი სამჯერ ზეიმობს. პირველი დღესასწაული ხატის გამოჩინების დღეს, 21 ივლისს (ახალი სტილით) აღინიშნება.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ყაზანის ხატის გამოჩინება 1579 წელს აღესრულა ქალაქ ყაზანში. ხანძარმა, რომელიც წმიდა ნიკოლოზ სტუდიელის ეკლესიის სიახლოვეს დაიწყო, დააზარალა ქალაქი. იმ ადგილას იდგა მეისრის სახლიც, რომელიც სხვებთან ერთად დაიწვა. მეისრის 10 წლის ქალიშვილს – მატრონას, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და მიანიშნა ის ადგილი, სადაც დედაღვთისმშობლის ხატი იყო დამარხული და მისი ფერფლიდან ამოღება უბრძანა. გოგონამ ხილვის შესახებ დედას უამბო, მაგრამ მან ბავშვის ნაამბობს ყურადღება არ მიაქცია. როდესაც გოგონას მესამედ გამოეცხადა დედაღვთისმშობელი, გააფრთხილა, რომ თუ მის ნათქვამს არ შეისმენდნენ, მატრონა დიდხანს იავადმყოფებდა, ხოლო ეს წმიდა ხატი სხვა ადგილსამყოფელს მოძებნიდა. მატრონამ დედასთან ერთად, მინიშნებულ ადგილზე ხატი მოიძია და მართლაც მიაგნო იმ უდიდეს საუნჯეს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ზედა სამოსის სახელოებში იყო გახვეული და ისე ბრწყინავდა, თითქოს ახლად დაწერილი გახლდათ. ეს ამბავი მათ მთავარეპისკოპოსს და ქალაქის მესვეურებს შეატყობინეს. წმიდა ხატი ლიტანიობითა და გალობით გადააბრძანეს ტაძარში, რომელშიც მღვდელი გერმონი (მომავალი პატრიარქი) მსახურობდა (მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ხატი წმიდა ლუკა მახარებლის მიერ დაწერილი ღვთისმშობლის გამოსახულების ასლი იყო). მსვლელობის დროს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატმა არაერთი სასწაული აღასრულა. განკურნა მხედველობას მოკლებული და თვალის სნეულებებით დაავადებული ადამიანები.

ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ასლი (მის მიერ აღსრულებული სასწაულების აღწერილობასთან ერთად) მეფეს, იოანე მრისხანეს გაუგზავნეს. მისი ბრძანებით, ხატის გამოჩინების ადგილზე ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და დედათა მონასტერი აშენდა. ამ სასწაულთმოქმედი ხატის დღესასწაულს ასევე ზეიმობდნენ 4 ნოემბერს (ახალი სტილით), როცა მოსკოვი პოლონელთაგან გათავისუფლდა.

ისტორია გვაუწყებს, რომ, როდესაც მოსკოვი ალყაში იყო, ხოლო მისი ახლომდებარე რაიონები პოლონელებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ, რუსეთის დიდგვაროვანთა წარმომადგენელმა, მთავარმა პოჟარსკიმ ყაზანის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი მოსკოვში ჩააბრძანა. წმიდა ხატი ქალაქს ლიტანიობით შემოატარეს. სწორედ იმ დღეს გათავისუფლდა მოსკოვი პოლონელთა ტყვეობისგან.

პოჟარსკიმ საკუთარი სახსრებით წითელ მოედანზე ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აგება დაიწყო. აშენდა ულამაზესი ეკლესია, სადაც ეს წმიდა ხატი დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა. 1811 წელს ყაზანის სასწაულთმოქმედი ხატის ასლი სანკტ-პეტერბურგში გადააბრძანეს, სადაც პეტრე პირველის ბრძანებით ყაზანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის უზარმაზარი ეკლესია აშენდა. ამ ხატის წყალობით რუსეთი შემდგომშიც არაერთხელ გადაურჩა შეჭირვებასა და დამპყრობელთა შემოსევებს.

ყაზანის ღვთისმშობლის ხატის პირვანდელი სახე სამეფო საგანძურის ძვირფასი შემოწირულობებით იყო შემკობილი. ხატის ჩარჩოს 475 ბრილიანტი და ასი ალმასი ამშვენებდა. პერანგი მთლიანად ოქროსი გახლდათ. სწორედ ეს ძვირფასი შეწირულობები გახდა მიზეზი იმისა, რომ 1904 წლის 29 ივნისს ყაზანის სასწაულმოქმედი ხატი და მაცხოვრის უძველესი ხელთუქმნელი ხატი უგზოუკვლოდ გაქრა ხარების მონასტრიდან. ეს დიდი განსაცდელი იყო მონასტრის დედებისთვის, რომლებიც სასოებით უვლიდნენ წმიდა ხატებს და უდიდეს თაყვანს სცემდნენ მათ. მოგვიანებით გაირკვა, რომ მონასტერი ცნობილმა ყაჩაღმა ჩაიკინმა გაძარცვა. აღიარებით ჩვენებაში მან თქვა, რომ ღვთისმშობლის ხატი ნაჯახით დაჩეხა და დაწვა, პერანგი კი გაყიდა. როდესაც ექსპერტიზა ჩატარდა, ბუხარში მართლაც იპოვეს რაღაც ნამწვავები... მაგრამ უფრო მოგვიანებით, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ბოროტმოქმედს გამოძიება შეცდომაში შეჰყავდა, სიმართლეს არ უმხელდა მათ. ეს ისტორია დღემდე ბურუსითაა მოცული.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ცოდვაა თუ არა სხვის ცოდვებზე საუბარი?**

**პასუხი:** სხვისი ცოდვების განხილვას უნდა მოვერიდოთ. ვიფიქროთ საკუთარ ცოდვებზე. წმიდა მამათა გადმოცემით, ვინც სხვის ცოდვებს დაფარავს, უფალი მის ცოდვებს დაფარავს.

**კითხვა: ძალიან მიჭირს წყენის დათმენა – ვფიქრობ, რომ ამას დაუმსახურებლად ვიღებ. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ფრთხილად იყავით, ამპარტავნების ცოდვაში არ ჩავარდეთ. როცა გაწყენინებენ, გაიხსენეთ, როგორ აწყენინებდნენ მაცხოვარს და როგორ მიიყვანეს სიკვდილის პირას ტანჯვით, ის კი ჯვარცმული ამბობდა: „უფალო, შეუნდევ მათ, რამეთუ არა უწყიან, რას იქმან.”



**კითხვა: როგორ დავიზღვიოთ თავი ცდუნებებისგან?**

**პასუხი:** იმას კი ნუ მიაქცევთ ყურადღებას, რას სჩადიან სხვები (როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი), არამედ, ყური უგდეთ, რას გვასწავლის სიტყვა უფლისა – სახარება. მიბაძეთ მაცხოვარსა და წმიდა მოციქულების მიწიერ ცხოვრებას. სმენა და მზერა მოარიდეთ უკეთურებას და მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს (თუ იქ არ ბუდობს ცდუნებანი).

**კითხვა: როგორც ვიცი, ნათლობის დროს ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევება და, მაინც უნდა მოვინანიოთ თუ არა ნათლობამდე ჩადენილი მძიმე ცოდვები (მაგალითად, აბორტი)?**

**პასუხი:** ნათლობამდე ჩადენილი მცირედი ცოდვების მონანიება არ არის აუცილებელი, მაგრამ, თუ განსაკუთრებულად მძიმე ცოდვები აქვს ადამიანს ჩადენილი, უნდა მოინანიოს მოძღვართან.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## წმიდა მღვდელმთავარი და გამძვინვარებული სტიქია

ქალაქ ანკონიაში იყო თავისი ცხოვრებით სახელგანთქმული ეპისკოპოსი, სახელად მარსელინი. მძიმე ავადმყოფობამ მას ფეხები დაუსუსტა, რის გამოც სიარული აღარ შეეძლო და მსახურებს იგი საკაცით დაჰყავდათ. ერთხელ ანკონიაში ვიღაცის დაუდევრობის გამო ხანძარი გაჩნდა. ყველა შეიკრიბა და დაიწყეს მისი ჩაქრობა, მაგრამ, დიდი გულმოდგინების მიუხედავად, ხანძარი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მთელი ქალაქი გადაბუგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. როდესაც ცეცხლის ალი უახლოეს შენობებზე გადავიდა და ქალაქის არცთუ მცირე ნაწილი გაანადგურა, იძულებულნი გახდნენ, ეპისკოპოსი თავისი რეზიდენციიდან გამოეყვანათ. საერთო უბედურებით გულშეძრულმა, თავის მსახურებს უბრძანა, ცეცხლის პირისპირ დაესვათ. იგი იმ ადგილას მოათავსეს, სადაც ცეცხლი განსაკუთრებით მძვინავარებდა. ყველას გასაკვირად, ხანძარი უფრო შორს აღარ გავრცელებულა და, თითქოს ამით ყველას ამცნო, რომ მას არ შეუძლია, გასცილდეს იმ ადგილას, სადაც ზის მღვდელმთავარი. ამგვარად, იმ ადგილას შეჩერებული ცეცხლის ალი თანდათანობით თავისით ჩაქრა და უკვე აღარც ერთი შენობა არ დაზიანებულა. წარმოიდგინე, საყვარელო პეტრე (წმიდა გრიგოლ დიოლოღოსი (მეექვსე საუკუნე) მიმართავს დიაკონ პეტრეს), რა სიწმიდე ჰქონდა ამ უძლურ ადამიანს, რომ თავისი ლოცვით შეძლო, ჩაექრო საშინელი ხანძარი.

## ეკრძალე და ღმრთის განკითხვამდე არავინ განიკითხო!

მამა ისააკ თებაიდელი ერთ მონასტერში მივიდა, ნახა ერთი შემცოდე ძმა და განიკითხა. როდესაც უდაბნოში დაბრუნდა, მოვიდა უფლის ანგელოზი, დადგა მისი სენაკის კარის წინ და უთხრა: „მე შენ აქ არ შემოგიშვებ.” ისააკმა ილოცა მის წინაშე და ჰკითხა, რომელი ბრალისთვის ისჯებოდა იგი. ანგელოზმა უთხრა მას: „მე შენთან ღმერთმა გამომგზავნა, რათა მითხრა, როდის მიბრძანებ, რომ შეცოდებული ძმა მასთან მივავლინო.” მამა ისააკი მყის დაემხო მის წინაშე: „ვცოდე, მომიტევე!” ანგელოზმა უთხრა: „ადექი, რადგან, ღმერთმა შენ შეგინდო; სხვა დროს ეკრძალე და ღმრთის განკითხვამდე არავინ განიკითხო!”

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**



## როდის არის ორგანიზმში კიბოს განვითარების შანსი მაღალი და რას იწვევს რკინის დეფიციტი

რკინა აუცილებელია სისხლის წარმოსაქმნელად. ის უზრუნველყოფს ჟანგბადის ტრანსპორტირებას ფილტვებიდან ქსოვილებში. ადამიანის ორგანიზმში რკინის დეფიციტის შედეგად წარმოიქმნება ანემია. მას თან ახლავს სისუსტე, კანის სიფერმკრთალე, საერთო ჯანმრთელობის გაუარესება და ასე შემდეგ.

რკინა შედის ჰემოგლობინის, ანუ სისხლის წითელი პიგმენტის შემადგენლობაში. სისხლის წითელი სხეულაკები წარმოიქმნება ძვლის ტვინში. იქიდან კი სისხლში ხვდება და ცირკულირებს მასში. შემდეგ, დროთა განმავლობაში, იშლება შემადგენელ ნაწილებად და რკინა, რომელსაც ის შეიცავდა, ხვდება ღვიძლში, ელენთაში და იქ ინახება. ადამიანის ორგანიზმი რკინას კარგავს ოფლის გამოყოფის დროს და შინაგანი ორგანოების უჯრედების დაღუპვისას.

ორგანიზმის დღიური მოთხოვნილება რკინაზე დაახლოებით 20 მილიგრამია. სხვათა შორის, ბევრ ადამიანს აღენიშნება მისი ნაკლებობა. ამ მიკროელემენტის უკმარისობის მიზეზი კი ის არის, რომ რკინა, როგორც კალციუმი, ყოველთვის კარგად არ შეითვისება. სხვათა შორის, ძნელად შესათვისებელია რკინა, რომელიც არის ხორცსა და ბურღულეულში. რკინას უხვად შეიცავს მწვანე ბოსტნეული, თალგამი, მდოგვი, წიწმატი, ღვიძლი, თირკმელი, კვერცხის გული, მოლუსკები.

როგორც კალციუმი, რკინაც არ შეიწოვება ნაწლავებში შაველისა და ფიტინის მჟავების არსებობისას. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის შედეგადაც უნდა გამოიყენოთ რკინის შემცველი პროდუქტები დღიურ ნორმაზე 3-ჯერ მეტი რაოდენობით. ორგანიზმმა რკინა კარგად რომ შეითვისოს, აუცილებელია C და $B_{12}$ ვიტამინები.

კობალტი არის $B_{12}$ ვიტამინის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმატებით გამოიყენება მკურნალობის დროს. კობალტის უკმარისობამ შეიძლება, გამოიწვიოს სისხლის კიბო.

კობალტი აუცილებელია კუჭქვეშა ჯირკვლის ნორმალური მუშაობისთვის, ასევე, სისხლის წითელი სხეულაკების წარმოქმნისთვის. ის არეგულირებს ადრენალინის შემცველობას, კერძოდ, თირკმლისზედა ჯირკვლის ჰორმონის შემცველობას.

## რა იწვევს ქრონიკულ პროსტატიტს

ქრონიკული პროსტატიტი წინამდებარე ჯირკვლის ანთებაა. ამით არა მხოლოდ ასაკში შესული მამაკაცები, არამედ ხშირად ახალგაზრდებიც ავადდებიან. ქრონიკულ პროსტატიტს იწვევს ბაქტერიული ინფექცია, რომელიც საშარდე არხით, სისხლით ან ორგანიზმში არსებული ნებისმიერი ანთებითი კერიდან, ლიმფოგენური გზით ხვდება წინამდებარე ჯირკვლებში.

პროსტატიტით დაავადებულები უჩივიან ტკივილის შეგრძნებას საზარდულისა და შორისის არეში, რომელიც გადაეცემა გარე სასქესო ორგანოებს და გავა-წელის არეს. ინფექციის დროს ძნელდება შარდვის პროცესი და ადამიანს უჩნდება ისეთი გრძნობა, თითქოს შარდის ბუშტი მთლიანად არ არის დაცლილი.

პროსტატიტი ქრონიკული პროცესია, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში შესაძლებელია ავადმყოფობის გართულება – მატულობს ტკივილი, ტემპერატურა, ავადმყოფი უჩივის ქრონიკულ უძილობას.

ამ დროს კატეგორიულად იკრძალება თვითმკურნალობა, განსაკუთრებით ანტიბაქტერიული პრეპარატებით; არასწორი მკურნალობის შემთხვევაში, შესაძლოა, დაავადების გამომწვევი მიკრობი კი არ მოისპოს, არამედ სახე იცვალოს. ეს კი მკურნალობის პროცესს აძნელებს და შემდგომში მეტ გართულებას იწვევს.

დაავადების გამწვავების შემთხვევაში, საკვები რაციონიდან უნდა გამორიცხოთ მწარე, მლაშე და დაკონსერვებული საკვები. ასეთ საკვებში შემავალი კომპონენტების გადამუშავების შემდეგ, ორგანიზმი შარდში გამოყოფს ისეთ ნივთიერებებს, რომლებმაც შეიძლება, გააძლიეროს წინამდებარე ჯირკვლის ანთებითი პროცესი. ასევე, არ შეიძლება, ალკოჰოლური სასმელები, ალკოჰოლი ხელს უწყობს მცირე მენჯის არეში დაფარული, შენელებული პროცესების გააქტიურებას, ქმნის მათი განვითარებისთვის სასურველ ნიადაგს. თუ თქვენს ორგანიზმს არ აქვს მიდრეკილება შეშუპებისადმი, ეცადეთ, მეტი რაოდენობით სითხე მიიღოთ. განსაკუთრებით სასარგებლოა სამკურნალო ნაყენები, კერძოდ, მრავალძარღვას, არყის ხის კვირტების, დათვის კენკრის ნახარში.

ქრონიკულ პროსტატიტს ინფექცია იწვევს. ის ორგანიზმში შეიძლება, სქესობრივი გზითაც მოხვდეს. ამიტომ, აუცილებელია, ამ დროს და ზოგადად, პირადი ჰიგიენის დაცვა.

ქრონიკული პროსტატიტის დროს დაუშვებელია გაციება, ზედმეტი გადახურება ან გადაციება. არასრული შარდვის შემთხვევაში, შეიძლება, განვითარდეს ორმხრივი ურეტეროჰიდრონეფროზი და მოხდეს არა მხოლოდ შარდის ბუშტის დაჭიმვა, არამედ ზედა საშარდე გზების დაჭიმვაც. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს თირკმელების პროგრესირებად და ქრონიკულ უკმარისობას. შესაძლოა, განვითარდეს სქესობრივი პოტენციის დაქვეითება და დარღვევა.

ქრონიკული პროსტატიტით დაავადებულ ადამიანებს მკვეთრად ერღვევათ წინამდებარე ჯირკვლის ინკრეტორული და ექსკრეტორული ფუნქცია, რაც სქესობრივი უძლურების, უშვილობის, ნაადრევი ერექციისა და სხვა დაავადებების მიზეზი ხდება. ამიტომ, აუცილებელია, პროსტატიტის დროული გამოვლინება და სავალალო შედეგამდე, სწორი და დროული მკურნალობის კურსის ჩატარება.

## თუ გაცივდით, პანიკაში ნუ ჩავარდებით და სწორად იმოქმედეთ

გაციებისთანავე ნუ შეეცდებით მასთან მედიკამენტებით ბრძოლას, რადგან, წამლების მიღებამ, შეიძლება, მხოლოდ შეასუსტოს ისედაც სუსტი იმუნიტეტი. სასურველია, ამ დროს საკუთარ ორგანიზმს ძალების მობილიზების საშუალება მისცეთ და ბუნებრივად მოახერხოთ დაავადების დამარცხება. ასეთ შემთხვევაში კი სამკურნალო ბალახები დაგეხმარებათ, რომელთა შეძენაც ნებისმიერ აფთიაქში შეგიძლიათ.

**პიტნა** არაჩვეულებრივად და სწრაფად უმკლავდება თავის ტკივილს, ხოლო მისი ნახარში ძალიან ეფექტურია გაციების წინააღმდეგ და სიცხის დასაწევად.

**როზმარინის** ნაყენი ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას და ეხმარება ადამიანს ვირუსებთან ბრძოლაში. ფეხებში სიმძიმის შეგრძნებას კი როზმარინის თბილი აბაზანა მოგიხსნით.

**ლავანდის** ყვავილები, თავისი ანტისეპტიკური და ანტიბაქტერიული თვისებების წყალობით, აუმჯობესებს ტვინში სისხლის მიმოქცევას. სწორედ ამიტომ, ნერვული დაავადებების დროს, ის არაჩვეულებრივი და შეუცვლელი საშუალებაა. ვირუსული ინფექციებისგან თავის დასაზღვევად რამდენიმე წვეთი ლავანდის ზეთი დაასხით ცხვირსახოცზე და პერიოდულად შეისუნთქეთ მისი არომატი.

**თიამინის** ყვავილები და ფოთლები შეიცავს ნივთიერებებს, რომლებსაც ანტისეპტიკური, ხველებისა და სპაზმების საწინააღმდეგო თვისებები აქვს. ხველების, ბრონქული ინფექციებისა და ყელის ტკივილის დროს, გაიკეთეთ თიამინის ინჰალაცია.

**სალბს** იყენებენ პირის ღრუს სხვადასხვა დაავადების დროს, ასევე, კბილის ტკივილის გასაყუჩებლად. ეს მცენარე კარგი სადეზინფექციო საშუალებაა და არაჩვეულებრივი სამკურნალო ეფექტი აქვს ყელის ტკივილისა და ანგინის დროს. პირველივე სიმპტომის შეგრძნებისას, უნდა მიიღოთ სალბის ნახარში, კერძოდ, მოადუღეთ სალბის ნაყენი: 100 მილილიტრ ადუღებულ წყალში ჩაყარეთ 4 ჩაის კოვზი სალბი და ადუღეთ დაბალ ცეცხლზე დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში. ეს ნაყენი დღეში 3-4-ჯერ გამოივლეთ პირის ღრუში.

## რა სიმპტომები ახასიათებს პნევმონიას

პნევმონია ფილტვის პარენქიმის მწვავე ანთებაა, რომელიც ფილტვის ქსოვილის ყველა სტრუქტურულ ელემენტს მოიცავს. მწვავე

# ექიმის რჩევები

**კითხვა: შეიძლება, როე იყოს 62 და არაფერი არ გაწუხებდეს? რა არის ლიმფური კვანძები და შეიძლება კისერთან გაციების შემდეგ იყოს გადიდებული? ამას უნდა მკურნალობა თუ თავისით ჩადგება მწყობრში?**

პასუხი: როე 62 მმ/სთ ძალიან მომატებულია. ლიმფური კვანძები – ლიმფური სისტემის პერიფერიული ორგანო, ადამიანის იმუნური სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ბიოლოგიური ფილტრის ფუნქციას ასრულებს. ლიმფური კვანძების გადიდება შესაძლებელია, იყოს ადგილობრივად მიმდინარე ანთებითი ცვლილებების პასუხად. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ როე ძლიერ არის მომატებული, ეს მდგომარეობა აუცილებლად საჭიროებს დიაგნოსტირებას და შემდგომ, შესაბამის მკურნალობას.

**კითხვა: შრატის გაკეთების შემდეგ, ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში, რამდენ ხანში ვლინდება რეაქცია? იმ შემთხვევაში, თუ ალერგიული არ ვარ, რამდენად საშიშია ეს?**

პასუხი: რეაქცია შესაძლებელია, გამოვლინდეს დაუყოვნებლივ, ან მოგვიანებით, რამდენიმე საათიდან ერთ დღემდე.

**კითხვა: ვარ 16 წლის. ციკლი მაქვს ყოველ ორმოც დღეში ერთხელ, ხუთი დგის განმავლობაში. ეს ნორმალურია?**

პასუხი: ეს არის მენსტრუალური ციკლის დარღვევა, აუცილებლად მიმართეთ ენდოკრინოლოგ გინეკოლოგს.

**კითხვა: თავის დაბანის შემდეგ, ტკივილები მაქვს ძირითადად კეფის არეში და ზოგჯერ თითქოს თავბრუც მესხმის. რისი ბრალი შეიძლება, იყოს ეს?**

პასუხი: გაიზომეთ არტერიული წნევა, შესაძლოა, დაბანის შემდეგ მისი მაჩვენებლები იცვლება – მატულობს ან ქვეითდება.

**კითხვა: ჩემს 8 წლის გოგონას დაემართა მუნი. წავუსვით გოგირდი წესის მიხედვით. გაუარა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ გამოაყარა ოღონდ არა ისე, როგორც ჰქონდა, არამედ სხვაგვარად. ექიმმა, ეს გოგირდმა გამოიწვია და მუნი აღარ არისო. დაუნიშნეს ერიუსი და ელოკომის მალამო. 2 კურსი ჩავუტარეთ, მაგრამ მაინც, რომ გაუვლის, შემდეგ ისევ ეწყება. რის ბრალია?**

პასუხი: სავარაუდოდ, ალერგიული დერმატიტია. მთავარია, დადგინდეს ალერგენი და შეწყდეს მასთან კონტაქტი.

**კითხვა: მაქვს თმის ცვენა, ბოლო პერიოდში გახშირებულად, დერმატოკოსმეტოლოგმა დამინიშნა მინოქსის სპრეი. დაახლოებით ორი კვირაა ვიყენებ და უფრო გამიხშირდა ცვენა. ეს ბუნებრივია თუ რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?**

პასუხი: დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ პრეპარატის გამოყენება, მიმართეთ ენდოკრინოლოგს. გამორიცხეთ ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიით მიმდინარე თმის ცვენა. გარდა ამისა, გამორიცხეთ რკინადეფიციტური ანემია და შემდეგ, მიმართეთ ტრიქოლოგს.

**კითხვა: საშვილოსნო მაქვს დაწეული და შვილოსნობა თუ შეიძლება? 27 წლის ვარ.**

პასუხი: თუ სხვა მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია, ხელი არ უნდა შეუშალოს ორსულობას.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

პნევმონიის ყველაზე ხშირი გამომწვევი ბაქტერიებია – პნევმოკოკები. ბაქტერიების გარდა, პნევმონიის გამომწვევია: ვირუსები, სოკოები, ქლამიდია და მიკოპლაზმები. მკურნალობისთვის აუცილებელია გამომწვევი ფაქტორის ზედმიწევნით დადგენა.

მიკროორგანიზმები ფილტვებში ყველაზე ხშირად ზემო სასუნთქი გზებიდან აღწევს, უფრო იშვიათად კი – სისხლის ან ლიმფოგენური გზით.

ადამიანის ორგანიზმს აქვს სასუნთქი გზების ინფიცირებისგან დაცვის მექანიზმები. სასუნთქ გზებში მოხვედრილი ნივთიერებისგან გათავისუფლებაში მნიშვნელობა ენიჭება ხველების რეფლექსს. მიკრობების ზრდას თრგუნავს ფაგოციტური აქტივობა.

დაცვითი სისტემების ნებისმიერი დარღვევა მიკრობების გამრავლებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. პნევმონიის გავრცელების ხელშემწყობი პირობებია ზემო სასუნთქი გზების ვირუსული ინფექცია, იმუნოდეფიციტი, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, გაციება, თამბაქოს მოწევა და ასე შემდეგ.

პნევმონია უეცრად, ძლიერი შემცივნებით იწყება, ტემპერატურა საგრძნობლად იმატებს, იგრძნობა ტკივილი ფერდის არეში. დასაწყისისთვის აღინიშნება მშრალი ხველა, შემდეგ კი – ჩირქოვანი ნახველი. ტემპერატურული რეაქცია გრძელდება ერთი კვირა, შემდეგ კი დაბლა იწევს.

### ეგზოტიკური ხილი ნაადრევ სიბერეს ამარცხებს

სწორი კვება სულაც არ ნიშნავს, რომ საყვარელ საჭმელზე უარი თქვათ. უბრალოდ, უნდა მოერიდოთ თეთრ ფქვილს, შაქარსა და ცხიმს. მიირთვით, რაც შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული, ასევე, რძის ნაწარმი. სითხეებიდან კი – მინერალური წყალი, ნატურალური წვენები და ჩაი. დღის განმავლობაში ლიტრ-ნახევარი სითხე მაინც უნდა მიიღოთ, რაც ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებებისა და წიდების გამოდევნაში დაგეხმარებათ.

მწვანე ჩაის ფოთლები C ვიტამინის, ფტორისა და თუთიის საბადოა. ამიტომ, დალიეთ დღეში ოთხი-ხუთი ჭიქა მწვანე ჩაი – ეს ხელს უწყობს საჭმლის მონელებასა და ტოქსინების გამოდევნას.

საკვებში გამოიყენეთ საკაზმები, რაც ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის პროცესსა და ცხიმების დაშლას.

თუ გიყვართ ეგზოტიკური ხილი, მაგალითად, ბანანი, მანგო, ანანასი, კივი, პაპაია და ასე შემდეგ, შეგიძლიათ, ნებისმიერი რაოდენობით მიირთვათ. მათში ბევრია რომელინისა და პაპაინის ფერმენტები, რაც ხელს უწყობს საჭმლის მონელება-გადამუშავების პროცესს. ასევე, მკვეთრად აუმჯობესებს კანის მდგომარეობას და ხელს უშლის ნაოჭების წარმოქმნას.

### ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებას ხალხური მედიცინით უმკურნალეთ

ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს ძალიან სასარგებლოა დაშაქრული გოგრის ნაყენის დალევა: გოგრა გაჭერით შუაზე, ამოიღეთ გული, ჩაყარეთ შიგ შაქარი და გააჩერეთ ცოტა ხნით. წვენს რომ გამოუშვებს დალიეთ დღეში 3-ჯერ, სადილის კოვზით, ჭამის წინ.

1 ჩაის ჭიქა მაწონში აურიეთ 1 კოვზი ნიახურის ნაყენი. მიღებული მასა დალიეთ ყოველ დილით, საუზმის წინ, დალევის შემდეგ კი დაწექით ღვიძლის მხარეს, ნახევარი საათის განმავლობაში.

4 კილოგრამი სტაფილო და 2 კილოგრამი შავი ბოლოკი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში და გამოწურეთ. წვენი დალიეთ დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ, ღვინის ჭიქით. ეს წვენი ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის დაავადების დროს არაჩვეულებრივ ეფექტს იძლევა.

10 გრამ ფუტკრის დინდგელს დაასხით ერთი ლიტრი მდუღარე წყალი და დადგით ორი დღე-ღამე. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ ღვინის ჭიქით, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში ერთხელ.



**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# რა ომი მოუწყვეს ერთმანეთს ჯემალ ჭკუასელმა და მისმა ცოლმა

***2001 წლის 15-16 ივნისი. ამ ჩვენებამ შეძრა პარიზი და არა მარტო პარიზი, მას მთელი მსოფლიოს პრესა აღტაცებით გამოეხმაურა. თვით „ნიუ-იორკ თაიმსმა" „ერისიონის" კონცერტებს ორი სტატია მიუძღვნა, სადაც ეწერა, რომ პარიზში გამაოგნებელი სანახობა იმართება. ორდღიანი გამოსვლების შემდეგ, მთელი საფრანგეთი მოუთმენლად ელოდა შემოდგომის დადგომას, როცა ანსამბლი კვალვ ესტუმრებოდა. სწორედ ამ დროს გაჩნდა „ერისიონის" კლიპის შექმნის იდეა; შეირჩა „მატილის ასული", ფრანგებმა კი ის გაარემიქსეს. გადაღებები ოთხი დღე, ქალაქ ლე დუზალაში 3 700 მეტრ სიმაღლეზე, საკმაოდ მკაცრ ბუნებრივ პირობებში – მინუს 10 გრადუს ყინვასა და ქარში მიმდინარეობდა. ამ დროს მოცეკვავეებს ხმლები ლამის ხელში ეყინებოდათ... – ასეთი შესავალი იმ ადამიანის დღიურებისთვის, რომელსაც დღეს წარმოგიდგენთ, იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ მომავალში მის მიერ რუსეთში ჩატარებულ კონცერტებს ჩვენი საზოგადოების მხრიდან აღარ მოჰყვეს არაობიექტური გამოხმაურება. ჯემალ ჭკუასელი უკვე ათეული წლებია, ქართველი, რუსი და ყველა სხვა ქვეყნის მაყურებლისთვის ერთნაირად ქმნის ქართულ ლეგენდას; თუმცა, დღეს რუბრიკა „ცხოვრების დღიურები" ბატონი ჯემალის არა ამ ქართულ სასწაულს, არამედ, მისი სიყვარულის ისტორიას დაეთმობა.***





„მე 22 წლის ვიყავი, გიული 16-ის. თბილისში, ფიროსმანის ქუჩაზე, დეიდაჩემი ცხოვრობდა. ოზურგეთში სკოლა რომ დავამთავრე, თბილისში ჩამოვედი, დეიდასთან მივედი და იქ დავინახე ლამაზი გოგო – დეიდაჩემის მეზობელი ყოფილა, ახალი გადმოსული იყო. შეიძლება ითქვას, რომ ერთი ნახვით შემიყვარდა. სხვათა შორის, მას მერე, თუ ვინმე გამეპრანჭებოდა, არავის აღარ ვუყურებდი, ინტერესი არ მქონდა. მანგლისში გაგზავნეს დასასვენებლად ერთი თვით და ყოველდღე ვაკითხავდი. ხანდახან, იქვე, მახლობლად, ღამეც კი გამითევია, მისთვის კი მითქვამს, ამ დილით ჩამოვედი მანქანით-მეთქი.



სიყვარულმა თუ არ აგაფორიაქა და ძილი არ გაგიტეხა, ესე იგი, ეს სიყვარული არ არის. რა თქმა უნდა, მქონია ასეთი მომენტები და პატარა წაეჭვებებიც, გულში რაღაც რომ გაგკრავს, თორემ, ეჭვიანი კაცი საშინელება და ცოდოა. მოკლედ, რამდენიმე თვის შემდეგ დავქორწინდით. ქორწილი ფიროსმანზეც გვქონდა და, ჩემთან, სოფელში – გურიაშიც. სოფელში რომ ჩავიყვანე, მამაჩემმა უთხრა, მაცივარი არ გვაქვსო – ჭა გვქონდა და პროდუქტებს იქ ვინახავდით. ჩემმა ცოლმა გაკვირებული თვალებით შეხედა – მაცივარი რატომ არ გაქვთო. იმიტომ, რომ საჭმელი არ გვაქვს – რაც გვაქვს, ყველაფერს იმდღითვე ვჭამთო. გიული მომიბრუნდა და ჩუმად მეუბნება: მამაშენს და დედაშენს უთხარი, ბევრს არ ვჭამო... დედამისი იყო წინააღმდეგი, თუმცა, მართალი იყო ის ქალი. გიულის ძმამ კი, გამოიტანა თავისი დის ტანსაცმელი და ყველა აკუწა. ჩვენ ძმაკაცები ვიყავით, მეც გიტარას ვუკრავდი და ისიც. ჩამოვსხდებოდით მათი სახლის კიბეზე და ვერთობოდით. ექვსი და-ძმა იყვნენ, მაგრამ, გიული და ვაჟა ხელჩაკიდებულები დადიოდნენ, გიჟდებოდნენ ისე უყვარდათ ერთმანეთი. მათთან ვსადილობდი და ვსაუზმობდი. შეიძლება, ხვდებოდნენ კიდეც რაღაცას. ჩვენი ამბავი სრულიად შემთხვევით მოხდა, უცებ, არაფერს არ ვაპირებდით – სიდედრმა ერთი გემოზე მიაწყევლა თავის ქალიშვილს და მეც ზედ მიმაყოლა.

...საერთოდ, ქალი ნატურით არ არსებობს მოღალატე, მოღალატე არის კაცი. მამაკაცებმა თავიანთ თავში უნდა ჩაიხედონ. ჩემმა ცოლმა ბევრი რაღაც მაპატია. ქმრის დღეებით წასვლა და დაკარგვა არ არის იოლი ასატანი და, კიდევ მე უნდა გავბრაზებულიყავი?! ქალი უნდა აქალო, თუ გინდა, აძაღლე – ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. თუ კაცი ფიქრობს იმას, რომ ქალი ხელში უნდა დაიჭირო და გასაქანი არ მისცე, ის კაცი დალუპულია. შეურაცხოფილი ქალი ძალიან საშიშია. ჩემი ცოლი თუ ეჭვიანობდა, ამას არ იმჩნევდა, გულში იცოდა თავისთვის. მერე მე იმწუთას მოვეფერებოდი. ხანდახან ჩემი თავი მეცოდებოდა, იმდენად სენტიმენტალური ადამიანი ვარ. ერთი შემთხვევა იყო: ჩემმა ცოლმა მითხრა, ჩემს ძმასთან მივდივარ და, გადიხარ თუ სახლში იქნებიო. ნაბახუსევი ვიყავი და ვუთხარი, დღეს არსად არ გავდივარ-მეთქი. წავიდა. ცოტა ხანში კარზე კაკუნია. გავიხედე და, ჩემი ძველი ნაცნობი შემრჩა – ვიღაცას ეძებდა და ჩემს კარზე დააკაკუნა, უნდოდა ეკითხა, ეს ადამიანი სად ცხოვრობსო. რომ დამინახა გაგიჟდა. შემოვიპატიჟე. ცოტა ხანს ვიყავით ასე. უცებ, მესმის, ვიღაც კარში გასაღებს უჩხიკინებს. ვიფიქრე, ქურდია-მეთქი. მერე ჩემი ცოლის ხმა გავიგე – მეზობელს ეუბნება, ჯემალი ცოტა ხნის წინ სახლში დავტოვე, არსად წასვლას არ აპირებდა და, ამ კარს რა მოუვიდა ნეტავიო. იმან უთხრა – არსად წასულა, შენი მეგობარი მოვიდა და შინ არიანო. უკან მიდიოდა ჩემი ცოლი და იმან გააჩერა. ამ ქალს ვუთხარი, მოდი, კარის უკან დადექი და რომ შემოვა, უცებ გადი-მეთქი, მაგრამ, კარი რომ გავაღე, გიული გამწარებული შემოვარდა და დაინახა – ამ კახპის გულისთვის არ მიღებდი კარსო? იმ ქალმა უთხრა, არ ვარ, ქალბატონო, მე კახპაო. უცხოეთიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და ძალიან ლამაზი საფერფლე მქონდა ჩამოტანილი. გიულიმ აიღო და ძირს დაახეთქა. აუ, გავშალე მხრები – შენ ვის უბედავ-მეთქი, – ჩხუბის საბაბი მომცა. მერე დაჯდა და მეუბნება: კარგი, რა, ჯემალ, ნამუსიც კარგი საქონელია, კიდევ აქეთ მედავებიო?



... მამაკაცს არ უნდა გინდოდეს მორჩილი ცოლი. ცოლს შენი უნდა სჯეროდეს,



თორემ, ის ქალი გიღალატებს კიდეც, თავის თავსაც დაღუპავს, ოჯახსაც დაანგრევს და მართალიც იქნება. როცა კაცი ცოლზე იტყვის, ერთი გაბედოს და უჩემოდ ფეხი გაადგასო, ეს არის უდიდესი პროვინციულობა. გამოდის, რომ შენი ცოლი ადამიანად არ მიგაჩნია. თუ გაბედა და სხვა კაცთან წავიდა, შენს თავს დააბრალე. ჩემს ცოლს თუ ჩემი რაღაც არ მოეწონა, აუცილებლად მეტყვის, ოღონდ, არა ხალხში. ჩემი სულიერი მოთხოვნილება ყოველთვის იყო და არის ჩემი ცოლის გვერდით ყოფნა. ბევრი გატაცება მქონია და უკვე ვერაფერს შევცვლი. ხანდახან მამაკაცში ცხოველური ინსტინქტები იღვიძებს, მაგრამ, მამაკაცისთვის ეს გატაცებაა და დამთავრდება, ქალისთვის კი არ არის გატაცება – ის ამ ამბის მონა ხდება. ყველა შემთხვევაში ეს ნიშნავს გაბახებას, როგორც ეს სულხან-საბა ორბელიანს აქვს გადმოცემული. მერე ძალიან ძნელია ურთიერთობა და არც გამოდის."

**ეკა პატარაია**

**რა არის ატლასპროფილაქსი? რა იწვევს ხერხემლის პირველი მალის, ანუ ატლასის მდებარეობის შეცვლას და თავის მხრივ, რას იწვევს მდებარეობაშეცვლილი ატლასი? რა სიმპტომები ახასიათებს ატლასის მდებარეობის შეცვლას? ამის შესახებ გვესაუბრება „ატლასპროფილაქს ინ ჯორჯიას“ წარმომადგენელი, ქალბატონი ია გორგილაძე.**

# სხეულის გამაჯანსაღებელი მეთოდი, რომელმაც მსოფლიო შეძრა

– ხერხემლის პირველ მალას ატლასი (ან ატლანტი) ჰქვია. მას არამხოლოდ თავი უჭირავს, არამედ მასზეა მიბმული მთელი ხერხემლის სვეტი. ეს სახელწოდება მას მითიური გოლიათის „ატლანტის“ გამო ეწოდა, რომელსაც, მითოლოგიის თანახმად, ცის თაღი უჭირავს. ატლასი ადამიანების უმეტესობას დისლოცირებული (მდებარეობაშეცვლილი) აქვს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დარღვევები და დაავადებები.

1993-1996 წლებში შვეიცარიელმა რენე კლაუდიუს შუმპერლიმ, რომელიც თავად იტანჯებოდა პირველი მალის დისლოცირების გამო, დანერგა რევოლუციური მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ატლასისთვის სწორი მდებარეობის დაბრუნება, უსაფრთხოდ, ზუსტად და სამუდამოდ.

**– რა იწვევს ატლასის მდებარეობის შეცვლას?**

– დაზუსტებით ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანების 99 პროცენტს ატლასი მალროტირებული აქვს (ანუ მალა გადახრილია მარცხნივ, მოტრიალებულია წინ და ზემოთ, მარჯვნივ და ქვემოთ). ამის მიზეზი შეიძლება, იყოს მშობიარობისას მიყენებული ტრავმა, ავტოავარია, თავის ქალის ტრავმები და ასე შემდეგ.

**– რა სიმპტომები ახასიათებს ატლასის მალროტირებას?**




– მალის მდებარეობის შეცვლა იწვევს როგორც თავის ქალის ხვრელის, ასევე ხერხემლის არხის მოცულობის შემცირებას, რაც დამოკიდებულია გადახრის კუთხეზე. ამგვარად, ზურგის ტვინი, თავის ქალისკენ მიმავალი ნერვები და სისხლძარღვები მუდმივ ზეწოლას განიცდის. ასევე, ატლასის დისლოცირებით გამოწვეულია კისრის კუნთების მუდმივი დაჭიმულობა, რაც, თავის მხრივ, იწვევს საძილე არტერიების და სხვადასხვა სისხლძარღვისა თუ ლიმფური ძარღვების დიამეტრის შემცირებას. შედეგად, თავს იჩენს ისეთი სიმპტომები და დაავადებები, როგორიცაა: დაჭიმულობის შეგრძნება და ტკივილი კეფის არეში, თავის ტკივილი, შაკიკი; კისრის კუნთების, ზურგის, წელის ტკივილი; დისკის თიაქარი, სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ხერხემლის ნერვების მოჭყლეტა და ამასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა, სქოლიოზური მენჯი (მენჯის ძვლების ასიმეტრიული განლაგება), ტკივილი მენჯ-ბარძაყის სახსარში, მუხლების ტკივილი, მენისკისა და მუხლის სახსრების სხვადასხვა დაავადება, სხვაობა ფეხების სიგრძეთა შორის და სხვა.

**– ნუთუ ამდენი პრობლემის მიზეზი სულ რამდენიმე მილიმეტრია?!**

– დიახ, რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს ასეა. დღეს დანამდვილებით ვიცით, რომ კისრის პირველი მალა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობისა და გონებრივი სიჯანსაღის შენარჩუნებაში. ის კარს ჰგავს, რომელშიც თავის ტვინიდან გამომავალი ნერვები და ნერვული დაბოლოებები, სისხლძარღვები, ზურგის ტვინი და ზურგის ტვინის სითხე გადის. მდებარეობაშეცვლილი ატლასი აფერხებს სისხლის მიმოქცევას თავის ტვინში. ამიტომ, თავის ტვინი ან ზღუდავს სხეულისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან ცრუ ინფორმაციას აწვდის. ამგვარად, მთელ ორგანიზმში ბალანსი ირღვევა. მდებარეობაშეცვლილი ატლასი იწვევს ხერხემლის არასტაბილურობას, რაც გამოიხატება ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებებითა და სიმპტომებით. ატლასის მდებარეობის შეცვლა, ასევე, ცუდად აისახება კუნთოვან სისტემაზე, თვალებზე, ყურებზე, ყბაზე, ვესტიბულარულ აპარატსა და შინაგან ორგანოებზე. პირველი მალის მდებარეობის შეცვლის გამო ხერხემალი ახდენს კომპენსირებას მენჯებს შორის ორი ძვლის შემობრუნების ხარჯზე, რის შედეგადაც ყალიბდება ქოქსართროზი. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ადამიანები იტარებენ სხვადასხვა გამოკვლევას, დადიან კონსულტაციაზე სხვადასხვა სპეციალისტთან, ხარჯავენ უამრავ ფულს წამლების შესაძენად, მასაჟისა და ფიზიოთერაპიის პროცედურების ჩასატარებლად და ასე შემდეგ, მაგრამ ამაოდ. თუ ატლასი არ ზის თავის ბუნებრივ ადგილზე (ანუ თავის ქალა – ატლასის სასახსრე ფოსოში) ამგვარი ჩარევები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. ფაქტია, რომ სწორ მდგომარეობაში მყოფი ატლასი უნარჩუნებს ხერხემალსა და მთელ სხეულს ჯანმრთელობას, ადამიანს უყალიბებს ტანდეგობას და აძლევს საშუალებას, დატკბეს სრულფასოვანი ცხოვრებით!

**– როგორ ტარდება „ატლასპროფილაქსის“ პროცედურა და რამდენად უსაფრთხოა?**

– ა) ეს არის არასამედიცინო ვიბრომასაჟის პროცედურა. ის ტარდება „ატლასპროფილაქსველნესვიბ“ აპარატით. ამ პრეცედურის დროს ზემოქმედება ხდება მხოლოდ კეფის კუნთებზე, რის შედეგადაც კუნთები დუნდება და პირველი მალა უბრუნდება მისთვის განკუთვნილ ადგილს. ამდენად, აღნიშნული მეთოდი სრულიად უსაფრთხოა.

ბ) ატლასპროფილაქსმეთოდი დაპატენტებულია შვეიცარიაში და მთელ მსოფლიოში აღიარებულია, როგორც უსაფრთხო და ეფექტური არასამედიცინო პროცედურა. მას უკეთებენ ახალშობილ ბავშვებსაც კი. მილიონობით ადამიანმა მთელს მსოფლიოში ჩაიტარა ატლასპროფილაქსი და გათავისუფლდა დიდი ხნის პრობლემებისა და ტკივილებისგან.

გ) ატლასპროფილაქსპროცედურა უსაფრთხოდ ტარდება მხოლოდ სპეციალისტის მიერ, რომელსაც ატლასპროფი ეწოდება და რომელმაც სპეციალური მომზადება გაიარა შვეიცარიის აკადემიაში ან მის რეგიონალურ წარმომადგენლობაში.

**– რამდენი პროცედურაა საჭირო?**

– ერთადერთი პროცედურა ცხოვრებაში! საქმე ისაა, რომ თუ ატლასი ერთხელ ჩაჯდა თავის სასახსრე ფოსოში, ანატომიური და ფიზიკური (თავის წონა, დედამიწის მიზიდულობის ძალა, კისრის კუნთოვანი სისტემის ზემოქმედების ძალა) მიზეზების გამო, ის ველარ უბრუნდება თავის ძველ ადგილმდებარეობას.

**– რა შედეგები მოჰყვება ატლასის გასწორებას, ანუ სწორ პოზიციაში დაბრუნებას?**

– ატლასპროფილაქსით ხდება ხერხემლის დაავადებების მიზეზის აღმოფხვრა მაშინ, როცა კლასიკური მედიცინა ებრძვის ამ დაავადებების შედეგს. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე ამბობდა, რომ მხოლოდ დაავადების მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ იყო შესაძლებელი, დაავადების სრული განკურნება. რადგანაც პირველი მალა ადამიანის ჩონჩხის სიმეტრიის ღერძს წარმოადგენს, მისი სწორ პოზიციაში დაბრუნება, იწვევს მხრების, მენჯისა და ორივე ფეხის სიმეტრიულ განლაგებას. რადგან ხერხემლის დანარჩენი მალები ატლასზეა მიბმული, მისი სწორ პოზიციაში ყოფნა, იწვევს ხერხემლის სვეტის ასევე სწორ პოზიციაში თანდათანობით დაბრუნებას. რადგანაც თავის ტვინში მიმავალი არტერიები აღარ განიცდის წნეხს, მას მიეწოდება საკმარისი რაოდენობის სისხლი (და, შესაბამისად, ჟანგბადი). ტვინი იწყებს კვლავ ნორმალურად ფუნქციონირებას, რაც იწვევს რეგენერაციისა და თვითრეაბილიტაციის პროცესის დაწყებას. ეს პროცესი ზოგ შემთხვევაში იწყება მეორე დღესვე, ზოგ შემთხვევაში კი 2-3 კვირის შემდეგ (პაციენტს ეხსნება ტკივილები, იშლება მხრებში, გრძნობს სიმსუბუქეს მთელ სხეულში და ასე შემდეგ) და გრძელდება მინიმუმ 6 თვეს. რთულ შემთხვევებში, რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება რამდენიმე წელი. მაგალითად, სქოლიოზისა და ოსტეოქონდროზის შემთხვევაში, პროცესი ჯერ სტაბილურდება, შემდეგ მიდის კუნთოვანი სისტემის გადაწყობა და პარალელურად, იწყება დისკების აღდგენა. ეს, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი პროცესია. უჯრედებისა და ორგანოების რეგენერაცია მყისიერად არ ხდება. ორგანიზმის რეაქცია პროცედურაზე ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. თუ ზოგის შემთხვევაში ჯანმრთელობის აღდგენა სწრაფად ხდება, მათ – ვისი ორგანიზმიც არასდროს ფუნქციონირებდა სრულფასოვნად – მეტი მოთმინება მართებთ. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა დაავადება მეტისმეტად გამწვავებულია, ხანგრძლივად დაავადებულ ორგანიზმს კი შეიძლება, აღარ აღმოაჩნდეს რესურსი თვითრეაბილიტაციისთვის.

**– არის თუ არა ასაკობრივი შეზღუდვა?**

– ატლასპროფილაქსი შეიძლება ჩატარდეს 80 წლამდე ასაკში. რადგანაც ამ პროცედურის წყალობით ხდება ორგანიზმის ჰარმონიული განვითარება როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ დონეზე, სასურველია, ატლასპროფილაქსი ჩაუტარდეს ბავშვებს ადრეულ ასაკში, რაც მომავალში მათი ჯანმრთელობის საწინდარი იქნება.

**– სად მდებარეობს „ატლასპროფილაქს ინ ჯორჯიას” ცენტრი?**

– მისამართი: მცხეთის ქუჩა №6, ოფ. 2. ტელ: 224-20-80, 599 48-44-52;

**– რა ღირს პროცედურა?**

– ზრდასრულებისთვის – 600 ლარი, და 16 წლამდე ასაკისთვის – 450 ლარი, რაშიც შედის ზემოაღნიშნული 2 (ან სამი) ვიზიტი, პროცედურა და ერთი სარელაქსაციო მასაჟი. კონსულტაცია უფასოა და ხდება წინასწარი ჩაწერით.

**„ატლასპროფილაქსინჯორჯია“ 31 ოქტომბრიდან გადავდივართ ახალ მისამართზე:**
**მცხეთის ქ. 6,ოფ. 2. (მრგვალ ბაღთან)**
**ტელ. 224-20-80. მობ. 599484452.**
**ამასთან დაკავშირებით ვაცხადებთ უპრეცედენტო 25-პროცენტიან ფასდაკლებას ატლასპროფილაქს-გამაჯანსაღებელ პროცედურაზე!**
**ფასები: ზრდასრულებისთვის – 450 ლ.**
**16 წლამდე ასაკში – 350 ლ.**

**ვისაც დაკვირვებული თვალი აქვს, ის ადვილად ხვდება, გარშემო რა ხდება, საიდან ელის საფრთხე, როგორ მიაღწიოს წარმატებას, საით გადადგას ნაბიჯი, რომ გაუმართლოს და ასე შემდეგ; ბევრი კი ბედზეა მინდობილი, ყოველდღიური ცხოვრებით კმაყოფილდება და არც წინ იხედება და არც იმას დარდობს, რა მოხდება ხვალ. როგორც პარაფსიქოლოგი და ეზოთერიკოსი, ქალბატონი ნაირა ამბობს, თუ ფხიზელი თვალით შეხედავ გარემოს, ადვილად დაინახავ, რა გელის, როგორ უნდა იმოქმედო, რისგან დაიცვა თავიც და საკუთარი ახლობლებიც.**

# რა საფრთხეს უქმნის ადამიანს საიტებზე გამომზეურებული ფოტოები და შესაძლებელია თუ არა ამ გზით გათვალვა და წარმატების დაბლოკვა

**ნაირა**: მიყვარს დაკვირვებული ადამიანები, რომლებიც, კონკრეტულ ნაბიჯს გააზრებულად დგამენ და, შესაბამისად, პრობლემებსაც ადვილად არიდებენ თავს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ისე ვერავინ გიბოროტებს და გავნებს, როგორც საკუთარი თავი. ამ სიტყვებში უდიდესი სიმართლეა. ბევრი მეკითხება, მომავლის განჭვრეტა რთულია და ამას ვერავინ შეძლებს, მაგრამ, როგორ დავგეგმოთ საკუთარი ცხოვრება და თითოეული ნაბიჯი, რომ მომავალში წარმატებულები და ბედნიერები ვიყოთო. როგორ და, ცოტა გამოცდილ ხალხსაც უნდა დაუჯეროთ, ბატონო, ცოტა საკუთარ ინტუიციას ენდოთ, ცოტაც პარაფსიქოლოგიური რჩევები გაითვალისწინოთ და, რაც მთავარია, უანგაროდ აკეთოთ ბევრი სიკეთე – ეს არის ჩემი პასუხი.

**– დღეს საიტებზე უამრავ ფოტოს დებენ და მათი ნახვა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. პირად საუბარში აღნიშნეთ, ეს ძალიან სახიფათოა ადამიანისთვისო. რას ნიშნავს თქვენი სიტყვები, იქნებ, კონკრეტულად განმარტოთ?**



– დიახ, დღეს მოდაშია სხვადასხვა პოზაში გადაღებული, საკუთარი ფოტოების ინტერნეტით გამომზეურება. ისინი, შეიძლება, ნებისმიერმა ადამიანმა ნახოს და შეაფასოს, რაც ძალიან საშიშია. მას, შესაძლოა, ისეთი თვალი მოხვდეს, რომელიც ცხოვრებაში ხელს მოგიცარავთ, უკან დაგხევთ და წარუმატებლობისკენ გიბიძგებთ. ბავშვების სურათების საიტებზე დადებას კი საერთოდ გიკრძალავთ, თუ თქვენი შვილების კეთილდღეობა და ჯანმრთელობა გსურთ. საერთოდ, ფოტოსურათი ძალიან სათუთი რამაა. ის უბრალო გამოსახულება ნუ გგონიათ, მასზე მთელი თქვენი განცდა, აურა და ხასიათიც კი გადადის და, შემდგომ, შესაძლოა, ის თქვენი ცხოვრების წინასწარმეტყველიც კი გახდეს. საოჯახო ალბომი, რომელიც ყველა სახლში ინახება, უამრავ სახესა და ისტორიას ინახავს, გვახსენებს ბედნიერ დღეებს, წუთებსა და წამებს, ზოგი მათგანი კი სევდასაც გვგვრის. ის, რასაც თქვენ, ჩვეულებრივი ადამიანები, სურათზე ვერ ამჩნევთ, პარაფსიქოლოგების თვალთახედვას არ ეპარება – მათი დაკვირვებული თვალი ყველაფერს ხედავს და ამჩნევს. ვაკვირდები უცნობი ადამიანების ფოტოებს და უამრავ საიდუმლოს მიმხელენ ისინი – ყოველი მათგანი თითოეული ადამიანის ენერგეტიკული ასლია. ფოტო იჭერს და აფიქსირებს კიდეც პარალელურ განზომილებებს გადაღების მომენტში და შემდეგ მას ფოტოზე მინიშნებების სახით აღბეჭდავს.

**– ამ მინიშნებების ფოტოსურათზე ამოკითხვა ჩვენც შეგვიძლია?**

– რასაკვირველია, შეგიძლიათ, თუ დაკვირვებული თვალი გაქვთ. ეს მინიშნებები ლაქებისა და უცნაური ფორმების სახით ჩნდება დაბეჭდილ სურათზე. ასეთი ბევრი მინახავს მობილური ტელეფონით გადაღებულ სურათებზეც და, მას, როგორც წესი, მისი პატრონი ყურადღებას არ აქცევს – ჰგონია, გადაღების დეფექტია, მაგრამ, ცდება. ეს სერიოზული მინიშნებებია, ოღონდ, მისი ამოკითხვა და გაშიფვრა უნდა შეგეძლოს, მაგალითად, რომელ კუთხეშია, რომელი ადამიანის თავზე, სხეულზე, ან სიახლოვესაა და რომელი მხრიდან. როგორც გითხარით, ფოტოზე აღბეჭდილი უცნაური გამოსახულებები და ლაქები სპეციალისტებისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას ასახავს. ფირი ხანდახან თვალით უხილავ სამყაროს აფიქსირებს. მეცნიერები, ეზოთერიკოსებთან და პარაფსიქოლოგებთან ერთად, უკვე წლებია, ამ საკითხით დაინტერესდნენ და იკვლევენ არაერთ მსგავს შემთხვევას. მართალია, ჯერჯერობით დასკვნების გაკეთებისგან თავს იკავებენ, რადგან, ახალ-ახალი ფაქტები და მოვლენები ყოველდღიურად ხდება. დაკვირვებები არ დასრულებულა, გეტყვით, რომ, ერთი საკითხია – დაკვირვება ფოტოზე, მეორეა გააზრება და დაჯერება და მესამეა – ახდენა. თინეიჯერი გოგონა მყავს, ნანა. ამ ზაფხულს თანაკლასელთან ერთად იყო დასასვენებლად წასული სოფელში. მისი თანაკლასელის ბებია კახეთის ერთ-ერთი რაიონიდანაა, კარგად ვიცნობ ამ გოგონას ოჯახს და, ისე გავუშვი, არც მინერვიულია. ბევრი რომ არ გავაგრძელო, კარგად დაისვენეს ბავშვებმა და ორ კვირაში ჩამოვიდნენ. ჩემი გოგონა მიყვებოდა, როგორი დრო გაატარა, სად დადიოდა, რას აკეთებდა, ვინ გაიცნო. მეც ვუსმენდი. ამ მოყოლის დროს, თან მობილურით გადაღებულ სურათებს მაჩვენებდა. უცებ, ერთ-ერთ სურათზე, მისი მეგობრის თავზე, შევნიშნე პატარა შავი ბურთულა. არ მესიამოვნა. დავაკვირდი და მივხვდი, რაღაც პრობლემასთან მქონდა საქმე. ვთხოვე ჩემს გოგონას, ეს სურათი დაბეჭდე და მომიტანე-მეთქი. მეორე დღესვე დაბეჭდა. დავაკვირდი და მივხვდი, რომ მის მეგობარს ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული პრობლემა ჰქონდა. ჩემს გოგონას ვკითხე, ანასტასია თავს ხომ არ იტკიებდა-მეთქი. მიპასუხა, თავსაც იტკიებდა და დროდადრო ცხვირიდან სისხლიც წასკდებოდა ხოლმეო. არ მითქვამს ნანასთვის, ფოტოზე არ მომეწონა შენი მეგობრის მომავალი-მეთქი, მაგრამ, თავად მიხვდა, ისეთი გამომეტყველება მქონდა. მკითხა კიდეც, რატომ დამაბეჭდინე ეს სურათიო, მაგრამ არაფერი მითქვამს. ზუსტად ერთი თვის წინ ნანა ატირებული მოვიდა, ანასტასია დღეს სკოლაში არ მოვიდა, საავადმყოფოში დააწვინეს, ძალიან ცუდად არის, თავში პრობლემები აქვსო. მართლაც, სერიოზული პრობლემა აღმოაჩნდა და, ღმერთის იმედით, მკურნალობა დაიწყეს. ეს ხომ მე არ მომიგონია? ფაქტი მოგიყევით, ანუ ის, რაც ფოტომ აღბეჭდა ლაქად, წინასწარმეტყველების ნიშნად.

**ხშირად, ფირი თვალით უხილავ სამყაროს აფიქსირებს და ის დაბეჭდილ სურათზე თვალნათლივ ჩანს**

**– ზოგი პარაფსიქოლოგი სურათის საშუალებით ბევრ რამეს იგებს უცნობ ადამიანზე. ეს როგორ ხდება?**

– ეს, რასაკვირველია შესაძლებელია. ზოგს მიაჩნია, რომ ფოტო, უბრალოდ, ფირზე, მობილურზე ან ქაღალდზე აღბეჭდილი გამოსახულებაა და სხვა არაფერი; არადა, რეალურად ის ცოცხალი ორგანიზმია, ადამიანის ენერგეტიკული ასლია და მასთან ურთიერთობა ლამის ცოცხალ ადამიანთან ურთიერთობის ტოლფასია. გირჩევთ, ფრთხილად მოექცეთ მას. ნურც არასასიამოვნო და შურიან ადამიანს ჩაუგდებთ თქვენს ფოტოს ხელში და ნურც უცხოსთან ერთად გადაიღებთ სურათს; ასევე, მოერიდეთ მის დახევას, დაწვასა და დაჭრას – ამას, შესაძლოა, ცუდი შედეგი მოჰყვეს. თან შესაძლოა, გადაგდებულ ფოტოს თქვენი ბედიც გააყოლოთ; დაჭრილ ფოტოსთან ერთად თქვენი ბედნიერებაც შეამოკლოთ, სურათის დაწვით კი პირად ცხოვრებაში შეიქმნათ პრობლემა. ამ საქციელით, საყვარელი ადამიანების დაკარგვაც არ არის გამორიცხული. დავხედავ თუ არა ფოტოს, მაშინვე ვხვდები, ადამიანი ცოცხალია თუ გარდაცვლილი. ცოცხალი ადამიანის აურა თბილია, გარდაცვლილის კი – ცივი. ხელს რომ მოვატარებ სურათს, თუ იქიდან სითბოს ვგრძნობ, ესე იგი ცოცხალია, თუ სიცივეს – გარდაცვლილი. ერთი ქალი მაკითხავდა წლების წინ და შვილის ფოტო მოჰქონდა. რომ ვეკითხებოდი, რა პრობლემა გაწუხებთ-მეთქი, ხმას არ იღებდა, მარტო იმას მეუბნებოდა, თუ მაგარი ხარ, თავად მიხვდიო. არადა, სურათებზე მის შვილს შუბლზე რაღაც უცნაური წერტილები აჩნდა. ერთ ფოტოს ხელს რომ გადავატარებდი, სითბო მოდიოდა, მეორიდან კი – სიცივე. დავიბენი, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. ბოლოს ვუთხარი, ქალბატონო, დავიბენი, ერთი სურათი სხვა რამეზე მეტყველებს, მეორე კი სხვაზე და ვერაფერს გეტყვით-მეთქი. გამომიტყდა, ჩხუბში დაჭრეს, უკვე თვეებია, აპარატზეა შეერთებული და, მაინტერესებს, გადარჩება თუ არაო. როგორც მივხვდი, ის ბიჭი არც ცოცხლებში იყო და არც გარდაცვლილებში, თუმცა, ფოტოებზე აღბეჭდილი წერტილებით მივხვდი, რომ, სამწუხაროდ, დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. ზოგჯერ სურათზე ისეთი ენერგეტიკული სუბსტანცია ჩნდება, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანი თვალით ვერ აღიქვამს; ასევეა ლაქებიც, რომლებიც ხანდახან რაღაც უჩვეულო ფორმას იღებს და ისე აღიბეჭდება ფოტოსურათზე. სხვათა შორის, მობილურით გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოზე თავად მაქვს ნანახი უცნაური დიდი შავი ლაქა, თუმცა, რატომღაც, ჩავთვალე, რომ ეს ცუდი გადაღების ბრალი იყო. ტელეფონის პატრონი კი ამტკიცებდა, რომ ფოტო არაერთხელ გადაიღო და ეს ლაქა ყველა გადაღებისას აღიბეჭდებოდა, თანაც, უცნაური ფორმა ჰქონდა. ფაქტია, ლაქა, ისევე, როგორც სუბსტანციები, ენერგეტიკული წარმონაქმნია, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში ადამიანის თვალისთვის უხილავ სპექტრში არსებობს. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, გადაინაცვლებს ხოლმე იმ სპექტრში, რომლის დაფიქსირებაც მობილურ ტელეფონს შეუძლია.

**ნონა დათეშიძე**

## რისკის გარეშე

ცხოვრება რთულია. ზოგჯერ აუცილებელია, წახვიდე რისკზე და გადადგა გაბედული ნაბიჯი. ქალსაც მოეთხოვება გონივრული რისკიდან უკან არდახევა. შეიძლება, ცხოვრება ურისკოდ მშვიდია, მაგრამ, უინტერესო... თუმცა, არის მომენტები, როცა რისკი გაუმართლებელია, მით უმეტეს, როცა ვერ ვხვდებით, როდის მივდივართ ამ რისკზე.

მაგალითად, რისკია, როცა ცდილობ, ცხვირი ჩაყო სხვის პირად ცხოვრებაში, გაქექო და სააშკარაოზე გამოიტანო ის, რაც სხვისი საკუთრებაა; რისკია სურვილი და მცდელობა ადამიანებით მანიპულირებისა, მით უმეტეს, როცა ეს კარგად არ გამოგდით და ისინი ხვდებიან თქვენს სურვილს. ადამიანით მანიპულირება რომ შეძლო, თანაც შეუმჩნევლად, ძალიან კარგი ფსიქოლოგი უნდა იყო, კარგად უნდა გრძნობდე ადამიანის ინდივიდუალურ ხასიათს და ბოლომდე გესმოდეს მისი. გააკეთეთ კონცენტრირება საკუთარ ცხოვრებაზე – ეს რისკის გარეშეა. „იმოძრავეთ“ პირად სივრცეში და ნუ შეაწუხებთ სხვას. ლოგიკა ყველაფერში საჭიროა, განსაკუთრებით – ულოგიკო ყოველდღიურობაში. რისკით ცხოვრება საინტერესოა, მაგრამ საშიშია თავისი არაპროგნოზებულობით. ისწავლეთ გულწრფელობა. ნუ იქნებით ხელოვნური და ნუ დაუწყებთ ხიფათს ძებნას იქ, სადაც ისედაც დიდია მისი არსებობის ალბათობა.

რისკის გარეშე არ არსებობს არანაირი ურთიერთობა, მაგრამ რისკს გამართლება უნდა ჰქონდეს – იფიქრეთ ამაზე, სანამ არჩევანს რისკიან ნაბიჯსა და რისკის გარეშე ცხოვრებას შორის გააკეთებთ.

## სიყვარულით დამპყრობელი

ქალის გარეშე სიყვარული წარმოუდგენელია. გავიხსენოთ, რა ერქვა სიყვარულის ქალღმერთს? – აფროდიტე. როგორი უნდა იყოს დღეს თანამედროვე აფროდიტე, რომ მან ადვილად მონადიროს მამაკაცების გული?

მოთხოვნების ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია. თანამედროვე მამაკაცები ძალიან კაპრიზულები და ჭირვეულები გახდნენ. კაცს უნდა, მისი პარტნიორი იყოს კარგი მოსაუბრე და ესმოდეს მამაკაცური „მძიმე“ იუმორი. ამ ყველაფერთან ერთად, კაცს ქალში მოსწონს მისი ბუნებრივი სექსუალურობა, უნარი – მოხიბლოს და მოაჯადოვოს მამაკაცი. ქალს სთხოვენ, ასევე, მეგობრულობას, ემოციურობასა და გაწონასწორებულობასაც კი. ერთი სიტყვით, იყო მამაკაცის მოსაწონი და სასურველი ქალი, ძალიან რთულია. მუდმივად თვითკონტროლი ყველასთვის მარტივად შესასრულებელი არ არის. არ აჰყვე იმპულსებს და დარჩე მშვიდი მაშინაც კი, როცა შენში ვნებები ღელავს და ბობოქრობს, მხოლოდ საკუთარ თავზე ხანგრძლივად მუშაობით მიიღწევა... დიახ, უნდა იყოთ დამპყრობელი, მაგრამ, მხოლოდ სითბოთი და სიყვარულით, მოთმინებითა და ნაბიჯნაბიჯ, რომ „მსხვერპლი“ ვერც მიხვდეს თავის მდგომარეობას. იყავით თავისუფალი ინტრიგებისგან – შინაგანი თავისუფლება საშუალებას მოგცემთ, „მოერგოთ“ იმ ფორმულას, რომელიც ყველა მამაკაცისთვის სასურველს გაგხდით.

თვითკონტროლი იმის საშუალებასაც მოგცემთ, თავიდან აირიდოთ უსიამოვნო სიურპრიზები. გახსოვდეთ: შეიძლება, თქვენ დამპყრობელი ხართ, მაგრამ, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით...

## თავისუფლებისმოყვარე ქალღმერთი

თავისუფლებისმოყვარე ქალებს ძალიან უჭირთ, იპოვონ ცხოვრების ისეთი თანამგზავრი, რომლის გვერდით კომფორტულად და ბედნიერად იგრძნობენ თავს. მოსწონთ „თამაში“ სხვის ტერიტორიაზე – ეს მათ ხასიათში დევს. მიაჩნიათ, რომ ასე გაცილებით საინტერესოა. ისინი ვერაფრით ვერ იქნებიან ფისოებივით ნაზები და მოკრუტუნეები. მათი მიზნები ემსახურება პირად წინსვლასა და წარმატებას, თანაც, ისინი ირჩევენ სწორხაზოვან, პირდაპირ კურსს, რაც მათ ურთიერთობას ურთულებს პარტნიორთან.

ამ კატეგორიის ქალების ბედნიერების რეცეპტი ასეთია: უპირველესად, უნდა ჰქონდეთ წარმატებული კარიერა და არად დაგიდევენ სხვა ადამიანების აზრს; სჭირდებათ ჭკვიანი, ბრძენი, კეთილგონიერი და მშვიდი მამაკაცი. ის გამოცდილიც უნდა იყოს, რომ დაიპყროს თავისუფლებისმოყვარე ქალის გონება და არა გული, რადგან ის გონებით იღებს გადაწყვეტილებას. კაცს უნდა ეყოს იუმორიც, მოთმინებაც და წინდახედულებაც, სხვა შემთხვევაში, ის მასთან არ იქნება. ყველაზე მთავარი კი ინტელექტი და ტაქტია – სწორედ ამ ორ მნიშვნელოვან ფაქტორს ანიჭებს თავისუფალი, წარმატებული ქალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას... და, ნუ ელით მისგან მძაფრ ემოციებს – თავის გრძნობას ის არასდროს გახდის თვალსაჩინოს.

## სიბრძნე სისუსტისა...

ქალი საკმაოდ ჭკვიანი, ბრძენი და, რაც მთავარია, მიწიერი არსებაა. ქალი რომ არ გაჩენილიყო, არავინ უწყის, როგორ წარიმართებოდა მამაკაცის ცხოვრება. ის ან კოსმოსში იფრენდა, ან საერთოდ არ გამოვიდოდა გამოქვაბულიდან. ქალი, სჯერათ თუ არა ეს პატივცემულ მამაკაცებს, პრაქტიკულია და ანგარიშიანი (ამ სიტყვის კარგი გაგებით). როცა სჭირდება, გრძნობისა და ემოციის კონტროლიც შეუძლია... თუ ზოგჯერ ქალების მიმართ ისმის ისეთი ეპითეტები, როგორიც არის „ანჩხლი“, „საბედისწერო ქალი“, „პრეტენზიული თოჯინა“, „უჭკუო“ – ეს იმას ნიშნავს, რომ კაცები ჯერ კიდევ ძალიან ცუდად იცნობენ ქალებს. ხდება ისე, რომ რომანტიკას კლავს ყოველდღიურობა და ქალი იძულებულია, აღარ იყოს სუსტი. არადა, სისუსტე, თუნდაც გამოგონილი და ხელოვნური, ქალიან საჭიროა. მამაკაცებს მოსწონთ, როცა „სუსტის“ ფონზე ძლიერები ჩანან. ქალური სიბრძნეც ის არის, რომ საჭირო მომენტში საჭირო დოზით გამოავლინოს ეს სისუსტე. მიეცით თავისუფლება ემოციებს მაშინ, როცა ამის აუცილებლობაში იქნებით დარწმუნებული. სიამაყე მთავარია, მაგრამ, ის არ უნდა გადაიქცეს უაზრო ატრიბუტად. დააკვირდით, ზოგიერთი ქალი როგორ ოსტატურად იყენებს სისუსტეს, როგორც იარაღს, თუმცა, ამას ერთეულები ახერხებენ. თუ ეს არ შეგიძლიათ, ის მაინც შეძელით, იყოთ სუსტი და ბრძენი მაშინ, როცა კაცი თქვენგან ამას ელის.

## ცხოვრება ცხოვრებისთვის

ყოველთვის შეეცადეთ, იცხოვროთ საკუთარი ცხოვრებით და არა სხვა ადამიანების ზეგავლენით, რადგან, შეიძლება, ისინი ცდებოდნენ – იფიქრეთ ამაზე. სრული უფლება გაქვთ, აკეთოთ ის, რაც მართლა გინდათ, რომ აკეთოთ. პრობლემას ამით არავის შეუქმნით, თუკი თქვენი ჰობი თუ საქმიანობა გარშემო მყოფების ინტერესებს არ შეავიწროვებს. ვინც არ იცის, როგორია ცხოვრება ცხოვრებისთვის, ის ვერასდროს იქნება ბედნიერი და ვერ განიცდის სიხარულს ერთი მშვენიერი დღით. ქალს შეუძლია, მაშინაც კი, როცა მარტოა, მოძებნოს საინტერესო საქმე და გაიმრავალფეროვნოს ნაცრისფერი ყოველდღიურობა. ამით ის იმაღლებს თვითშეფასების კრიტერიუმს, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. გარდა ამისა, თუ ქალმა იცის, რა არის ცხოვრება ცხოვრებისთვის და ახერხებს, ასე იცხოვროს, მაშინ მის გვერდით ყოფნა ნებისმიერ მამაკაცს აინტერესებს.

არასოდეს იტვირთოთ იმაზე მეტი პასუხისმგებლობა და არ აიღოთ საკუთარ თავზე იმაზე მეტი საქმე, ვიდრე გევალებათ ან ითხოვენ თქვენგან. ისწავლეთ, რაღაც-რაღაცეებს ყურადღება არ მიაქციოთ, რომ მერე არ იწუწუნოთ; და კიდევ: ნუ ეცდებით თქვენი საყვარელი ადამიანის გადაკეთებას, აღზრდასა და გაწვრთნას, მით უფრო – ძალისმიერი მეთოდებით. შეიძლება, მამაკაცი მართლაც ბავშვია, მაგრამ მას საშინლად არ მოსწონს, როცა უზნეო ბავშვივით ექცევიან. როგორი სუსტი და რბილი ხასიათიც არ უნდა ჰქონდეს, მას მაინც უნდა, აღიაროს ქალმა მისი, როგორც პარტნიორის უპირატესობა და აცადოს, იცხოვროს ცხოვრებისთვის...



გვერდი მოამზადა **ნინო წულუკიძემ**

# კომპლექსური დიეტა

*ამ დიეტის დაცვისას უნდა იკვებოთ დღეში 5-6-ჯერ და ყოველ ჯერზე მიირთვათ ყველა სახის პროდუქტი: ხორცეული, თევზეული, რძის ნაწარმი, ბურღულეული, პარკოსნები, ხილი და ბოსტნეული. გთავაზობთ ერთი დღის ნიმუშს (შეგიძლიათ, ყოველ მომდევნო დღეს ზოგიერთი პროდუქტი სხვა მსგავსი ინგრედიენტით ჩაანაცვლოთ):*



**პირველი კვება**

უზმოზე – 1 ჩაის ჭიქა გადადუღებული, ოთახის ტემპერატურის წყალი (პატარა ყლუპებით).

ნახევარი საათის შემდეგ – 1 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 ფირფიტა „ხლებცი“, 1 ჭიქა უშაქრო კომპოტი.

**მეორე კვება**

100 გრამი ხაჭო, 1 ჭიქა უშაქრო მწვანე ჩაი, 100 გრამი უცხიმოდ მოხარშული წიწიბურა.

**მესამე კვება**

200 გრამი მოხარშული მჭლე ხორცი (ფრინველის ან საქონლის) ცოცხალი ან მოშუშული ბოსტნეულის გარნირით, 1-2 ფირფიტა „ხლებცი“, 1 ჭიქა უცხიმო მაწონი ან კეფირი.

**მეოთხე კვება**

200 გრამი მოხარშული თევზი მაკარონის გარნირით; ხილის ასორტი; გაზგასული მინერალური წყალი.

**მეხუთე კვება**

მოხარშული ბოსტნეულის ვინეგრეტი; 1 ნაჭერი მჭადი და 1 ნაჭერი უმარილო ყველი; ახალგამოწურული ხილის წვენი.

**მეექვსე კვება**

2 სადილის კოვზ „ჰერკულესს“ დაასხით მდუღარე წყალი. კარგად რომ დალბება, შეურიეთ წვრილად დაჭრილი ვაშლი, ბანანი და ფორთოხალი (ან ნებისმიერი სხვა ხილი) და 1 ჩაის კოვზი თაფლი; 1 ჩაის ჭიქა უშაქრო მწვანე ჩაი; აირღუმელში გამომცხვარი 1 ცალი ვაშლი ან 1 ცალი კომში.

დღეში ერთხელ, შეგიძლიათ, მიირთვათ შავი (მწარე) შოკოლადის პატარა ნატეხი და 1 ფინჯანი უშაქრო (ნალექიანი) ყავა.

ასევე, დასაშვებია, ყოველ კვებაზე დაიმატოთ თითო პატარა ნაჭერი უმარილო ყველი.

თუ ძალიან მოგენატრათ ტკბილეული, გააკეთეთ უშაქრო და უცხიმო კრემი, შეურიეთ სხვადასხვა სახეობის დაჭრილი ხილი და ცოტა თაფლით დაატკბეთ.

ბოლო კვება არ უნდა გადააცილოთ 19 საათს. თითოეულ ჯერს შორის შუალედი კი არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს.

წარმატებას გისურვებთ!

# დახვეწილი მაკიაჟი – შავგვრემანი კანისთვის

ბრინჯაოსფერი კანი – იდეალური ფონია მაკიაჟისთვის. თუ თქვენ იყენებთ კოსმეტიკას მინიმალური რაოდენობით, მთელ სახეზე გადაისვით რუჟის ეფექტის მქონე ფლუიდი; ყვრიმალებზე, საფეთქლებთან და წარბების ქვეშ კი – ოდნავ მბზინავი ბრინჯაოსფერი პუდრი. ტუჩებისთვის გამოიყენეთ ატმისფერი ან ვარდისფერი „ბლესკი“ პერლამუტრით. მაგრამ, თუ სადღესასწაულო საღამოზე აპირებთ წასვლას, წაისვით ალუბლისფერი პომადა – გარდა იმისა, რომ ეს ფერი სეზონის ტრენდია, ის ძალიან უხდება მუქ კანს. თუ არ გსურთ, რომ ტუჩის საცხი ძალიან მკვეთრი გამოვიდეს, წაისვით პატარა ფუნჯით.



მნიშვნელოვანი ნიუანსია თვალები. მუქი კანისა და ალუბლისფერი პომადის ფონზე, შეგიძლიათ, საერთოდ უარი თქვათ თვალების „ჩრდილზე“ – ეს გააუბრალოებს თქვენს ვიზუალს. იკმარეთ მხოლოდ წამწამების ტუშში (ორჯერ წაისვით, რომ მოცულობა გაიზარდოს) და პატარა „ისარი“ თვალების გარეთა კუთხეებში.

სახეზე ტონალური კრემი ან პუდრი ისე წაისვით, რომ სახის კანის ფერი ყელთან შედარებით ძალიან მუქი არ გამოვიდეს, თორემ, თქვენი მაკიაჟი ნიღაბს დაემსგავსება. ფერის განსხვავების შესამცირებლად, შეგიძლიათ, ყელზეც გადაისვათ პუდრის ან ტონალურის ძალიან თხელი ფენა, ოღონდ ისე, რომ ტანსაცმელზე არ გადავიდეს.

თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, მაკიაჟის წასმის დასრულების შემდეგ სახეზე დაიფინეთ სპეციალური კოსმეტიკური (ან ჩვეულებრივი) ხელსახოცი და ხელის მსუბუქი დაჭერით შეიშრეთ.

ასეთ მაკიაჟს ნებისმიერი ვარცხნილობა მოუხდება, მაგრამ, უფრო ელეგანტური იქნებით, თუ სადა, კლასიკურ ვარცხნილობას გაიკეთებთ – გვერდზე ან შუაში გაყოფილი, გადაწეული და უკან, კეფის ქვემოთ დახვეული თმის გრაგნილი სრულყოფილად წარმოაჩენს თქვენს დახვეწილ მაკიაჟს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: თქვენს რუბრიკაშიც და სხვა ჟურნალებშიც ხშირად წამიკითხავს, რომ სახეზე ნიღბის წასმის დროს უნდა წამოწვე. რატომ არის ამ დროს წამოწოლა კარგი?**

**პასუხი:** ნიღბის წასმის შემდეგ წამოწოლა კარგია შემდეგი მიზეზების გამო: ა) ნიღაბი აღარ ჩამოგეწურება; ბ) წამოწოლილ მდგომარეობაში კანი უფრო თავისუფლად სუნთქავს და სრულად შეიწოვს ვიტამინებსა და სხვა სასარგებლო მიკროელემენტებს.

**კითხვა: რა არის ფლოატინგი?**

**პასუხი:** ფლოატინგი არის პროცედურა, როდესაც ადამიანს ათავსებენ დახურულ კამერაში კონცენტრირებული ხსნარით, რომლის ტემპერატურა შეესაბამება ადამიანის სხეულის ტემპერატურას. ხსნარის შემადგენლობის წყალობით (წყალი და მარილი „ეპსომა“), სხეული მასში მთლიანად არ იძირება და რჩება ზედაპირზე. სწორედ ამ მდგომარეობას ადარებენ უწონობას. კოსმოსური შეგრძნებები ძლიერდება გარემო გამღიზიანებლების არარსებობის ხარჯზე. ამ დროს გეჩვენებათ, რომ ხართ ვაკუუმში. პირველ ჯერზე, მიუჩვევლობის გამო, შესაძლოა, შიშის ან გაღიზიანების გრძნობა გაგიჩნდეთ, მაგრამ, როგორც კი ორგანიზმი მოდუნებას დაიწყებს, მაშინვე დაგეუფლებათ სრული სიმშვიდე. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ეს SPA-პროცედურა (რომელიც გამოგონილია 1950 წელს) ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური აღმდგენი პროცედურაა.

**კითხვა: მაინტერესებს, შეიძლება თუ არა შელაკი (გელ-ლაკი) მუდმივად მესვას? თუ, ის აზიანებს ფრჩხილებს და ყოველ საღამოს უნდა მოვიშორო?**

**პასუხი:** შელაკისგან „დასვენება“ შეგიძლიათ იმ შემთხვევაში, თუ ზღვაზე დასასვენებლად მიემგზავრებით. ეს იმ მიზნით უნდა გააკეთოთ, რომ ზღვის წყალმა თავისუფლად მოახდინოს დადებითი ზემოქმედება ფრჩხილებზე. თუკი სწორად მოიშორებთ (აცეტონით მოშორების შემდეგ უნდა წაისვათ სპეციალური ზეთი ნუნებისთვის), შელაკი არ ვნებს ფრჩხილებს.



**მოამზადა
თამრიკო ზამთარაძე**

# ინტიმური საუბრები

### უახლოესმა მეგობრებმა მიღალატეს

ძალიან ნაწყენი და გულნატკენი ვარ ჩემი ბავშვობის მეგობარზე და, აღარ მგონია, რომ მასზე ოდესმე გული მომიბრუნდეს. ერთად გავიზარდეთ, ერთად ვსწავლობდით სკოლაშიც და ინსტიტუტშიც; უერთმანეთოდ, რომ იტყვიან, წყალს აღარ ვსვამდით, მან კი მართლაც თხასავით გამყიდა, რასაც ნამდვილად არ მოველოდი მისგან. ახლაც ვერ მოვდივარ აზრზე, რატომ მომექცა ასე, რა დავუშავე. მთელი ცხოვრება თან ვყვებოდი, მან კი რით გადამიხადა!

საქმე ისაა, რომ მარიკას გავაცანი ჩემი თანაკურსელი გოგო, სოფო, რომელსაც პირველი კურსიდანვე დავუმეგობრდი. მეგონა, სამივე ვიმეგობრებდით და ერთმანეთთან მაგრად ვიქნებოდით, მაგრამ, მარიკამ და სოფომ ჯერ ჭორაობა დაიწყეს ჩემზე, მერე – შარების მოდება – ხან რაზე მირჩევდნენ საქმეს და ხან რაზე: ასე რატომ თქვი, ისე რატომ მოიქეცი, იმას რატომ შეხედე. ბოლოს კი „ჩორტების ჩაგდება“ დაიწყეს ჩემსა და ჩემს შეყვარებულს შორის. უფრო სწორად, დათა შეყვარებული კი არ არის, უბრალოდ, მომწონს და ხანდახან ვხვდები ხოლმე, რადგან მას ძალიან ვუყვარვარ. ამათ კი ჭკუის სწავლება დამიწყეს, რა უნდა მეთქვა დათასთვის, უნდა შევხვედროდი თუ არა. მერე დათას ყველაფერი ჩაუკაკლეს, რაც კი მათთვის მქონდა ნათქვამი, თან, თავიანთი მხრიდანაც დაუმატეს ისეთი რაღაცეები, ბიჭი გააგიჟეს და ბოლოს დაგვაშორეს კიდეც ერთმანეთს. როცა გავიგე, რომ დათას განაწყენების მიზეზი ჩემი დაქალები იყვნენ, საყვედური ვუთხარი; მათ კი მიპასუხეს, რომ დათაზე ცუდი რაღაცეები გაიგეს, რომ ჩემი შესაფერისი არ იყო, რომ მომავალს გამიფუჭებდა და იმიტომ მოიქცნენ ასე, ანუ, მათი თქმით, ჩემზე იზრუნეს. მაგრამ ეს თავიდანვე არ დავიჯერე, რადგან, თუ ეს მართალი იყო, ჩემზე ჭორაობისა და დათასთან ენების მიტანის გარეშე უნდა მოეხერხებინათ ამის გაკეთება. მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ მართალი ვყოფილვარ, მათი რომ არ მჯეროდა, თუმცა, რაც გავიგე, იმას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი: თურმე სოფოს თვითონ მოსწონდა დათა პირველი კურსიდან, ის კი ყურადღებასაც არ აქცევდა, სულ მე დამდევდა კუდში; სოფო კი იმიტომ დამიმეგობრდა, რომ დათა უფრო ხშირად ენახა ხოლმე. მოკლედ, მეგობარი რომ მეგონა, მტერი ყოფილა. მე კი ეს მტერი ჩემი ბავშვობის მეგობარს გავაცანი და ისიც მტრად და მოღალატედ მიქცია.

ყველაზე დიდი საშინელება კი ის არის, რომ, ჩემი და დათას დაშორების მიუხედავად, სოფომ მაინც ვერ მოახერხა დათას გულის მოგება, მაგრამ მარიკასთვის უთქვამს, ამას ისე აღარ ვდარდობ, მთავარია, რომ ისინი ერთმანეთს აღარ ხვდებიანო. მარიკა კი ორმაგ თამაშს ეწეოდა – ჩემი ნათქვამი სოფოსთან მიჰქონდა, იმისას კი მე მეუბნებოდა და თან მალიზიანებდა – ძალიან ცუდ ჭორებს გიყრისო.

ასე დავკარგე ერთბაშად სამი უახლოესი ადამიანი და ახლა აბსოლუტურად მარტო ვარ. თან, რაც მთავარია, ისე დაკარგული მაქვს ნდობა ყველას მიმართ, რომ აღარც კი ვიცი, მინდა თუ არა, მყავდეს შეყვარებული ან მეგობრები და, არც ის ვიცი, ოდესმე მეყოლება თუ არა.

**ნატა, 20 წლის.**



### ქმარი აღარ მიყვარს

მრცხვენია, ამას რომ ვამხელ, მაგრამ, ვერავის ვერაფერს ვეუბნები. ამიტომ, გადავწყვიტე, თქვენ მოგწეროთ, რომ ცოტათი მაინც მომეშვას დარდი, თუმცა, ვიცი, რომ ეს საქმეს არ უშველის. ერთადერთი გამოსავალი (თუკი ამას გამოსავალი ჰქვია) – ქმართან გულწრფელი აღიარებაა, მაგრამ ამ ნაბიჯს ვერ ვდგამ, რაღაცნაირად მეცოდება. კარგად მექცევა – არ ჩხუბობს, არ სვამს, არ „გულაობს“ ქალებში და ხელფასსაც მე მაბარებს. მაგრამ, ამას წინათ, სრულიად მოულოდნელად, აღმოვაჩინე, რომ საშინლად მაღიზიანებს მისი ეს წესიერება. ამ აღმოჩენამ თვითონვე გამაკვირვა, რადგან, ყველა ჩემი მეგობარი შემომნატრის – შენ ისეთი ქმარი გყავს, რა დაგაბერებსო. გარედან მართლაც ასე ჩანს, თუმცა, ობიექტური თუ ვიქნები, რამე „ისეთი“ სათქმელი, აქამდე ნამდვილად არაფერი მქონდა. ამიტომ, იმ „აღმოჩენის“ შემდეგ, სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ ნერვები მეშლებოდა მის ყოველ სიტყვასა (თუნდაც მოსაფერებელზე) და ქმედებაზე. ერთ დღეს კი, რაღაც სიტუაციაში აღმოვჩნდით და სწორედ მაშინ მივხვდი, რატომ „გადამიყვარდა“ ქმარი. სახლში ერთად მოვდიოდით ფეხით. გოგი სიგარეტის საყიდლად შეჩერდა ჯიხურთან, მე კი ნელი ნაბიჯით განვაგრძე გზა. უცებ დავინახე, რომ ორი ბიჭი მოდიოდა. აშკარად მთვრალები იყვნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. რომ შემამჩნიეს, ერთმანეთს სიცილით უთხრეს – ნახე, რა მაგარი ნაშაა. მოდი, დავებაზროთ, იქნებ წამოგვყვეს და ცოტა გავერთოთო (ოღონდ, მათ საკმაოდ უწმაწურად თქვეს ეს ყველაფერი) და ჩემკენ ნაბიჯს აუჩქარეს, თან დამიძახეს – მოიცა, დაგვევასე და ამაღამ ჩვენთან უნდა წამოხვიდეო. ისე ხმამაღლა ყვიროდნენ, ყველამ ჩემკენ გამოიხედა. გამორიცხული იყო, გოგის არ გაეგონა, რადგან სიგარეტების ჯიხურიდან ათიოდე მეტრში ვიყავი, მაგრამ, მან ყური მოიყრუა, ჩემკენ არც კი გამოუხედავს და ერთი კოლოფი სიგარეტის ყიდვას ლამის ათი წუთი მოანდომა. ანუ, მანამდე არ მოშორდა ჯიხურს, სანამ ის ბიჭები თვითონვე არ გამეცალნენ. რომ დაინახა, წავიდნენ, მხოლოდ მაშინ გამოემართა ჩემკენ ისეთი სახით, ვითომ არც არაფერი გაუგონია და არც არაფერი დაუნახავს. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მშიშარა იყო და, მის თვალწინ რომ ვეცემე ან გავეუპატიურებინე იმ ბიჭებს, გვერდზე ისე ჩამივლიდა, ვითომ არ მიცნობდა, ან, საერთოდ, გაიქცეოდა იქიდან. ეს ამბავი რომ მოხდა, იმ დღის შემდეგ ვფიქრობ და ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე: ყველაფერი ძველებურად დავტოვო და შევეგუო იმ აზრს, რომ ჩემი ქმარი დრაკონებთან მებრძოლი და ჩემი დამცველი რაინდი არ არის, თუ, ერთხელ და სამუდამოდ, წერტილი დავუსვა ყველაფერს – ვუთხრა, რომ მხდალი და მშიშარაა და, რაც შეიძლება, შორს წავიდე მისგან.

**ლიზი, 26 წლის.**

### ცხოვრებაში მთავარი ფული და მუშტია

მყავს უმცროსი ძმა, ბაჩო, რომელიც მეშვიდე კლასში სწავლობს. ყველანაირად კარგი ბიჭია – წესიერი, ზრდილობიანი, სიმპათიური; დადის სპორტზე (კრივზე), გატაცებულია ჯაზით და საკმაოდ კარგად უკრავს. მაგრამ, თავისი ამ მონაცემების მიუხედავად, ზედმეტად მორიდებულია და ამიტომ ბიჭები ალმაცერად უყურებდნენ, რაღაცნაირად, განაპირებული ჰყავდათ. ზუსტად ვიცი, რაც არის ამის მიზეზი: თვითონ უვიცები, უტვინოები და უზრდელები არიან, შურთ ჩემი ძმის და ამ შურს გოგოების თანდასწრებით აბუჩად აგდებით გამოხატავდნენ. ამ ასაკის გოგოებს კი, ხომ იცით, უზრდელი, თავხედი და ხეპრე ბიჭები მოსწონთ – კარგი ტიპები ჰგონიათ. ამიტომ, ისინიც არ ემეგობრებოდნენ ჩემს ძმას, მხოლოდ მაშინ თუ დაელაპარაკებოდნენ, როცა დავალება ან საკონტროლო ჰქონდათ გადასაწერი.

ბაჩოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ კრივში, მაგრამ კლასში ეს არავინ იცის – არ უყვარს ტრაბახი და თავის გამოჩენა. სამაგიეროდ, ის იციან, რომ ბაჩოს მდიდარი მშობლები არ ჰყავს და ამიტომაც არ არის მასთან მეგობრობა „საინტერესო“.

ამას წინათ კი, ერთმა თანაკლასელმა ბიჭმა მთელი კლასის წინაშე რაღაც დასაცინი სიტყვა უთხრა (ეს ამბავი ჩემი მეზობელი გოგოსგან გავიგე, რომელიც ბაჩოს კლასში სწავლობს). ამ ამბავს ერთი თანაკლასელი გოგოც ესწრებოდა, რომელიც ბაჩოს მოსწონს (ესეც იმ მეზობლის ბავშვმა მითხრა). მის გამო ჩემს ძმას, ეტყობა, ძალიან შეელახა თავმოყვარეობა და იმ ბიჭს უთხრა, თუ ახლავე ბოდიშს არ მომიხდი, დაგალილავებო, რაზეც, თურმე, მთელ კლასს სიცილი აუტყდა. ბაჩოს კი აუღელვებლად უპასუხია: გაკვეთილების შემდეგ სკოლის უკან ვიჩხუბოთ. თუ მე მოგერევი, მთელი კლასის წინაშე ბოდიშს მომიხდი და პატიებას მთხოვ, თუ შენ მომერევი, ნებისმიერ სამ სურვილს შეგისრულებო.

გაკვეთილების შემდეგ მარტო ამათი თანაკლასელები კი არა, თურმე, სკოლის რამდენიმე „კოჩიც“ დარჩა ჩხუბის საყურებლად და ბაჩოს ისეთ დღეში ჩააგდო ის ბიჭი, რომ, საწყალი ხმამაღლა ატირებულა. პირობა პირობა იყო და, იმას იქვე მოუხდია ბოდიში, მაგრამ მერე საერთოდ გადასულა სკოლიდან.

იმ დღის შემდეგ ჩემი ძმა ნამდვილი გმირი გახდა სკოლაში, ბიჭებიც და გოგოებიც პატივისცემით ეპყრობიან. ყველა ცდილობს, მასთან იმეგობროს და მერე ამ მეგობრობით ერთმანეთთან ტრაბახობენ.

ყველაფერი გასაგებია – მათი ასაკიც, მენტალიტეტიც და ბევრი სხვა რამეც, მაგრამ გული იმაზე მწყდება, რომ, ბავშვებს შორის მაინც არ უნდა წყვეტდეს საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებას მუშტი და მშობლების მატერიალური მდგომარეობა.

**ეკა, 17 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით:**
**tbiliselebi2001@gmail.com**
**ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ექიმ კასტი

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-46(725)

სალამოს პირველმა ქეთამ დაურეკა სოფოს, მერე – ნათიამ და რუსამ, ცოტა ხანში კი ყველამ ერთად მოაკითხა. გოგოები აჟიტირებულები იყვნენ და თითოეულ მათგანს ერთი



სული ჰქონდა, როდის დაიწყებდა საკუთარი თავგადასავლის მოყოლას. ბედის ირონიით, ისე დაემთხვა, რომ ყველაფერი წინა დღით მოხდა და, ამიტომ, ძალიან ბევრი სალაპარაკო დაუგროვდათ.

– აბა, რომელი დაიწყებთ? – იკითხა მასპინძელმა და ყავის ფინჯნები ჩამოარიგა, – მე ყველაზე ბოლოს მოგიყვებით.

– მე დავიწყებ, – თქვა ნათიამ და თვალები აუციმციმდა, მერე ყველას გადახედა, ღრმად ჩაისუნთქა და საზეიმოდ გამოაცხადა: – რეზიკოს შევურიგდი!

– მართლა? როგორ? მოვიდა თუ დაგირეკა? რა გითხრა? – ერთმანეთს არ აცდიდნენ გოგოები.

– ჯერ დამირეკა, მერე მოვიდა, ულამაზესი თაიგული მომართვა, ჩემ წინ მუხლებზე დაიჩოქა და... აბა, თუ გამოიცნობთ, რა ქნა?

– პატიება გთხოვა...

– მომენატრე და უშენოდ ვერ ვძლებო...

– ბავშვების გამო მაინც შემირიგდიო..

– იმ ქალმა გამაკოტრა და ისევ შენ მირჩევნიხარო, – სიცილი აუტყდა სალომეს.

მაგრამ ნათია ყველაფერზე თავს აქნევდა და ეშმაკურად იღიმებოდა.

– მაინც, რა გითხრა ასეთი, აღარ გვეტყვი? – მოთმინების ფიალა აევსო სოფოს.

– რა და, ხელი მთხოვა... – მორცხვად თქვა ნათიამ და განითლდა.

– რაო?! – ყურებს არ დაუჯერა ელისომ.

– ცოლად გამომყევიო, მთხოვა და ბრილიანტის ბეჭედი გამიკეთა თითზე. სიმართლე გითხრათ, ასეთი რამ მაშინ არ უქნია, პირველად რომ გადავწყვიტეთ დაქორწინება.

– ანუ, ახლა მეორედ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება? – გაეცინა მიას.

– ჰო, მეორედ და, იმედია, უკანასკნელად.

– კი მაგრამ, ოფიციალურად იყავით გაყრილები?

– განცხადება მქონდა შეტანილი, მაგრამ, ამ დილით გამოვიტანე.

– ბავშვი რას ამბობს?

– ჭკუაზე არაა, ისე უხარია.

– შენ ეს მარტო ბავშვის გამო გააკეთე? – გამომცდელად ჰკითხა კატომ.

ნათიამ თავი ჩაღუნა და გაჩუმდა, მერე კი უცებ ხმამაღლა და ძალიან თამამად თქვა:

– არა, მარტო ბავშვის გამო არა. მივხვდი, უფრო სწორად, დავრწმუნდი, რომ ისევ ძალიან მიყვარს და არავინ არ მინდა რეზოს გარდა.

– იმას? იმასაც უყვარხარ? – ჰკითხა ლიკამ.

– ჰო, იმასაც ვუყვარვარ, ეს მის თვალებში დავინახე.

– ქორწილი როდის გექნებათ? – ჰკითხა ელისომ, – ლამაზ ზღაპრებში ხომ ასეა: „ისინი ხელმეორედ დაქორწინდნენ და ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად“...

– ზოგჯერ ზღაპარი ცხოვრებაში რეალიზდება ხოლმე, – თქვა ნათიამ და ყავა მოსვა.

– არ გეწყინოს, ამას რომ გეკითხები, მაგრამ, კიდევ რომ გიღალატოს?

– გამორიცხულია! – წამოიძახა ნათიამ, – მაგრამ, თუ ასეთი რამ კიდევ მოხდება, ამით დამთავრდება ჩვენი ელემენტარული ურთიერთობაც კი.

– არ მეგონა, ამდენი ამბის შემდეგ კიდევ თუ ენდობოდი, – ეჭვი გამოთქვა ქეთამ, – მაგრამ, პრინციპში, სწორად მოიქეცი; ერთი შანსი ყოველთვის უნდა მისცე ადამიანს – ეს ჩემი პრინციპია.

– ჩვენიც, – დაეთანხმა მირანდა, – მე რომ ივიკოსთვის სცენები მეტარებინა, რას მოვიგებდი? ერთი-ორჯერ ძალიან სერიოზულად დაველაპარაკე, თვითონაც დაფიქრდა, მიდგა, მოდგა და, ზუსტად გუშინ დილით დაურეკა ჩვენმა მეჯვარემ – თავის ფირმაში წაიყვანა კარგ თანამდებობაზე და კარგ ხელფასზე – შენნაირი „ტვინები“ მჭირდებაო. ასე რომ, აწი აღარ გაგვიჭირდება.

– ამდენი კარგი ამბავი ერთ დღეს – მართლაც ზღაპარს ჰგავს, – თქვა რუსამ, – აბა, კიდევ ვის რა გაქვთ მოსაყოლი?

– ჩვენ გვაქვს, – თქვა სალომემ, – სამსახურიდან მე და ელისოს გერმანიაში გვიშვებენ ერთი წლით.

– ესეც გუშინ მოხდა? – გაუკვირდათ გოგოებს.

– პრინციპში, ადრეც ვიცოდით, რომ აპირებდნენ, მაგრამ, გუშინ გადაწყდა. არ ვიცოდით, გამოვიდოდა თუ არა ეს ამბავი და ამიტომ არ ვამბობდით არაფერს – ცუდად გვაქვს დაცდილი წინასწარ ლაპარაკი.

– როდის მიდიხართ?

– ალბათ, ორ კვირაში.

– და, გაისამდე ველარ გნახავთ?

– ზუსტად არ ვიცი, შეიძლება, თითოჯერ მოგვიწიოს ჩამოსვლა, მაგრამ, სკაიპით ყოველ სალამოს დაგიკავშირდებით.

– დანარჩენებს რა სიახლე გაქვთ? – გადახედა გოგოებს სოფომ.

– მე მაქვს სიახლე, თანაც, ორი. ორივე ძალიან მნიშვნელოვანია და, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ამიტომ, ძალიან მჭირდება თქვენი რჩევა, ოღონდ, ჭკვიანური და არა ემოციებიდან გამომდინარე. ერთი ამბავი ჩემს სამსახურსა და საქმიანობას ეხება, მეორე კი – პირადულს. რომლით დავიწყო?

– პირადულით, რა თქმა უნდა! – ერთხმად იკივლეს გოგოებმა.

– კარგი, იყოს პირადული... – მიამ ეშმაკურად გადახედა დაქალებს და მათი მოუთმენელი და მომლოდინე თვალების დანახვაზე სიცილი აუტყდა: – ნეტავი სარკეში ჩაგახედათ, რას ჰგავხართ! – მერე დინჯად ამოიღო კოლოფიდან სიგარეტის ღერი, დინჯადვე მოუკიდა და ნეტარი სახით გააბოლა.

– წარმოგიდგენია, რა სადისტია?! – აღშფოთდა ქეთა.

– მარტო სადისტი კი არა, მაზოხისტიც ვარ, – ისევ გაეცინა მიას, – თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა ტანჯვად მიჯდება ახლა ასეთი საქციელი, რადგან, ერთი სული მაქვს, ყველაფერი მოგიყვეთ, მაგრამ, ვერც იმას წარმოიდგენთ, რა სიამოვნებას მანიჭებს სასწაულის მოსმენის მოლოდინით აღსავსე თქვენი სიფათების ყურება.

– მია, ეს უკვე ბოროტებაა, – თქვა სოფომ და თითი დაუქნია.

– კარგი, გეტყვით. მოკლედ, გუშინწინ ტომასმა სამსახურში მომაკითხა და მერე რესტორანში წამიყვანა. სხვათა შორის, ძალიან კარგი სალამო გამოგვივიდა. ყველაფერი მიამბო თავის შესახებ და ჩემზეც რაღაცეები მკითხა.

– როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა ამჯერად, რა გიკარნახა შენმა „უტყუარმა ალღომ“? – გაეცინა ნათიას.

– ნუ დამცინი, – თქვა მიამ, – ამჯერად კიდევ უფრო უკეთესი წარმოდგენა შემექმნა მასზე, ვიდრე პირველი და მეორე შეხვედრისას.

– ანუ, ეს მესამე იყო და დაგვიმალე? – აღშფოთდა ლიკა.

– კი არ დაგიმალეთ, საშუალება არ მომეცა, მომეყოლა, – თავი იმართლა მიამ.

– მერე? ამით დასრულდა ყველაფერი? – გამომცდელად ჰკითხა ელისომ.

– არა, – უპასუხა მიამ და გაჩუმდა.

– რა – „არა“? ესე იგი, იყო რაღაც „შურიმურები“? – თვალები შუბლზე აუვიდა სალომეს.

– რა „შური-მურებს“ გულისხმობ? – გაბრაზდა მია.

– მაგალითად, სულ მცირე, კოცნას, – დაუზუსტა სალომემ.

– გოგო, მე შენ პატარა თინეიჯერი ლაწირაკი ხომ არ გგონივარ? – შეუწყრა მია, – რა დროს კოცნებზეა ლაპარაკი, უფრო სერიოზული ამბები მოხდა.

– რა, ლოგინში შეგიტყუა?! – შეიცხადა ქეთამ.

– ღმერთო ჩემო, რა პრიმიტიულად აზროვნებთ! – აღშფოთდა მია, – და, თანაც, თქვენი ფანტაზიაც ნულს უახლოვდება, რაც ძალიან გამაღიზიანებელია.

– აბა, რა მოხდა, აღარ გვეტყვი? – ლამის ერთად იყვირეს გოგოებმა.

– რა და... – მია ისევ გაჩუმდა რამდენიმე წამით, მერე კი ღრმად ამოისუნთქა და, როგორც იქნა, თქვა: – ტომასი გუშინ დილით მოვიდა ჩემთან და ჩემს მშობლებს ჩემი ხელი სთხოვა...

– დილით ხელის თხოვნა აღარ გამიგია, –

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

გაუკვირდა ელისოს, – ეს რა, ამერიკული წესია?

– არა, უბრალოდ, ასე მოხდა. ტელეფონში საუბრისას ვუთხარი, ჩემი მშობლები ჩემთან არიან-მეთქი და მომენტი გამოიყენა. თან, მერე მთელი დღე დაკავებული ჰქონდა ფირმის საქმეებით და... – თითქოს თავი იმართლა მიამ.

– შენი სახლი საიდან იცოდა, ნამყოფი იყო შენთან? – დაეჭვებით ჰკითხა ქეთამ.

– ბინა არა, სადარბაზო და სართული იცოდა, – ისევ იმართლა თავი მიამ და უცებ გაბრაზდა: – თქვენ რა, დაკითხვებს მიწყობთ? რა დაეჭვებულები მელაპარაკებით?

– დაკითხვას არა, გამოკითხვას, – სიტყვა შეუსწორა ქეთამ, – მაგრამ, მთავარი, ჩემი აზრით, ის კი არ არის, იყო თუ არა მანამდე შენს ბინაში ნამყოფი ან რატომ მოვიდა ხელის სათხოვნელად უთენია, არამედ ის, რა უთხარით პასუხად შენ და შენმა მშობლებმა, – და გამომცდელად შეხედა მიას, რომელიც დაბნეულად გამოიყურებოდა, რაც საკმაოდ უჩვეულო იყო მისთვის.

– სიმართლე გითხრათ, ჩემს მშობლებს კონკრეტული პასუხი არ მიუციათ, არც დადებითი და არც უარყოფითი, – კარგა ხნის პაუზის შემდეგ გასცა პასუხი მიამ მთავარ შეკითხვას.

– ეგ როგორ გავიგოთ? – ჩაეკითხა ლიკა.

– პრინციპში, დედაჩემი და მამაჩემი კი არა, მეც არ ვიყავი აზრზე, „ხაშზე" თუ დამადგებოდა თავზე და ცოლობას თუ მთხოვდა. მართალია, წინა დღეს ჩამოაგდო ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ, გადაწყვეტით თანხმობა არ მიმიცია და, არ მეგონა, ასე სწრაფად თუ შეუდგებოდა საქმეს. ჯერ სამივე დავიბენით. მერე სტუმარი დილის საუზმეზე მივიპატიჟეთ და ასე განვიხილეთ საკითხი.

– ანუ? – დაინტერესდა სალომე, – თუ ქალი ხარ, ჯვარს ნუ გვაცვი და შეწყვიტე ამ რებუსებით ლაპარაკი. რას ნიშნავს, საკითხი განიხილეთ?

– ანუ, მამაჩემმა უთხრა, კარგი კაცი ჩანხარ, მაგრამ, ჩვენ არ გიცნობთ, ამიტომ, მეშინია, ჩემი შვილი აბსოლუტურად უცნობ ადამიანს ვანდო; ასეც რომ არ იყოს, ეს მიამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ოღონდ, დიდი დაფიქრებით, რადგან, ორჯერ უკვე გადადგა დაუფიქრებელი ნაბიჯი, ორჯერვე დიდი ტკივილი გადაიტანა და მესამედ იმავეს გადატანას ველარ შეძლებს; თანაც, შენც იმათსავით თუ ატკინე გული, უკვე ჩემთან გექნება საქმე, მე ველარ გაპატიებო.

– დედაშენმა?

– დედაჩემმა პირდაპირ დაუსვა საკითხი: მიას ორი ბიჭი ჰყავს გასაზრდელი და გზაზე დასაყენებელი, ორივეს მამის დეფიციტი აქვს და, გიყვარს კი ჩემი შვილი ისე, რომ მის შვილებს მამობა გაუწიოო?

– მერე, რაო ტომასმა? – ყველას მაგივრად ჰკითხა ნათიამ.

– თქვა, რომ პირველი დანახვით მოვეწონე და პირველი შეხვედრისას შევუყვარდი; რომ ხელისგულზე მატარებს მთელი ცხოვრება, ჩემს ბიჭებს საკუთარი შვილებივით გაზრდის, საუკეთესო განათლებას მისცემს და, საერთოდ, ცხოვრების საუკეთესო პირობებს შეუქმნის; გარდა ამისა, თუკი ჩემი სურვილიც იქნება, თავის გვარს მისცემს ორივეს, ანუ, ოფიციალურად იშვილებს და მემკვიდრეებადაც გამოაცხადებს.

– ცოტა ზედმეტად ხელოვნურ პათოსს ხომ არ ჰგავს მისი სიტყვაში გამოსვლა? – დაეჭვდა ელისო.

– არა, საერთოდ ასეთი ტიპია – რასაც ფიქრობს, ყველაფერს ხმამაღლა ამბობს.

– შენ თვითონ რა უპასუხე, აცრემლებული გადაეხვიე და მარადიულ სიყვარულს შეჰპირდი იმის გამო, რომ შვილებიანი ქალის ხელის თხოვნა იკადრა ამერიკელმა ბიზნესმენმა? იცოდე, ძალიან ფრთხილად იყავი, თავბრუს ნუ დაგახვევს ამერიკაში წასვლა, – სიტყვით გამოვიდა რუსა, – შენი შვილების მომავალზეც უნდა იფიქრო და პირად ბედნიერებაზეც. შვილები თავისთავად, მაგრამ, შენც ხომ გაქვს უფლება, გიყვარდეს და უყვარდე? ჰოდა, ამაზეც იფიქრე.

– დაანებე ლოზუნგებს თავი, თუ ქალი ხარ! – შეუწყრა რუსას მირანდა, – მია იმდენჯერ გააწბილეს კაცებმა, რომ ჩვენი გაფრთხილება და ჭკუის დარიგება აღარ სჭირდება, თითოეულ ჩვენგანზე უფრო წინდახედულად მოიქცევა.

– და მაინც, რა პასუხით გაისტუმრეთ ამერიკელი სასიძო? – სერიოზულად ჰკითხა კატომ, – თანხმობა უთხარი?

– ჰო, – თქვა მიამ და თავი ჩაღუნა, – იმ მომენტში უცბად მივხვდი თუ ვიგრძენი, რომ ტომასზე უკეთესი ვარიანტი აღარ გამომიჩნდება.

– გიყვარს? – მოკლედ ჰკითხა კატომ და გამომცდელად შეხედა.

– მე მგონი, კი, – დაფიქრებით თქვა მიამ.

– აბა, „ვარიანტი" რა შუაში იყო? – წარბი ასწია ელისომ, – ან, „მე მგონი" რას ნიშნავს, გიყვარს თუ გაწყობს? – ჩაეძია ელისო.

– არ ვიცი, როგორ აგიხსნათ... – მიამ ისევ სიგარეტს მოუკიდა, თავი სავარძლის საზურგეს მიაყრდნო და თვალები დახუჭა, მერე რამდენიმე ნაფაზი ზედიზედ დაარტყა და განაგრძო: – მის გვერდით თავს საოცრად მშვიდად და დაცულად ვგრძნობ; არ მიწევს თამაში, ვარ კომფორტულად, მსიამოვნებს მასთან საუბარი ნებისმიერ თემაზე; მაკმაყოფილებს მისი ინტელექტი, იუმორის გრძნობა, მოქალაქეობრივი პოზიცია, ხასიათი, დამოკიდებულება საერთოდ ადამიანების და, კონკრეტულად, ქალების მიმართ და, კიდევ, რაც ამ ყველაფერზე არანაკლებ მთავარია, როცა მასთან ვარ, სასურველ ქალად ვგრძნობ თავს; ყოველივე ეს კი, ერთად კი არა, ცალ-ცალკეც კი, იმდენი ხანია, არ განმიცდია, რომ, სიმართლე გითხრათ, აღარც კი მეგონა, რომ კიდევ მქონდა შერჩენილი მსგავსი შეგრძნების უნარი. რაც ჩამოგითვალეთ, ეს თავიდან ბოლომდე მე მეხებოდა, მაგრამ, გარდა ამ ყველაფრისა, ათასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს შვილებს არასდროს მოშივდებათ, არასდროს შესცივდებათ, მიიღებენ საუკეთესო განათლებას, ეყოლებათ ერთი, საერთო მამა, რომელიც ყოველთვის იზრუნებს მათზე და ჩვენ ყველანი ვიცხოვრებთ ერთ დიდ, ლამაზ და ბედნიერ ოჯახად...

– ესე იგი, გყვარებია... – გაეღიმა ქეთას.

– მე არ ვიცი, კონკრეტულად რას ჰქვია სიყვარული, მაგრამ, როცა მის გვერდით ყოფნა გიხარია და როცა მთელი არსებით გრძნობ, რომ შეგიძლია, თვალდახუჭულმა ანდო საკუთარი თავი და, რაც მთავარია, შვილები, ალბათ, სიყვარულიც ესაა.

– მია, არ გეწყინოს, რასაც ახლა გეტყვი, მაგრამ, არ შემიძლია, არ ვთქვა, – მორიდებით წამოიწყო კატომ.

– ყველაფერი მითხარით, რასაც ფიქრობთ, მე ეს ძალიან მჭირდება, – უპასუხა მიამ და მოსასმენად მოემზადა.

– კარგად დაფიქრდი, ხომ არ არის ეს მირაჟი, ილუზია, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, შეხვდი შენი ოცნების მამაკაცს?

– მირაჟი და ილუზია რატომ უნდა იყოს,



თხუთმეტი წლის გამოუცდელი თინეიჯერი ვარ? – გაუკვირდა მიას.

– თინეიჯერი არა, მაგრამ, შენ ხარ მამაკაცის სითბოსა და ალერსს მონატრებული ქალი და, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ ყველაფერს ყველა იმ კაცში ეძებდე (შენდაუნებურად, რა თქმა უნდა) და ხედავდე კიდეც, ვინც შენ მიმართ ყურადღებას გამოიჩენს... ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ხომ არ გგონია, რომ ტომასი მართლა ისეთი მამაკაცია, როგორიც გინდა, რომ იყოს?

– მაგაზე მეც ბევრი ვიფიქრე, მაგრამ, არა მგონია, ვცდებოდე. ზოგადად, საქართველოში თითქმის ყველა ქალს აქვს მამაკაცის დეფიციტი და არც მე ვარ გამონაკლისი. ტომასს კი, დარწმუნებული ვარ, რომ ვუყვარვარ ოღონდ, არაქართულად, რაც ძალიან მომწონს და, ყოველთვის ეცდება, ბედნიერ ქალად მაქციოს.

– ქართულად სიყვარული რა არის, გაფიცებ, მითხარი, – შეეხვეწა სოფო.

– კუხნა, ოჯახის საქმეები, ფულის შოვნა და ალიკაპი პირზე, – „აუხსნა" მიამ სიცილით.

– შენ? შენ თუ გიყვარს?

– შენ წარმოიდგინე, მეც მიყვარს, – გაეღიმა მიას.

– ტომასს შვილები ჰყავს? – ჰკითხა ნათიამ.

– ერთი შვილი ჰყავს პირველი ქორწინებიდან, თოთხმეტი წლის გოგონა და, ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს მასთან.

– შენ რომ მოგთხოვოს შვილის გაჩენა? – დაინტერესდა ელისო.

– ცხადია, გავაჩენ.

– ესე იგი, მართლა შეგყვარებია, – დაადგინა სალომემ, – მაგრამ, სად აპირებთ ცხოვრებას, შენს მშობლებს მარტო დატოვებ?

– ტომასს აქაც აქვს ბიზნესი და, შესაბამისად, ალბათ, ნახევარჯერ აქ მოგვიწევს ყოფნა, მაგრამ, პრობლემა სხვა რამეა, – დაფიქრებით თქვა მიამ.

– რა სხვა რამე? – დაინტერესდნენ გოგოები.

– რა და, მე რომ ბავშვები ქვეყნიდან გავიყვანო, ორივე ყოფილი ქმრის ოფიციალური თანხმობა დამჭირდება, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ ჯინაზე იტყვიან უარს. არცერთ მათგანს ერთხელაც არ უნახავს თავისი შვილი იმ დღიდან, რაც ერთმანეთს გავეყარეთ, მაგრამ, ახლა გამოიდებენ თავს კარგ მამობაზე და არ მომიწერენ ხელს. არადა, ბავშვებს თუ ვერ წავიყვან, შანსი არ არის, ისე არ გავყვები ტომასს.

– მაგაზე არ იდარდო, – ეშმაკური ღიმილით უთხრა სოფომ, სავარძელში ფეხები მოიკეცა და მოსაყოლად მოემზადა, – ახლა მე მომისმინეთ. თმა ყალყზე დაგიდგებათ, ისეთი რამე უნდა მოგიყვეთ, – და თავიდან ბოლომდე დაწვრილებით უამბო ლექსოსთან შეხვედრის ყოველი წვრილმანი, მხოლოდ გაძარცვის ეპიზოდი შემოინახა ბოლოსთვის, „ტკბილ ლუკმად".

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ დაუპირისპირა ერთმანეთს სტალინმა ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია



მეორე მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად, 1936-1937 წლებისთვის, ასეთი ვითარება შეიქმნა: გერმანია, იტალია და იაპონია მსოფლიოს ახალი გადანაწილებისთვის ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ. ომის დაწყება თუ თავიდან აცილება, დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ღონისძიებებს გაატარებდნენ: ინგლისი, საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი, გერმანია-იტალია-იაპონიის სამხედრო ბლოკის წინააღმდეგ. მიმდინარეობდა დიდი დიპლომატიური ბრძოლა. ლოგიკურად ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანებას წინ ვერაფერი ვერ უნდა დადგომოდა, რადგან გერმანია ერთნაირად საშიში იყო სამივე ქვეყნისთვის. ჩვენს რუბრიკაში სწორედ ამ თემაზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

ინგლის-საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ლიდერებს შორის დიდი განსხვავება იყო. იოსებ სტალინთან შედარებით, ინგლისის პრემიერ-მინისტრი – ნევილი ჩემბერლენი და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი – ედუარდ დალადიე, არათუ მეორე, არამედ მესამეხარისხოვანი პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ. იმ დროსაც კი, დასავლეთის ქვეყნებში სასიცოცხლო საკითხებს პრემიერ-მინისტრები და პრეზიდენტები არ წყვეტდნენ. გადამწყვეტ როლს პარლამენტი ასრულებდა. ასე რომ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ლიდერის, სტალინისთვის, მარტო ჩემბერლენისა და დალადიეს პრობლემა კი არ იდგა, არამედ ინგლისისა და საფრანგეთის პარლამენტების, სადაც უამრავი ბრწყინვალე პოლიტიკოსი მოღვაწეობდა. ამიტომ იყო, რომ ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანება გერმანიის წინააღმდეგ საკმაოდ მტკივნეული პროცესი გამოდგა და დროში ძალზე გაიწელა. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა ჰიტლერმა და ჩეხოსლოვაკიას ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა. ადოლფ ჰიტლერი ითხოვდა, გერმანიისთვის გადაეცათ ჩეხოსლოვაკიის ნაწილი – სუდეტის ოლქი, სადაც უმრავლესობას ეთნიკური გერმანელები შეადგენდნენ. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლა იოსებ სტალინმა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობას გერმანიის წინააღმდეგ დახმარება შესთავაზა. თუმცა კი, წინასწარ იცოდა, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ამ შეთავაზებას არ მიიღებდა. მისი სტრატეგიაც ამაზე იყო გათვლილი. ჩეხოსლოვაკიის მთავრობისგან საბჭოთა კავშირის მიერ შემოთავაზებულ დახმარებაზე უარის თქმის შემდეგ, ცხადია, ეს ქვეყანა ინგლის-საფრანგეთს უნდა დაეცვა. ფრანგები და ინგლისელები გერმანიასთან ომისთვის მზად არ იყვნენ, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის დაცვაზეც ღიად უარს ვერ იტყოდნენ. ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიამ გამოსავალი იმაში იპოვა, რომ ჰიტლერს მოლაპარაკება შესთავაზა. ეს უკვე გერმანიის გამარჯვების მაუწყებელი იყო. 1938 წლის სექტემბერში, მიუნჰენში გამართულმა კონფერენციამ სუდეტის ოლქი გერმანიას გადასცა. მთელმა მსოფლიომ დაინახა ინგლის-საფრანგეთის უსუსურობა. ესეც სტალინის გეგმის ნაწილი იყო. 1939 წლის გაზაფხულზე გერმანიის ჯარები ავსტრიაში შეიჭრნენ და ავსტრია, გერმანიის სახელმწიფოს ნაწილი გახდა. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ გერმანიის აგრესიის აღკვეთა ინგლის-საფრანგეთს საბჭოთა კავშირის გარეშე არ შეეძლოთ. 1939 წლის მარტში მოსკოვში დაიწყო ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება. ცხადია, ამ მოლაპარაკებაზე მთავარი მოთამაშე საბჭოთა კავშირი გახლდათ. ეს კი ინგლისელებსა და ფრანგებს ძალზე აღიზიანებდათ. მოლაპარაკება უსაშველოდ გაჭიანურდა. ინგლისელები და ფრანგები ეშმაკობდნენ. მათ იცოდნენ, რომ აღმოსავლეთში, კონკრეტულად, მონღოლეთის ტერიტორიაზე საბჭოთა-კავშირ იაპონიის სამხედრო კონფლიქტი მწიფდებოდა. თუ იაპონელები გაიმარჯვებდნენ, სტალინი უფრო დამთმობი გახდებოდა. საბჭოთა ჯარებმა იაპონელები სასტიკად დაამარცხეს, ინგლისელები და ფრანგები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა, ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ რა მოულოდნ-

## იაპონიის პრემიერ-მინისტრი სამშობლოში მოსკოვის გავლით დაბრუნდა, შეხვდა იოსებ სტალინსაც

ელ დარტყმას უმზადებდა მათ იოსებ ბესარიონის ძე. ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების პარალელურად, უაღრესად საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოლაპარაკება. სრულიად მოულოდნელად, მოსკოვში ჩამოფრინდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინსტრი – იოაჰიმ ფონ რიბენტროპი და 23 აგვისტოს გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას 10 წლის ვადით. ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიისთვის ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ნიშნავდა. ამიერიდან ინგლისი და საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ სრულიად მარტოდმარტო დარჩნენ, რადგან გერმანიასთან ომის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი მათ დახმარებას ველარ აღმოუჩენდა. ასე გააკოტრა სტალინმა უდიდესი ტრადიციების მქონე ინგლისური და ფრანგული დიპლომატია.

1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას რამდენიმე საიდუმლო მუხლი ჰქონდა. სტალინმა და ჰიტლერმა, პრაქტიკულად, ევროპის ტერიტორია გადაანაწილეს. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, რომლებიც მაშინ დამოუკიდებელი ქვეყნები იყვნენ, საბჭოთა კავშირს ერგო. პოლონეთის სახელმწიფო გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ორად გაყვეს. მდინარე ვისლას აღმოსავლეთ ტერიტორია საბჭოთა კავშირის უნდა ყოფილიყო, ვისლას დასავლეთით მდებარე ტერიტორია კი – გერმანიის. ვისლაზე მდებარე პოლონეთის დედაქალაქი ვარშავაც ორად უნდა გაყოფილიყო. ჰიტლერმა სტალინისთვის მიცემული სიტყვა დაარღვია და პოლონეთის დაპყრობის შემდეგ, საბჭოთა ჯარებს ვისლას აღმოსავლეთ ოლქების მთლიანად დაკავების საშუალება აღარ მისცა. საბჭოთა კავშირს მხოლოდ დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია ერგო, რომელიც ამ დროისთვის პოლონეთს ჰქონდა მიტაცებული. ასე რომ, მთელი პოლონეთი, პრაქტიკულად, გერმანიას დარჩა. სტალინმა წყენა არ შეიმჩნია, ამ საკითხზე ხმაურის ატეხა არ ღირდა, რადგან 23 აგვისტოს ხელშეკრულების საიდუმლო მუხლი გამჟღავნდებოდა. თუმცა, სტალინს წყენის დავიწყება არ სჩვეოდა და ეს გერმანელებმა მალე გამოსცადეს საკუთარ თავზე.

1939 წლის 23 აგვიტოს ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ ინგლის-გერმანიის ომის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირს გერმანიის მხარე დაეჭირა. საბჭოთა მხრიდან გარანტიები ძალიან მტკიცე იყო. 1940 წლის გაზაფხულზე გერმანიამ ომი დაუწყო ინგლისს, მაგრამ წარმატებები ვერ მოიპოვა. ინგლისის ქალაქებზე მხოლოდ საავიაციო დარტყმები ხორციელდებოდა. ომი გაჭიანურდა. სამაგიეროდ, 1940 წლის ზაფხულში გერმანიამ ადვილად დაიპყრო საფრანგეთი, ინგლისი კი მედგრად აგრძელებდა ბრძოლას. 1940 წლის შემოდგომაზე ბერლინში ჩავიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია ვიაჩესლავ მოლოტოვის ხელმძღვანელობით. იოჰან ფონ რიბენტროპმა მას დაპირების შესრულება მოსთხოვა. მოლოტოვმა, დიპლომატიური ეთიკის სრული დაცვით, რიბენტროპს მოუბოდიშა, რომ ინგლისის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირი გერმანიას ვერ დაეხმარებოდა. ეს გერმანელებისთვის უმძიმესი დარტყმა იყო. ამრიგად, სტალინმა შეძლო, ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირება გერმანიასთან, რაც საბოლოოდ საფრანგეთის კაპიტულაციითა და ინგლის-გერმანიის გაჭიანურებული ომით დასრულდა. სულ უფრო და უფრო იკვეთებოდა ვითარება, რომლის ფინალი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი უნდა ყოფილიყო. სანამ ინგლისი გერმანიის წინააღმდეგ ომს აგრძელებდა, საბჭოთა კავშირის მდგომარეობა გერმანიასთან მოსალოდნელ ომში, არც ისე უიმედო იყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, გერმანიის მხარეზე არ დადგებოდა, საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, კიდევ უფრო ხელსაყრელი ჩანდა. სტალინის მთავარი სტრატეგია ის გახლდათ, რომ გერმანიას ერთდროულად 2 ფრონტზე ებრძოლა – ინგლისისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამას მან მიაღწია კიდეც. ამასთან ერთად, სტა-

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## თოროზაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თოროზა.**

არუთინა **თოროზაშვილი** შვილებთან ერთად მოიხსენიება 1843 წელს, დიდ თონეთში.

1843 წელს, პატარა თონეთის აღწერაში, მოიხსენიება ვახტანგ დემურაშვილი, იგივე **თოროზაშვილი**.

მოგვიანებით, **თოროზაშვილები** რუსული გაფორმებით **თოროზოვებად** ჩაუწერიათ.

საქართველოში 86 **თოროზაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 18, გორში – 10, ბოლნისში – 8 არიან სხვაგანაც.

## ბაბულაშვილი

ფუძით **ბაბულა** დაფიქსირებულია გვარები: **ბაბულაიძე, ბაბულიძე, ბაბულაშვილი, ბაბულაძე, ბაბულეიშვილი, ბაბულიანი.**

ქაისხევის (ქისისხევი) მკვიდრნი იყვნენ **ბაბულაშვილები**, რომლებიც დღეს, ძირითადად დუშეთის მახლობლად, სოფელ შალიკიანთკარში ცხოვრობენ. ქაისხევშიც, მათი სოფელი შალიკიანთკარის სახელს ატარებდა. **ბაბულაშვილების** წინაპარი ქაისხევში ქართლიდან გადმოსახლებულა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ქართლელი გიგაური ზედსიძედ მოსულა, დაქორწინებულა ვინმე **ბაბულაზე** და მათ შვილებს დაუდევთ საფუძველი **ბაბულაშვილების** გვარისთვის.

ქაისხევიდან დუშეთის მახლობლად გადასახლება 1936-1937 წლებში მოხდა. ასე გაიარა აღნიშნულმა გვარმა მთიდან მთისწინეთსა და მთისწინეთიდან ბარში გადასახლების გზა.

ქაისხევში **ბაბულაშვილების** სალოცავი იყო წმიდა კვირიკე.

1781 წელს ქაისხევში მკვიდრობდნენ: „ბოგანო **ბაბულაშვილი**, პატარკაცი“.

1873 წლის კამერული აღწერის მასალებში **ბაბულაშვილები** (ხუთი ოჯახი) ქაისხევის სოფელ აზაურთკარის მცხოვრებლებად არიან დასახელებულნი.

საქართველოში 79 **ბაბულაშვილი** ცხოვრობს: დუშეთში – 47, მცხეთაში – 11, ზესტაფონში – 7. არიან სხვაგანაც.

## ქუჩულორია

ვარაუდით, რთულფუძიანი გვარია. **ქუჩულორი** შედგება ორი კომპონენტის, კერძოდ, საკუთარი სახელებისგან – **ქუჩუ** და ლორი.

**ქუჩულორია** იშვიათად გვხვდება ქუჩულიას ფორმითაც.

**საქუჩლორიო** უბანია ფოცხოში. **ნაქუჩოლორი** კი ტყე – ბეთლემში, კერძოდ, ლებარკალაოეში. **ნაქუჩულუ** ბუჩქნარია ლეთორდეში (მუხური).

წალენჯიხასა და მის ახლომახლო სოფლებში მცხოვრები **ქუჩულორიები** მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე საუფლისწულო აზნაურები ყოფილან.

მეორე ვარიანტით, **გოქუჩულუა** მცენარის აყვავებას ნიშნავს, ზმნის მიმღეობა – **ქუჩულორი**, ანუ „აყვავებული“, „აღმოცენებული“– მიჩნეულია მეტსახელად.

მეოცე საუკუნის დამდეგს, უშაფათსა და წალენჯიხაში მოსახლე **ქუჩულორიების** ერთი ნაწილი აზნაურის წოდების იყო.

საქართველოში 168 **ქუჩულორია** ცხოვრობს: წალენჯიხაში – 51, თბილისში – 37, ზუგდიდში – 31. ცხოვრობენ სხვაგანაც.

## ჭარელიძე-ჭარელი

ფუძით **ჭარი** ნაწარმოებია ქართული გვარები: **ჭარელაშვილი, ჭარელი, ჭარელიშვილი, ჭარელიძე.**

**ჭარელების** სოფელია შქმერი, ონის რაიონი. მეცნიერები მხარს უჭერენ ვერსიას, რომ გვარი ნაწარმოებია ტოპონიმიდან ჭარა, საიდანაც უნდა იყოს ნაწარმოები **ჭარელი** და **ჭარელიძე**.




შესაძლოა, **ჭარა** ძირეული საკუთარი სახელის კნინობითი ფორმაც იყოს. ილია მაისურაძე წერს, რომ „დღევანდელი საინგილო ძველად **ჭარ**-ბელაქნად, ანუ, კაკენისელად იწოდებოდა“.

**ჭარელიძეები** მოიხსენიებიან სორის ტაძრის სოფლისა და სამლოცველოს წარწერაში მეთოთხმეტე საუკუნეში, როგორც რაჭის ერისთავები.

სადაურობის მწარმოებელ **ელ** სუფიქსით ნაწარმოებ გვარებს შორის, ბატონი ზურაბ **ჭუმბურიძე** ასახელებს გვარებს: **ჭარელიძე, ჭარელიშვილი.**

საქართველოში 46 **ჭარელიძე** ცხოვრობს: ჭიათურაში – 21, თბილისში – 10, ახმეტაში – 9. არიან სხვაგანაც.

49 **ჭარელი**: თბილისში – 32, ონში – 5, ბორჯომში – 4, არიან სხვაგანაც.

## გოგაშვილი

**გოგაშვილი** არცთუ გავრცელებული გვარია. ის უმეტესად გვხვდება თბილისში, გურჯაანსა და სიღნაღში.

ილია მაისურაძის „ქართული გვარ-სახელების“ მიხედვით, **გოგაშვილი** მომდინარეობს საკუთარი სახელიდან – **გოგა.**

ეს გვარი მოხსენიებულია „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში“, რომლის მიხედვითაც, „**გოგაშვილი** თევდორა – ერტისს მცხოვრები, ნაზარალიხანმა, იოვანე კათალიკოსთან ერთად, მისი წყალობა განუახლა ამილბარ მაღალაძეს“ (1700 წელი).

საქართველოში 814 **გოგაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 228, გურჯაანში – 123, სიღნაღში – 86. არიან სხვაგანაც.

## ნერსეზაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ნერსე**. ამ სახელით ბევრი პიროვნებაა ცნობილი საქართველოს ისტორიაში.

საკუთარი სახელი **ნერსო, ნერსუა** გავრცელებულია სომხებშიც. მისგან კი მიღებულია გვარი **ნერსესიანი.**

გვხვდება გვარი **ნერსეზოვიც**, რომელიც რუსული გაფორმებით ასე ჩაუწერიათ. ამ გვარის წარმომადგენლები სინამდვილეში **ნერსეზიშვილები** არიან, ქართველები.

საქართველოში 186 **ნერსეზაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 31, თელავში – 29, რუსთავში – 6. არიან სხვაგანაც.

## ათუაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ათუა**.

ათუა მოიხსენიება 1781 წელს, ზურაბ თუმანიშვილის მიერ გიორგი ბატონიშვილის სახელზე გაცემულ არზაში.

1831 წელს, თონეთში, ესტატე თავსუბუქმა ჯვარი დაიწერა ბერუა **ათუაშვილის** ასულ მარიამზე.

საქართველოში 285 **ათუაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 71, გურჯაანში – 53, საგარეჯოში – 49. არიან სხვაგანაც.

## ბაზიერაშვილი

გვარის ფუძეა საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვა **ბაზიერი**, რაც ქორ-შავარდენთა სანადიროდ დამგეშავ მწვრთნელსა და ყურისმგდებელს ნიშნავს.

1721 წლის აღწერაში მოხსენიებულია ყაფლანიშვილების მემამულე – გიორგი **ბაზიერაშვილი**, რომელიც ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სოფელ ქციაში.

საქართველოში 108 **ბაზიერაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 74, თბილისში – 29, გურჯაანში – 5.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

ლინის წინაშე იდგა ერთი მეტად რთული, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა: გერმანიის მოთხოვნით, შეიძლებოდა, შორეულ აღმოსავლეთში იაპონიას ომი დაეწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს კი გერმანიასთან ომში ჩაბმული საბჭოთა კავშირისთვის სასიკვდილო დარტყმის ტოლფასი იქნებოდა.

1941 წლის გაზაფხულზე იაპონიის პრემიერ-მინისტრი გერმანიაში იმყოფებოდა. ცხადია, ამ შეხვედრაზე ჰიტლერის მთავარი სათხოვარიც რა იქნებოდა იაპონიისადმი – ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იაპონიის პრემიერ-მინისტრი სამშობლოში მოსკოვის გავლით დაბრუნდა. ის შეხვდა იოსებ სტალინსაც. ამ მოლაპარაკების თემაც ცხადია, იაპონიის მხრიდან ნეიტრალიტეტის დაცვა იყო. მოლაპარაკებამ, რა თქმა უნდა, უაღრესად საიდუმლო ვითარებაში ჩაიარა, მაგრამ მთელი მსოფლიო ელვის სისწრაფით მოიარა უცნაურმა ამბავმა: პირველი შემთხვევა იყო, როცა, სტალინმა უცხო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სარკინიგზო სადგურამდე მიაცილა, ბაქანზე გადავიდა და ვაგონში შეჰყვა. რატომ გააკეთა ეს სტალინმა? მოლაპარაკება, ხომ ფაქტობრივად, კრემლში დასრულდა. ამ მოულოდნელი ჟესტით, დიდმა „რეჟისორმა” უმძიმესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა ადოლფ ჰიტლერს, რომლისთვისაც სიკვდილამდე ამოუხსნელი დარჩა, რაზე საუბრობდნენ ვაგზლის ბაქანზე, ან ვაგონში საბჭოთა ბელადი და იაპონიის პრემიერ-მინისტრი. ჰიტლერზე არანაკლებ გაოგნებულნი დარჩნენ ინგლისელი და ფრანგი დიპლომატები. სტალინთან ორთაბრძოლაში გაკოტრებულმა ნევილი ჩემბერლენმა და ედუარდ დალადიემ სათამაშო მოედანი დატოვეს. ამიერიდან, მესამე მოთამაშე – სტალინის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთაგან, ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული, ინგლისის პრემიერ-მინისტრი, უინსტონ ჩერჩილი გამოდიოდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ცოტა მოგვიანებით, მათ მეოთხე – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ფრანკლინ რუზველტი დაემატა. საჭადაკო დაფაზე ახალი, რთული და ხანგრძლივი პარტია იწყებოდა.

**მოამზადა ანრი შავლაძემ**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

26 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

27 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

28 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ვთამაშობთ სტრინდბერგს"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

29 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ასულნი"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12, 15, 20 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, მანანა გამცემლიძე, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ზაზა ლებანიძე, ნანა ლორთქიფანიძე, ეკა მინდიაშვილი, მარიკა ჭიჭინაძე, დარეჯან ხარშილაძე, მარინა ჯანაშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„ელექტრა"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12, 15, 20 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: დავით გოცირიძე, ბესო ზანგური, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ირაკლი მაჭარაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, გაგი სვანიძე, ლაშა ჯუხარაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

25 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10,50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

25 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„სახლი ღრუბლებში"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: მამუკა ტყემალაძე. მონაწილეობენ: ვანო იანტბელიძე, გია აბესალაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„დეკამერონი"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10,50 ლარი), (დიდი სცენა), ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ბაია დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, მარლენ ეგუტია, ჯაბა კილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

26 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

27 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ქალი ქვიშაში"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: დავით დანელია. მონაწილეობენ: ნინო გაჩეჩილაძე, ბექა გოდერძიშვილი, ვალერი კორშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ბრმა მხედველი (მოლი სუინი)"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გოგა პიპინაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

29 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ვიხსენებთ ოთარ მეღვინეთუხუცესს"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: ლევან წულაძე, ირაკლი გოგია. მონაწილეობენ: გურანდა გაბუნია, ზურა ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„ჟოლო"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.**

27 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ტარტიუფი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

28 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„თავისუფალი პეპლები"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ანი ხიდეშელი. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, ანუკა გრიგოლია, თაკო ბერიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

27 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გაზაფხული მაინც მოვა"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი. მონაწილეობენ: ბექა ჯუმუტია, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

28 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ქალი და მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: გურამ ლალიაშვილი, ილია ჭეიშვილი, თამრი ბზიავა, გაგი შენგელია, ნუცა მჭედლიშვილი, ნინი კვასხვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

29 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„მაცეკვე ტანგო"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მამუკა ტყემალაძე. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, ზაზა მიქაშავიძე, გია აბესალაშვილი, ქეთი ასათიანი, ბექა ჯუმუტია, ჯაბა სულაკაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.. 30 წუთი;***

30 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„პოლიცია"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, გიორგი ყიფშიძე, ვანო თარხნიშვილი, ნიკა წერედიანი, თემო ნატროშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

25 ნოემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

26 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„საძაღლე"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: ვანო ხუციშვილი. მონაწილეობს: სლავა ნათენაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ხვალ შობაა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე. მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, გიორგი შანიძე, გუგა კახიანი, ანა ნიკოლაშვილი, კახა შარტავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

30 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„რიჩარდ III"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

27 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ბეჩავი"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი: მიხეილ ჩარკვიანი. მონაწილეობენ: გაგა შიშინაშვილი, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, იაკო ჭილაია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

25 ნოემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ნავიგატორი"** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი), კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ლილი ხურითი, ბადრი ბეგალიშვილი, გიორგი გასვიანი, ნანა ხურითი, ედემ ხვიჩია, ნიკოლოზ წერედიანი, დავით ბერაძე, ბესარიონ ქარჩავა, იზოლდა ბოკუჩავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

26 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მოძღვრის აღსარება"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორები: ირაკლი გოგია, ბექნუ ქაფიანიძე. მონაწილეობენ: ბექნუ ქაფიანიძე, მარინა ხარჩილავა, გიორგი გასვიანი, ანდრია გველესიანი, ჯაბა ჯაფარიძე გიორგი ჭუმბურიძე, გიგი მიგრიაული. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

27 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„იმერული რექვიემი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი: ირაკლი გოგია. მო-

ნაწილეობენ: თათული ედიშერაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, ვაჟა ციცილოშვილი, გიორგი გასვიანი, ნელი ბადალაშვილი, ლიკა ქუთათელაძე, ვასილ შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

28 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ჩრდილოეთის ციალი”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ვლადიმერ სნეგურჩენკო. მონაწილეობენ: ერეკლე დეისაძე, სოფია სებისკვერაძე, გვანცა კანდელაკი, გიორგი მიგრიაული, შორენა ზუბიაშვილი, გიორგი ჭუმბურიძე. ***ხანგრძლივობა: 55 წუთი.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი

**ალმაშენებლის გამზირი №182.**
**ტელ.: 234-80-90.**

27-28 ნოემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„მერი პოპინსი”** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, ლაშა რამიშვილი, გიორგი ყველაშვილი, სალომე ყიფიანი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი

**დავით ალმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

25 ნოემბერი, **სამშაბათი** 12.00, 15.00 - **„სიცოცხლის ხე”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

25, 27 ნოემბერი, **სამშაბათი, ხუთშაბათი** 15.00 - **„მე ვხედავ მზეს”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

26, 28 ნოემბერი, **ოთხშაბათი, პარასკევი** 12.00 - **„სათაგური”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

26 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 12.00 - **„მზის სხივი”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. ***ხანგრძლივობა: 45 წუთი;***

26, 28 ნოემბერი, **ოთხშაბათი, პარასკევი** 15.00 - **„სამეფო ძროხა”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

27 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 12.00, 15.00 - **„სამეფო ძროხა”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 ნოემბერი, **პარასკევი** 12.00 - **„სიცოცხლის ხე”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 ნოემბერი, **პარასკევი** 15.00, 19.00 - **„მე ვხედავ მზეს”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

29 ნოემბერი, **შაბათი** 12.00, 15.00 - **„სათაგური”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

29 ნოემბერი, **შაბათი** 13.00 - **„კოლობოკი”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ანატოლი ლობოვი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

29 ნოემბერი, **შაბათი** 17.00 - **„სამეფო ძროხა”** (რუსულად) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

30 ნოემბერი, **კვირა** 12.00, 15.00 - **„ფიფქია და შვიდი ჯუჯა”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

30 ნოემბერი, **კვირა** 14.00 - **„სევილიელი დალაქი”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), თოჯინების საოპერო თეატრი „პწკალა”. რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

30 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„რექვიემი”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ლილი ბურბუთაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## გაბრიაძის თეატრი

**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

28 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა”** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

29 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„რამონა”** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი) - ავტორი, რეჟისორი და დამდგმელი მხატვარი - რეზო გაბრიაძე. ანიმატორები: თამარ ამირეჯიბი, ბადრი გვაზავა, ირაკლი შარაშიძე, ვლადიმერ მელცერი, ანა ნიჟარაძე, ნინო საჯაია. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

30 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა”** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## გ. მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი

**კუს ტბის ქუჩა №2; კულტურის ცენტრი მუზა. ტელ.: 568 14-51-99.**

30 ნოემბერი, **კვირა** 12.00, 14.00 - **„მაწანწალა”** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ელენა მაცხონაშვილი. მონაწილეობენ: მაია მაზიაშვილი, გიორგი მეძმარიაშვილი, ნინო ნატროშვილი, გიორგი ტალახაძე, გიორგი ღონღაძე, მარიკა ძაგნიძე, მანანა წიკლაური, ლევან ხიზანაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04

## ორშაბათი 24 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **14.20** დ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" **15.00** ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** "ქართული ჯარი" **17.30** დ/ფ "ლანსის ლუვრი" **18.30** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **22.00** "არენა" (პ/ტრ.) **23.30** მხ/ფ **"ემიგრანტები"** **02.10** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **02.50** "სამოთხის ვაშლები".

**06.30** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** ნიჭიერი **00.30** სპორტ ტაიმი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 1.30** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნეს კონტაქტი **13.30** მაესტროს შუადღე-შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00** სერიალი **"წარსულის ნაიარევი"** **17.40, 22.00, 1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "ნარჩიტა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** **23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.10** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხ. ფილმი **"პიანინო"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა. **10.05** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** მხ/ფ **"გატეხილი ისარი"** **00.10** მხ/ფ **"სხეულის ენა"**.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ"მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ **"მოიტაცეს თამარ ქალი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ფიროსმანი"** **13.25** კონცერტი - ქართული მელოდიები **15.05** კარაბადინი **15.30** სპექტაკლი **"ბაკულას ღორები"** **16.50** დ/ფ "სარფი მოლენა" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"მოცურავე"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** დ/ფ "ერთი დღე რესტავრატორებთან" **22.25** დ/ფ "დიმიტრი შევარდნაძე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"საბრალონი"** I ნაწ. **02.20** ნიამორი.

## სამშაბათი 25 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **14.20** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **15.00** ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** დ/ფ "ჰოლივუდი" **18.00** "ტელებლოგი" **18.30** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.10** ქართ. ტ/ფ "სერენადა" **23.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. (პ/რეპ) შესვენებისას: "ვიქტორინა" **01.40** მხ/ფ **"ტვირთი"** **03.10** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად.

**06.30** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.30** გააცინე და მოიგე **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 1.30** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასოდეს დაგივიწყებ"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30** მაესტროს შუადღე-შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00 სერიალი "წარსულის ნაიარევი"** **17.40, 22.00, 1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "ნარჩიტა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** **23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.10** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხ. ფილმი **"კლაუსტროფობია"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა. **10.05** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ **"წლის მამაკაცი"** **02.20** სერ. **"პატიმარი"1" 2** სერ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მხ/ფ **"საბრალონი"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "დიმიტრი შევარდნაძე" **10.55** პატერიკი **11.00** დ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **11.35** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"მოცურავე"** **13.30** კონცერტი -გია ყანჩელის მინიატურები **14.20** დ/ფ "იალაღობა აჭარაში" **15.05** კარაბადინი **15.30** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **16.00** მხ/ფ **"ჩემი მსახურის და"** **17.30** დ/ფ "ცხრა კოლაელი ყრმა" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ./ფ **"წითელი ბუშტი"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჩვენი საგანძური" - ღვთისმშობლის მსწრაფლშემსმენელი ხატი . გვანცელაძე **23.30** დ/ფ "ღირსი მამა პიროს ბრეთელი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"საბრალონი"** II ნაწ. **01.20** ნიამორი.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**24 – 30 ნოემბერი**

*დარბაზი 1*

12.00 - **„ფუტკარი მაია"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

14.45, 17.45, 20.00, 22.30 - **„შიმშილის თამაშები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.10, 22.15 - **„ნაღმი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00 - **„დიდი გმირი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.05 - **„ფუტკარი მაია"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

19.10 - **„ინტერსტელარი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

22.30 - **„უიჯი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00 - **„შიმშილის თამაშები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

14.45, 17.00 - **„ფუტკარი მაია"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

19.20, 22.30 - **„ინტერსტელარი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 15.20, 19.15, 22.30 - **„ინტერსტელარი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00 - **„ფუტკარი მაია"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

14.30, 16.40 - **„შიმშილის თამაშები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

19.15, 22.30 - **„ინტერსტელარი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00 - **„დიდი გმირი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.15, 17.00 - **„ფუტკარი მაია"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

19.30 - **„უიჯი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„შიმშილის თამაშები"**, ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;

*დარბაზი 3*

12.00, 19.45 - **„შიმშილის თამაშები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

14.30 - **„დიდი გმირი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.15 - **„შიმშილის თამაშები"** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

22.30 - **„ინტერსტელარი"** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ლიმონის ღვეზელი „კრემ-ბრულე“





**საჭირო ინგრედიენტები:** 250 გრამი ფქვილი (ცომისთვის), 2 კვერცხი (1 ცალი – შიგთავსში, 1 ცალი – ცომში), 200 გრამი კარაქი (125 გრამი – ცომში; 75 გრამი – შიგთავსისთვის), 250 გრამი შაქარი (20 გრამი – ცომში, 230 გრამი – შიგთავსისთვის), 20 გრამი სახამებელი (შიგთავსში), 2 ცალი ლიმონი, ცოტა მარილი, შაქრის პუდრი.

**მომზადების წესი:** საკმაოდ ადვილად მოსამზადებელია, თანაც, ძალიან არომატული. ჯერ მოზილეთ ცომი: თასში ერთმანეთში შეურიეთ ფქვილი, კვერცხი, გამდნარი ან დარბილებული კარაქი, შაქარი, ცოტა მარილი (დანის წვერით).

ცომი შეახვიეთ ცელოფანში და მოათავსეთ მაცივარში. ლიმონი გარეცხეთ და გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. ცალკე ათქვიფეთ კვერცხი და შაქარი, დაუმატეთ დარბილებული კარაქი, რომელსაც წინასწარ კარგად ასრესთ სახამებელში. სულ ბოლოს კი შეურიეთ ლიმონი და კარგად აურიეთ. ცომი გააბრტყელეთ გამოსაცხობ ფორმაში ზომაზე და ამოუკეცეთ ნაპირები (26 სანტიმეტრი დიამეტრის ფორმა კარგი იქნება). ცომს ზედაპირზე წაუსვით შიგთავსი და ფორმა მოათავსეთ აირღუმელში, 190 გრადუსზე. 30-35 წუთის შემდეგ მზად იქნება. ცხობის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ღვეზელი გამოიღეთ, მოაყარეთ შაქრის პუდრი და ისევ შეაბრუნეთ აირღუმელში. ცივი უფრო გემრიელია.

# ქათმის „გულიაში“





**საჭირო ინგრედიენტები:** ქათმის 2 ცალი ფილე, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 1 ცალი პომიდორი, 2 ცალი კარტოფილი, 50 გრამი არაჟანი, სუნელი – თქვენი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ფილე, სტაფილო და პომიდორი დაჭერით კუბიკებად, ხახვი – ნახევარრგოლებად. ქათამი მოხრაკეთ ზეთში (ცოტა დაიბრაწოს), მოაყარეთ ხახვი და ცოტა მოშუშეთ, მერე დაუმატეთ სტაფილო, ბოლოს – პომიდორი, დაასხით ორი ჭიქა წყალი და განაგრძეთ მოშუშვა. ცალკე მოამზადეთ სოუსი: არაჟანში შეურიეთ სუნელები და გახეხილი კარტოფილი. ეს ნარევი ჩაუმატეთ კერძს, ამოურიეთ და 15 წუთი კიდევ შუშეთ.

ეს კერძი ძალიან გემრიელია მოხარშულ ბრინჯთან, პიურესთან ან წიწიბურასთან ერთად.

* დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ დაფას იყენებთ სამზარეულოში. უმჯობესია, თევზისთვის და უმი ხორცისთვის სხვადასხვა დაფა გქონდეთ, თანაც, ბამბუკისგან ან ფიჭვის ხისგან დამზადებული, ლაკის გარეშე. პლასტმასის დაფები ხშირად უნდა ცვალოთ.





# ღორის სტეიკი

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ღორის რბილი ხორცი, 30 მილილიტრი ზეთი, 2 ცალი პომიდორი, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 200 მილილიტრი თეთრი მშრალი ღვინო, 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 4 კბილი ნიორი, 5 ჩაის კოვზი ძმარი, დარიჩინი, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით, მწვანილი – მოსართავად.

**მომზადების წესი:** ტაფაზე კარგად გააცხელეთ ზეთი. სტეიკს ორივე მხრიდან წაუსვით მარილი და პილპილი (შეგიძლიათ, ხორცი წინასწარ ცოტა დაბეგვოთ) და შეწვით ორივე მხრიდან. შემდეგ დაასხით ღვინო და შუშეთ ხორცი ათი წუთის განმავლობაში. ტაფაში ჩაუმატეთ დაჭრილი და კანგაცლილი პომიდორი, ტომატ-პასტა და მოაყარეთ დარიჩინი. ხორცი შუშეთ დაბალ ცეცხლზე, თუ საჭირო გახდება, ცოტა გადადუღებული წყალიც მოასხით.

სანამ ხორცი იშუშება, მოამზადეთ სოუსი: ბლენდერში დააქუცმაცეთ ნიგოზი ნიორთან და ძმართან ერთად. როცა ხორცი მზად იქნება, ზემოდან მოასხით ნიგვზიანი სოუსი და კარგად ამოურიეთ და მორთეთ მწვანილით. უგემრიელესია.







# ლაზანია „ოჯახური“

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ქათმის ფილე, 1 შეკვრა გაყინული ცომის ფირფიტები, 50 გრამი კარაქი, 50 გრამი ფქვილი, 600 მილილიტრი რძე, 1 ცალი სტაფილო, 1 თავი ხახვი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 2 კბილი ნიორი, 200 გრამი ტომატ-პასტა, 250 გრამი რბილი ან ჰოლანდიური ყველი; მარილი, შავი პილპილი, სუნელები, 3 სადილის კოვზი ზეთი.

**მომზადების წესი:** დაიწყეთ ფარშით. ჯერ დააქუცმაცეთ და დააბლენდერეთ ფილე, წვრილად დაჭერით ხახვი და ნიორი, ძალიან წვრილად დაჭერით ბულგარული წიწაკა. სტაფილო და ყველი გახეხეთ. ტაფაზე ცოტა ზეთში მოშუშეთ ხახვი და ნიორი, დაუმატეთ სტაფილო, ამოურიეთ და კიდევ მოშუშეთ. ჩაუმატეთ ფარში, მარილი, შავი პილპილი, სუნელები და შუშეთ თავდახურულ ტაფაში 20 წუთის განმავლობაში.

ვამზადებთ სოუსს – ბუშამელს. გაადნეთ კარაქი, ნელ-ნელა ჩაუმატეთ ფქვილი და ერთგვაროვან მასად აქციეთ. ძალიან ნელა ჩაასხით რძე და მუდმივად ურიეთ. ცეცხლს ძალიან დაუკელით, დაუმატეთ მარილი, პილპილი და მიიყვანეთ არაჟნის სისქის მასამდე.

მზა ფარშს ჩაუმატეთ ბულგარული წიწაკა, ტომატ-პასტა და შუშეთ კიდევ 5 წუთი.

ფორმაში ჩააფინეთ ფოლგა და მოათავსეთ მასში ცომის პირველი ფენა, წაუსვით ფარშის მთლიანი მასის ნახევარი, ზემოდან მოუსვით სოუსის ერთი მესამედი და მოაყარეთ ყველის მთლიანი მასის მესამედი; ზემოდან დააფარეთ ცომის მეორე ფირფიტა, ისევ წაუსვით ფარში, სოუსი და ბოლოს ყველი; დააფინეთ ცომის ფირფიტა, წაუსვით დარჩენილი სოუსი და მოათავსეთ ფორმა 180 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში. 40 წუთის შემდეგ გამოიღეთ, მოაყარეთ ყველი და კიდევ 5-10 წუთით შეაბრუნეთ აირღუმელში. ცოტა გააცივეთ და დაჭერით.



# ორაგული კომშით – ნინო ძოწენიძისგან



*ძალიან მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი და კერძების მომზადება. ხშირად, ვცდილობ, ოჯახის წევრები უცხო და ორიგინალური საჭმელებით გავაოცო. ორაგული კომშით საკმაოდ მარტივად მოსამზადებელი და ისეთი ორიგინალური კერძია, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი პრეტენზიული გურმანის მოწონებას დაიმსახურებს.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 750 გრამი ორაგულის ფილე (კანის გარეშე), 2 ცალი მწიფე კომში, 250 გრამი წვრილი ხახვი, 1 სადილის კოვზი კარაქი, 100 მილილიტრი თეთრი მშრალი ღვინო, 2 სადილის კოვზი ბროწეულის სქელი სიროფი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** თევზის ფილე ოთხად გაჭერით. კომში გარეცხეთ, ოთხად გაჭერით, თესლი ამოაცალეთ და თხელ ფირფიტებად დაჭერით. ხახვი დაჭერით და კომშთან ერთად კარაქში მოშუშეთ 2-3 წუთის განმავლობაში. დაასხით ღვინო და 15 წუთი შუშეთ თავდახურული. ბოლოს შეაზავეთ მარილითა და პილპილით. თევზი ცხელ ზეთში ორივე მხრიდან შებრაწეთ, დაასხით ბროწეულის სიროფი, ცეცხლიდან გადმოდგით და რამდენიმე წუთით გააჩერეთ. შემდეგ დაუმატეთ კომშისა და ხახვის სოუსი და მიიტანეთ სუფრაზე.


სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# თევზი სოკოთი და პომიდვრით

**საჭირო ინგრედიენტები:** 700 გრამი თევზის ფილე (კანიანად), 125 გრამი შებოლილი ლორი, 400 გრამი პომიდორი, 500 გრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 50 გრამი რუკოლა, 3-4 სადილის კოვზი ზეთი, 4 სადილის კოვზი ფქვილი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** რუკოლა გარეცხეთ და შეაშრეთ. ლორი წვრილად დაჭერით. პომიდორი დაჭერით. სოკო გარეცხეთ და შუა-შუა გაჭერით. ხახვი წვრილად დაკეპეთ. ლორი ტაფაზე დაყარეთ, უცხიმოდ შებრაწეთ და ცალკე ჭურჭელში გადაიღეთ. იმავე ტაფაზე დაასხით 1 სადილის კოვზი ზეთი, დაყარეთ სოკო, ხახვი და მოშუშეთ, მოაყარეთ მარილი, პილპილი, დაუმატეთ პომიდორი და ამოურიეთ. დაასხით 5-6 სადილის კოვზი წყალი და დაუმატეთ მოშუშული ლორი. ამასობაში თევზი ამოავლეთ მარილის, პილპილისა და ფქვილის ნარევში. ცალკე ტაფაზე გააცხელეთ 2-3 სადილის კოვზი ზეთი და თევზი ორივე მხრიდან (2-3 წუთის განმავლობაში) შეწვით. თევზი სუფრაზე მოშუშულ ბოსტნეულთან და რუკოლასთან ერთად მიიტანეთ.



# შოკოლადის ნამცხვარი გარგარის ჯემით

**საჭირო ინგრედიენტები:** ცომისთვის: 150 გრამი მწარე შოკოლადი, 6 კვერცხი, მწიკვი მარილი, 200 გრამი შაქარი, 120 გრამი დარბილებული კარაქი, მწიკვი ვანილი, 130 გრამი ფქვილი. შიგსართისთვის: 200 გრამი გარგარის ჯემი, ცოტა რძე და შოკოლადი – მინანქრისთვის.

**მომზადების წესი:** ცომისთვის განკუთვნილი შოკოლადი ორთქლის აბაზანაზე გაადნეთ. ფორმას ცხიმი წაუსვით. კვერცხის ცილა და გული გააცალკევეთ. ცილა და მწიკვი მარილი კარგად ათქვიფეთ, სანამ ბეზეს მასას არ მიიღებთ, დაუმატეთ ნახევარი შაქარი. კარაქი გათეთრებამდე თქვიფეთ, ჩაუმატეთ დანარჩენი შაქარი და ვანილი (თქვეფა არ შეაჩეროთ), შეურიეთ კვერცხის გულები, შემდეგ – დამდნარი შოკოლადი და ბოლოს – ფქვილი, თან, სულ თქვიფეთ. ფქვილიან მასას შეათქვიფეთ გათქვეფილი ბეზეს მასა, გადაიტანეთ ფორმაში და 170 გრადუსზე გაცხელებულ ღუმელში, დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში აცხვეთ, სანამ ბისკვიტის ნაპირები ფორმას არ მოშორდება. მზა ბისკვიტი ცოტა ხნით ღუმელში დატოვეთ, შემდეგ გამოიღეთ და გააგრილეთ. ბისკვიტი სიბრტყეზე გაჭერით და შუაში ჯემი წაუსვით. შოკოლადი გაადნეთ რძესთან ერთად და ნამცხვარს ზემოდან მოასხით.



ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები



## სამკაული „შპილკებისგან“

ორიგინალურ სამკაულს სულ ადვილად დაამზადებთ და არც დიდი თანხა დაგეხარჯებათ. ყურადღებით დააკვირდით სურათებს. ჯერ დაშალეთ ხის „შპილკები“ და ამოაცალეთ ზამბარები. შემდეგ ყველაფერი თქვენს ფანტაზიაზეა დამოკიდებული – მძივები, საკიდები... საყურეც და გულსაკიდიც ერთი პრინციპით მზადდება. საკმაოდ ადვილად და ორიგინალური სამკაული გამოდის.

## სურნელოვანი სანთლები

ფორთოხალი, მიხაკი და სანთლები... ჯერ კარგად დაათვალიერეთ სურათები. ფორთოხალი ჯერ ორ ტოლ ნაწილად გაჭერით, შემდეგ კოვზის დახმარებით კანი დაუზიანებლად მოაშორეთ. შუაგულში ერთ ნახევარს ლამაზად ამოუჭერით ვარსკვლავი, სამკუთხედი ან გული. ნაპირებში ჩაურჭეთ მიხაკის მარცვლები ისე, როგორც სურათებზეა ნაჩვენები. ერთ ნახევარში, რომელიც მთლიანი დარჩა, დიდი სანთელი აანთეთ, მეორე ნახევარი დააფარეთ და სურნელოვანი სანთლები მზად არის.



* როცა უმ პროდუქტს დაჭრით, დაფა აუცილებლად კარგად უნდა გარეცხოთ, შეამშრალოთ ქაღალდის ხელსახოცით და გადაავლოთ მდუღარე წყალი. კვირაში ერთხელ მაინც, სამზარეულოს დაფა ძმრიანი ჩვრით უნდა გაწმინდოთ.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 26 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** 14.20 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 15.00 ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 მხ/ფ **"სასახლის არომატები"** 18.30 ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 21.00 ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** 22.00 მხ/ფ **"დაპირება არ ნიშნავს დაქორწინდე"** 23.40 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. (პ/რეპ) შესვენებისას: "ვიქტორინა" 01.40 მხ/ფ **"მამაკაცები არ მიდიან"** (ჯ.ლანგი) 03.30 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად.

06.30 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ბედთან მებრძოლი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 "ნანუკას შოუ" 00.30 კიმონო 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 2.00, ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** 7.55 საქმიანი დილა - დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასოდეს დაგივიწყებ"** 11.50 პრესა ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნესკონტაქტი 13.30 მაესტროს შუადღე - შუადღის შოუ 15.45 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 16.00 სერიალი **"წარსულის ნაიარევი"** 17.40, 22.30, 2.20 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.55 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "ნარჩიტა"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.45 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 0.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 2.40 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 3.20 მხ. ფილმი **"მსხვილი კალიბრი"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45 ქრონიკა. 10.05 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"უდანაშაულო"** 17.35 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 EMERGENCY 00.55 მხ/ფ **"ქორწილის ჩინებული დღე"**.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ **"საბრალონი"** II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 თეთრიდან თეთრამდე 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 მოკ./ფ **"წითელი ბუშტი"** 13.35 კონცერტი - ანს.**"ეგარი"** 14.45 "ჩვენი ამბავი" 15.05 კარაბადინი 15.30 მხ/ფ **"ივანე კოტორაშვილის ამბავი"** 16.50 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"სინემა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჯვარსახოვანი გზა" იოანე ოქროპირი (I ნაწ.) 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"მამა გორიო"** I ნაწ.

## ხუთშაბათი 27 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** 14.20 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 15.00 ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 "ეს საქართველოა" 17.30 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" 18.30 ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 21.00 ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** 22.00 სოციალური თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ **"მარტოხელა გმირი"** 02.45 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად.

06.30 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ბედთან მებრძოლი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 პროფილი 23.55 აჭარა ბეთის გათამაშება 00.30 ვინ დაამარცხებს ვასოს 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** 7.55 საქმიანი დილა - დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასოდეს დაგივიწყებ"** 11.50 პრესა ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნესკონტაქტი 13.30 მაესტროს შუადღე - შუადღის შოუ 15.45 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 16.00 სერიალი **"წარსულის ნაიარევი"** 17.40, 22.00, 1.50 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "ნარჩიტა"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 23.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 2.10 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 მხ. ფილმი **"სისრულის დეტექტორი"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45 ქრონიკა. 10.05 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"უდანაშაულო"** 17.35 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 23.45 შალვა რამიშვილის შოუ 00.55 მხ/ფ **"ჩემი ერთადერთი და განუმეორებელი"**.

06.10 საგალობელი 06.20 მხ/ფ **"მამა გორიო"** I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"სინემა"** 13.25 ივერიის ეკლესია 13.40 კონცერტი - ანს. **"ლატალი"** 15.05 კარაბადინი 15.30 მხ/ფ **"არსენას ლექსი"** 17.20 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 "პორტრეტები" 20.10 მოკ./ფ **"პოზოი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დ/ფ "მეფე და ბერი" 22.25 დ/ფ "აფხაზური ისტორიები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჯვარსახოვანი გზა" იოანე ოქროპირი (II ნაწ.) 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"მამა გორიო"** II ნაწ.

## პარასკევი 28 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** 14.20 მხ/ფ **"და მოვა სიყვარული"** 17.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 18.30 დ/ფ "ვინ არის ჯექსონ პოლოკი" 21.00 ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** 22.00 თოქ-შოუ: I სტუდია 23.30 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ **"უდანაშაულობის პრეზუმფცია"** (ჰ.ფორდი) 02.10 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 02.50 "სამოთხის ვაშლები".

06.30 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ბედთან მებრძოლი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 ბრავო 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასოდეს დაგივიწყებ"** 11.50 პრესა ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნესკონტაქტი 13.30 მაესტროს შუადღე - შუადღის შოუ 15.45 პრესა ქართული და

უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00** სერიალი **"წარსულის ნაიარევი" 17.40, 22.00, 1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "სხვისი სხეული" 21.00** მაესტროს "ცხრიანი" (საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქუჩები და გუნები" 23.30 სერიალი "მდუმარენი" 2.10** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხ. ფილმი **"ფერმა მესეს საიდუმლო"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული" 11.20** სერ. **"სილა" 12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო" 17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე" 20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00** რეაქცია **00.00** მხ/ფ **"სრულყოფილი გრძნობა"**(ი.მაკგრეგორი) **01.50** სერ. **"პატიმარი"მე-3" 4** სერ.

**06.10** საგალობელი **06.20** მხ/ფ **"მამა გორიო"** II ნაწ. **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "აფხაზური ისტორიები" **10.05** ღვთის სახლი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.50** მოკ./ფ **"ჰოზოი" 13.20** კონცერტი -სამი ტენორი **15.05** კარაბადინი **15.30** მხ/ფ **"მყუდრო სავანე" 17.00** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ **"ჩაკლული სული" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "საქართველოს ისტორია" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"დიდი ვალსი"**.

## შაბათი 29 ნოემბერი

**08.00** ან/ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** ან/ფ "სკუბი დუ! აბრაკადაბრა-დუ" **10.30** გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება" 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – "მერე რა რომ სველია სველი იასამანი" **14.00** მხ/ფ **"ტყუპები" 16.30** ქართ. მხ/ფ **"თემო" 18.00** დ/ფ "შუა საუკუნეების მანერები" **19.00** "ეტალონი" **21.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** მხ/ფ **"შორს"** (ტ.კრუზი) **00.20** მხ/ფ **"ძალაუფლება" 02.10** "ეტალონი" **03.30** დ/ფ "შუა საუკუნეების მანერები".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** კომედი შოუ **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** ვინ დაამარცხებს ვასოს **15.30** ნიჭიერი **19.00** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **22.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.30** რა? სად? როდის? **01.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **03.30** მხ/ფ.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"მაგიის რაინდები" 8.40** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **9.00 სერიალი "ასი" 10.00** NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა **11.50,14.50, 18.35** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა **"60** კითხვა ინტერიერში" **13.05 სერიალი "10 წლის შემდეგ" 15.30** ოთარ ტატიშვილის შოუ **16.30, 22.00 სერიალი "1 ნაბიჯი" 17.30** "ინფაქტი" (კვირის კოლაჟი) **18.45 სერიალი "სხვისი სხეული" 20.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **21.00** თოქ-შოუ სუბიექტური აზრი **23.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **0.00 სერიალი "მდუმარენი" 2.20** მხ. ფილმი **"ლუისი" კლარკი და ჯორჯი"** (ტიტ.).

**07.15** ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" **07.45** მხ/ფ **"ტალღების დამპყრობელი" 10.15** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **11.15** ვაკანსია **12.00** სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი" 1** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.40** სერ. **"უდანაშაულო" 17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე" 20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00, 00.00** სერ. **"შუა ქალაქში — 5" 01.00** მხ/ფ **"ემპაიერ სთეითი"**(დ.ჯონსონი) **02.40** სერ. **"პატიმარი"მე-5" 6** სერ.

**06.10** საგალობელი **06.15** მხ/ფ **"მყუდრო სავანე" 07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართულ მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"ჩაკლული სული" 13.30** დ/ფ "საქართველოს ისტორია" **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - **"მფრინავი ჰოლანდიელი" 17.20** დ/ფ "ხიხანის ხეობა" **18.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "ჩვენი ამბავი" **22.35** "თვენი" წმინდა დიდმოწამე მიქაელ გობრონი **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჟურნალისტის დღიური" - ვარდისფერი კაცი (გოდერძი ჩოხელი) **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ **"გლადიატორი"** I ნაწ.

## კვირა 30 ნოემბერი

**08.00** ან/ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** ან/ფ "სკუბი დუ! ბანაკის საშინელებანი" **10.30** გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება" 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ვაშინგტონი დღეს" **13.00** დ/ფ "არქიტექტურა" **13.30** "გურმანია" **14.00** მხ/ფ **"დიასახლისი"** (ს.მარტინი) **16.30** ქართ. მხ/ფ **"ფიროსმანი" 17.55 ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი: **"დინამო" – "გურია"** (პ/ტრ) **20.00** "ტელებლოგი" **21.00** ქართ. ფილმი: "ქუჩის დღეები" **22.30** მხ/ფ **"მოულოდნელი ორსულობა"** (კ.ჰაიგლი) **00.30** მხ/ფ **"ჯონაჰ ჰექსი"** (ჯ.მალკოვიჩი) **02.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** "სახლი" **11.00** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ქერის უბანი **16.00** ბრავო **18.40** ექიმები **19.40** კომედი შოუ **21.00** P.შ. **22.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.30** სოციალური ცელი **01.00, 03.30** მხ/ფ.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"მაგიის რაინდები" 8.40** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **9.00 სერიალი "ასი" 10.00** NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება **11.30** უცნობი ისტორიები **11.55, 14.50, 17.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "ID" **13.05** მხ. ფილმი **"ისინი ჩამოვიდნენ მთიდან" 15.30** სუბიექტური აზრი **16.30** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **17.30** გადაცემა **"60** კითხვა ინტერიერში" **18.30** "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება **19.00 სერიალი "სხვისი სხეული" 20.00** გადაცემა "ფული და სურვილები" **20.30** "აბების/ კვირის ანეკდოტები **21.30 სერიალი "10 წლის შემდეგ" 23.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **0.00 სერიალი "მდუმარენი" 2.20** მხ. ფილმი **"ფხიზელი ძილი"**.

**08.00** ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" **09.00** მხ/ფ **"წითელი ძაღლი" 11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. **"რობინ ჰუდის თავგადასავალი" 2** სერ. **13.00** EMERGENCY **14.35** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.35** ცეკვავენ ვარსკვლავები) **20.00** იმედის კვირა **22.00** ქ/სერ. **"ფსიქოპატთა თამაშები" 5** სერ. **23.00** მხ/ფ **"ჰანა** (კ.ბლანშეტი) **00.55** მხ/ფ **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"**(ა.ბოლდუინი) (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.25** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ **"რეკორდი" 13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** დ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" **18.30** დროის ჩანაწერები **19.20** "ჩვენი ამბავი" **19.30** მხ/ფ **"ჩვენი ეზო" 21.05** პატრიარქის ქადაგება **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ **"გლადიატორი"** II ნაწ.

# როგორ დავიცვათ თავი სამყაროში არსებული ნეგატიური ენერგიების შემოტევებისგან

ჩვენ ირგვლივ ყოველთვის არსებობს გარკვეული დადებითი და უარყოფითი ენერგიების ველი და ყოველ ჩვენგანს შესწევს უნარი, ეს ენერგიები მოიკრიბოს და შექმნას აურა. ამ ენერგეტიკული ველის შეგროვება ხდება მენტალური (ანუ, აზრის), ფიზიკური და ემოციური ენერგიების მეშვეობით. ეს სამი სახის ენერგია ჩვენ გარშემო ქმნის ენერგეტიკულ ველს. ამის ფონზე შეგვიძლია, დავაგროვოთ გარკვეული კონცენტრირებული ენერგია, რომელიც დამცავი ფარი იქნება სხვა ნეგატიური ენერგიების შემოტევისგან; ასევე, შეგვიძლია, ეს ენერგია მივმართოთ რომელიმე სხვა ადამიანისკენ, იმისდა მიხედვით, თუ რა ზრახვები გვამოძრავებს, როცა ასეთი ენერგიის სხვისკენ გატყორცნას ვაპირებთ.

შურით, ბოღმით, ამპარტავნებით, ქედმაღლობითა და ამბიციურობით ადამიანში ხდება ნეგატიური ენერგიის დაგროვება და შემდეგ ამ ენერგიის წყევლის მუხტით გაგზავნა კონკრეტული ადამიანის მიმართ. თუ წყევლა მსგავსი კონცენტრირებული საშუალებით იგზავნება, მას დამანგრეველი ძალა აქვს. კერძოდ, ამით ხდება ბიოველის დარღვევა, მასში შეღწევა და ბინძური ენერგიის შეტანა. ამ დროს წყევლის ობიექტს ეწყება პრობლემები, ხდება წარუმატებელი, უიღბლო, პრობლემური; ხვდება წინაღობები და უსიამოვნებები. ადამიანს შიდა ენერგოველში აქვს თორმეტი არხი, ეგრეთ წოდებული „მერიდიანების სისტემა." ამ მერიდიანებში აუცილებლად უნდა გადიოდეს ნათელი კოსმიური ენერგია, რომლითაც ხდება ადამიანის საზრდოობა. თორმეტივე არხი მართავს სხვადასხვა სფეროს, კერძოდ, ზოგი მერიდიანი მართავს კარიერულ ხაზს, ზოგი – პირად სასიყვარულო სფეროს, ზოგი – ჯანმრთელობის, ზოგიც – საოჯახო საკითხებს და ასე შემდეგ. ანუ, ყველა მერიდიანი უნდა იყოს სუფთა. მაგრამ, როცა ხდება ნეგატიური ენერგიის შესვლა და მათი დაზიანება, თუნდაც გამიზნული წყევლით, მაშინ ის, თავის მხრივ, აზიანებს საერთო ბიოველს და ადამიანს ანგრევს. ის ნეგატიური ენერგია, რომელიც წყევლით გამოიხატება, არის ზიზღითა და უარყოფითი ემოციებით სავსე ენერგია, რომელიც შედის სხვა ადამიანის ბიოველში, მის მერიდიანებში ჭედავს ბინძურ ენერგიას და აფერხებს ნათელი კოსმიური ენერგიის შესვლას. ამის ფონზე იწყება ჯანმრთელობის პრობლემები, ფსიქიკური აშლილობები, უსიამოვნებები ოჯახსა და სამსახურში და ასე შემდეგ. სწორედ ეს არის შავი მაგიის ძალის ზეგავლენა, რომლის ერთ-ერთი შტო – წყევლაა.

ასტროლოგია გვასწავლის, რომ ყველაზე დიდ ზეგავლენას ადამიანებზე მთვარე ახდენს. მთვარე ადამიანის ემოციური ცენტრია – ის აყალიბებს ჩვენს ემოციებსა და ქვეცნობიერ სამყაროს. როგორც ვიცით, არსებობს მთვარის დადებითი და უარყოფითი დღეები. მთვარის უარყოფით დღეებს ჩვენ „სატანურს" ვუწოდებთ და ისინი დგება ახალმთვარეობიდან მეორე, მესამე, მეხუთე, მეცხრე, მეთორმეტე, მეცამეტე, მეცხრამეტე, ოცდამეცხრე დღეებში. განსაკუთრებით საშიშია ახალმთვარეობა, რომელიც ამ ოცდამეცხრე დღეს მოჰყვება. ეს დღეები ითვლება ძალიან მძიმე ნეგატიურ დღეებად, როდესაც კოსმოსიდან დედამიწაზე ძალიან უარყოფითი ენერგია მოდის. ამიტომ, ამ დღეებში ძალიან ძლიერ ძალას იძენს წყევლა. ადამიანებში დაგროვილი უარყოფითი ენერგია იგზავნება კოსმოსში, მას ემატება მთვარისგან წამოსული ნეგატიური ენერგია და ეს საშიში ენერგია ორმაგდება სწორედ მთვარის სატანურ დღეებში. ამიტომ, ასეთ დღეებში გააქტიურებას იწყებენ ისინი, ვისაც სხვა ადამიანების მიმართ არაკეთილმოსურნეობა არ ასვენებს და, ცხადია, წყევლით აორმაგებენ ამ ნეგატიურ, უარყოფით ენერგიას. ამიტომ, ამ დღეებში არ გირჩევთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, რადგან, შეიძლება, საქმეში სიყვარული ჩააქსოვო, მაგრამ ეს ნეგატიური ენერგია ანეიტრალებს სიყვარულის ენერგიას. ასტროლოგიურად, მსგავსი საქმიანობით უმჯობესია, მთვარის დადებით დღეებში დაკავდეთ. სხვათა შორის, მთვარის დადებითი და უარყოფითი დღეების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობდნენ ჩვენი წინაპრები და შესაბამისადაც მოქმედებდნენ. სატანურ დღეებში, ჯობია, ყოველდღიური საქმეებით შემოიფარგლოთ და არაფერი განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი და ახალი არ დაგეგმოთ, რადგან, ყოველთვის გამოჩნდება ხელისშემშლელი ფაქტორები.

შეგახსენებთ, რომ სამყაროში შემთხვევით არაფერი ხდება და ყველაფერი კანონზომიერია.



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

**კურტ ვონეგუტი**

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **დავიბადე 1988 წლის 1 დეკემბერს, ღამის საათებში. არ მიმართლებს საქმიანობის მხრივ. გთხოვთ, მირჩიოთ, რა საქმეს მოვკიდო ხელი, რომ წარმატებებს მივაღწიო, ანუ, კონკრეტულად რომელი დარგია ჩემთვის მისაღები ცხოვრებაში?**

პასუხი: თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანი პროფესიებია: მედიცინიდან – ქირურგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია, ასევე, სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული საქმიანობა, იურისპრუდენცია, საიუველირო საქმიანობა ან ბიზნესი, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო ინდუსტრია, გასართობი ინდუსტრია, სამეცნიერო კვლევა. ამ სფეროებში გაცილებით მეტი წარმატების მიღწევის შანსები გაქვთ.

კითხვა: **დავიბადე 1999 წლის 25 დეკემბერს. რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს დავუკავშირო ბედი, რომ პირად ცხოვრებაში ბედნიერი ვიყო?**

პასუხი: თქვენთვის სასურველი პარტნიორები არიან: თხის რქა, ლომი, ვერძი, მერწყული ან სასწორი. ნუ აჩქარდებით ქალწულის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ურთიერთობისას. კარგად დააკვირდით და გაამახვილეთ ინტუიცია, უსმინეთ მას და შემდგომ გამოიტანეთ დასკვნა, მისაღებია თუ არა ის თქვენთვის. სხვა ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებთან ურთიერთობა კი საშუალოა.

კითხვა: **ჩემი და დაიბადა 1988 წლის 31 ივლისს. უნდა უცხოეთში გამგზავრება და იქ ძალების მოსინჯვა. მისაღებია თუ არა ეს მისთვის და, ზოგადად, რომელ ქვეყნებს ურჩევთ?**

პასუხი: თქვენს დას, კარმული თვალსაზრისით, უცხოეთთან დაკავშირებით აქვს გარკვეული წინაღობები და ბარიერები. ამიტომ, შესაძლოა, იქ ჩასულმა ადვილად ვერ ააწყოს ცხოვრება. თუ მაინც გადაწყვიტა წასვლა, უნდა გამოავლინოს ნებისყოფა და მოთმინება. ქვეყნებიდან კი კარგია: უკრაინა, ირლანდია, პოლონეთი, მოლდოვა, ბელგია, არგენტინა, ესტონეთი, ლატვია, ბულგარეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი მხარე, კუნძული შრი-ლანკა, ბრაზილია, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, სამხრეთ კორეა, კუნძული მალტა, კვიპროსი.

კითხვა: **დავიბადე 1985 წლის 28 სექტემბერს, საღამოს საათებში. რა არის ჩემი კარმული მისია და ზოდიაქოს რომელი ნიშნით დაბადებულ ადამიანთან მელის სასურველი ქორწინება?**

პასუხი: სასიყვარულო პარტნიორებიდან თქვენთვის მისაღებია: ქალწულის, სასწორის, მერწყულის, ტყუპების, ლომის ან მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი. რაც შეეხება თქვენს კოსმიურ-კარმულ მისიას, უნდა გამოავლინოთ ხასიათში საუკეთესო თვისებები. იყოთ ორგანიზებული, დისციპლინირებული, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ფულის ყაირათიანი მხარჯველი, წინდახედული, ერთგული და გარშემოც ასეთი ადამიანები უნდა შემოიკრიბოთ. მოიწესრიგეთ ცხოვრება, რათა სწორად განვლოთ ევოლუციური განვითარების გზა დედამიწაზე. იყავით დემოკრატი და სხვებსაც დაუტოვეთ არჩევნის უფლება. ურთიერთობისას გამოიყენეთ დიპლომატია, პატივი ეცით ტრადიციებს და გაითვალისწინეთ ოჯახის წევრების აზრი – ეს მეტ წარმატებებს მოგიტანთ ცხოვრებაში.



## ვერძი

ძნელად მიაღწევთ მიზანს. ნუ გექნებათ სხვისი იმედი, მით უმეტეს – ფინანსებში. მოერიდეთ ფარულ გარიგებებს. თავი შეიკავეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან. თუ საყვარელი ადამიანის ინტერესების დაკმაყოფილებას შეძლებთ, სიტუაცია არ გართულდება.



## კურო

მნიშვნელოვანი პერიოდია, რომელიც თქვენს ცხოვრებაში ცვლილებებს შეიტანს. კარგია ახალი ნაცნობობა. გაიზრდება შემოსავალი. ასევე, კარგია მოგზაურობა, ახალი სასიყვარულო კავშირები, ვარჯიშის ჩატარება, მკურნალობის კურსის დაწყება.



## ტყუპები

ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ მუშაობასა და ფინანსურ შემოსავლებზე ფიქრს. იმოქმედეთ წინდახედულად. ნუ გარისკავთ და ნუ აიღებთ სესხს. სასიყვარულო პარტნიორთან მეტი სინაზე გამოიჩინეთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.



## კირჩხიბი

დაფასდება თქვენი ნამუშევარი. ამაღლდება თქვენი პროფესიონალიზმი და ავტორიტეტიც. თანამოაზრეებთან ხშირად გაიარეთ კონსულტაციები. არ გირჩევთ მოგზაურობას. საყვარელ ადამიანთან კი მეტად რომანტიული იყავით, რათა მისი მხრიდან არ გაცივდეს გრძნობა.



## ლომი

სხვებს თქვენი დახმარება დასჭირდებათ. ფინანსური წარმატების იმედი ნუ გექნებათ. გაგიჭირდებათ ახალი ინფორმაციის მიღება და გადამუშავება. მოერიდეთ რისკსა და დაძაბულობას. ეცადეთ, არ გაგიფუჭდეთ ურთიერთობა მეგობრებთან. არ არის გამორიცხული, ახალი სასიყვარულო რომანის წინაშე აღმოჩნდეთ.



## ქალწული

ენერგიით სავსე იქნებით, რისი წყალობითაც არაერთ საქმეს მოაგვარებთ. იყავით მეტად დიპლომატი. თამამად იმოქმედეთ პროფესიონალურ სფეროში. გაუმჯობესდება ფინანსური მდგომარეობაც, საყვარელი ადამიანი კი ბევრ სითბოსა და სიყვარულს გაჩუქებთ.



## სასწორი

ხანგრძლივი პროექტები და საქმიანი აქტიურობა მომავალში დიდ შემოსავალს გპირდებათ. ახალი იდეების განხორციელებაში ბევრი ადამიანი დაგეხმარებათ. თავი აარიდეთ ოჯახურ კონფლიქტებს და ბევრი დრო დაყავით მეგობრების გარემოცვაში. არ გადაიღალოთ.



## მორიელი

კონტაქტები, გადაადგილებები, მოგზაურობები ცხოვრებისეულ ენერგიებს და ხალისს შეგმატებთ. მოერიდეთ ზედმეტ აქტიურობას. მატერიალური მდგომარეობა გიბიძგებთ ფარული მოქმედებებისკენ. წინასწარ დაგეგმეთ შეხვედრები და გადაადგილებები. საყვარელი ადამიანი გვერდში დაგიდგებათ.



## მშვილდოსანი

ბევრი საქმე დროის არ დაგიტოვებთ კონტაქტებისა და გართობისთვის. პრობლემებს შეგიქმნით კრედიტებიც. პირად ცხოვრებასა და ურთიერთობებში დაულაგებელი სიტუაცია, კიდევ უფრო დაიძაბება. ნუ იმოქმედებთ ფარულად და ნუ დატოვებთ უყურადღებოდ ოჯახის წევრების აზრს.



## თხის რქა

საკუთარ თავზე ბევრი საქმის აღება მოგიწევთ. დაძაბულობა და ემოციური ფონი ხელს შეგიშლით ბევრი რამის მოგვარებაში. თქვენამდე მოსული ინფორმაცია აუცილებლად გადაამოწმეთ. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში გაიცნოთ ადამიანი, ვისთანაც მომავალში სასიყვარულო გრძნობა დაგაკავშირებთ.



## მერწყული

გაიმყარეთ ავტორიტეტი და მოგებასაც ნახავთ. მოსალოდნელია ბევრი გადაადგილება. მონაწილეობა მიიღეთ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში. საყვარელი ადამიანი სიმშვიდესა და სიამოვნებას მოგანიჭებთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.



## თევზები

ჯანმრთელობა და ენერგობალანსი მოგცემთ იმის საშუალებას, რომ ბევრ პრობლემას დააღწიოთ თავი. საქმეში წარმატების მისაღწევად აუცილებელია დამატებითი ცოდნის მიღება და გამოცდილების გათვალისწინება. ბევრ დროს წაგართმევთ ფინანსური საკითხები. სასიყვარულო პარტნიორი კი მეტად მეგობრული და გულახდილი გახდება.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 22 დეკემბერი, 01:50 სთ.**

## ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია იურიდიული საკითხების მოგვარება, მოგზაურობა, უცხოეთში კაპიტალდაბანდება. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, აკვამარინი, ლაზურიტი, ლაბრადორი ან იაგუნდი. ყურადღებას ნუ მიქცევთ სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია სამეცნიერო კვლევა, სულიერი და ინტელექტუალური განვითარება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

## სამშაბათი

იმოქმედეთ წინდახედულად. მკაფიოდ გამოთქვით თქვენი აზრები. კარგია მშენებლობა, მოგზაურობა, ხელოვნებასთან კონტაქტი. მოერიდეთ ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობას, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს, ახალ კავშირებს. ატარეთ ყავისფერი, ჩალისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი ან რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგთან ვიზიტს. კარგია დიეტის დაწყება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.*

## ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

სერიოზულად მოუდექით ცხოვრებისეულ მოვლენებს. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, ოპალი, რუხი ტოპაზი ან ამეთვისტო. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა ფინანსური ოპერაციები, ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, სტომატოლოგიური პროცედურები, ახალი სასიყვარულო კავშირები. კარგია უძრავი ქონებისა და ავტომობილის ყიდვა-გაყიდვა, ექიმებთან კონსულტაცია, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ძვლები, სახსრები, ხერხემალი, მუხლები.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

## ხუთშაბათი

კარგია ახალი ნაცნობობა. მოიმატებს ილუზიები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, წითელი, ყვითელი, ვარდისფერი ან ნაცრისფერი სამოსი, ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრონი ან ამაზონიტი. ნუ მოუყვებით სიზმრებს სხვებს. სასიკეთო დღეა სამეცნიერო კვლევისთვის, სახლის მშენებლობისთვის, ადგილსამყოფლის შესაცვლელად. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.*

## პარასკევი

გამახვილდება ინტუიცია. მოერიდეთ სულსწრაფობასა და ამპარტავნობას. ატარეთ წითელი, ვარდისფერი, ყავისფერი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი ან ამაზონიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სარემონტო სამუშაოების ჩატარება, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, ვაჭრობა. სუსტდება ნერვული სისტემა, მხედველობა, ფეხის კუნთები.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.*

## შაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოიმატებს ილუზიების, რომანტიზმის, ხასიათში ცვლილებების ალბათობა. კარგია გართობა, იურიდიული საქმიანობა, კაპიტალდაბანდება, სასიყვარულო კავშირები. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, ვერცხლისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, გიშერი, ალექსანდრიტი ან მარჯანი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ საიდუმლო საქმიანობას. სუსტდება ტერფები, ნერვული სისტემა.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

## კვირა
### გეომაგნიტური დღე

გაგიძნელდებათ ტყუილისგან სიმართლის გარჩევა. აკონტროლეთ აზრები და ემოციები. კარგია ქველმოქმედება, დასვენება, სასიყვარულო კავშირები. ატარეთ იისფერი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი, ვერცხლისფერი ან ფირუზისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, გიაცინტი, ალექსანდრიტი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. სუსტდება ნერვული სისტემა, კანი, ენდოკრინული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# რა გჭირდება ჰარმონიისთვის

*დადგენილია, რომ მთვარის ფაზები სერიოზულად მოქმედებს ადამიანის ბუნება-განწყობაზე და წარმატება-წარუმატებლობაც მასზეა დამოკიდებული. ნახეთ, რა გჭირდებათ ჰარმონიისთვის:*

**1. გაქვთ უნარი, მიაღწიოთ დასახულ მიზანს?**



ა) დიახ, ძალიან მიზანმიმართული ვარ;

ბ) ცოტას კი ვწვალობ, მაგრამ, ბოლოს მაინც ვაღწევ მიზანს;

გ) არა, ვერასოდეს;

დ) მიზნებს არ ვისახავ.

**2. რომელი სიტყვები შეესაბამება თქვენს ხასიათს:**

ა) გაწონასწორებული, საიმედო;

ბ) იმპულსური, კომუნიკაბელური;

გ) აქტიური, ყურადღებიანი, მზრუნველი;

დ) შემოქმედებითი, ჩაფიქრებული, მგრძნობიარე.

**3. რა გავლენა აქვს თქვენზე მთვარის შუქს?**

ა) სულ ზღაპრებზე ვფიქრობ;

ბ) საზეიმო განწყობას მძენს;

გ) სიმშვიდეს მგვრის;

დ) ცოტათი მოწყენილი ვარ ხოლმე.

**4. წყლის რომელი „რეზერვუარი" მოგწონთ ყველაზე მეტად?**

ა) ზღვა, რა თქმა უნდა;

ბ) ჩანჩქერი;

გ) მდინარე;

დ) ტბა.

**5. გჯერათ მოჩვენებებისა და არაამქვეყნიური არსებების?**

ა) არა, რა სისულელეა;

ბ) დიახ, მჯერა ანგელოზების;

გ) ზოგჯერ მჯერა, რომ მართლაც არსებობენ;

დ) ალბათ, უნდა არსებობდნენ. მგონია, რომ ეს შესაძლებელია.

**6. გაქვთ უნარი, დაშორდეთ საყვარელ ადამიანებს, შეელიოთ ნივთებს, ჩვევებს?**

ა) არა. სამწუხაროდ, ძალიან ადვილად ვხდები მათზე დამოკიდებული;

ბ) თუ რამე ნერვებს მიშლის, მაშინვე ყველას და ყველაფერს ვემშვიდობები;

გ) თუ ვხვდები, რომ ეს აუცილებელია, ვახერხებ;

დ) ეს თავისით ხდება ხოლმე, ბუნებრივად.

**7. როგორ დაახასიათებთ თქვენი სახის კანს?**

ა) ნაზი და ფერმკრთალი;

ბ) საკმაოდ მშრალი;

გ) ზოგადად, აუგს ვერ ვიტყვი;

დ) ნორმალური, თუმცა ოდნავ ცხიმიანი.

**8. რას ურჩევთ მეგობარს, თუ მას პრობლემები აქვს?**

ა) ხელები არ ჩამოუშვა! იმოქმედე!

ბ) გაითვალისწინოს ცხოვრების გაკვეთილები;

გ) გაერთე და გული გადააყოლე!

დ) შეეცადე, ყველაფერი დაივიწყო.

**ტესტის გასაღები**

| | ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | 2 | 3 | 4 |
| 2 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 4 | 3 |
| 4 | 2 | 1 | 4 | 3 |
| 5 | 3 | 4 | 2 | 1 |
| 6 | 2 | 1 | 4 | 3 |
| 7 | 1 | 4 | 3 | 2 |
| 8 | 1 | 3 | 2 | 4 |

*8-13 ქულა: შეგიძლიათ, დატკბეთ დღევანდელი დღით და ისიამოვნოთ ყოველი წუთით. მომავალსაც კარგად გეგმავთ და ყველაფერი გამოგდით. ცოტათი ინტუიციის გალვივებაც გჭირდებათ და წარმატება მოვა.*

*14-20 ქულა: ენერგიით სავსე ხართ. გარემოებებიც გიწყობთ ხელს, რომ იყოთ წარმატებული, გახდით უფრო მიზანდასახული და შეუპოვარი. მთავარია, სხვა ადამიანების ზეგავლენამ გზიდან არ გადაგახვევინოთ.*

*21-26 ქულა: სავსე მთვარე შინაგან სამყაროს გიმრავალფეროვნებთ. ზუსტად იცით, რა გჭირდებათ. ყველაზე რთული პრობლემისა და ამოცანის გადაჭრაც კი არ გიჭირთ. ბევრის მიღწევის შანსი და რესურსი გაქვთ.*

*27-32 ქულა: სავსე მთვარე გადუნებთ და სევდიანს გხდით. ახლა თქვენთვის აუცილებელია, გაერკვეთ საკუთარ თავში, აღარ იფიქროთ წარსულზე, რომ სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ და მოიკრიბოთ ძალები.*

მოამზადა
**ელენე წულუკიძე**

# რა მოხდა ამ დღეს

**24 ნოემბერი**

1859 – გამოქვეყნდა ჩარლზ დარვინის ნაშრომი „სახეობათა წარმოშობა".

1874 – ამერიკელმა ჟოზეფ გლოდენმა მიიღო პატენტი მავთულხლართებიან ღობეზე.

1963 – ჯეკ რუბიმ სასიკვდილოდ დაჭრა კენედის მკვლელი – ლი ჰარვი ოსვალდი.

1991 – შიდსით გარდაიცვალა ფრედი მერკური.

**25 ნოემბერი**

1869 – ალფრედ ნობელმა დააპატენტა თავისი გამოგონება – დინამიტი.

1992 – ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „პირადი მცველი". მთავარ როლებში: უიტნი ჰიუსტონი და კევინ კოსტნერი.

**26 ნოემბერი**

1832 – ნიუ-იორკში მოძრაობა დაიწყო მსოფლიოში პირველმა ცხენებშებმულმა ტრამვაიმ – კონკამ.

1885 – პრაღაში პირველად გადაუღეს ფოტოსურათი ვარდნილ მეტეორიტს.

**27 ნოემბერი**

1095 – კლერმონის საეკლესიო კრებაზე, რომის პაპმა ურბან მეორემ ქრისტიანულ სამყაროს მოუწოდა, გაელაშქრათ მუსლიმანთაგან იერუსალიმის გასათავისუფლებლად. ასე დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობების ხანა.

1895 – ალფრედ ნობელმა დაწერა ანდერძი, სადაც თავისი ქონების დიდი ნაწილი გამოყო მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა დასაჯილდოებლად. დღეს ამ ჯილდოს „ნობელის პრემია" ეწოდება.

1971 – კოსმოსური აპარატი „მარსის 2" გახდა დედამიწიდან გაგზავნილი პირველი სხეული, რომელიც მარსის ზედაპირს შეეხო.

**28 ნოემბერი**

1414 – კონსტანცის საეკლესიო კრებაზე დააპატიმრეს იან ჰუსი.

1574 – დაარსდა ქალაქი უფა (რუსეთი).

1895 – ნიუ-იორკში შედგა პირველი ავტორბოლა ამერიკის კონტინენტზე.

1919 – ლედი ასტორი გახდა პირველი ქალი, რომელიც აირჩიეს ინგლისის პარლამენტში.

1943 – თეირანში შედგა სამი ლიდერის – სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრა.

1974 – ჯონ ლენონის უკანასკნელი გამოსვლა სცენაზე.

**29 ნოემბერი**

1922 – შეიქმნა ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქი.

1929 – ამერიკელმა პილოტმა რიჩარდ ბერდმა პირველმა გადაუფრინა სამხრეთ პოლუსს.

**30 ნოემბერი**

1922 – სარა ბერნარის უკანასკნელი გამოსვლა სცენაზე – 78 წლის ასაკში.

1936 – დიდმა ხანძარმა გაანადგურა ლონდონის უნიკალური „ბროლის სასახლე".

1939 – დაიწყო ფინეთის ომი.

# როცა ქალს უყვარს...

● გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №27-46(725)

კოტე ნერვიულად სცემდა ბოლთას – არ სჯეროდა, რომ დიანა მოვიდოდა. ნახევარი საათით ადრე მივიდა. სხვაზე ველარაფერზე ფიქრობდა... ვერც სანდროზე, რომელიც მთელი დღე რაღაცას ეჯუჯღუნებ-



ოდა და საყვედურობდა. შვილისთვის არაფერი უთქვამს. ხედავდა, როგორ რეკავდა პერიოდულად ვილაცასთან და ის ვილაც არ პასუხობდა, მერე კი ტომასთან ერთად სადღაც წავიდა. არც დაუშვია, რომ, შეიძლებოდა, ისიც დეას სანახავად წასულიყო, თუმცა, შინაგანი ხმა, ინტუიცია ჰკარნახობდა, რომ სანდროსა და გოგოს შორის რაღაც ხდებოდა.

– უკვე აქ ხართ?

კოტემ თავი ასწია და სითბო მთელ სხეულში სასიამოვნო ტალღად ჩაეღვარა.

– არ დამიგვიანია. ზუსტად მოვედი, – დეამ საათზე დაიხედა.

– ჰო, ზუსტად მოხვედი, ეს მე მოვედი ცოტა ადრე. მეშინოდა, რომ ამ კაფეს ვერ მოვაგნებდი. აქაურობას ცუდად ვიცნობ. თან, ლექსიკონი წამოვიღე, უკეთესად რომ გავუგოთ ერთმანეთს. გუშინ შეცდომა დავუშვი და გაწყენინე.

– მესმის თქვენი. მერე მეც ვიფიქრე ამაზე და არ გამტყუნებთ, – დეამ ქურთუკი გაიხადა და კოტეს გვერდით მიუჯდა. უბრალო, სადა, შავი სვიტერი და ტანზე მჭიდროდ მომჯდარი შავი შარვალი ეცვა... მაღალყელიანი ჩექმა კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მისი ნორჩი სხეულის სინატიფეს...

– შემომთავაზეთ რამე, ბატონო კოტე... ჩაიზე უარს არ ვიტყოდი... ყველის ნამცხვარიც მიყვარს, – გაუცინა გოგომ და თავისი უცნაურად მოკიაფე თვალები შეანათა.

– დიახ, რა თქმა უნდა... როგორც გითხარით, აქ ძალიან უცხოდ ვარ. არც მენიუ ვიცი და, მართალი გითხრათ, ცოტა დავიბენი. თქვენ შეუკვეთეთ, რაც გინდათ.

– თქვენ რას მიირთმევთ?

– მეც ჩაის... დიანა, შეიძლება, პირდაპირ გკითხოთ?

– დიახ, რა თქმა უნდა. სწორედ იმიტომ მოვედი, რომ გულახდილად ვისაუბროთ. რა გაინტერესებთ?

– მიზეზი, რატომაც მოგინდათ ჩემთან შეხვედრა. ოღონდ, ნუ გამიბრაზდებით, ჩემს ასაკში ნორმალურია, ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურო.

– ანუ, მე მიყურებთ ეჭვის თვალით? – ისევ გაიცინა გოგომ, – ნუ დაიძაბებით, ბატონო კოტე. არაფერი განსაკუთრებული. მომეწონეთ და თქვენი უფრო ახლოს გაცნობა მინდა.

კოტემ იგრძნო, როგორ გაეყინა ხელისგულები.

– ეგ როგორ გავიგო?

– ლექსიკონი ხომ გაქვთ? დაიხმარეთ, – გაეხუმრა დეა და, როცა კაცმა პატარა წიგნისკენ გაიწოდა ხელი, თავისი ლამაზი თითებით ფრთხილად შეეხო მაჯაზე. კაცს შეაჟრჟოლა...

– არ გინდათ... კიდევ ერთხელ გეტყვით – მომეწონეთ.

– დიანა... მე ახალგაზრდა აღარ ვარ... – მძიმედ დაიწყო კოტემ. სიტყვებს გულდასმით არჩევდა, – ჰო, აღარ ვარ ახალგაზრდა და მიჭირს ასეთი სიურპრიზების მშვიდად და უემოციოდ მიღება... თან, ვგრძნობ, რომ თქვენი სიახლოვე ჩემს შვილთან შემთხვევითი არ არის...

– ბატონო კოტე, ძალიან დიდ მნიშვნელობას ნუ ანიჭებთ ჩემს სიტყვებს. მე არ მითქვამს, რომ მიყვარხართ, ჯერ მხოლოდ მომწონხართ.

– არა, ახლა მართლა მჭირდება ლექსიკონი... – კოტემ წიგნი გადაფურცლა და რაღაცას ჩააშტერდა, – ჯერ... ანუ...

– არ გინდათ განვრცობა, უბრალოდ, ვისაუბროთ, – დასერიოზულდა დიანა, – რაც შეეხება ალექსანდრეს, ჩვენ მხოლოდ ნაცნობები ვართ, კარგი ნაცნობები.

– მგონი, ის ასე არ ფიქრობს.

– შეიძლება. ნამდვილად ვერ ვიქნები პასუხისმგებელი მის ფიქრებზე. მე ის გითხარით, რაც მე მაკავშირებს მასთან – სულ ეს არის. თუმცა, დავანებოთ თავი ალექსანდრეს, ჩვენზე ვილაპარაკოთ, უფრო კი – თქვენზე... რა გაინტერესებთ, ანუ რით ირთობთ თავს... როგორი ცხოვრება გაქვთ... ძნელია ბიზნესმენობა იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობთ და, საერთოდ, რა ღირებულებები გაგაჩნიათ?

კოტეს გაეღიმა.

– ინტერვიუს იღებთ ჩემგან? კარგი, გეტყვი: – ბიზნესის კეთება ადვილი არ არის, მით უმეტეს, იმ ქვეყანაში, სადაც ვცხოვრობ, მაგრამ, ეს ჩემი საქმეა და მომწონს, არ ვიწუწუნებ. გართობისთვის კი დრო არ მრჩება, მხოლოდ იშვიათად ვახერხებ თხილამურებით სრიალს. ეს ის არის, რაც მართლა მიყვარს.

– რა კარგია! თხილამურები მეც ძალიან მიყვარს! – ხელი ხელს შემოკრა დიანამ, – მაგრამ მეც იშვიათად ვახერხებ, თავს ამ სიამოვნების უფლება მივცე.

– რატომ? თქვენც ბიზნესის კუთხით ხართ დაკავებული?

– არა, დედაჩემი ცდილობს, არ მომცეს ამის საშუალება – ეშინია, სულ ჰგონია, რომ დავიმტვრევი. ამიტომ, იშვიათად ვსრიალებ. ალპებში ყოფილხართ?

– დიახ, – თავი დაუქნია კოტემ, – თუმცა, ჩემს ქვეყანაშიც არის ამის საშუალება.

– ალპები მაინც სხვაა, – დიანამ ნეტარებით მინაბა თვალები... – იქ მარტო ჩადიხართ ხოლმე?

– ორჯერ ვიყავი, – კოტემ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა... ხომ არ ეტყოდა, ერთხელ საყვარელი მყავდა ჩაყვანილი, მეორედ კი ადგილობრივ ნაშასთან „ვიგულავეო“.

– მეუღლე არ წამოგყვათ თუ არ წაიყვანეთ?

– მეუღლე? ჩემს მეუღლეზე მეკითხებით? ჰო, ჩვენ ცოტა უცნაური ურთიერთობა გვაქვს. არ მინდა ამაზე ლაპარაკი... თანაც, ლენუკას გარუჯვა და წყალი ურჩევნია...

– ლენუკა... საინტერესო სახელია.

– ლენა ჰქვია... ოღონდ, არ მითხრა, რომ მის შესახებაც გაინტერესებს რამე.

– არა. გიყვართ?

კოტემ ამოიოხრა. არასდროს დაფიქრებულა იმაზე, უყვარდა ლენუკა თუ შეჩვეული იყო. რამდენიმე წლის წინ რომ ეკითხათ, მაშინვე უპასუხებდა, დიახ, მიყვარსო და, მართალიც იქნებოდა ერთ დროს საერთოდ ჭკუას კარგავდა ამ ქალზე. თუმცა, ლენუკამდე მის ცხოვრებაში არსებობდა სხვა ქალი, რომლის სახებაც მეხსიერების შორეულ კუნჭულში მიიჩქმალა... აი, ის კი მართლა ძალიან უყვარდა; ისე ძალიან, რომ ყველაფერი გააკეთა მის დასავიწყებლად...

– რაზე ჩაფიქრდით? – ფრთხილად, გულში ჩამწვდომი ხმით ჰკითხა დეამ.

– ჩემს ცხოვრებაზე... დამავიწყდა, როგორი განცდაა – გიყვარდეს.

– ცუდია.

– ჰო, ცუდია ძალიან ცუდი. სამწუხაროდ, დროც აღარ დამრჩა, ამაზე მეფიქრა... ახლა კი ვხვდები, რომ ეს ჩემი სერიოზული შეცდომაა.

– ბევრი შეცდომა დაგიშვიათ?

– ალბათ... ჩვეულებრივი ადამიანი ვარ... ნაკლიც ბევრი მაქვს, როგორც ყველას... რა გითხრა, დიანა, როგორ ფილოსოფიურ განწყობაზე დამაყენე. დიდი ხანია, ამდენი აღარ მიფიქრია, მით უფრო, ასეთ თემებზე... თხილამურებზე დადგომაც მომინდა... ალპებშიც კარგი იქნებოდა ხის სახლი, ბუხარი...

– რომანტიკულიც ყოფილხართ. რას იტყოდით, ალპებში წასვლა რომ შემომეთავაზებინა? – გოგომ მაცდურად მოწკურა თვალები. კოტეს ეგონა, მომესმაო და უცებ შეცვალა მიმართვის ფორმა:

– მე და შენ ალპებში რომ წავიდეთ?

– ჰო, ზუსტად ეს გითხარით.

– როდის?

– თუნდაც ხვალვე. შეძლებთ ტექნიკური საკითხების მოგვარებას? – უკან არ დაიხია გოგომ. კოტეს შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა. ეს პატარა გოგო ან სახიფათოდ ეთამაშებოდა, ან... კოტესთვის

რთული იყო უფრო სერიოზულზე ეფიქრა... ჩაი მოსვა და დიანას დაჟინებული მზერა მიაპყრო:

– კიდევ ერთხელ გაიმეორე, რა მითხარი?

– საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, თუ მე და თქვენ ორი-სამი დღით ალპებში გავემგზავრებით თხილამურებით სასრიალოდ, – მკაფიოდ და დამარცვლით გაუმეორა გოგომ.

– მერე, შენი მშობლები?

– ჯერ ერთი მე სრულწლოვანი და თავისუფალი ვარ; მეორეც – საერთოდ არ ვაპირებ, მოვუყვე ამის შესახებ, მაინც აქ ვარ და არა მათ გვერდით და ვერაფერს გაიგებენ. ტელეფონით ალპებიდან დაველაპარაკები თუ ირლანდიიდან, ამას რა მნიშვნელობა აქვს? – მხრები აიჩეჩა გოგომ და კოტე მიხვდა, რომ ორივე ფეხით გაება. თუმცა, ამის საწინააღმდეგო რომ არაფერი ჰქონდა, ამას გრძნობდა.

– ალექსანდრე? – იკითხა მან.

– ალექსანდრე? რა, ნებართვა მისგანაც უნდა ავიღოთ? მე ვფიქრობ, ცოტა არასერიოზულია...

– კარგი, შენ მართალი ხარ. არ მინდა, გაუბედავი კაცის შთაბეჭდილება დავტოვო, მაგრამ, ეს ცოტათი სიგიჟეს ჰგავს... – ამოიოხრა კოტემ.

დეა მისკენ გადაიხარა, ტუჩები ყურთან ახლოს მიუტანა და ჩასჩურჩულა:

– ჩავიდინოთ სიგიჟე, სიგიჟის გარეშე ცხოვრება ძალიან უინტერესოა...

ეს იყო ბოლო წვეთი კოტეს ისედაც ვნებით აცახცახებული გრძნობის ფიალაში და ნერვებმა უმტყუნა.

– ბილეთებს და სასტუმროს შევუკვეთავ... ხვალვე მივდივართ...

***

ლინამ ეჭვით შეხედა სავარძელში ფეხმორთხმულ, განაბულ დიანას, კიდევ ცოტა ხანს აცადა და მერე ჰკითხა:

– დიდხანს იქნები ჩუმად? მოვკვდი ინტერესით, მითხარი რამე...

– რა გითხრა? არაფერი მაქვს სათქმელი.

– როგორ თუ არაფერი? მთელი საღამო დაკარგული იყავი, გუშინაც გაუჩინარდი ორი საათით... ალექსანდრეს ზარებსაც არ პასუხობ. იქნებ ამიხსნა, რა ხდება?

– არაფერი, დავიღალე და ვისვენებ. რაც შეეხება იმას, თუ სად ვიყავი გუშინ და დღეს, გავისეირნე, ვფიქრობდი...

– ვისზე, სანდროზე?

– ჰო, სანდროზე. რატომ, არ შეიძლებოდა, მეფიქრა? არ მიყვარს – თუკი ეს გაინტერესებს.

– მობილურზეც მაგიტომ არ პასუხობ?

– არ შემიძლია მისი მოსმენა, თან, სათქმელიც არაფერი მაქვს.

– გადავირევი! – ლინამ ბალიში იატაკზე ისროლა და მეგობარს სავარძლის სახელურზე ჩამოუჯდა, – დეა, აშკარად რაღაცას მიმალავ... შენ ხომ გინდოდა მაგ ბიჭის გაცნობა? ლონდონიდან რომ დამირეკე, შენ არ მთხოვე, მასთან შეხვედრის რამე შანსი თუ არსებობსო?

– ჰო, ასე იყო. მერე რა... მაშინ მაინტერესებდა, ახლა აღარ მაინტერესებს.

– შენ ისიც არ გითქვამს ჩემთვის, საიდან იცოდი ალექსანდრეს არსებობის შესახებ. დაგესიზმრა?

– ჰო, დამესიზმრა, – სერიოზულად მიუგო დიანამ. ლინა შეიჭმუხნა:

– მეხუმრები?

– არა, მართლა დამესიზმრა.

– კარგი რა, ეგ რა გამოდის? მეგონა, შენი მეგობარი ვიყავი, არადა, ვგრძნობ, იმდენ რამეს მიმალავ... საიდუმლოებებით სავსე ხარ...

– არა, გეშლება, ჩვეულებრივი ვარ. ყველა ადამიანს აქვს პატარ-პატარა საიდუმლოებები. რაშიც არანორმალური არაფერია... – დეა გაჩუმდა. გრძნობდა, როგორ უყურებდა ლინა... – რაღაც უნდა გთხოვო...

– მიუხედავად იმისა, რომ არ მენდობი?

– ასე ნუ ამბობ, ძალიან გენდობი. ოდესმე ყველა შენს კითხვას გავცემ პასუხს, მაგრამ ახლა მართლა არ შემიძლია.

– ესე იგი, საიდუმლო არსებობს – თვალები აუციმციმდა ლინას, – ვიცოდი, ვიცოდი! მაგრამ, ბევრს მაინც ვერაფერს მივხვდი...

– საჭირო არ არის. სიზმრის ამბავი კი მართალია. მე ხშირად ვნახულობ უცნაურ სიზმრებს, რომელთა შესახებაც არავინ იცის, დედაჩემმაც კი...

– მეც არ მეტყვი?

– ხომ გითხარი, გეტყვი-მეთქი... მომისმინე, მე სამი დღით სადღაც მივემგზავრები...

– ბრუნდები მშობლებთან? აბა, ერთიორი კვირა დავრჩებიო?

– არ მივდივარ ლონდონში. ისიც კი არ მინდა, რომ ჩემმა მშობლებმა შეიტყონ, აქ რომ არ ვიქნები.

– ვერაფერი გავიგე... დავიბენი.

– ახლავე გეტყვი. მე ორი დღე შენთან არ ვიქნები, მაგრამ შენ ისე უნდა მოიქცე, თითქოს აქ ვარ და ფეხი არსად გამიდგამს. არავინ არ უნდა გაიგოს ჩემი ხანმოკლე ვოიაჟის შესახებ.

– ალექსანდრესთან ერთად მიდიხარ სადმე?

– დაკითხვას ნუ მიწყობ და ნურც სისულელეს იტყვი. ალექსანდრესთან ერთად რომ მივდიოდე, მის ზარებს არ ვუპასუხებდი? გთხოვ, არც მას და არც ტომასს არ უთხრა, რომ აქ არ ვიქნები. შეგიძლია, ამის პირობა მომცე?

ლინა აფორიაქებული წამოხტა და ხელების ქნევით წინ და უკან სირბილს მოჰყვა.

– შეუძლებელია!.. მითხარი, რა ჩაიფიქრე, ვინ არის „ის"?

– ვინ „ის"? დამშვიდდი, არავითარი „ის" არ არსებობს, გესმის? ალპებში მინდა წასვლა სათხილამუროდ, დედაჩემი კი არ მიშვებს. ორი დღით გავძვრები, რა...

– მეც რომ წამოვიდე?

– გიყვარს თხილამურებით სრიალი? იცი, დგომა?

– არა, მაგრამ, ამას რა მნიშვნელობა აქვს. ვისწავლი.

– ლინა, გეხვეწები... მარტო მინდა წავიდე. შენ არ იცი, ეს რამხელა სიამოვნებაა. მინდა, ბოლომდე გავშალო ფრთები და ღრმად ჩავისუნთქო თავისუფლება.



– გიჟი ხარ, რა... კარგი, ისე მოვიქცევი, როგორც შენ გინდა, თუმცა, არ მესმის, ბიჭებმა მაინც რატომ არ უნდა იცოდნენ.

– იმიტომ, რომ შენსავით ისინიც არ ამეკიდონ, ჩვენც წამოვალთო. ახლა გაიგე?

ლინამ თავი დაუქნია.

– თუ მკითხავენ, სად არისო?

– სახლში ვარ და არავის ნახვა არ მინდა. შენც ნუ შეხვდები ტომასს ორი-სამი დღე, რა მოხდება?

– რომ მომწონს მასთან ყოფნა?! ძალიან მომწონს, – ტუჩი აიბზუა ლინამ, – თუმცა, არ მიყვარს.

– მის გარეშე რომ ვერ ძლებ, ეგ, მგონი, უკვე სიყვარულია, თუმცა, შენი საქმის შენ იცი...

***

თამრიკომ წუთის წინ გააცილა თიკო და, ქორაობით დაღლილი, ნებივრად ჩაეშვა სავარძელში. კარზე დააკაკუნეს.

– მობრძანდით!

უხეშნაკვთებიანმა მამაკაცმა უცერემონიოდ გაიარა ოთახი და ქალს წინ დაუჯდა. თამრიკომ მაშინვე გაიხსენა ის სტუმარი, რომელსაც შეფის გამოთრობა დაუკავშირა.

– გისმენთ, რით შემიძლია, დაგეხმაროთ?

– შენი უფროსი კიდევ არ დაბრუნებულა?

– არა. რა გნებავთ?

– მე რაც მნებავს, იმას შენ ვერ მომცემ და, გირჩევ, შენს შეფს უთხრა, ეყოფა ევროპაში სეირნობა, ვალების გადახდის დრო მოვიდა-თქო.

– რა ბრძანეთ?! – თვალები გაუფართოვდა ქალს.

– ვერ გაიგე? დარწმუნებული ვარ, ტელეფონით ხშირად გელაპარაკება. ჰოდა, სიტყვასიტყვით გადაეცი ის, რაც გითხარი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: როგორი პირობები უნდა შევუქმნათ ჟუჟა ბრონეულს, რომ ბინაში კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** ამ მცენარეს უყვარს ხმელთაშუაზღვისპირული კლიმატი, ამიტომ, ზაფხულობით კარგად განათებულ ადგილას დადგით. ზაფხულში მისთვის მისაღებია ოთახის ტემპერატურა, 18-24 გრადუსი, ზამთარში კი დაახლოებით 10 გრადუსი. ზაფხულობით მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს, ზამთარში კი შედარებით იშვიათად მორწყეთ, ისე, რომ მიწა მთლიანად არ გამოშრეს. მას ნიადაგის რეგულარულად განოყიერებაც სჭირდება. ზამთარში ბრონეულს ფოთლები არ აქვს, ამიტომ, არც განსაკუთრებულ სინათლეს საჭიროებს. ფოთოლცვენის შემდეგ მცენარე სიგრილეში, დაახლოებით 10 გრადუსზე უნდა გადაიტანოთ. ბრონეული კარგად ხარობს ზამთრის ბაღში, სადაც სიმაღლეში 40 სანტიმეტრი იზრდება გვიან შემოდგომამდე შეგიძლიათ, აყვავილოთ. ყვავილობის სეზონის მიწურულს შეიძლება ნაყოფიც გამოიღოს, თუმცა ის საჭმელად ვარგისი არ არის.

**კითხვა: ბინაში მაქვს ეპიპრემნუმი, რომელმაც ფორმა დაკარგა. როგორ გავალამაზო?**

**პასუხი:** ეპიპრემნუმი ჭრელფოთლიანი მცენარეა, რომელიც, იმის მიხედვით, აქვს თუ არა მას საყრდენი, მცოცავია ან დაკიდებული. ტოტების სიგრძემ, შეიძლება, ორ მეტრ სიმაღლესაც მიაღწიოს, მაგრამ, თუ დაახვევთ, კომპაქტურობას შეინარჩუნებს, ხოლო, თუ წააჭრით – დაიტოტება. თუ გსურთ, რომ ზემოთ აცოცდეს, მცენარე საყრდენს ააყოლეთ. თუ მცენარეს მავთულის ან ბადის საყრდენს ააყოლებთ, ის კედელს მთელ სიგრძეზე დაფარავს. თუ მისი გადარგვა ან სხვა ადგილას გადადგმა გსურთ, ტოტები შეკონეთ და საყრდენზე მიამაგრეთ. მისი ტყავისებური ფოთლები რეგულარულად გაწმინდეთ და ბზინვარებას დიდხანს შეინარჩუნებს. ჭრელფოთლიან სახეობებს კარგი განათება სჭირდება, რათა სიჭრელე არ დაკარგოს. არსებობს ყვითელფოთლიანი სახეობებიც.

**კითხვა: რა სიხშირით სჭირდება სედუმს მორწყვა?**

**პასუხი:** სედუმი ზაფხულში რეგულარულად მორწყეთ, ოღონდ, მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. ზამთარში იშვიათად დაუსხით წყალი – მაშინ, როცა მიწა თითქმის სულ გამოშრება. ზრდის პერიოდში, თვეში ერთხელ, ბალანსირებული თხევადი სასუქით მორწყეთ. მისი ხორციანი ფოთლები დაფესვიანდება და ახალ მცენარედ განვითარდება, თუ ძირით ტენიანი მიწის ზედაპირს შეეხება. მზეზე ნუ დადგამთ. ჩარგეთ ფხვიერ, კარგი დრენაჟის მქონე ნეიტრალურ ნიადაგში.

**კითხვა: რომელ მცენარეებს მირჩევთ ზამთრის ბაღისთვის?**

**პასუხი:** „ნამყვანი პოზიციები" სინათლის მოყვარულ, განსაკუთრებულად დიდი ზომის მცენარეებს დაუთმეთ. მათ ქვეშ კი ნახევრად ჩრდილის მოყვარული მომცრო ზომის მცენარეები განალაგეთ. გაითვალისწინეთ, რომ ზამთრის ბაღში ტემპერატურა ჩვეულებრივზე მაღალია და ამ დროს ყინვაგამძლე მცენარეებსაც კი მეტი წყალი და ყურადღება სჭირდება. არ დაგავიწყდეთ ზამთრის ბაღის ხშირი განიავებაც. კარგია თუ ზამთრის ბაღში მოათავსებთ შემდეგ მცენარეებს: პასიფლორას, დრაცენას, ბრუგმანსიას, ზეთისხილის ხეს, კალამონდინს და ასე შემდეგ.

**კითხვა: როდის ყვავილობს „ბეთლემის ვარსკვლავი"?**

**პასუხი:** „ბეთლემის ვარსკვლავი" ანუ კამპანულა იისფრად ან თეთრად ყვავის და ცოტა მცენარე თუ შეედრება ყვავილების სიმრავლით. გაზაფხულზე და ზაფხულში ყოველ ღეროზე ბევრი კოკორი ჩნდება, რომლებიც შემდეგ იშლება და ფოთლებს მთლიანად ფარავს. ზაფხულის სიცხეში ყვავილები შეიძლება დაჭკნეს, მცენარე კი გადაიშალოს და ფორმა დაკარგოს. დაყვავილების შემდეგ მცენარე გრილ ოთახში ან ზამთრის ბაღში გაიტანეთ. ყვავილობისთვის აუცილებელია ზამთრის სიგრილე, 2-10 გრადუსი. თბილ ზამთარში ეს მცენარე ნაკლებად ყვავის.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

ანატოლ ფრანსი

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა სახის მეწარმე სუბიექტებს ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის საქმიანობა ითვლება სამეწარმეო საქმიანობად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ქონების რა ნაწილით არის პასუხისმგებელი კრედიტორების წინაშე ინდივიდუალური მეწარმე?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, აგებენ თუ არა კრედიტორების წინაშე პირადი ქონებით პასუხს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, ეგრეთ წოდებული შპს-ის პარტნიორები შპს-ის ვალდებულებებისთვის?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ. თუმცა პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად იმ შემთხვევაში თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

**კითხვა: მაქვს საზღვარგარეთ დაფუძნებული საწარმო, მსურს იგივე საწარმო უცვლელად გადმოვიტანო საქართველოში. გთხოვთ განმიმარტოთ მაქვს თუ არა უფლება ჩემს საკუთრებაში არსებული უცხოური საწარმო გადმოვიტანო უცვლელად საქართველოში?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ შესაძლებელია უცხო ქვეყნის საწარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანა საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად, რასაც სამართლებრივად რედომიცილება ეწოდება. ამასთან საქართველოში რედომიცილებული საწარმო შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით.

**კითხვა: მსურს საწარმოს დაფუძნება, გთხოვთ მაცნობოთ, სად შეიძლება განვახორციელო საწარმოს რეგისტრაცია?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

# რაზეა დამოკიდებული ავტომობილის მართვისას დაღლა

*ძალიან ხშირად გვსმენია ახლობლებისა თუ მეგობრებისგან, როგორ ეზარებათ საჭესთან დაჯდომა, განსაკუთრებით მაშინ, თუ წასვლა შორ მანძილზე უწევთ. მაგრამ, არიან ისეთი მძღოლებიც, რომლებიც დაუჩივლელად და ბედნიერად ჩავლენ ბათუმში, ზღვაში იბანავებენ და უკან წამოვლენ. ამის შესახებ პროფესიონალი მრბოლელი მევლუდ მელაძე გვესაუბრა:* არსებობს მძღოლების სამი კატეგორია: პირველი – ბიჭები, რომლებსაც ერთი სული აქვთ, როდის შეიძენენ ავტომობილს და იქიდან მათი გადმოსმა შეუძლებელია. ხანდახან, სასაცილოც კია, რომ მანქანაში საქმე არ აქვთ, არც ბენზინი უსხიათ და მაინც არ გადმოდიან – სხედან, მაგნიტოფონს უსმენენ და ამით იღებენ სიამოვნებას. ასეთი მძღოლი მანქანის მართვით არ დაიღლება; მეორე – მძღოლები, რომელთათვისაც მანქანა მხოლოდ გადაადგილების საშუალებაა და მართვა არანაირ სიამოვნებას არ ანიჭებთ, რადგან ავტომობილი მათთვის A-დან B წერტილში მისვლისთვის შექმნილი რაღაც მოწყობილობაა; მესამე კატეგორიას მიეკუთვნებიან მძღოლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათთვის მანქანის ყოლა, უბრალოდ, აუცილებელია. სხვა გამოსავალი არ აქვთ, თორემ, მანქანასთან ჯდომა მათთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, იღლებიან და იძაბებიან საჭესთან. კატეგორიებად პირობითად დავყავი, თორემ, შესაძლოა, ისინი აბსოლუტურად ერთ დონეზე მართავდნენ ავტომობილს. ატრაქციონებზე ვიღლებით, გარკვეულ საფრთხეშიც ვართ, გვეშინია, ვიძაბებით, მაგრამ, უკმაყოფილოები არ ვართ, რადგან, სწორედ ამიტომ ვიყავით მისულები. დაახლოებით იგივე განწყობით უნდა მივუდგეთ საჭესთან ჯდომას. მანქანა არის საშუალება, რომელიც არა მხოლოდ გადაადგილებისთვის არის საჭირო, არამედ, სიამოვნების მისაღებად. იმისთვის, რომ საჭესთან არ დაიღალოთ, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია მანქანაში თავისუფლად იგრძნოთ თავი. თან, ეს იმაზე არ არის დამოკიდებული, სრულყოფილად ფლობთ თუ არა საჭეს. შეიძლება, რაღაც შეცდომები მოგივიდეს, რაღაც არასწორად გააკეთო, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საჭეს „მანდრაჟით" მიუჯდე, დაიძაბო და თავიდანვე უარყოფითად განეწყო. რა თქმა უნდა, რაც უფრო სრულყოფილად და ოსტატურად ვმართავთ საჭეს, მით მეტ სიამოვნებას ვიღებთ; მაგრამ, მინახავს მძღოლები, რომლებსაც მანქანის მართვის ათწლეულების პრაქტიკა აქვთ, მასთან ჰარმონიაში კი მაინც ვერ მოვიდნენ.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**– დაკვირვებული ვარ, როდესაც მანქანაში ბევრნი ვართ და რაღაცაზე ვმსჯელობთ, მართვაზე ნაკლებად ვფიქრობ და თითქოს ნაკლებ შეცდომასაც ვუშვებ.**

– რა თქმა უნდა, გონების გადართვა ძალიან კარგი საშუალებაა. მაშინაც კი, როცა შორ მანძილზე მივდივართ, თუ რამეს განვიხილავთ, რაღაცაზე ვმსჯელობთ, საჭესთან არ დავიღლებით. იგივე ხდება მარტო ყოფნის დროსაც. თუ შორ გზაზე მივდივართ, შეგვიძლია, ჩავრთოთ მაგნიტოფონი, კარგ მუსიკას მოვუსმინოთ, გზა ვათვალიეროთ და ჩვენვე გავთვალოთ, შეცდომებზე რაღაცეები ვისწავლოთ. ამ დროს ძალიან ვხვეწთ მართვის სტილს. მიდგომა და მართვის სტილი ქმნის ერთიანობას, რომლის მიხედვითაც, საჭესთან ჯდომისას ან იღლები, ან – არა. ზოგადად, ყველაზე ნაკლებად საჭესთან ფიზიკური დაჭიმულობა, ყველაზე მეტად კი – გონებრივი დაძაბულობა გვღლის. თუკი ყოველ წამს იმაზე ვიფიქრეთ – ახლა გავასწრო, ახლა არ გავასწრო, დავამუხრუჭო თუ არა, მართვისგან სიამოვნებას ვერასდროს მივიღებთ.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**– კიდევ ერთი უცნაურობა, რაც ქართველ მძღოლებს ახასიათებთ: ბევრს ვიცნობ ისეთს, რომელიც ორი-სამი წელია, რაც საჭესთან ზის, მაგრამ თბილისის გარეთ არ გადის – გზატკეცილების ეშინია.**

– ეს მეც ძალიან მაინტერესებს. მაქსიმუმ, წყნეთში თუ ავლენ ხოლმე, უფრო შორს აღარ მიდიან. ეს უფრო გოგონებს ემართებათ. როგორც კი დედიკოები და მამიკოები გაიგებენ, რომ მათი შვილი გზატკეცილზე უნდა მოხვდეს, იწყება მსჯელობები: როგორ წავა, როგორ ივლის; იწყებენ რეკვას – აბა, ახლა სად ხარ, რა ადგილას ხარ და სხვა ამგვარი შეკითხვებით ძაბავენ მძღოლსაც, არადა, რეალურად ტრასაზე ბევრად ნაკლები პრობლემაა. თუკი ვახერხებთ ქალაქში მანქანის ტარებას, ეს ნიშნავს, რომ მშვენივრად ვივლით გზატკეცილზე.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: სახლში პატარა ლეკვი მოვიყვანეთ, მაგრამ ჩემი შვილი კეთილგანწყობილი არ არის მის მიმართ. არადა 3 წლისაა და მის ასაკში ცხოველები, როგორც წესი, უყვართ ბავშვებს. რას მირჩევთ?**

**პასუხი:** სხვათა შორის, ბავშვებს 3-4 წლის ასაკში უყალიბდებათ აგრესია ცხოველების მიმართ. ამიტომ, თქვენი შვილის აგრესია სულაც არ არის გასაკვირი. ჩემი რჩევაა, თუ ასე გაგრძელდა, ბავშვი და ძაღლი ერთად მეთვალყურეობის გარეშე არ დატოვოთ. ამით თავიდან აირიდებთ არასასიამოვნო შემთხვევას. ხშირად ბავშვები ურტყამენ ცხოველს, კუდით ითრევენ. ამ დროს კი, ცხოველი თავდაცვის მიზნით, შეიძლება, თავს დაესხას ბავშვს. ამიტომ, მოცემულ მომენტში, საჭიროა, ბავშვს აუხსნათ და დაარიგოთ, რომ ასეთი მოქცევა არ შეიძლება და აუცილებელია მიეჩვიოს მას. აუხსენით ისიც, რომ ძაღლთან კონტაქტის და თამაშის შემდეგ, მან აუცილებლად უნდა დაიბანოს ხელები.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ბრონქიტი აწუხებს. ვუმკურნალეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც არ მორჩა ბოლომდე. მაინტერესებს, სხვა რამეში ხომ არ გადაიზრდება?**

**პასუხი:** ზეპირად ამის თქმა ცოტა რთულია. უმჯობესია, მიმართოთ ვეტერინარს, რომელიც დაადგენს ზუსტ დიაგნოზს. საერთოდ გეტყვით, რომ სასუნთქი სისტემის ანთებითი პროცესების, ბრონქიტებისა და პნევმონიების დროს, ვითარდება შემდეგი სახის კლინიკური ნიშნები: ცხოველი მოწყენილია, ნაკლებად მოძრაობს, არ იღებს საკვებს, კანკალებს, ზოგადი ტემპერატურა მომატებულია, აღენიშნება ცხვირიდან ლორწოვანი გამონადენი, ხველება.

**კითხვა: ძალიან მინდა პეკინესის ყიდვა. მაინტერესებს, ამ ჯიშის ძაღლები ავები ხომ არ არიან?**

**პასუხი:** თუ პეკინესის ასაყვანად მზად არ ხართ, მაშინ არ გირჩევთ მის შეძენას, რადგან პეკინესი ძალიან გულადი და ავი ძაღლია. მას თავი ყველაზე დიდი და ძლიერი ჰგონია. ამიტომ, ფრთხილად უნდა იყოთ, როცა გაასეირნებთ. მათ არ იციან მორიდება დიდი ძაღლების მიმართ, შიშის გრძნობა არ აქვთ. ამიტომ თუ პატრონმა ყურადღება მოადუნა, არ გაითვალისწინა, სად ასეირნებს ძაღლს და თავისუფლად გაუშვა იქ, სადაც დიდი ძაღლებიც არიან, შეიძლება, პროვოკატორი სწორედ პეკინესი აღმოჩნდეს. შემდეგ კი მსხვერპლიც თავადვე იქნება.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ზაქრო ბაჯიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-46(725)**

შეხვედრა კონსპირაციულ ბინაში შედგა, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანონიმურად ჰქონდა შეძენილი სპეციალურად ამ ოპერაციისთვის და მის შესახებ ადგილობრივმა მილიციამ არაფერი უწყოდა. ლამის პირველ საათს გადაცილებული იყო, როდესაც გივი ჯაფარიძე შეხვედრაზე მოვიდა. მეგობარს გადაეხვია და ჰკითხა:



– როგორ ხარ, ვაჟა-ჯან, ძალიან დავაგვიანე?

– ისევ ბლატნოი ვალნაზე ხარ? – გაეცინა ზვიადაურს.

– მა რა, დაგავიწყდა, ვინ ვარ? თანაც ათწლიანი სროკიდან გავთავისუფლდი და რეჩებს ვურტყამ, – გაეცინა ჯაფარიძეს.

– ციხიდან რომ გამოხვედი, თვალყურს გადევნებდი. პრეზიდენტივით დაგხვდნენ, – მიუგო ზვიადაურმა.

– აბა, როგორ? დიდი ავტორიტეტი ვარ. ლიჩნად შილბანმა წამიყვანმა რესტორანში და მაგრად მაგულავა. კაროჩე, სასტავში ვარ. შენ რა, ეჭვი გეპარებოდა?!

– ესე იგი, ყველაფერი კარგადაა. ძალიან კარგი.

– კარგზე კარგად. ოპერაციის გეგმას გადაჭარბებით ვასრულებ.

– რას გულისხმობ? – ვერ მიხვდა ზვიადაური.

გივი ჯაფარიძემ გააბოლა და ზვიადაურს სერიოზული სახით მიუგო:

– შილბანი ხომ „კრესტებში“ გამაცნო კნუტმა.

– კი. მერე რა?

– რა და იქვე გავუიასნე, თუ რას ვაპირებდი. ანუ, ნარკოტიკების ბაზარი. ჰოდა, როგორც ეტყობა, ზორბეგ შილბანი რუზგენ ჩოჩიანს ებაზრა. მასთან შეათანხმა ჩემი ამბავი და ამ დილით მითხრა: თბილისში უნდა გავემგზავროთ და ერთი ადამიანი უნდა გაგაცნოო.

– ვინ?

– ეს არ დაუკონკრეტებია და რა თქმა უნდა, არც მე მიკითხავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რუზგენ ჩოჩიანს გულისხმობდა.

– ალბათ, – თქვა ზვიადაურმა და ჯაფარიძეს ჰკითხა, – როდის მიემგზავრებით?

– ასე თქვა, – ორ-სამ დღეშიო.

– ორ-სამ დღეშიო, – გაიმეორა ზვიადაურმა, – მაშინ, მორფინა უნდა გავაფრთხილო. მინისტრი საქმის კურსში ჩავაყენო და საერთოდ, მობილიზებულები უნდა ვიყოთ.

– შენ რა, ნერვიულობ? – გაეცინა ჯაფარიძეს.

– სიმართლე გითხრა, კი, – მიუგო ზვიადაურმა.

– გაგიჟდი? პირველად ხომ არ ვატარებთ ოპერაციას.

– არა, მაგრამ, მაინც ვნერვიულობ. ჩოჩიანს ჩვენი მინისტრი ოც წელიწადზე მეტია, ებრძვის და ასე ამბობს, მაინც ვერაფერი მოვუხერხეო.

– ახლა მოვუხერხებთ. ჩემგან გადაეცი მერაბ გამრეკელს, რომ ყველაფერი კარგად იქნება და მალე დავუსვამთ მათ წერტილს, – უთხრა ჯაფარიძემ ზვიადაურს და ჰკითხა, – ჯაბა და თეა როგორ არიან?

– როგორც ყოველთვის, მშვენივრად.

– ძალიან მომენატრნენ. დავხუჭავ თუ არა თვალებს, სულ თვალწინ მიდგანან.

– დავასრულებთ ამ ოპერაციას და ოჯახს დაუბრუნდები.

– ვაჟა, ჩვენი შეთანხმება ხომ გახსოვს?

– რა შეთანხმება? – ვერ მიხვდა ზვიადაური.

– აი, ის, პირველ ოპერაციაზე რომ მივდიოდით და ერთმანეთს პირობა მივეცით, ერთ-ერთი ჩვენგანის დაღუპვის შემთხვევაში, მეორე მის ოჯახს უპატრონებსო. მართალია, მაშინ ორივე „ხალასტოები“ ვიყავით, მაგრამ, მაინც დავდეთ ასეთი შეთანხმება.

მეგობრის სიტყვები ზვიადაურს გულზე ეკალივით დაესო და ცუდი წინათგრძნობა დაეუფლა. მაგრამ არ შეიმჩნია. ჯაფარიძეს გაუღიმა და მიუგო:

– მახსოვს. რატომ მეკითხები?

– თუ რამე მოხდა, მაშინ პირობის შესრულება მოგიწევს.

– კარგი რა, სულ როგორ უნდა მაიმუნობდე. მოდი, საქმეს დავუბრუნდეთ. მე დღესვე გადავფრინდები თბილისში და ჯერ გენერალს მოვახსენებ ყველაფერს, მერე კი სოჩაში, მორფინასთან გავივლი გენერალურ რეპეტიციას და ისევ თბილისში დავბრუნდები. ერთმანეთს შეთანხმებული არხით დავუკავშირდებით. თუ კიდევ რამე არ გაქვს სათქმელი, დროა, წავიდე. ღამის სამ საათს გადასცდა და ძმაბიჭებმა ძებნა არ დაგიწყონ.

– არ დამიწყებენ. ახლა მე ერთ ნაშასთან ვარ და ვგულაობ, – გაეცინა ჯაფარიძეს.

– მაგარი ნაშა ვარ, ვერაფერს დამიწუნებს კაცი, – გადაიხარხარა ზვიადაურმა. შემდეგ ხმას დაუწია და მეგობარს უთხრა:

– მოკლედ, ნახვამდის... აბა, შენ იცი, თბილისში შევხვდებით.

ჯაფარიძე რომ წავიდა, ზვიადაური საწოლზე ტანსაცმლიანად წამოწვა და მეგობრის ნათქვამზე ფიქრობდა – მისი დაღუპვის შემთხვევაში, ცოლ-შვილის პატრონობის შესახებ... „პირი შეკრეს თუ რაშია საქმე,” – გაიფიქრა ზვიადაურმა, – „ჯერ იყო და მერაბ გამრეკელმა აიჩემა – ხომ შეიძლება, რამე მოხდესო. ახლა კი გივიმ დამიხეთქა, თუ დავიღუპე, ჩემს ცოლშვილს უპატრონეო. რა სისულელეა! არაფერიც არ მოხდება. გეგმაც კარგია და შემსრულებლებიც. ინფორმაცია არ გაჟონავს და გივის ფეხებსაც არავინ მოსჭამოს ძირში“.

ვაჟა ზვიადაურს ფიქრებში ჩაეძინა და რომ გაიღვიძა, დილის რვა საათი სრულდებოდა. მან სწრაფად მოიწესრიგა თავი და აეროპორტისკენ გაემგზავრა. სპეცჯავშნიდან თბილისის რეისის ბილეთი მოხსნა და საქართველოს დედაქალაქში გამოფრინდა. დღის ორ საათზე პოდპოლკოვნიკი ვაჟა ზვიადაური უკვე მერაბ გამრეკელის პირისპირ იჯდა და პატაკს აბარებდა.

– ესე იგი, ჩვენი ოპერაცია ფორსირებულად მიმდინარეობს, – თქვა გენერალმა, როდესაც პოდპოლკოვნიკმა პატაკი დაასრულა.

– დიახ, ბატონო მერაბ.

– ახლა, რას აპირებ?

– სოჭში გავემგზავრები და მორფინასთან გენერალურ რეპეტიციას გავივლი. თან, ფულსაც ჩავუტან.

– რამდენი გჭირდება?

– ვფიქრობ, ორმოცდაათი ათასი მანეთი ამ ჯერზე საკმარისია.

გამრეკელმა ზვიადაურს სეიფიდან გამოღებული ფულის დასტები გადასცა და უთხრა:

– ორმოცდაათი ათასია. აბა შენ იცი, წარმატებას გისურვებ.

ღამის ათი საათისთვის, ზვიადაური უკვე მორფინას კაბინეტში იჯდა და ძველ „ბარიგას“ უკანასკნელ ინსტრუქტაჟს უტარებდა. ბოლოს ორმოცდაათმანეთიანების ათი დასტა წინ დაუდო და უთხრა:

– ეს ჰეროინის საყიდელი ფულია. ჩაიბარე.

მორფინას ფულის დანახვაზე თვალები აენთო. დასტები სეიფში შეინახა და ზვიადაურს უთხრა:

– უფროსო, შეიძლება, გკითხო?

– გისმენ.

– რამდენია ჩემი ბიუჯეტი?

– რამდენიც საჭირო იქნება.

– მილიონი რომ დამჭირდეს, მომცემთ?

– მოგცემ, თორემ გჩუქნი, ზებია გიცხონდა. კაპიკიც რომ დააკლო, ტყავს გაგაძრობ. ფულზე ნუ ფიქრობ. საქმეზე იფიქრე, იაღლიში არ მოგივიდეს. ფული ხელის ჭუჭყია, არ გაგიგონია?

– ეგ ჭუჭყია, ადამიანებს რომ ერთმანეთს ახოცინებს. თქვენ რა, ფული არ გჭირდებათ?

– მე ცოტაც მყოფნის. თანაც პატიოსანი შრომით ვშოულობ, – შეუღრინა პოდპოლკოვნიკმა მორფინას, – გეყო ლაყბობა, სტუმრების მისაღებად მოემზადე და ჩვენი გაცურება არც კი იფიქრო. ოცდაოთხსაათიანი მეთვალყურეობის ქვეშ ხარ და იცოდე, ვერსად წაგვიხვალ. გასაგებია?

– გასაგებია.

– წავედი. აბა, შენ იცი, – ზვიადაურმა მორფინას გაუღიმა. ცხოვრებაში პირველად ხელი ჩამოართვა და უთხრა, – ოფიცრის პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ თუკი ყველაფერს კარგად შეასრულებ და ძველ საქმიანობას აღარ დაუბრუნდები, ასეთ საქმეზე აღარასოდეს შეგაწუხებ. წარმატებას გისურვებ და იცოდე, იმედები არ გამიცრუო.

– არ გაგიცრუებ, უფროსო, ნახვამდის.

***

ზვიადაური თბილისში დაბრუნდა და გივი ჯაფარიძისა და ზორბეგ შილბანის ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდა. ამ დღეების განმავლობაში პოდპოლკოვნიკმა ყველა საქმე გადადო

და მთლიანად ამ ოპერაციაზე გადაერთო. ის სახლში იჯდა და ჯაფარიძის სატელეფონო ზარს ელოდა. შეთანხმებისამებრ, როგორც კი ჯაფარიძე ჩოჩიანთან შეხვედრას დაასრულებდა, მას ზვიადაურისთვის უნდა დაერეკა, კონსპირაციულ ბინაში შეხვედროდა და ყველაფერი მოეყოლა მისთვის.

შილბანი და ჯაფარიძე მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ ჩამოვიდნენ თბილისში. ზორბეგმა თავისი ახალი პაძელნიკი ნახალოვკის ერთ-ერთ კერძო სახლში მიიყვანა, სადაც რუზგენ ჩოჩიანი ცხოვრობდა და წარუდგინა:

– გაიცანი, რუზგენ, ეს ის კაცია, მე რომ გითხარი.

– გივი ჯაფარიძე, – წარუდგა ჩოჩიანს გივი ჯაფარიძე და ხელი გაუწოდა. რეციდივისტმა ხელი ჩამოართვა და მიუგო:

– რუზგენ ჩოჩიანი, დაჯექი, ძმაო, – ჩოჩიანმა რბილ სავარძელზე მიუთითა გივი ჯაფარიძეს, თავად კი მის პირისპირ მოკალათდა, – შორიდან გიცნობდი და ბევრი კარგი რამ მსმენია შენზე.

– მეც იგივეს გეტყვით, – მიუგო გივი ჯაფარიძემ.

– მოდი, მეგობრულად ვილაპარაკოთ, შენობით.

– თანახმა ვარ, – გაუღიმა გივიმ ჩოჩიანს და ჰკითხა, – შეიძლება, მოვწიო?

– რაზეა ბაზარი, მოვწიოთ, – ჩოჩიანმა სტუმარს „მარლბორო" მიაწოდა, თავადვე მოუკიდა და უთხრა, – ისე იგრძენი აქ თავი, როგორც საკუთარ სახლში.

– უკვე ვგრძნობ.

– ჰო და, ძალიან კარგი. ზორბეგმა ძირითადად უკვე შემიყვანა საქმის კურსში, მაგრამ შენგან მინდა გავიგო, რა საქმე გაქვს. გისმენ.

– დუშამბეში ერთი სამხედრო პოლკოვნიკია ნიაზ მუხამედოვი. ავღანეთიდან ჰეროინი შემოაქვს და უშვებს. კარგად ვიცნობ. ძალიან სანდოა, ადრეც გვიჩალიჩია ერთად და ხალხი და კრიშა მჭირდება, რომ ტვარი დუშამბედან ბათუმში ჩამომატანინონ.

– ბათუმში რატომ?

– თურქეთში გასაშვებად.

– შენ გაგაქვს?

– არა.

– აბა, ვის?

– მორფინა გაგონილი გექნება.

– მეიდნელი ბარიგა? – გაეცინა ჩოჩიანს.

– კი.

– ვიცნობ, მაგ ბოზს.

– ჰო და ეგ ყიდულობს ჰეროინს და თურქეთში გააქვს. უფრო სწორად, თუ ეს ოპერაცია გამოვიდა, კანალის აწყობას აპირებს.

– გამოვა, რატომაც არა. ჰეროინს ჩემი ხალხი წამოიღებს და კრიშაც ჩემი კოოპერატივი იქნება. რამდენია წამოსაღები?

– მორფინას ჯერ პატარა პარტიების შემოტანა უნდა და თუ კანალსააწყობს, მაშინ რაოდენობას გაზრდის?

– მაინც, რა მაყუთზეა ბაზარი?

– ამჯერზე ორმოცდაათ ათას მანეთზე.

– ბევრი არაა, მაგრამ თუ კანალს ააწყობს, კარგი მაყუთი წამოვა.

– რუზგენ, ძმაო, ერთი აზრი მაქვს და რას იტყვი.

– აბა, მითხარი.

– მაგის ბარიგა დედაც. თუ წინააღმდეგი არ იქნები, იცი, რას ვფიქრობ? იმ ბოზს სამოთხჯერ შემოვატანინოთ, უფრო სწორად, შემოვუტანოთ ჰეროინი. ხოლო კანალი რომ გაიჭრება, გვერდზე გავწიოთ. თურქეთში გატანაზე ჩვენ ვიჩალიჩოთ და კარგი მაყუთი შემოგვივა. რას იტყვი?

– ცუდი აზრი არაა. შეიძლება, ამაზე დაფიქრება. მაგრამ, ჯერ პირველი პარტია შემოვიტანოთ. სადაა ახლა მორფინა?

– შეხვედრა გინდა?

– არა. რას ამბობ. მე მხოლოდ შენთან ვიქნები კავშირზე. ძაღლები ისედაც კუდზე მაზიან და ზედმეტი საბაბი რატომ მივცე?

– სწორია. მორფინა კი სოჩაში ცხოვრობს და თუ თანახმა ხარ, შემიძლია, ხვალვე დავეკონტაქტო.

– მაშინ მასე ვქნათ. ხვალ შენ და ზორბეგი სოჩაში გაემგზავრეთ და ეგ ბოზი ნახეთ. მოელაპარაკეთ და დავიწყოთ.

– სოჩის მერე, დუშანბეში მოგვიწევს ჩასვლა და მუხამედოვთან შეთანხმება. ზაკაზი თუ წინასწარ არ მიეცი, შეიძლება, იმ მომენტში ჰეროინი არ ჰქონდეს.

– კი ბატონო, ჯერ სოჩა, შემდეგ დუშანბე. რა დრო დასჭირდება მთელი ამ ბაზრის მოყომარებას?

– მაქსიმუმ, ერთი კვირა.

– იყოს ერთი კვირა. ერთ კვირაში შევხვდეთ ერთმანეთს და ვნახოთ, რა გამოვა.

– კარგი, მასე იყოს.

– აბა, ნახვამდის. ხვალ ზორბეგს სადგურზე ველოდები. სოჩის მატარებელი საღამოს რვა საათზე გადის და არ დაიგვიანოს. ორი ბილეთი მექნება და კომფორტულად ვიმგზავრებთ.

– თბილისში ახლობლები გყავს?

– არა.

– აბა, სად გაჩერდები?

– სასტუმროში.

– ჩემთან დარჩი, – ცალყბად უთხრა რუზგენ ჩოჩიანმა.

– მადლობა, ძმაო, სხვა დროს იყოს. ხომ იცი, ციხეში ძალიან დიდხანს ვიჯექი და ცოტა თავისუფალი ცხოვრება მომენატრა. ამ საღამოს ქალების კამპანიაში ვაპირებ დროის გატარებას და ცოტას გავგულავდები.

– სასტუმროს შოვნა საკმაოდ ძნელია.

გივიმ ჯიბეზე დაირტყა ხელი და ჩოჩიანს მიუგო:

– მთავარია, ეს გქონდეს სავსე და ჩიტის რძეს გაგიჩენენ.

– ეგეც მართალია. ერთი სიტყვით, ერთ კვირაში გელოდები. ზორბეგი კი ხვალ საღამოს სადგურზე მოვა, – რუზგენ ჩოჩიანმა ხელი ჩამოართვა გივი ჯაფარიძეს და მხოლოდ კარამდე მიაცილა. თავად კი უფანჯრო, იზოლირებულ ოთახში შევიდა, სადაც უზარმაზარი სარკე ეკიდა, მაგიდა და სავარძლები იდგა. ერთ-ერთ სავარძელში მოკალათებული მამაკაცის პირისპირ დაჯდა და ჰკითხა:

– რას იტყვი „კალმარო", როგორი როჟაა?

– ერთი შეხედვით, სუფთაა, მაგრამ ერთი შეხედვა საქმეს არ შველის, საფუძვლიანად უნდა გადავამოწმოთ. ვაი და, ნასედკა აღმოჩნდეს?

– შენ არ თქვი, გადავამოწმეო?

– ეგ ოფიციალურად. ჩვენ კი ჩვენებურად უნდა ვჩიჩოთ.

– მაინც, როგორ?

– უნდა დავაკვირდეთ. მე კი, კიდევ ერთ არხს ავამოქმედებ და თუ ნასედკაა, აუცილებლად ამოვარდება.

– რა არხს?

– ეგ მე ვიცი.

– კალმარო, არ მენდობი? – ჰკითხა რუზგენ ჩოჩიანმა მის წინ მოკალათებულ მამაკაცს, რომელიც სურნელოვან სიგარეტს დინჯად ეწეოდა და ძვირფას ფრანგულ კონიაკს აყოლებდა ყავასთან ერთად.

– საიდან მოიტანე, – გაეცინა კალმარს.

– დამცინი? – წამოწითლდა მასპინძელი და თვალები გადმოეკარკლა.

– რომ გიყურებ, ცხონებული რუბენი მაგონდება. შენი ბიძაშვილიც შენსავით ემოციური იყო და ასე წამონთება იცოდა. მოდუნდი, დამშვიდდი და მომისმინე, – უთხრა კალმარმა ჩოჩიანს და სიგარეტი ჩააქრო. კონიაკი და ყავა ბოლომდე დალია და მერე განაგრძო, – როგორც უკვე გითხარი, ეგ გივი ჯაფარიძე, ჩემი არხებით გადავამოწმე და სუფთაა. რასაც ამბობს, ისიც სიმართლეა. პოლკოვნიკი ნიაზ მუჰამედოვი ჰეროინის მსხვილი შემომტანია და მასთან პრობლემები არ გექნება. აი, ზაურ ხრიკული კი გადასამოწმებელია.

– ეგ ვინლაა? – სიტყვა გააწყვეტინა ჩოჩიანმა კალმარს.

– მორფინა, – მიუგო კალმარმა და დაამატა, – ნუ მაწყვეტინებ. ყველაფერს გაიგებ. გამორიცხული არაა, რომ ეგ ხრიკული დავერბოვკებული იყოს და ძაღლების თამაშს თამაშობდეს. ამიტომ, უნდა გადავამოწმოთ და ეს შენმა ბიჭებმა გააკეთონ. სანამ მასთან შილბანი და ჯაფარიძე არ ჩავლენ, შენებმა კარგად უნდა დაამუშაონ და თუ ნასედკაა, თავიდან მოიშორონ, თან ჯაფარიძეც მიაყოლონ უკან. გაიგე?

– მაშინ ამაღამვე გავგზავნი ბიჭებს სოჩაში და მორფინას დავაკაჩავებინებ. თუ ნაბოზარია, აუცილებლად გამოტყდება.

– მასე ქენი, მაგრამ არ გადაამლაშონ. არ შემოაკვდეთ. თუ სუფთაა, ის ჩვენ ჯერ ცოცხალი გვჭირდება და კანალს რომ ააწყობს, მერე მოვიშორებთ თავიდან.

– დარდი ნუ გაქვს. გამოცდილ ხალხს გავუშვებ.

– მაშინ წავედი. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ერთ კვირაში ჰეროინის პირველ პარტიას შემოიტანთ და ეს საქმეც ადგილიდან დაიძრება. შენებმა, ყველაფერი ხვალის შუადღემდე




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**☎: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

უნდა მოასწრონ, რომ მოქმედებისთვის დრო დაგვრჩეს. თუ მორფინა ნასედკობაში გამოტყდება, ჯაფარიძეც მოვიშოროთ.

– ერთ საათში უკვე დაიძრებიან. კარგი მანქანები ჰყავთ და სწრაფად ჩავლენ, – მიუგო ჩოჩიანმა კალმარს და ღიმილით დაამატა, – ისე, ძალიან ეჭვიანი ხარ „კალმარო“.

– რას გულისხმობ?

– გივი ჯაფარიძეს, – თქვა ჩოჩიანმა, – ბავშვობიდან პრისტუპნი მირში ტრიალებს და ნავიდუა. ათი წელი სხვადასხვა სტროგაჩებში აქვს გატარებული. თანაც, ისეთი ხალხი უწევს რეკომენდაციას, რომ გამორიცხულია ნასედკა იყოს.

– გამორიცხული არაფერია, – მშრალად მიუგო კალმარმა.

– შენც ხომ შეამოწმე და სუფთა აღმოჩნდა?

– ეგ ოფიციალურად. მაგრამ, იქნებ არალეგალია და პრისტუპნი მირშია ჩანერგილი?

– მაგას როგორ გავარკვევთ?

– მყავს მე ერთი კაცი, ვინც ამას გამარკვევინებს. მოკლედ, წავედი, – თქვა კალმარმა და წამოდგა. შემდეგ კედელზე მიკრულ გამჭვირვალე სარკეს გახედა, საიდანაც გვერდითა ოთახი ჩანდა და სანამ გავიდოდა, რუზგენ ჩოჩიანს უთხრა, – ამის შესახებ შენ გარდა ხომ არავინ იცის?

– არა.

– არც არავის უთხრა. არაა საჭირო იცოდნენ, რომ აკონტროლებ, – თქვა კალმარმა. შემდეგ კედლის კარადაში ჩამონტაჟებული, საიდუმლო კარით უზარმაზარ სარდაფში ჩავიდა და თეთრი ფერის „ჟიგულში“ ჩაჯდა. წვერ-ულვაში მიიწება. სათვალე გაიკეთა და ჯერ ეზოში გაიყვანა მანქანა, შემდეგ ქუჩაში და დაღმართზე დაეშვა.

წვერ-ულვაში და სათვალე კალმარს საგრძნობლად უცვლიდა გარეგნობას და ხუთი-ექვსი მეტრის მანძილიდან, ნაცნობიც კი ვერ ამოიცნობდა, მით უმეტეს მანქანაში. თანაც, კალმარს შესისხლხორცებული ჰქონდა კონსპირაციული ცხოვრების წესები. ყველაფერ ამას კი თან ერთვოდა დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება. რადგან, უკვე მრავალი წელი, ორმაგ, ზოგჯერ სამმაგ ცხოვრებას ეწეოდა და არაერთი ხიფათისთვის აურიდებია თავი. რამდენჯერმე თითქმის გამოუვალი მდგომარეობიდან მოახერხა თავის დაძვრენა.

კალმარი დინჯად მართავდა მანქანას და მოძრაობის წესებს არ არღვევდა. მიუხედავად ამისა, ვარაზისხევის დასაწყისში, ავტოინსპექტორმა გააჩერა და საბუთები მოსთხოვა.

– არაფერი დამირღვევია და რატომ გამაჩერეთ? – ზრდილობიანად ჰკითხა კალმარმა გაბრაზებულ „გაიშნიკს“, რომელიც აიძულა, თავად მისულიყო მასთან, რადგან მანქანიდან არ გადმოსულა.

– შენ რა მანქანიდან გადმოსვლა არ გეკადრება? – შეუღრინა ავტოინსპექტორმა, – პრავა მაჩვენე.

– არაფერი დამირღვევია, – გაიმეორა კალმარმა. ავტოინსპექტორს კი მართვის მოწმობის მაგივრად, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის წიგნაკი გაუშალა ცხვირწინ.

„გაიშნიკს“ სახე წამოეჭარხლა და ენის ბორძიკით მიუგო:

– ბოდიშს გიხდით, ამხანაგო პოლკოვნიკო. შევცდი და მაპატიეთ.

– კარგი, გაპატიებ, კოლეგები ვართ მაინც. კარგად იყავი, – კალმარმა „ჟიგული“ ადგილიდან დაძრა და ვარაზისხევს აუყვა. უნივერსიტეტს რომ გასცდა, მანქანა „ლეჩკომბინატთან“ გააჩერა. ტელეფონის ჯიხურში შევიდა და დარეკა.

– გისმენთ, – გაისმა მამაკაცის ბოხი ხმა.

– მე ვარ, – მიუგო თუ არა კალმარმა, ბოხხმიანის ტემბრმა სიმკაცრე დაკარგა და თითქმის ხმის კანკალით უთხრა:

– საღამო მშვიდობისა. როგორ ხარ?

– დამშვიდდი და მომისმინე, – ირონიით უთხრა კალმარმა ხმააკანკალებულს, – ნახევარ საათში ფუნიკულიორზე გელოდები. მანქანების სტაიანკაზე ვიდგები. უბრალოდ ჩაიცვი. თვალში ნურავის შეეფეთები და ტაქსით წამოდი.

კალმარი ტელეფონის ჯიხურიდან გამოვიდა და „ჟიგულში“ ჩაჯდა. შემდეგ მანქანა ადგილიდან მოწყვიტა, უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები. საპირისპირო ზოლზე გადავიდა და რუსთაველის გამზირისკენ აიღო გეზი.

ღამის ათი საათი სრულდებოდა, როდესაც კალმარი ფუნიკულიორის ზემო პლატოზე ავიდა და ავტოსადგომზე გაჩერდა. ბოხხმიანი თხუთმეტ წუთში მოვიდა. „კალმარს“ მანქანაში ჩაუჯდა და ჰკითხა:

– რისთვის დამიძახე?

– საქმე მაქვს.

– რა საქმე?

კალმარმა ბოხხმიანს ჩოჩიანის სახლში „კოდაკით“ გადაღებული გივი ჯაფარიძის ფოტოები უჩვენა და ჰკითხა:

– ამ კაცს იცნობ?

– არა. პირველად ვხედავ. ვინ არის?

– სწორედ ამის დასადგენად გამოგიძახე, – ირონიით მიუგო კალმარმა ბოხხმიანს და ჰკითხა, – ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებას ისევ ნოე ბუცხრიკიძე ხელმძღვანელობს?

– არა. ბუცხრიკიძე იმერეთის სამხარეოს უფროსად გადაიყვანა მინისტრმა. თითქმის ერთი წელია, რაც გამრეკელმა ახალი კაცი დანიშნა.

– რა ჰქვია?

– პოდპოლკოვნიკი ვაჟა ზვიადაური. მოსკოვიდან გადმოიყვანა.

– რა კაცია?

– მაგარი ვინმეა, ნამდვილი პროფესიონალი. არ ახარებს ბანდიტებს.

– კიდევ რა იცი მასზე?

– ბევრი არაფერი. ვიცი, რომ ცენტრალურ აპარატში მუშაობდა მოსკოვში. გადმოვიდა მაიორის ჩინით და მინისტრმა რიგგარეშე წოდება მიანიჭა. მე მგონი, სადღაც კახეთშია დაბადებული. აქ სად ცხოვრობს, ოჯახური მდგომარეობა და სხვა ანკეტური მონაცემები არ ვიცი.

– რატომ? აბა, როგორი კადრების უფროსი ხარ?

ამ სამმართველოს მთელი სასტავი პირადად გამრეკელის დაქვემდებარებაშია და მათი პირადი საქმეებიც გამრეკელს უდევს სეიფში. ზვიადაური ოპერატიულ და საგანგებო თათბირებსაც კი არ ესწრება. თუ ესწრება და ჩუმად ზის, არ ლაპარაკობს, მხოლოდ ისმენს. გამრეკელი მას ცალკე იბარებს და პირადად ესაუბრება. ერთი სიტყვით, ძალიან გასაიდუმლოებული განყოფილებაა.

– მდაა... იცის გამრეკელმა მუშაობა. შეცდომას თითქმის არ უშვებს და ზედმეტ სიტყვას ვერ წამოაცდენინებ. მაგრამ, ჩვენ მასზე „ხიტრები“ უნდა აღმოვჩნდეთ და გამრეკელს ყველაფერი დავაფქვევინოთ.

– გაგიჟდი? – გაეცინა ბოხხმიანს, – გამორიცხულია.

– გამორიცხული არაფერია, – ჩვეულ სტილში, მშრალად თქვა კალმარმა.

– რას გულისხმობ, არ ვიცი, მაგრამ თავს დავდებ, რომ გენერალ მერაბ გამრეკელს გილიოტინაზეც ვერ გაათქმევინებ საიდუმლოს.

– გილიოტინა – ბოლოს. მანამდე კი, მინისტრი საღ-სალამათი გვჭირდება და მისგან საჭირო ინფორმაციები უნდა გავიგოთ.

– მაინც, როგორ აპირებ ამის გაკეთებას?

– როცა დრო მოვა, შეიტყობ. ახლა კი ახალი დავალება მაქვს შენთან. როგორმე უნდა გამიგო ვაჟა ზვიადაურზე რაც შეიძლება მეტი. მისი ოჯახური მდგომარეობა, ბინის მისამართი, ტელეფონის ნომერი, რა მანქანით მოძრაობს და მანქანის ნომერი. ერთი სიტყვით, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მაინტერესებს მის შესახებ.

– მანქანის ნომერს ახლავე გეტყვი. ზვიადაური ნოე ბუცხრიკიძის „გაზ-24 ვოლგით“ დადის და თავად უზის საჭეს, – მიუგო ბოხხმიანმა კალმარს და ზვიადაურის „ვოლგის“ ნომერი უთხრა.

– აი, ეს შენ, – კალმარმა ბოხხმიანს ორი ათასი ამერიკული დოლარი მისცა და უთხრა, – შენი გასამრჯელოა. პატარიძეები ოქროსა და ვალუტის გარდა, სხვას არაფერს კადრულობთ.

– კარგი, გეყოფა. აღარ გამიმეორო, – ხმას აუწია ბოხხმიანმა.

– რა, ვიგონებ რამეს? შენი ცოლ-შვილი არ სპეკულიანტობს ვალუტითა და ოქროთი, თუ მეშლება ან ცილს გწამებ? – ირონიით უთხრა ვახტანგ პატარიძეს კალმარმა, – ან იქნებ არც სერგი შამბასა და სხვათა მკვლელობებში ხარ გარეული?

– მე არავინ მომიკლავს, – თქვა ვახტანგ პატარიძემ.

– ხელი ხომ შეუწყვე მკვლელებს და დანაშაული დაფარე?

– შენ რა, არა?

– მერე ვინ ამბობს, რომ მამა აბრამის ბატკანი ვარ? ერთ სვიაზკაში ვართ და ნუ გავიწყდება ეს. თუმცა, შენგან განსხვავებით, ჩემზე


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

კომპრომატი არ არსებობს და რომც „ჩამიშვა“, ბევრს ვერაფერს დამაკლებ. აი, შენზე და შენს ცოლ-შვილზე კი, ისეთი დოკუმენტალური კომპრომატი მაქვს, წყალი არ გაუვა. თუნდაც ერთ-ერთ მათგანს რომ მსვლელობა მივცე, სამივეს დაგხვრეტენ. ასე რომ, პოლკოვნიკო ვახტანგ პატარიძევ, ნუ დაგავიწყდება ეს და რასაც გიბრძანებ, ის გააკეთე.

უცებ პოლკოვნიკმა „პეესემის“ სისტემის პისტოლეტი ამოაცურა პიჯაკის ჯიბიდან. კალმარს მარჯვენა საფეთქელზე მიაჭირა და კბილებში გამოსცხრა:

– ტვინს გაგასხმევინებ და ყველას შვებას მოვგვრი ამით. კიდევ ბევრი ჩემნაირი გეყოლება გამწარებული.

– გამასხმევინებ და შენი ცოლ-შვილიანად მალევე მომყვები უკან. შენ რა სულელი გგონივარ? რამე რომ დამემართოს, ჩემი კაცი უმალვე მისცემს მსვლელობას მაგ საბუთებს, – საკმაოდ მშვიდად მიუგო კალმარმა ვახტანგ პატარიძეს და თან დაამატა, – შეინახე ეგ სათამაშო. არ გაგივარდეს და კარგად დაიმახსოვრე – ოდესმე კიდევ რომ გაბედო ასეთი გამოხდომა, მთელ თქვენს ოჯახს მოვსპობ.

პოლკოვნიკმა პატარიძემ „პეესემი“ ჯიბეში ჩაიდო და ამოილუღლუღა:

– გავცხარდი. მეტი აღარ განმეორდება ეს.

– მორჩილება. მხოლოდ უსიტყვო მორჩილება. აი, რას მოითხოვს თქვენგან კალმარი. ყველანი საცეცებში მყავხართ მოქცეული და ნუ მაიძულებთ, მოგახრჩოთ. ახლა კი წადი და შეასრულე ბრძანება, – თქვა კალმარმა ირონიით, – და, კიდევ, იცი, რა, „ტრაწა“? როცა გირეკავ, ნუ იჯვამ და ხმა ნუ გიკანკალებს. არ „დაიწვა” და თავი არ დაილუპო. დროა, დავაჟკაცდე და სოხუმში რომ ჩაიტრაწე შიშისგან, აღარ გაიმეორო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ვახტანგ პატარიძე გაფითრებული გადმოვიდა კალმარის მანქანიდან. ავტოსადგომზე გაჩერებულ, კერძო ტაქსიში უკანა სავარძელზე მოწყვეტით დაეშვა და სახლში წავიდა.

კალმარმა თვალი გააყოლა მიმავალ პოლკოვნიკს. შემდეგ ხელები აუკანკალდა და სიგარეტს ძლივს მოუკიდა. გააბოლა და ჩაილაპარაკა: „ტრუპი ხარ, ტრაწა. არ გაპატიებ ამას, მაგრამ ჯერ მჭირდები და მოგვიანებით მოგივლი“.

***

ვაჟა ზვიადაური ჩაცმული იწვა საწოლზე და თვლემდა. ლამის პირველ საათზე ტელეფონმა დარეკა. პოდპოლკოვნიკი წამოხტა და დაელოდა. შემდეგ ყურმილი აიღო და უპასუხა:

– გისმენთ.

– უკაცრავად. თუ შეიძლება, გერმან იაკოვლევიჩს სთხოვეთ, – მოესმა ზვიადაურს გივი ჯაფარიძის ხმა, რომელიც რუსულად ლაპარაკობდა. ვაჟამ რუსულადვე მიუგო:

– გერმანი სასწრაფო ოპერაციაზე გამოიძახეს და ნახევარი საათის წინ წავიდა. თქვენ ვინ ბრძანდებით?

– პაციენტი ვარ. ბოდიშს გიხდით, ასე გვიან რომ გირეკავთ. ნახვამდის.

– მეც ექიმი ვარ. იქნებ დაგეხმაროთ?

– გერმან იაკოვლევიჩმა ბრმა ნაწლავის ოპერაცია გამიკეთა და მითხრა, მალე შეგიხორცდებაო ჭრილობა. მე კი დამიჩირქდა და მინდოდა, მეკითხა, რა ვქნა...

– ნაოპერაციევი გტკივათ?

– ნაოპერაციევი – არა. მუცელზე სიწითლე მაქვს და ნაკერები მეფხანება. ლამის ჭკუიდან შევიშალო. ვერ ვიძინებ.

– ჯობია, თავად გერმანმა გაგსინჯოთ. დილის ათი საათისთვის მიაკითხეთ სამსახურში. მანამდე კი ბრილიანტის მწვანე წაისვით ნაკერებსა და ირგვლივ. ორი ტაბლეტი დიმედროლი მიიღეთ და ზურგზე დაწექით.

– გმადლობთ, ექიმო. ნახვამდის.

– ნახვამდის, – მიუგო ზვიადაურმა. ყურმილი დაკიდა. შემდეგ სააბაზანოში ხელ-პირი დაიბანა და სახლიდან გავიდა.

ორი მეგობრის დაშიფრული ლაპარაკი იმას ნიშნავდა, რომ ჯაფარიძე ზვიადაურს ნახევარ საათში კონსპირაციულ ბინაში ელოდებოდა.

ზვიადაური შეხვედრაზე ტაქსით წავიდა. მანქანა კონსპირაციული ბინიდან სამასი მეტრის მოშორებით გააჩერა და უკაცრიელ ქუჩას ფეხით გაუყვა. ნაცადი მანევრი გააკეთა და როცა დარწმუნდა, რომ მას არავინ „აძოვებდა“, კონსპირაციულ ბინაში შევიდა და ტახტზე ჩამოჯდა.

– სუფთა ხარ? – ხუმრობით იკითხა ჯაფარიძემ.

– სუფთა და უცოდველი ახალშობილივით, – ხუმრობითვე მიუგო ზვიადაურმა, – აბა, გისმენ.

– მოკლედ, ასე. ხვალ მე და შილბანი, უფრო სწორად უკვე დღეს, სოჩაში მივემგზავრებით მატარებლით და მორფინას უნდა შევხვდეთ. შემდეგ კი დუშამბეში წავალთ და ჰეროინს შემოვიტანთ.

– ძალიან კარგი. ესე იგი, საქმე დაიძრა.

– თითქოს კი, მაგრამ ერთი ეჭვი მაქვს.

– რა ეჭვი?

– მორფინა კარგად გყავს დამუშავებული?

– ხუთიანზე.

– დავუშვათ და პრავერკა მოუწყონ, არაფერს იტყვის?

– არა. რატომ მეკითხები?

– ეჭვი მაქვს, რომ სანამ მე და შილბანი მივალთ მასთან, მას სხვები დაამუშავებენ და თუ დაიწვა, ოპერაციასაც ჩაშლის და თავსაც დაილუპავს.

– არ დაიწვება. ეს ვარიანტიც გავიარეთ და ყველაფრისთვის მზადაა.

– დარწმუნებული ხარ?

– კი.

– მაშინ, ყველაფერი კარგად ყოფილა.

– რატომ ფიქრობ, რომ შეიძლება მორფინა დააკაჩაონ?

– რატომ და, რუზგენ ჩოჩიანს რომ ველაპარაკებოდი, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ვიღაც მესამე, უხილავი, ძალიან ბოროტი თვალი მიყურებდა. ინტუიცია მკარნახობდა, რომ ის მესამე მაინცდამაინც არ იყო დარწმუნებული ჩემში და გადამოწმება რომ დააპიროს, მე, სუფთა ვარ თუ არა და „კუდი“ არ მაზის. ოთხჯერ გადავამოწმე ეს. ამიტომ ვფიქრობ, შეიძლება, მორფინას მეშვეობით სცადონ ჩემი გაშიფვრა და თუ ასე მოხდა, მაშინ ყველაფერი ჩაიშლება.

– მორფინას ვერ აალაპარაკებენ. არ მგონია, რომ ტყავის გაძრობა დაუწყონ. ცემატყეპასა და გაუთოებას კი გაუძლებს და ვერც სიტყვით წამოაცდენინებენ რამეს. მაგრამ, მაინც დავურეკავ და წინასწარ შევამზადებ. ესეც დამუშავებული გვაქვს და იმასაც ვეტყვი, რომ ზეგ შენ და შილბანი ესტუმრებით.



– მიდი.

ზვიადაურმა სოჭში კონსპირაციული ბინის ტელეფონიდან კოდით დარეკა. ნახევარიოდე წუთს ელოდა და მორფინას ნამძინარევი ხმა მოესმა:

– გისმენთ.

– გეძინა, საშა? – ჰკითხა ზვიადაურმა. ხრიკული ყველაფერს მიხვდა და დაშიფრულად მიუგო:

– თავს არ დამანებებ, კოსტია? რომელი საათია? დილით ვერ დამირეკავდი?

– ჟიმაობ, არა, შე გათახსირებულო?

– მერე, შენ რა?

– ხვალ დილით ლუდა მოფრინავს და დახვდი. ზეგ კი მე და იურკა ჩამოვალთ.

– დაგხვდეთ?

– არა. ჩვენ თვითონ მოვალთ.

– კარგი. შეხვედრამდე, – თქვა მორფინამ და ყურმილი დაკიდა.

ზვიადაურმაც დაკიდა ყურმილი და ჯაფარიძეს ჰკითხა:

– შენ და ჩოჩიანი პირისპირ საუბრობდით?

– კი. მარტო ჩვენ ორნი ვიყავით ოთახში. მე უზარმაზარი სარკის წინ ვიჯექი, ჩოჩიანი კი – ჩემს მოპირდაპირე მხარეს. რატომღაც მგონია, რომ ის მესამე სარკის უკნიდან მჩიჩმავდა.

– არაა გამორიცხული. ისეთი დრო მოვიდა, ბოროტმოქმედები ჩვენზე უკეთ არიან აღჭურვილები. რასაც გინდა, გაიტან და რასაც გინდა, შემოიტან. ეგ სპეცსარკეები თავისუფლად იშოვება უცხოეთში. შეიძლება, ჩოჩიანმა იქიდან ჩამოიტანა და სახლში დაამონტაჟა.

– თავს დავდებ, თუ მასე არ იყოს. ინტუიცია ჩემთვის ჯერ არასდროს ულალატია.

– იყოს მერე. ფეხები არავინ მოგჭამოს. შენი სახელით მოქმედებ და ნამდვილად გივი ჯაფარიძე ხარ. ამიტომ, ამ კუთხით ვერავინ გაგშიფრავს. შენს შესახებ კი ისეთმა ხალხმა ვიცით, რომ ინფორმაცია არ გაჟონავს. ამიტომ, სულ არ ვნერვიულობ, – უთხრა ზვიადაურმა მეგობარს და იცრუა, რადგან ძალიან ნერვიულობდა. თუმცა, თავი მოთოკა და გრძნობებს არ ამჟღავნებდა.

– წავედი, წავედი. ოთხი დაწყებულა, – უთხრა ჯაფარიძემ ზვიადაურს და საათს დახედა, – ცოტა მაინც უნდა წავუძინო, რომ „ხოდზე“ ვიყო.

– ნახვამდის.

– ნახვამდის, – მიუგო გივიმ ვაჟას და კარისკენ გაემართა. შემდეგ შეჩერდა და მოტრიალდა, – შენი იმედი მაქვს. ჯაბას და თეას მიხედე.

– დარდი ნუ გაქვს, – მიუგო ზვიადაურმა და მეგობარი გაისტუმრა. თავისთვის კი გაიფიქრა, – „ნერვიულობს გივი.”

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ მოკლა წმიდა სამების ხატმა თბილისის ერთ-ერთ ტაძარში ჯალათი მილიციის მაიორი



### „ხუმარა“

თბილისის ერთ-ერთი ელიტური სახლის ბინაში, სადაც იმდროინდელი ბომონდი იყო შეკრებილი, მხიარულება პიკს აღწევდა. სხვადასხვა რანგისა და პროფესიის ადამიანები პროფესორ ვარლამ ტაბატაძის დაბადების დღეს ზეიმობდნენ. მოდურ სამოსში გამოწყობილი ქალბატონების სხეულები, ანტიკვარული ძვირფასეულობით იყო დახუნძლული და ბრილიანტებით, ლალით, ფირუზითა თუ სხვა ძვირფასი ქვებით მორთული სამკაულები ზღაპრულად ციმციმებდნენ უზარმაზარ სასტუმრო ოთახში.

– ბატონო ვარლამ, ვიღაც ახალგაზრდა კაცი გკითხულობთ. ასე ამბობს, – მოსკოვიდან საგანგებო დეპეშაა და პირადად უნდა გადავცეო, – უჩურჩულა პროფესორს შუა ხნის მსახურმა მამაკაცმა.

ტაბატაძემ ბოდიში მოიხადა და შემოსასვლელისკენ გაემართა. ორიოდ წუთში, ტაბატაძე სამი ადამიანის თანხლებით დაბრუნდა უკან. სამივეს ხელში პისტოლეტი ეკავა. ორ მათგანს კი ნიღაბი ეკეთა. უნიღბომ სტუმრებს გაუღიმა და უთხრა:

– ძვირფასო საზოგადოებავ! სულ რაღაც ხუთიოდე წუთით მოგაცდენთ. როგორც ჩემი უფროსი კოლეგა და იდეალი, ლეონიდ პანტელეევი იტყოდა, გთხოვთ, გათავისუფლდეთ ბურჟუაზიის ბორკილებისგან და ჩემს ასისტენტებს თქვენი სამკაულები და საფულეები გადასცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ზეიმი ტრაურად გადაიქცევა.

ნიღბიანებმა მაგიდას ჩამოუარეს და შეკრებილი სტუმრების სამკაულებითა და საფულეებით აავსეს ორი პატარა ტყავის ჩანთა. შემდეგ ოჯახის ძვირფასეულობა და ფულიც ზედ დაამატეს და კმაყოფილმა უნიღბომ შიშველი ხელით აიღო შამპანურით სავსე ბოკალი და ვარლამ ტაბატაძეს მიმართა:

– დაბადების დღეს გილოცავთ, პროფესორო. ბოდიშს გიხდით მოულოდნელი ვიზიტისთვის. იდღეგრძელეთ!

უნიღბომ ბოკალი ბოლომდე გამოცალა, მაგიდაზე დადგა და ნიღბიანებთან ერთად დატოვა ბინა.

შემთხვევის ადგილზე მისული მილიციის ოპერჯგუფი დილამდე ართმევდა ჩვენებებს გაძარცვულ სტუმრებს. ბოკალი კი, რომელსაც უნიღბო მძარცველი შიშველი ხელით შეეხო, დაბეჭდეს და დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზაზე გაგზავნეს. მეორე დღეს, 1966 წლის 11 მაისს, ორჯონიკიძის რაიონის მილიციაში ძარცვის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მას მაიორი გურამ კაკაბაძე იძიებდა. როდესაც მან ყველა დაზარალებულის ჩვენება წაიკითხა, თქვა: უყურე შენ ამ ხუმარას, რა თავხედურად, თანამიმდევრულად მოქმედებს. როგორც ეტყობა, გვიწვევს და ვიღებ ამ გამოწვევას...

კაკაბაძის პირველი გაოცება უნიღბოს ფოტორობოტმა გამოიწვია. ის გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ცნობილ მძარცველ-რეციდივისტს, ჯემალ გაგუას. კაკაბაძე იმან გააოცა, რომ გაგუა ციხეში იჯდა და ძარცვას ვერ ჩაიდენდა. თანაც, ჯემალი ინკასატორებს ძარცვავდა. შედეგი არც დაქტილოსკოპიურმა ექსპერტიზამ მოიტანა და მძარცველის თითის ანაბეჭდები გაგუას ანაბეჭდებს არ დაემთხვა.

### ტყუპები

გურამ კაკაბაძე გამოცდილი გამომძიებელი იყო და დაადგინა, რომ ჯემალ გაგუას ტყუპისცალი ჰყავდა – ჯუმბერი. მაგრამ ის სასულიერო პირი იყო და მრავალი წლის წინ რუსეთში გაემგზავრა სასწავლებლად. ეს ინფორმაცია მაიორმა ერთ-ერთი აგენტისგან შეიტყო. აგენტი კი ჯემალ გაგუასთან ძმაკაცობდა და სწორედ მან გაანდო ეს ფაქტი საიდუმლოდ. კაკაბაძეს მაინცდამაინც არ სჯეროდა სასულიერო პირის ავაზაკობისა. მაგრამ, სამსახურებრივად ვალდებული იყო, ეს ინფორმაცია მილიციის სამმართველოს უფროსისთვის გაეზიარებინა

– ორი აზრი არაა. ის მღვდელია მძარცველი, – დაასკვნა სამმართველოს უფროსმა, – ხვალვე მოძებნე და შეამოწმე.

– რუსეთშია, ამხანაგო პოლკოვნიკო, – მიუგო კაკაბაძემ.

– მაშინ რუსეთში გაემგზავრე. მივლინებას ახლავე გაგიფორმებ.

გურამ კაკაბაძე უხალისოდ დაეთანხმა პოლკოვნიკს და მოსკოვს გაემგზავრა. „მურის“ დახმარებით მან საპატრიარქოში შეღწევა მოახერხა. ერთ-ერთმა უმაღლესმა იერარქმა მას უთხრა:

**გოგიევმა ბერს კრიალოსანი თვალწინ დაუწვა და სამოსი შემოახია**

– ბერი სერაფიმე პატიოსანი ადამიანია და ბოროტებისგან შორს დგას. თანაც, ის ახლა წასულია და ციმბირის წმიდა ადგილები უნდა მოილოცოს.

ყველაფრის მიუხედავად, ბერი სერაფიმე, იგივე ჯუმბერ გაგუა ქალაქ ირკუტსკში დააკავეს და პირდაპირ თბილისში ჩამოიყვანეს. ბერი მორჩილად იღიმებოდა და არაფერს აპროტესტებდა. ის, პირადად მილიციის სამმართველოს უფროსმა დაკითხა და თითების ანაბეჭდებიც თავადვე აუღო. ბერმა რომ ყველა კითხვაზე უპასუხა პოლკოვნიკს, ბოლოს უთხრა:

– კეთილო კაცო, როგორც ამბობ, ის მძარცველი, ვისაც მე მამსგავსებ უწვერო იყო. მე კი წვერი თხუთმეტი წელია, არ შემიკრეჭავს...

ბერის უდანაშაულობა დაქტილოსკოპიურმა ექსპერტიზამაც დაადასტურა და მამა სერაფიმე გაათავისუფლეს.

### წმიდა სამების ხატი

პროფესორ ტაბატაძის სახლში განხორციელებული ძარცვის მსგავსად, 1966 წლის აგვისტოში, კიდევ ერთი დანაშაული მოხდა. უნიღბომ და ორმა ნიღბიანმა ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი და მისი სტუმრები პირწმინდად „გაასუფთავეს“, როცა მეუღლის დღეობას იხდიდა. უნიღბომ კვლავ შამპანურით ადღეგრძელა იუბილარი. თავისი თითის ანაბეჭდები დატოვა და ასისტენტებთან ერთად მიიმალა.

მილიციის სამმართველოს უფროსი ცოფებს ყრიდა. მან გურამ კაკაბაძე გამოძიებას ჩამოაშორა და მის ადგილზე კი კაპიტანი ემზარ გოგიევი დანიშნა. გოგიევი გონებაშეზღუდული ადამიანი იყო და ფონს ძალადობით გადიოდა. ის სასტიკად აწამებდა პატიმრებს და ამგვარად იღებდა აღიარებით ჩვენებებს. პირველი, რაც გოგიევმა გააკეთა, ის იყო, რომ ციხეში ესტუმრა ჯემალ გაგუას. დაკითხა და სასტიკად აწამა. თუმცა, გაგუას სიტყვა არ დაუძრავს და იმეორებდა: ჯალათო, ჯალათოო...

კაპიტანი გოგიევი უფრო შორს წავიდა – მოსკოვში ჩავიდა. მამა სერაფიმე წმიდა სამების ტაძრის საკურთხეველში დააკავა და მანქანით თბილისში ჩამოიყვანა. მთელი გზა პატიოსან ბერს მორალურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და მისგან დამნაშავის ვინაობის გამხელას მოითხოვდა. სერაფიმე კი იღიმებოდა და ხმამაღლა ლოცულობდა, თან კრიალოსანს ატრიალებდა ხელში. გოგიევმა სერაფიმეს კრიალოსანი წაართვა და თვალწინ დაუწვა. ბერის სამოსი კი შემოახია, თან იარაღით დაემუქრა. ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგოდ, კაპიტანი დარწმუნებული იყო, რომ მძარცველი ბერი იყო და ამიტომ, ახორციელებდა მასზე ასეთ ზეწოლას. მამა სერაფიმე თბილისის მილიციის სამმართველოს ჯურღმულში გამოკეტეს და მისგან ძარცვის აღიარებას მოითხოვდნენ, თან წვერი გაპარსეს.

1966 წლის 29 სექტემბერს, თბილისის მილიციის სამმართველოს სამორიგეოში მამაკაცი მივიდა და მორიგე მაიორს განუცხადა:

– მე ჯამბულ გაგუა ვარ. ჯემალისა და სერაფიმეს მესამე ტყუპისცალი და ძარცვები მე ჩავიდინეო.

სამი ტყუპი ძმა გაგუები ჯერ კიდევ ჩვილობაში დააშორეს ერთმანეთს. ჯამბული უშვილო დეიდამ წაიყვანა აღსაზრდელად ქუთაისში და გვარი შეუცვალა. სიკვდილის წინ კი, ყველაფერი გაუმხილა. ჯამბულმა თავად მოძებნა ძმები, რომლებმაც არ იცოდნენ მესამე ტყუპის შესახებ. დანაშაული კი მხოლოდ იმიტომ აღიარა და მილიციას ჩაბარდა, რომ სერაფიმე გადაერჩინა.

კაპიტანი გოგიევი დააწინაურეს და ჩინიც მოუმატეს, მაგრამ 1967 წელს გარდაიცვალა. თბილისის ერთ-ერთ ტაძარში მაიორი გოგიევი რეიდს ატარებდა და მორწმუნეებს აკავებდა. საკურთხევლის წინ მას ფეხი დაუცურდა და რომ არ წაქცეულიყო, წმიდა სამების უზარმაზარ ხატს წაეპოტინა. გოგიევი წაიქცა, ხატი საფეთქელზე დაეცა და სული გააფრთხობინა.

**ნიკა ლაშაური**

# როგორ აწამეს შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა მეზობრის ოჯახი და ვის ემუქრებოდნენ ისინი ორსული ქალის გაუპატიურებით



ოპერატიული ინფორმაცია ცოლ-ქმრის – 61 წლის მანანა და 63 წლის რეზო ჭ-შვილებისა და მათი რძლის, ლილე დ-იანის დაყაჩაღებისა და წამების შესახებ, პოლიციის განყოფილებაში დაზარალებული ოჯახის მეზობლებისგან შევიდა. მოქალაქემ, რომელმაც სამართლადამცველებს დახმარება სთხოვა, შემთხვევის ადგილზე გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარებაც, რომელთაც შოკურ მდგომარეობაში მყოფ ორსულ ახალგაზრდა ქალსა და მის მამამთილს, რეზო ჭ-შვილს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. დაზარალებულ მამაკაცს აღენიშნებოდა ტვინის შერყევა, რაც, როგორც მოგვიანებით დადგინდა, თავში ბლაგვი საგნის დარტყმის შედეგად იყო მიყენებული.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. პირველი ჩვენება გამოძიებას მისცა ინციდენტის თვითმხილველმა, მარინა ბ-შვილმა, რომელმაც ოჯახში ნაცემი და ნაწამები სამი ადამიანი აღმოაჩინა.

ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „გვიანი ღამე იყო. კლუბის მენეჯერი ვარ და სახლში გვიან მომიწია დაბრუნება. სადარბაზოში რომ შევედი, ფეხით დავიწყე ასვლა (ჩვენს სადარბაზოში ლიფტი არაა). მანანა და რეზო ჩემს თავზე ცხოვრობენ. მეოთხე სართულს რომ მივუახლოვდი, მათი კარის ხმა გავიგე – სპეციფიკური ხმა აქვს, ყოველთვის ვხვდები, რომ მათი ბინის კარი გაიღო. გვიანი იყო და გამიკვირდა. უცებ, ორი მამაკაცის ლანდი შევნიშნე, ორივე უცხო და უცნაური ლანდი იყო. მერე გავაცნობიერე, რომ მათი ნიღბებით დაფარული სახეები მომეჩვენა კიბის ნახევრად განათებულ ბაქანზე უცნაურად. შევშინდი, ჩემი სახლის კარი გავაღე და უცებ შევვარდი სახლში, თუმცა, კარს არ მოვშორებივარ. ჩემი კარის სათვალთვალოში უფრო ახლოდან დავინახე ორი მამაკაცი: ერთს ნიღაბი ეკეთა, მეორეს – არა. მისი სახე კარგად შევათვალიერე, რადგან, ჩემს კართან რამდენიმე წამით შეყოვნდა. დავინახე, როგორ გავიდნენ სადარბაზოდან. ღამის 2 საათი იქნებოდა. მე მამაჩემი გავაღვიძე და ორივე ერთად ავედით მეზობლებთან. მათი კარი ღია იყო. რეზო და მანანა ლოჯიაში იყვნენ ხელებშეკრულები და ერთმანეთზე მიბმულები. მე მაშინვე ლილეს ძებნა დავიწყე, რომელსაც მის საძინებელში მივაგენი. ლილე გარდერობზე იყო სკოჩით მიბმული და პირიც სკოჩით ჰქონდა აკრული. რეზო ცუდად იყო – ჰაერი არ ჰყოფნიდა და გონებას კარგავდა. ცუდად იყო ლილეც, რომელსაც სასწრაფოს მოსვლამდე პირველი დახმარება მეზობლებმა აღმოუჩინეთ”.

როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, იმ ღამეს, როდესაც ოჯახს თავს დაესხნენ შეაიაღებული ყაჩაღები, ოჯახის ერთი წევრი, 40 წლის ნუკრი ჭ-შვილი, ქალაქიდან იყო წასული საქმეებზე. ის ავტომობილების ზეთების ბიზნესით იყო დაკავებული და ბიზნესპარტნიორთან ერთად ფოთში მოუწია წასვლა. ნუკრი ჭ-შვილის დაკითხვის შემდეგ გამოძიებისთვის ცნობილი გახდა მისი სანაცნობო წრეც და ისიც, რომ ახალგაზრდა ბიზნესმენს მტრები არ ჰყავდა. დაზარალებული ოჯახის წევრები, რომლებიც ყაჩაღთა აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ, აცხადებდნენ, რომ დანაშაული შურისძიების მოტივით უნდა ყოფილიყო ჩადენილი, რადგან, ერთ-ერთი თავდამსხმელი ხშირად ახსენებდა ნუკრის სახელს და ამბობდა, ვაჩვენებთ მაგ კრიჟანს, როგორ უნდა ფულის გაცემაო. ისინი ცოლ-ქმრისა და მათი რძლისგან თანხას მოითხოვდნენ. როდესაც რეზო ჭ-შვილმა მათ განუცხადა, რომ სახლში ფული არ ჰქონდათ და, ოღონდ ორსული გოგოსთვის არაფერი დაეშავებინათ და ნებისმიერი ნივთის წაღება შეეძლოთ, მას დაცინვით პასუხობდნენ.

ამონაწერი რეზო ჭ-შვილის ჩვენებიდან: „თავდამსხმელები სახლში მოტყუებით შემოვიდნენ – მეგონა მეზობელი იყო და კარი მე გავუღე. ღამის 11 საათი იქნებოდა. ორივე ნიღბიანი განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა, ჩემს ცოლსაც დაარტყეს. ერთ-ერთმა ნიღბიანმა მეც ორჯერ ჩამარტყა თავში იარაღის ტარი. ფულს მოითხოვდნენ ჩვენგან. როცა ვუთხარი, სახლში ფული არ გვაქვს და, რაც გინდათ, ის წაიღეთ, ოღონდ ამ გოგოს არაფერი დაუშავოთ-მეთქი, დამცინა,: შვილმა ფული არ დაგიტოვა, ბაბუ? ვაჭრები კი არ ვართ, შენი ლუსტრები ვყიდოთო. ჯერ მე და ჩემი ცოლი მიგვაბეს თოკებით ერთმანეთზე, ერთ-ერთს იარაღი ეჭირა და წინააღმდეგობის გაწევა არც მიფიქრია. ჩემმა რძალმა სამკაულები თავისი ხელით მისცა, მაგრამ, მაინც ფულს გვთხოვდნენ. მივხვდი, ვერ წარმოიდგინეს, რომ ფული არ გვქონდა. სანამ ლილესაც მიაბამდნენ კარადაზე, ორჯერ დამემუქრა: ფული მოგვეცი, თორემ, ამ ორსულს შენ თვალწინ გავაუპატიურებთო. ჩემმა ცოლმა ტირილით უთხრა: შვილო, წნევიანი ქალი ვარ, გული გამისკდება, რაც გინდათ, წაიღეთ და ჩვენ თავი დაგვანებეთო. მათ კი ჩვენი დაცინვა და ცემა ერთი საათი მაინც გააგრძელეს. ოქროს სამკაულები უკვე მიცემული გვქონდა, მაგრამ, მე მაინც არ მანებებდნენ თავს – ფულს ნუ მალავო. მართლა არ გვქონდა ფული, თორემ, მაშინვე მივცემდი. სამჯერ მაინც მიხსენეს ნუკრი და, მივხვდი, რომ მის ბიზნესსაქმიანობაზე ჰქონდათ ინფორმაცია. უცებ სადარბაზოში ხმაური ატყდა – ერთი ქეიფის მოყვარული მეზობელი გვყავს და ის დაბრუნდა სახლში ხმაურით. მისი მოსვლა და სამ წუთში ამ ბიჭების წასვლა ერთი იყო. თავი მისკდებოდა, მაგრამ, მაინც ვცადე ჩემი მეუღლის გათავისუფლება, თუმცა, ვერ შევძელი. ვიცოდი, ნუკრი დილით ადრე უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ, იმის შიში მქონდა, ყაჩაღები უკან არ მობრუნებულიყვნენ, ალბათ, ოცი წუთი იქნებოდა გასული, როცა კარი გაიღო და ჩემი მეზობელი მამა-შვილი შემოვიდა სახლში. ჩვენდა ბედად აღმოგვაჩინეს, თორემ, იმ ღამის გადატანა ჩვენც და ორსულ რძალსაც ძალიან გაგვიჭირდებოდა. ის ერთ-ერთმა გარეწარმა თავდამსხმელმა ძირს დავარდნილი გაათრია მეორე ოთახში, სადაც, როგორც მერე გავიგე, კარადაზე მიაბა და პირი სკოჩით აუკრა.”

## ყაჩაღობა შურისძიების მიზნით იყო ჩადენილი

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცველებმა დაადგინეს დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის ვინაობა – ის 26 წლის კობა კ-ია აღმოჩნდა. ოპერატიული სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ ის დაზარალებული ოჯახიდან გატაცებული ნივთების რეალიზაციით იყო დაკავებული. კობა კ-იას დაკავებას მისი თანამზრახველის, მანუჩარ გ-შვილის დაკავებაც მოჰყვა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზება მანუჩარ გ-შვილის დეიდაშვილის, ლადო დ-ძის მიერ მოხდა. ლადო დ-ძე წარსულში ნარკოტიკების მოხმარებისთვის იყო ნასამართლევი. დაკავებულმა კობა კ-იამ და მანუჩარ გ-შვილმა გამოძიებასთან აღიარეს მათი კავშირი ლადო დ-ძესთან, რომელიც ნუკრი ჭ-შვილის ბავშვობის მეგობარი და მისი ყოფილი უბნელი იყო. როგორც ნუკრი ჭ-შვილმა გამოძიებას განუცხადა, ლადო დ-ძემ დაყაჩაღებამდე ორი კვირით ადრე მას 2 000 ლარი სთხოვა. „ბავშვობის მეგობრები ვართ, ადრეც რამდენჯერმე მქონდა ფული მიცემული, მაგრამ, უკან არ დაუბრუნებია. როცა 2 000 ლარი მთხოვა, ვუთხარი: ფული არ მაქვს, მაგრამ, რომც მქონდეს, შენ ლარს აღარ მოგცემ-მეთქი. ამ თემაზე წავკამათდით და საერთო მეგობარმა გაგვაშველა.” როგორც დაკავებულმა ლადო დ-ძემ აღიარებით ჩვენებაში განაცხადა, მეგობრის ოჯახის დაყაჩაღება შურისძიების გამო გადაწყვიტა. მეგობრისგან გავიგე, რომ ნუკრი რამდენიმე დღე ფოთში მიდიოდა. გადასამოწმებლად დავურეკე და მითხრა, ფოთში ვარო. მე ბიჭებთან წინასწარ მქონდა დაგეგმილი, თუ როგორ უნდა შესულიყვნენ ბინაში. დარწმუნებული ვიყავი, რომ ნუკრის სახლში ფული ექნებოდა. მე ვალი მქონდა ჩასაბარებელი, ბიჭებსაც პრობლემები ჰქონდათ და ამიტომ გადავწყვიტეთ ოჯახის დაყაჩაღება.”

სასამართლომ ლადო დ-ძეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, 7-7 წლით პატიმრობა შეეფარდათ კობა კ-იასა და მანუჩარ გ-შვილს, რომლებმაც, ჩადენილი დანაშაულის აღიარების შემდეგ, ლადო დ-ძე ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზებაში დაადანაშაულეს.

**ეკა ბარაბაძე**

ნელი სვლა
თავში უნდა იყოს
ვერცხლისფერი ნაყოფი
აპლოდისმენტები
იაპონიის ქალაქი
გვინეის დედაქალაქი
განგაშის შეძახილი



ზღაპრის არსება
პატარა კბილი
ვიეტნამის დედაქალაქი
ტოლსტოის ანა
ფანქრების მწარმოებელი ფირმა
ზემოთა მიმართულებით
(......) იოსელიანი
იდიში, სუახილი, არაბული
ცხიმი
იაპონელი კინორეჟისორი.....კუროსავა
ადგილის "ნახატი" ქაღალდზე
საფოსტო გზავნილი
ექალი
სურდო, ცხვირის ანთება
დათვი ასეთიც არის
პელეს კოლეგა
ტკივილის გაყუჩება
ჩვენი ენა
უზნეო ანუ?
მიმდევრის ბოლოსართი
მინერალური წყალ
იმ მომენტში ანუ იმ დროს
მთელი ეკიპაჟის მუშაობა
ციმბირის ტყე
კავკასიონის უღელტეხილი
„მაია წყნეთელის" პერსონაჟი
ჩინეთის კუნძული წყნარ ოკეანეში
შიშის და ტკივილის სიტყვა
ონის რაიონის სოფელი
მესამე პირი
დღეღამის ნაწილი
ბაირონის ტიტული
ბავშვის გასეირნება
არაბული „შტატის" შეფი
რუსი ქალის სახელი
ნარკოტიკი
მაღაზია ....პარი
აფრიკის ქვეყანა
კაბელიც, მილიც
შარლ დე კოსტერის (...) ულენშპიგელი
ჭადრაკის ფიგურა
ძველბერძენი ფილოსოფოსი
ტყავი ასეთიც არის
კარდინალთა საიდუმლო კრება
არგენტინული ცეკვა
კოლექტიური სოციალური ჯგუფი
ხის პატარა ბაყაყი
ტიბეტური პირუტყვი
ურმის ნაწილი
ფრინველი
ქუქყი სამოსზე
დიდი ქვეყნების ლიდერთა კავშირი
მგალობელი
ძველად ერქვათ ჩვენს კაცებს
ძველი იტალიელი მეკარე
მდორე ანუ?
მცირე ფასის
წყალი (ლათ.)
მუს.ინსტრუმენტი
პიუგოს რომანი
პარკოსანი მცენარე
იაპონური არაყი
რქინის გისოსი
დედაკაცი
ლონდონური დიალექტი
ლიტ. პრემია
შეჯახება
ასეთი უნდა იყოს პოეტი
დაშინება
ტატნობი
იალქანი
გზა (ლათინურად)
ქვასროლია ბიჭი
პატარა ცხენი
ალიონი
ალტაცების შორისდებული
ორი ერთიანი ნარდში
ალიონი

Column clues:

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | 1 | 2 | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | 4 | | 4 | 4 | 1 | 1 | 1 | 2 | | | | | | | | | |
| | | | | 1 | | 5 | | | | | | | 4 | | 4 | 4 | 4 | 2 | 2 | 4 | | | | | | | | | |
| | | | | 2 | 3 | 1 | 9 | 11 | 11 | | 1 | 4 | 5 | | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 1 | 1 | 8 | 7 | 5 | 3 | 2 | | | |
| 1 | 2 | 2 | 4 | 2 | 4 | 3 | 5 | 6 | 6 | 20 | 5 | 5 | 5 | 25 | 5 | 5 | 5 | 6 | 5 | 5 | 15 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 3 | 1 | 1 |

Row clues:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 3 |
| | | | 1 | 5 |
| | | 1 | 1 | 2 |
| | | | | 5 |
| | | | | 6 |
| | | 1 | 5 | 1 |
| | | 3 | 4 | 2 |
| | | 3 | 1 | 2 |
| | | 4 | 5 | 2 |
| | | 4 | 5 | 3 |
| | | 4 | 5 | 4 |
| | | 5 | 5 | 3 |
| | | 5 | 1 | 4 |
| | | 6 | 7 | 4 |
| | | 6 | 7 | 5 |
| | | 7 | 7 | 5 |
| | | 4 | 7 | 6 |
| | 4 | 1 | 9 | 2 |
| 9 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 4 | 1 | 12 |
| | | | | 22 |
| | | | | 19 |
| | | | | 16 |
| | | | | 13 |
| | | | | 10 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 9 | 4 | | 3 | | 8 | |
| 2 | 4 | | 5 | 1 | | | 3 | |
| | | 3 | 8 | 2 | | 4 | | |
| 3 | 2 | 4 | 1 | | 8 | | 6 | |
| | 5 | | | 3 | 2 | 1 | 4 | 8 |
| | | | 7 | 4 | 6 | | | |
| 1 | | 5 | 6 | | 4 | 3 | | 2 |
| | 6 | | 3 | | 1 | | 5 | |
| | 3 | 7 | | 9 | | 6 | 1 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 4 | | | | | 9 | 8 |
| 9 | 8 | | | | | | | 6 |
| | | 6 | | | 8 | | 2 | |
| 1 | 4 | | 2 | 7 | | | | |
| 8 | 9 | | | | 3 | 5 | | |
| | 6 | | 4 | | 5 | | | 1 |
| | | | | | 7 | | | |
| 7 | | 9 | | | | 6 | 1 | 5 |
| 6 | 5 | | | 3 | | | | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. პირით დაიწყეთ მულტფილმის გმირის ხატვა



2. მიახატეთ თვალები



3. დაასრულეთ თავის ხატვა



4. მიახატეთ ხელები



თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია



5. შემდეგ — ფეხებიც





6. დაასრულეთ ნახატი

# იპოვეთ განსხვავებები





# დაეხმარე გზის გაკვლევაში



# სასაცილო ზღარბუნია











ცოტას თუ დაეხმარებით, თქვენი შვილები ძალიან გაერთობიან სასარგებლო საქმიანობით – მათ ყოველთვის აქვთ რაღაც ახლის შეცნობისა და კეთების სურვილი.

დაიწყეთ ყველაზე მარტივით – გააკეთეთ სათამაშო ზღარბი. დააკვირდით სურათებს და თქვენს პატარასთან ერთად შეუდექით საქმეს. დაგჭირდებათ ჩვეულებრივი, ერთჯერადი, თხელი პლასტმასის თეფში. მოკეცეთ ზუსტად შუაში ისე, რომ ზედაპირი გარედან მოექცეს. ერთი მხრიდან გამოჭერით ზღარბის ცხვირი და პროფილი, შემდეგ კი თეფშის ნაპირები წვრილად დაჭერით ფოჩებად. ბოლო ეტაპი ყველაზე სასიამოვნოა – ზღარბუნიას გაფერადება... მთავარია, ცხვირი, პირი და თვალები იყოს შავი, ტანი კი თქვენი გემოვნებით აუჭრელეთ. თუ მბზინავ საღებავს გამოიყენებთ, ასეთი ხელნაკეთი სათამაშო საახალწლოდ სახლის მოსართავადაც გამოგადგებათ.

## რიცხვრებუსი

,7,,, 1,,, ,,0

## მგელი და ლომი (იგავ-არაკი)

მგელმა ფარას ცხვარი მოსტაცა და ბუნაგისკენ გააქანა. წინ ლომი შემოხვდა და ნადავლი წაართვა. მგელი განზე გადგა და ლომს უსაყვედურა, ლუკმა უსამართლოდ წამართვიო.

– ისე ამბობ, თითქოს შენ აგეღოს სამართლიანადო, – უთხრა ლომმა.

მხეცები და ავაზაკები ერთმანეთს სტაცებენ და თან დანაშაულში ამხელენო.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| დედამიწის თანამგზავრი | | ხილი | | |
| | | | | მკურნალი |
| რიცხვი | | გიტარაზე გადებული ძუა | | |

# მწარე წამალი



**სტივ ო'კონელი**

ნორა მერიკმა პატარა ბოთლიდან სამი ჩაის კოვზი მუქი ყავისფერი სითხე ჩაასხა ჭიქაში, ცოტა ლიმონის წვენი ჩაუმატა და წყლით შეავსო. მერე კოვზით აურია. შედეგი თვალით შეაფასა და კმაყოფილებით გაიღიმა... საძინებელ ოთახში რომ შევიდა, მისი ქმარი საწოლში იწვა და ჟურნალს კითხულობდა.

– წამალი მოგიტანე.

– წამალი? ექიმს რომ არანაირი წამალი არ დაუნიშნავს ჩემთვის? – წარბი შეიკრა ჰაროლდმა და ცოლს ეჭვით შეხედა, – მე სიმშვიდე და სითბო მჭირდება. შენ რატომ ხარ ასეთი გაწითლებული, გრიპი ხომ არ გადაგედო?

– არა. ნუ მეკამათები! – მკაცრად უთხრა ნორამ, – ეს წამალი არ გაწყენს.

– რა იცი, რომ არ მაწყენს, რა არის ეგ?

– ლიმონის წვენი და ბალახების ნაყენი. დალიე.

– არ მინდა.

– გინდა! ახლავე დალიე! – ნორამ ჭიქა საწოლთან მიდგმულ პატარა კომოდზე დადგა, – გელოდები.

– ახლა ვერ დავლევ.

– კარგი. მე წავალ, სამზარეულოში ჭურჭელს გავრეცხავ და, როცა დავბრუნდები, ჭიქა ცარიელი უნდა დამხვდეს.

ნორა სამზარეულოში დაბრუნდა. ჭურჭელს რეცხავდა და თან ფიქრობდა: „პირველი ქმარი – ბეილი პნევმონიით მოკვდა; მეორეს – სტივს, კუჭის რაღაც უჩვეულო დაავადება დაემართა, ექიმებმა ვერაფერი გაუგეს და ისიც ტკივილებით გარდაიცვალა. ერთისგან ნორას ჩვიდმეტი ათასი დოლარი ერგო – დაზღვევის თანხა, მეორემ კი თერთმეტი ათასით შეავსო მისი კაპიტალი"... – ქალმა ამოიოხრა, ბოლო თეფშსაც გადაავლო წყალი და საძინებლისკენ გაემართა. ოთახში მაშინვე არ შესულა. ოდნავ შეაღო კარი და დაინახა, ჰაროლდმა როგორ ჩაასხა ჭიქიდან სითხე ფანჯრის რაფაზე მდგარ ქოთანში, მერე კი ისევ ლოგინში ჩაწვა.

– რა გააკეთე? ჰაროლდ, პატარა ბავშვივით იქცევი! გინდა, ჩემი საყვარელი ყვავილი გახმო?

– თუ ყვავილს ახმობს, მეც არ დამაყრის ხეირს, – აბუზღუნდა კაცი.

– ბევრს ნუ ლაპარაკობ! მცენარე ადამიანი არ არის. მას რაც უხდება, პირიქით, სწყენს ადამიანს. რა საჭიროა ამდენი განხილვა? ახლა ჩავალ, თავიდან მოვამზადებ მიქსტურას და, სანამ არ დალევ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი...

***

სერჟანტი ბლენჩარდი ნერვიულად ცქმუტავდა სკამზე, ფრჩხილებს იკვნეტდა და თან მოუთმენლად შესცქეროდა დეტექტივ პეილს, რომელიც მშვიდად მიირთმევდა სენდვიჩს.

– პეილ, ხომ არ ვაგვიანებთ?

დეტექტივმა თავი გააქნია.

– დარწმუნებული ხართ? იმდენი ვიწვალეთ, სანამ მათ სააშკარაოზე გამოვიყვანდით! ცინცინატიდან მოვდივართ... კიდევ რომ გაგვისხლტნენ ხელიდან, საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ!

პეილმა ბოლო ლუკმა გადაყლაპა და სიგარეტს მოუკიდა.

– ნუ გეშინია, დავაპატიმრებთ, ვერსად წავლენ. დრო კიდევ გვაქვს, სადაზღვევო დოკუმენტებს მხოლოდ სამი კვირის წინ მოაწერეს ხელი. ძალაში სანამ არ შევა, არაფერი მოხდება... თქვენ გგონიათ, ახლავე თავპირისმტვრევით უნდა გავიქცეთ, რომ იმ ქალს ჭიქა ხელიდან გამოვტაცოთ? რა საჭიროა ასეთი სიჩქარე? გეუბნებით, ყველაფერს მოვასწრებთ... კაპიტანი მოვა და დავიძრებით...

***

ნორა გულხელდაკრეფილი იდგა და ქმარს თვალმოუშორებლად შესცქეროდა. კარზე დარეკეს. ქალი არ განძრეულა.

– არ გააღებ? ვიღაც მოვიდა.

– ფოსტალიონი იქნება. ალბათ, სადაზღვევო კომპანიიდან ის წერილი მოიტანეს, რომლის შესახებაც დილით ტელეფონით მესაუბრნენ. ჩვენი ხელშეკრულება ძალაში შევიდა. საფოსტო ყუთში ჩაუშვებს და მერე ავიღებ.

ჰაროლდმა თვალები მოჭუტა:

– იმის თქმა გინდა, რომ მე ახლა, მკვდარი, ოცი ათასი დოლარი ვღირვარ? თუ რამე დამემართა, მშვენიერი ნუგეში იქნება შენთვის.

– დიდი ვერაფერი ნუგეში იქნება. გირჩევ, ამაზე არ იფიქრო და წამალი დალიო, გელოდები...

ჰაროლდმა უხალისოდ მოჰკიდა ხელი ჭიქას.

– ნუ ინაზები, ერთბაშად დალიე... – წარბი ასწია ნორამ.

– ხომ არ ჩავისხამ, მაცადე! – კაცმა რამდენიმე ყლუპი მოსვა და დაიჭლანა... – საზიზღარი გემო აქვს, უსაშინლესი. სანამლავი ჩაყარე შიგ?

– გეყოფა. წამალია, კოქტეილი ხომ არა, გემრიელი რატომ უნდა იყოს?

ქალი მკერდზე ხელებგადაჯვარედინებული ელოდებოდა, სანამ კაცმა ჭიქა ბოლომდე არ გამოცალა, შემდეგ კმაყოფილი ღიმილით აიღო ჭიქა.

– კმაყოფილი ხარ? – საყვედურის ტონით ჰკითხა ჰაროლდმა.

– დიახ, კმაყოფილი ვარ. ახლა შეგიძლია, დაისვენო...

ნორა სამზარეულოში გავიდა.

საათ-ნახევრის შემდეგ კარზე დარეკეს. ქალმა გააღო და ზღურბლზე ორი მამაკაცი დაინახა, მკაცრი გამომეტყველებით და სოლიდური ჩაცმულობით.

– მისის მერიკ?

– დიახ, მე ვარ.

– თქვენთან დალაპარაკება გვინდა. სად არის თქვენი მეუღლე?

– ჰაროლდი? გრიპი აქვს და სძინავს... წუხელ სიცხეც ჰქონდა.

– თუ შეიძლება, მიგვიყვანეთ მასთან...

***

ქალმა შუბლზე მიიდო ხელი. „მგონი, მართლაც გადამედო ჰაროლდისგან გრიპი"... ჭიქა აიღო, ბოთლიდან სამი კოვზი ყავისფერი სითხე გადმოასხა, წყლით შეავსო და ლიმონის წვენით შეაზავა. კოვზით მოურია და დალია...

„მართლაც მწარეა... ცოტა შაქარი უნდა დამემატებინა... ნეტავ, რატომ არ მიმართლებს ცხოვრებაში? ჯერ ბეილი... მერე სტივი... ახლა კი ჰაროლდი წაიყვანა პოლიციამ... რაო, რა თქვეს? სამი ცოლი მოწამლაო... რა სისულელეა? – ნორამ ამოიოხრა... – სამი ცოლი... როგორ უნდა დაიჯერო? ეჰ, ასეა... თუ ერთხელ არ გაგიმართლა, ვერასოდეს გაგიმართლებს"...

თარგმნა
**ნინო წულუკიძე**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**


აღნიშნე ახალი წელი
ბეკოსთან ერთად
შეიძინე ბეკოს პროდუქცია
საახალწლო ფასდაკლებით
და მიიღე უამრავი საჩუქარი
www. facebook.com/BekoGeorgia
www.beko.com.ge
ტელ : 2-15-50-50
BEKO
ბეკო

**ქართველ მამლუქ მმართველთა დინასტიის ჩამომყალიბებელი ერაყში იყო სულეიმან ფაშა დიდი. თუ როგორ მოხვდა იგი იქ, როგორ მოვიდა ხელისუფლებაში და რომელ ენაზე ლაპარაკობდა თანამებრძოლებთან, ამაზე ჩვენს სტატიაში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ირაკლი თოფურიძის მასალებზე დაყრდნობით ვისაუბრებთ.**

# როგორ დააარსეს ერაყის ქურთისტანში ერაყის მმართველის, ქართველი სულეიმან ფაშას სახელობის ქალაქი

საქართველოს ისტორიის მეთხუთმეტე-მეთვრამეტე საუკუნეები გამოირჩევა ისეთი მოვლენით, რომელსაც „ტყვის სყიდვა" ეწოდება. ტყვის სყიდვას მიმართავდნენ როგორც უცხოტომელი მარბიელები, ასევე, გაკოტრების პირას მდგარი ქართველი თავად-აზნაურები, რომლებიც თავიანთი ყმების მცირეწლოვან შვილებს, პირდაპირი მნიშვნელობით, ყიდიდნენ ახლო აღმოსავლეთის მონათა ბაზრებზე. მიუხედავად იმისა, რომ ტყვის სყიდვა ქართულ სამეფო-სამთავროებში დასჯად ქმედებად ითვლებოდა, არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ რომელიმე ქართველი თავადი ან აზნაური რაიმე სახის პასუხისმგებლობის წინაშე დამდგარიყო ამის გამო. შედეგად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მომრავლდნენ ქართული ელემენტები, რომლებმაც შემდგომში სამკმაოდ დიდი როლი ითამაშეს ამ რეგიონის პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებაში. ერთ-ერთი ამ ტყვეთაგანი იყო სულეიმან ფაშა.

რაც შეეხება მის ქართულ წარმოშობას. არაბული ისტორიული წყაროები და არაბული კვლევითი ლიტერატურა პირდაპირ მიუთითებს, რომ სულეიმანი ქართველი იყო. მისი შემდგომი მოღვაწეობა ლოგიკურად გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ეს მოსაზრება გავიზიაროთ, რადგან, ერაყის მმართველი დიდი რაოდენობით ყიდულობდა მონათა ბაზარზე მოხვედრილ ქართველ ბავშვებს, რისთვისაც საფაშოს ბიუჯეტში სპეციალური სახსრები იყო გამოყოფილი.

სულეიმანი სულ 5-6 წლის იქნებოდა, როდესაც კახეთში შემოსულმა ლეკთა მარბიელმა რაზმმა მოიტაცა, რის შემდეგაც პატარა ბიჭი სტამბულის მონათა ბაზარზე ხვდება. იქ მას ერთ-ერთი ბაღდადელი ვაჭარი ყიდულობს და ბაღდადში ჩაჰყავს. ამ პერიოდში ბაღდადის მმართველი არის მამლუქი სულეიმან ფაშა აბუ-ლაილა, რომელსაც ბაღდადელი ვაჭარი ამ პატარა ქართველს ძღვენის სახით მიართმევს. სულეიმან ფაშა აბუ-ლაილა, როგორც ყოფილი მამლუქი, პატარა ქართველს მამლუქთა სკოლაში მიაბარებს, სადაც, სამხედრო დისციპლინების გარდა ისწავლებოდა არაბული, ოსმალური და სპარსული ენები, ყურანი, შარიათი, მათემატიკა და ასტრონომია. ამგვარად, პატარა ქართველი სულეიმან ფაშა „აბუ-ლაილას მონა" ანუ მამლუქი ხდება. „მამლუქი" ხომ არაბულად „თეთრ მონას" ნიშნავს.

რა თქმა უნდა, სულეიმანმა ისლამი მიიღო და დიდი ნიჭი გამოიჩინა ყველა იმ დისციპლინაში, რომელსაც ასწავლიდნენ, რის შედეგადაც მისმა პატრონმა იგი მონობიდან, ანუ მამლუქობიდან გაათავისუფლა და ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნა თავის კანცელარიაში. ამის შემდეგ სულეიმანი სამხრეთ ერაყის დედაქალაქ ბასრაში მიემგზავრება და იქ ჯერ ბასრის გამგებლის მოადგილედ, ხოლო შემდეგ გამგებლად იწყებს მსახურებას, სადაც მას სულეიმან აღად მოიხსენიებენ.

სულეიმან აღას სახელთანაა დაკავშირებული ქალაქ ბასრის დაცვა ირანის შემოტევისგან, როდესაც ქალაქი 13 თვის განმავლობაში იყო ალყაში. საბოლოოდ სულეიმანი დანებდა მტერს და ქალაქი ჩააბარა, რის შედეგადაც ირანელების ტყვეობაში აღმოჩნდა. თუმცა, ირანში დატრიალებულმა შიდა არეულობამ აიძულა ისინი, გაეთავისუფლებინათ სულეიმანი და დაეტოვებინათ ქალაქი, რის შემდეგაც სულეიმან აღა ბრუნდება ბასრაში თავის თანამდებობაზე და ორი თვის თავზე, 1780 წელს, პრეტენზიას აცხადებს უკვე მთელი ერაყის გამგებლის თანამდებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სტამბულში სულეიმან აღას პრეტენზიები არასერიოზულად ჩათვალეს, მან ხსენებული წლის მარტში დატოვა ბასრა და 80-კაციანი სამხედრო შენაერთით ბაღდადში უბრძოლველად შევიდა. შიდა არეულობებით გაწამებულმა ბაღდადელებმა სიხარულით მიიღეს სულეიმანი და, შვების მოლოდინში, ერთგულება შეჰფიცეს მას. ოსმალეთის ქვეყნის



ხელისუფლება იძულებული შეიქნა, დაემტკიცებინა სულეიმანი ბაღდადის ფაშას გამგებლის თანამდებობაზე.

სულეიმან ფაშა აბუ-ლაილას გარდაცვალების შემდეგ ბაღდადი სრულმა ქაოსმა მოიცვა. სამი წლის განმავლობაში ქალაქის მმართველის თანამდებობაზე სამი კაცი შეიცვალა, რომლებიც სათანადოდ ვერ ახერხებდნენ ბაღდადის მართვას. საქმე იქამდე მივიდა, რომ სტამბულიდან პირდაპირ დაინიშნა ბაღდადის მმართველი, მაგრამ, ამ პერიოდში ბაღდადში ისეთი ქაოსი სუფევდა, რომ ახალმა მმართველმა გზიდანვე განაცხადა უარი ბოძებულ თანამდებობაზე. პრაქტიკულად, სულეიმან აღა ცარიელ ადგილზე მივიდა.

ახალი მმართველის ერთგულმა მამლუქებმა ბაღდადსა და თითქმის მთელ ერაყში აღკვეთეს ძარცვა-ყაჩაღობა, დაუნდობლად ებრძოდნენ ქურდობას. გარდა ამისა, სულეიმან ფაშამ საფრანგეთიდან მოიწვია სპეციალისტები, რომელთა დახმარებითაც გაიყვანა ახალი სარწყავი არხები, რასაც მოჰყვა სოფლის მეურნეობის განვითარება. ფაშამ, ასევე, ჩაახშო ქურთული და არაბული ტომების აჯანყებები, თუმცა, უშედეგოდ ებრძოდა ვაჰაბიტთა შემოსევებს, რომლებმაც არაერთხელ ააოხრეს სამხრეთ ერაყი. ქართველმა ფაშამ ძალიან დიდი ძალისხმევა გამოიჩინა თავისი ერის წარმომადგენელთა ბაღდადში ჩამოყვანის საკითხში, რის შედეგადაც ქართველთა კოლონია ბაღდადში საგრძნობლად გაიზარდა. აშკარაა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, სულეიმან ფაშამ ქართველობა მეტ-ნაკლებად მაინც შეინარჩუნა. ეს ჩანს იქიდანაც, რომ წამყვან ადმინისტრაციულ და სამხედრო თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ქართველები და, გარდა ამისა, სულეიმან ფაშა თავის ქალიშვილებს მხოლოდ ქართველ მამლუქებზე ათხოვებდა, რითაც იმოყვრებდა მათ და აძლევდა კარიერული წინსვლის საშუალებას. ცნობილია ისიც, რომ, ქართველი ყმაწვილების გარდა, სულეიმან ფაშა ქართველ გოგონებსაც ყიდულობდა ოსმალეთის იმპერიის ტყვეთა ბაზრებზე, რომლებიც, როგორც წესი, ბაღდადის ელიტურ ჰარამხანებში იდებდნენ ბინას. ინგლისელი მოგზაური ბეკინგემი, რომელიც ამ პერიოდში ბაღდადში იყო სტუმრად, აღნიშნავს, ბაღდადში ყველაზე ლამაზი ქალები ქართველები არიანო.

ქართველ მამლუქთა კორპუსმა სულეიმან ფაშას მმართველობის პერიოდში სამიდან ხუთ ათასამდე კაცს მიაღწია და საკმაოდ დიდ სამხედრო ძალასაც წარმოადგენდა. არსებობს ვერსიაც, რომ, როგორც მამლუქთა შორის, ასევე, მამლუქთა წრიდან გამოსულ და ბაღდათის საფაშოს სამსახურში ჩამდგარ ქართველებს შორის, საუბარი ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს დასტურდება უფრო გვიანი პერიოდის დოკუმენტებით. მაგალითად, ერაყის ბოლო ქართველი მამლუქი მმართველი, დაუდ ფაშა, საქართველოში ქართულ ენაზე დაწერილ წერილებს გზავნიდა. ალბათ, იფიქრებთ, ნუთუ არავის აღიზიანებდა ერაყის საფაშოში ქართველთა ამგვარი აღზევებაო? საქმე ისაა, რომ ქართველი მამლუქები მხოლოდ თავისთვის და ერთმანეთისთვის რჩებოდნენ ქართველებად. ისინი, გარკვეულწილად, ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკას ატარებდნენ – წარმატებულად მართავდნენ საფაშოს და პირნათლად ასრულებდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინაშე აღებულ ვალდებულებებს. ამავდროულად, ცდილობდნენ ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით გაეძლიერებინათ საფაშო, რათა შიდა პოლიტიკაში მიეღწიათ მაქსიმალური დამოუკიდებლობისთვის.

22-წლიანი მმართველობის შედეგად, სულეიმან ფაშას საფაშოში დამკვიდრდა სტაბილურობა, შეიქმნა სამდინარო სავაჭრო ფლოტი, რომლითაც ადგილობრივ ვაჭრებს უადვილდებოდათ პროდუქციის გატანა ისეთ შორეულ ქვეყნაში, როგორიც იყო ინდოეთი. მოხდა პოლიტიკური დამოყვრება ზოგ არაბულ ტომთან, რამაც მომავალში გამორიცხა აჯანყებების შესაძლებლობა ამ უკანასკნელთა მხრიდან. ერაყის ქურთისტანში სულეიმან ფაშას პატივსაცემად დაარსდა ქალაქი სულეიმანიე, რამაც, ასევე, ერაყელი ქურთების კმაყოფილება გამოიწვია. ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულეიმან ფაშას ეწოდა მეტსახელი – „დიდი".

ავადმყოფობისგან დასუსტებულმა და ლოგინს მიჯაჭვულმა სულეიმანმა სიკვდილის წინ შეკრიბა ყველა თავისი ქართველი სიძე და ერთსულოვნება უანდერძა. მისივე გადაწყვეტილებით, საფაშოს გამგებლის ტახტი გადაეცა სულეიმანის უფროსი ქალიშვილის ქმარს – ალი აღას, რომლის შესახებაც მხოლოდ ის ვიცით, რომ დასავლეთ საქართველოდან იყო.

სულეიმან ფაშა დიდი დაკრძალულია ბაღდადში, მის მიერვე აშენებულ სულთან აღას სახელობის მეჩეთის ეზოში.

**ეკა სალაღაია**

# რატომ მოჭრა თავი მონტესუმა მეორემ თავისი შვილების ყველა აღმზრდელს, ასევე თავის ცოლებისა და ხარჭების ყველა მსახურსა და კომპანიონ ქალს

არანაკლებ კეთილისმყოფელ ღმერთად იყო მიჩნეული ბავშვთა შობის განმგებელი ღვთაება – სიუაკოატლი, იგივე ტონატცინი („ჩვენი დედა“). ის იყო ბებიაქალების მფარველი და ახალგაზრდა ქალის სახით გამოსახავდნენ, რომელსაც ხელში ბავშვი ეჭირა. ამ ღვთაებისადმი, მექსიკის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მსხვერპლშეწირვა იქნა ჩატარებული. ეს საშინელი რიტუალი იმპერიის ბოლო მმართველმა, მონტესუმა მეორემ აღასრულა.

საერთოდ, მონტესუმა აცტეკებში ბრძენ, ღირსეულ და კეთილისმყოფელ პიროვნებად მიიჩნეოდა. ის დიდ ყურადღებას აქცევდა რელიგიას და ასტრონომიას, ცნობილი იყო თავისი მოკრძალებულობით. მან დიდი შრომა გასწია ეფექტური სახელმწიფო აპარატის შესაქმნელად. თავისი ინაუგურაციის შემდეგ კი, ბრძანა, ყველა სახელმწიფო მოხელისა და მსახურის, მათ შორის, შიკრიკების დახოცვა ეს იმით ახსნა, რომ ძველ აპარატში „დაბალი წარმომავლობის“ და „გაუნათლებელი“ ადამიანები მსახურებდნენ. მონტესუმას კი სურდა, მმართველ სტრუქტურებში „კეთილშობილი ადამიანები“ ეხილა. სახელმწიფო აპარატის განახლების შემდეგ, მონტესუმა მათ შემოწმებას ატარებდა, თუ როგორი გულმოდგინებით სრულდებოდა მისი ბრძანებები და მითითებები. ეს ერთადერთი ახსნაა, რომელიც შეიძლება ინდიელებს მიეცათ ახალი მმართველის ერთ-ერთ ბრძანებაზე. ერთხელ მონტესუმამ თავის დაახლოებულ პირს – ტლილპოტონკს უბრძანა, ლაშქრობიდან დაბრუნებულიყო დედაქალაქში და თავი მოეკვეთა მეფის ბავშვების ყველა აღმზრდელისთვის, ასევე მეფის ცოლებისა და ხარჭების მსახური და კომპანიონი ქალებისთვის. ტლილპოტონკის კვალდაკვალ, მან მსტოვრები გაგზავნა, რომლებიც უნდა დარწმუნებულიყვნენ მეფის ბრძანების ჯეროვან შესრულებაში.



ამრიგად, მონტესუმა განუხრელი წესრიგის დამყარებას ესწრაფოდა სახელმწიფო აპარატში, რომ აცტეკთა შორის, სამაგალითო ხელმწიფის სახელი დაემკვიდრებინა. მაგრამ, ერთხელ ის უკიდურესობაში ჩავარდა, მოაწყო რა თავისი სისასტიკით გაუგონარი მსხვერპლშეწირვა ზემოხსენებულ დედა-ღვთაება ტონატცინის პატივსაცემად. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აცტეკები არ ცდილობდნენ მსხვერპლად შეწირულთათვის ზედმეტი ტანჯვა-წამება მიეყენებინათ. ღმერთები იკვებებოდნენ სისხლით და ადამიანის გულით, რომელსაც მსხვერპლს ულებდნენ. მაგრამ თვით აცტეკები, მსხვერპლად განწირულთ – მონებსა და ტყვეებს, როგორც წესი, რბილად ექცეოდნენ (ჩრდილოამერიკელი ინდიელებისგან განსხვავებით). წამება არ შედიოდა აცტეკთა სამსხვერპლო არსენალში. ამიტომ, მთელი მექსიკა აღშფოთდა გაუგონარი სისასტიკის გამო, როცა მონტესუმამ ტონატცინის პატივსაცემად გასამართი მსხვერპლშეწირვის დროს, ტყვეები (ქალაქ ტლაშკალასა და უეშოტცინკოს მცხოვრებნი) სამ ჯგუფად დაჰყო. პირველი ჯგუფის მსხვერპლშეწირვა ჩვეულებრივი წესით ჩაატარეს: მსხვერპლად შეწირულთ მკერდი გაუპეს და გული ამოაცალეს. მეორე ჯგუფისთვის ღვთაების ტაძართან სპეციალური ეშაფოტი მოაწყვეს ბოძებით, რომლებზეც ტყვეები დააბეს და ისრებით განგმირეს. და ბოლოს, ვინც მესამე ჯგუფში მოხვდა, ჯერ მაყალზე წვავდნენ და უკვე შემდეგ აცლიდნენ გულს.

**მექსიკის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მსხვერპლშეწირვა იქნა ჩატარებული**

მონტესუმა, აცტეკების მტკიცებით, კმაყოფილი დარჩა რიტუალით. თუმცა, მსხვერპლად შეწირულთა თანამემამულენი აღშფოთებული იყვნენ, რადგან თვითონ ისინი ბევრად უფრო ჰუმანურად აკვდინებდნენ ტყვე აცტეკებს თავიანთ სამსხვერპლოებზე. ტლაშკალელებმა და უეშოტცინკოელებმა შურის საძიებლად მონტესუმას დედაქალაქში თავისი ხალხი გაგზავნეს, რომელთაც ცეცხლს მისცეს ავბედითი ტონატცინის ტაძარი. თავიდან მონტესუმამ დედა-ღვთაების ქურუმთა სიკვდილით დასჯა ბრძანა, რადგან მათ საკმაო სიფხიზლე ვერ გამოიჩინეს. მაგრამ, როცა გაიგო ხანძრის ნამდვილი მიზეზი, ერთხელ უკვე დამარცხებული ქალაქების ასაოხრებლად დაძრა ჯარი.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 5 | 1 | 6 | 8 | 3 | 2 | 4 |
| 6 | 4 | 3 | 9 | 2 | 5 | 8 | 7 | 1 |
| 1 | 8 | 2 | 3 | 7 | 4 | 9 | 6 | 5 |
| 3 | 1 | 4 | 5 | 8 | 2 | 6 | 9 | 7 |
| 2 | 5 | 6 | 7 | 3 | 9 | 4 | 1 | 8 |
| 7 | 9 | 8 | 4 | 1 | 6 | 2 | 5 | 3 |
| 8 | 3 | 9 | 6 | 5 | 1 | 7 | 4 | 2 |
| 4 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 5 | 3 | 6 |
| 5 | 6 | 7 | 2 | 4 | 3 | 1 | 8 | 9 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 8 | 6 | 1 | 7 | 2 | 9 |
| 2 | 1 | 6 | 9 | 7 | 3 | 4 | 8 | 5 |
| 7 | 9 | 8 | 5 | 2 | 4 | 1 | 3 | 6 |
| 1 | 8 | 4 | 7 | 5 | 6 | 2 | 9 | 3 |
| 3 | 2 | 5 | 1 | 4 | 9 | 8 | 6 | 7 |
| 9 | 6 | 7 | 2 | 3 | 8 | 5 | 4 | 1 |
| 8 | 3 | 1 | 4 | 9 | 7 | 6 | 5 | 2 |
| 6 | 7 | 2 | 3 | 8 | 5 | 9 | 1 | 4 |
| 4 | 5 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 7 | 8 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. პლასტიკური ოპერაცია – დამნაშავეებისთვის მოჭრილი ყურების აღსადგენად. 2. მოწინააღმდეგესთან დიდი მანძილით დაშორების გამო. 3. გუთნით. 4. მათემატიკა. 5. ზომების ასაღებად. 6. ისტორიკოსის კასტრაციის. 7. ინკუბატორის. 8. ესკულაპე. 9. ქვიშაზე. 10. თეთრკანიანებს – ხმლებით.**

**მომღერალ ლიზა ყენიას ქართველი მსმენელი უკვე კარგად იცნობს. მან ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე მუსიკალურ პროექტში მიიღო მონაწილეობა და პოპულარობაც მოიპოვა, ახლა კი მონაწილეობს პროექტ „ერთი ერთში.“ ლიზა ყველასთვის საყვარელი მომღერლის, მაია ჯაბუას შვილია და, გარდა კარგი შესრულებისა, საზოგადოების ყურადღება ულამაზესი გარეგნობითაც დაიმსახურა.**

# როგორ ემზადება ლიზა ყენია „ერთი ერთში“ კაცად გარდასახვისთვის და რას პასუხობს მის ფოტოებზე გაკეთებული უარყოფითი კომენტარების ავტორებს

**– ლიზა, პროექტში მონაწილეობაზე ადვილად დათანხმდი? არ შეგეშინდა ამ გამოწვევის?**

– ადვილად დავთანხმდი. პირველი სეზონიდან მოყოლებული ვუყურებ ამ პროექტს და ყოველთვის მინდოდა მონაწილეობის მიღება. რიანად გარდასახვა მართლა ძალიან გამიხარდა, რადგან, ეს არის მომღერალი, რომლის ყველაზე ხშირი მსმენელი ვარ. მგონი, მისი არცერთი გამოსვლა და ინტერვიუ არ მაქვს გამოტოვებული.

**– რა აღმოჩნდა შენთვის ყველაზე რთული შესასრულებელი? – შენ ხომ ყველაზე პატარა მონაწილე ხარ...**

– ის, რომ ყველაზე პატარა მონაწილე ვარ, ვფიქრობ, პლუსის მეტს არაფერს მოიცავს. რაც შეეხება სირთულეს, მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ ძალიან გაციებული ვიყავი და ასეთ დროს ერთდროულად ცეკვა და სიმღერა ძალიან რთული იყო.



**„ვაიმე, ჯაბუას ქალიშვილმა გაიხადა“, რა თქმა უნდა, იქ უცებ მიალანძღავ, მაგრამ რეალურად საერთოდ სხვა სიტუაციაა**

**– რომელი შემსრულებლის განსახიერება გინდა ყველაზე მეტად?**

– გამორჩევა მიჭირს. ძალიან ბევრ მომღერალს განვასახიერებდი დიდი სიამოვნებით, მაგრამ, მაინც ბიონსეს გამოვყოფ – მისი განსახიერება განსაკუთრებულად მინდა *(იცინის).*

**– მომდევნო ოთხშაბათისთვის რთული დავალება გაქვს – კაცად მოგიწევს გარდასახვა.**

– ჰო, რაც შეეხება მომდევნო ლაივს, ცოტა შემეშინდა, როცა გავიგე, რომ „დაკაცება" მომიწევდა *(იცინის).* მოსამზადებელი ეტაპი ძალიან მომწონს და ძალიან მაინტერესებს, რა გამოვა, ამიტომ, ყველაზე მოუთმენლად ამ დღეს ველი.

**– შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი ვინ არის?**

– რა თქმა უნდა, დედა.

**– მითხარი, როგორი იყო მონაწილეების განტვირთვა საშინლად დამღლელი გრაფიკის შემდეგ?**

– პირველი ლაივის შემდეგ „ავთერ ფართი“ მოვაწყვეთ ნათია დუმბაძის ახალ კაფეში, სადაც მონაწილეები, სტაფები და მოცეკვავეები ერთად ვიყავით. იქ ძალიან კარგი დრო გავატარეთ და ეს განტვირთვისთვის ძალიან კარგი იყო.

**– საკმაოდ თამამი ფოტოები გაქვს „ფეისბუქზე," რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამაზე როგორი რეაქცია გქონდა?**

– ამ ფოტოებში მაცვია ძალიან ადამიანურად: ზაფხულია, ცხელა და მაცვია შორტი და მაისური, აუზზე კი – საცურაო კოსტიუმი. ამას მოჰყვა კომენტარები, რომ მე ვარ ძალიან თამამი ფოტოების გამომქვეყნებელი გოგო. მეცინება, ეს სტატუსი რომ მომეწება, რაც რეალურად, ჩემი ბრალი არ არის. უამრავი ადამიანი დებს მსგავს ფოტოებს. ისეთი სათაურებით დებდნენ ჩემს ფოტოებს, რომ ხალხს აღიზიანებდა. უარყოფით კომენტარებს ვინც წერდა და მლანძღავდა, მათ გვერდებზე რომ გადახვიდე, არანაკლები ფოტოები უდევთ – ზღვაზე არიან „გათხლაშულები“ და, ზოგი, შეიძლება ითქვას, შიშველიც არის. მთავარი აქ ისაა, ამ ყველაფერს ხალხს როგორ დაანახვებ. იქ რომ აწერ: „ვაიმე, ჯაბუას ქალიშვილმა გაიხადა“... – რა თქმა უნდა, იქ უცებ მიალანძღავ, მაგრამ, რეალურად, საერთოდ სხვა სიტუაციაა. ზოგადად, არ მიყვარს ქექვა და კომენტარების ძიება, მაგრამ, ნეგატიური კომენტარებიც მინახავს. მე ერთი პასუხი მაქვს: – ღმერთმა ყველას აპატიოს. ხალხმა, ალბათ, უფრო მეტად უნდა მიხედოს საკუთარ პირადს. ყველამ უნდა იცხოვროს თავიანთი ცხოვრებით და, თუ იმდენი ამბიცია აქვთ, იმდენად თავხედები არიან, რომ სხვას ლანძღავენ, მოდი, მაშინ, ადგნენ და თვითონ შექმნან რამე. ეს ყველაფერი, ალბათ, იმის ბრალია, რომ არაფერი არ გააჩნიათ საინტერესო, რომ იმით დაკავდნენ. ამიტომ, მიდიან და, ვისი ცხოვრებაც ცოტათი საინტერესოა, იმას ლანძღავენ.

**– ამ ყველაფერმა გარკვეული უხერხულობა და დისკომფორტი შეგიქმნა?**

– კი, დისკომფორტს მიქმნის. მომაკრეს იარლიყი, თითქოს ვარ გოგო, რომელიც ძალიან თამამ ფოტოებს დებს. რეალურად, რადიკალურად სხვანაირი ვარ. ეს იმიჯი ვიღაცეებმა მომაწებეს და ძალიან არ მსიამოვნებს. სინამდვილეში ძალიან სასაცილო და მხიარული ვარ – სულ ვღადაობ, ვიცინი და ჩემი ყველა აქტიურობა „ფეისბუქზე“ არის იუმორით სავსე, რაც ბევრს არ ესმის, რადგან, ძალიან ბევრი „დაგრუზული“ ადამიანია ინტერნეტსივრცეში.



**– ზოგადად, დაუმორჩილებელი შვილი ხარ თუ პირიქით?**

– ძალიან დამოუკიდებელი ვარ. ზრდასრული და ჩამოყალიბებული ადამიანივით მიყვარს ცხოვრება, რასაც, ალბათ, ბევრი მშობელი ვერ შეეგუებოდა. ცვალებადი ხასიათი მაქვს და, შუაღამისას, შეიძლება, გასეირნება მომინდეს, რაშიც ხელი არ უნდა შემიშალონ, რადგან, ძალიან ცუდად ვიგრძნობ მერე თავს *(იცინის).* ასეთ შემთხვევებში მიგებენ და არ მაქვს პრობლემა. ზოგადად კი, არ ვარ რთული. თუ ადამიანს ჩემს ცხოვრებაში რაიმე სახით ნეგატივი არ შემოაქვს, ჩემგანაც მხოლოდ პოზიტივს მიიღებს.

**– შენი „პოსტი“ ვნახე „ფეისბუქზე” – ბავშვობას იხსენებდი საკმაოდ ნოსტალგიურად. გენატრება ის დრო?**

– წარსული და კარგი პერიოდი ყველას ენატრება. განსაკუთრებულად მახსოვს, როცა დელისზე ვცხოვრობდით ძალიან პატარა სახლში ძალიან ბევრი ადამიანი და ყოველდღე იყო სტუმრიანობა. იმ დროს მართლა ყველას ყველა უყვარდა და ეს სიყვარული გულწრფელი იყო. ეს პერიოდი ყველაზე კარგად მახსენდება.

**– ყველაზე რთული პერიოდი როდის გქონდა?**

– ეს იყო „ვოისის“ პერიოდი, რომელიც რთულად გადავიტანე. მაშინ მასის სერიოზული აგრესია წამოვიდა ჩემ მიმართ. ამის მიზეზებზე ვერ ვისაუბრებ, იმიტომ, რომ ეს ძალიან ბევრ რამეს ეხება, თუმცა, ამან ბევრი რამ მასწავლა.

**– ძალიან ლამაზი გოგონა ხარ და, დარწმუნებული ვარ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავს. როგორ გამოხატავენ ისინი შენ მიმართ სიმპათიებს?**

– ნუ, „ფეისბუქზეა“ მიწერ-მოწერა *(იცინის).* რაც შეეხება საჩუქრებს და მსგავს რაღაცეებს, არასდროს არ ვიკადრებ, რომ საჩუქრები მივიღო იმ ადამიანისგან, რომლის მიმართაც არანაირი სიმპათია არ მაქვს. რეალურად, არ მინდა, რომ ვინმე შეწუხდეს და ამას ვეუბნები კიდეც მათ.

**– ახლა თუ ხარ შეყვარებული?**

– არა, არ ვარ შეყვარებული *(იცინის).*

**– როგორი უნდა იყოს ბიჭი, შენი მოხიბვლა რომ შეძლოს?**

– საშინელი ჩვევა მაქვს – ოფიციალურად „რენტგენში” ვატარებ ადამიანს, თმებიდან დაწყებული ფეხის თითით დამთავრებული *(იცინის)* – ვაკვირდები ქცევებს და საერთოდ, ყველა დეტალს. ზოგადად, ძალიან რთულად მომწონს – მარტო გარეგნობას არ ვგულისხმობ. მიყვარს, როცა იუმორის გრძნობა აქვს. რა თქმა უნდა, ნაკითხიც უნდა იყოს – ულექსიკო ადამიანთან ურთიერთობა არ შემიძლია; კიდევ, ზრდილობიანი უნდა იყოს აუცილებლად – უზრდელ ბიჭებს ვერ ვიტან და, კიდევ, საშინლად არ მიყვარს მატყუარა ადამიანები.

**– თუ ყოფილხარ შეყვარებული და როგორი ხარ ამ დროს?**

– კი, შეყვარებული ვყოფილვარ და ამ დროს ძალიან ცანცარა ვარ *(იცინის).* ვარ მხიარული და, დილა რომ თენდება, უკვე ძალიან კარგ ხასიათზე ვარ. მიყვარს სიურპრიზების გაკეთება და ბიჭის თვისებები მიჩნდება ხოლმე *(იცინის).*

**– შენს გულშემატკივრებს, ალბათ, აინტერესებთ, როგორი ხარ რეალურ ცხოვრებაში.**

– მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი მეგობარი ვარ. ისეთი ვიზუალი მაქვს, ზოგს „სტერვა“ და ცივი ტიპი ვგონივარ, ამ დროს, საერთოდ არ ვარ ასეთი, პირიქით, მე თვითონ მძაგს „სტერვა“ გოგოები, თან, ტყუილად რომ „სტერვობენ“. რეალურად, ძალიან სამართლიანი ვარ და, როცა უსამართლობას ვხედავ, ყველაფერზე ვარ წამსვლელი.

**ქეთი კაპანაძე**

# ისლა – ლეგენდებით მოცული წამალი

## ისლანდიური ხავსი – ლეგენდებით მოცული წამალი

ათას ხუთასზე მეტი წლის წინ დაეცა რომის იმპერია – ევროპა შუასაუკუნეების წყვდიადში ჩაიძირა. მის ტერიტორიაზე მხოლოდ დიადი სახელმწიფოს ცალკეული ნამსხვრევები შემორჩა, რომელთა დიდი ნაწილი ბარბაროსებმა დაიკავეს.

თუმცა, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულშივე ისტორიის არენაზე ახალი ძალა – მეომარი ვიკინგები გამოჩდნენ. სკანდინავიის ნახევარკუნძულის მკვიდრნი თავიანთი ხომალდებით – დრაკარებით ყველა უახლოეს ზღვას სერავდნენ. მათ მიაღწიეს ისლანდიას, გრენლანდიას, ამერიკასაც კი, და ეს კოლუმბის ექსპედიციის მიერ ამერიკის აღმოჩენამდე ხუთასი წლით ადრე შეძლეს.

სკანდინავიელი ხალხის ასეთი აღმასვლა, ერთი შეხედვით, აუხსნელია. მათ ქვეყანაში ძალიან ცივი ზაფხული იცის, ნიადაგი ქვიანია, ზამთარში სასტიკი ყინვები ბატონობს. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ეპიდემიები, რომლებიც შუასაუკუნეების ქვეყნებს აუკაცურებდა. ერთი შეხედვით, სიცოცხლის შენარჩუნებისათვის უნდა ეზრუნათ, თუმცა, მომავალმა ნორვეგიელებმა და შვედებმა არა მარტო თავი გადაირჩინეს, არამედ საკუთარი მტკიცე ნების გავლენის ქვეშ გარშემო მცხოვრები ხალხების მოქცევა შეძლეს.

## ისლანდიური ხავსი – საკვები და წამალი „ერთ ფლაკონში"

ერთ-ერთი ჰიპოთეზა, რომელიც ვიკინგების ისტორიულ გამოცანას ხსნის სკანდინავიელების მიერ ისლანდიური ხავსის ფართო გამოყენებაა. მასში მთელი რიგი უნიკალური თვისებებია თავმოყრილი. თითოეული ეს თვისება ცალ-ცალკე მცენარეთა სამყაროს სხვა წარმომადგენლებშიც გვხვდება – მაგრამ არა ასე ერთად!

სულ სხვაა ისლანდიური ხავსი. მისი კვებითი ღირებულება საკმაოდ შთამბეჭდავია – ისლანდიური ხავსის მასის 70-80%-ს შეადგენს ნახშირწყლები, 3%-ს – ცილები, 2%-ს – ცხიმები. ცეტრარია-ისლანდიური ხავსი ადვილად ასათვისებელია, ამიტომ წარმატებით გამოიყენება ორგანიზმის ძლიერი გამოფიტვის დროს – ორგანიზმი მისი შეწოვისა და გადამუშავებისათვის პრაქტიკულად ენერგიას არ ხარჯავს.

მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცეტრარიას, როგორც ბუნებრივი ანტიბიოტიკის უნიკალური თვისებები. მწარე გემოს მჟავები, უპირველესად კი უსნინის მჟავა, მრავალ სახიფათო მიკრობს ანადგურებს. სხვათა შორის, ცეტრარია არა მარტო ამ განსაკუთრებით მავნე ბაქტერიებზე მოქმედებს, არამედ ბევრ სხვა მიკრობზე, ასევე სოკოსა და ვირუსებზე, რაც ჩვეულებრივი ანტიბიოტიკებისათვის დამახასიათებელი არ არის. ამ შემთხვევაში მოქმედებას იწყებს პირდაპირი ანტისეპტიკური მოქმედების მექანიზმები, ასევე „ისლანდიური ხავსის" შემადგენელი ნაწილების ძლიერი იმუნომოდულაციური ეფექტი.

ცეტრარია განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მშრალი ხველისას, ხმის ჩახლეჩისა და ცხვირით სუნთქვის გაძნელების დროს. შესაძლოა, სწორედ ამის გამო შეეძლოთ ნორმანელი დრაკარების მებრძოლებს საზღვაო ომებისას მრავალი საათის განმავლობაში სჭეროდათ ხელში ნავების ნიჩბები და სწორედ ასე საჭირო სისწრაფის წყალობით გაემარჯვათ – ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ მოწესრიგებული სუნთქვის დახმარებით. ცნობილი ხმამაღალი საბრძოლო შეძახილიც, რაც ბრძოლის დაწყებამდე მტერს შიშის ზარს სცემდა, არ იარსებებდა მტკიცე სახმო იოგების გარეშე, რომელთა დაავადებას, ლარინგიტს ეს შესანიშნავი მცენარე საკმაოდ ადვილად კურნავს.

## ცეტრარია არ გაქვთ? გამოსავალი არსებობს!

ისლანდიური ხავსის ფუძეზე შექმნილი პრეპარატები ისლა-მინტი და ისლა-მოოსი

ისლა-მინტისა და ისლა-მოოსის ძირითად ჩვენებათა ჩამონათვალში ზემო სასუნთქი გზების დაავადებები და მათი სიმპტომებია: მშრალი, სპაზმური ხველა სრულიად სხვადასხვა პათოლოგიების დროს – ლარინგიტიდან ბრონქულ ასთმამდე; ხმის ჩახლეჩა და მისი სრული დაკარგვა. და ბოლოს, ლორწოვანი გარსების დაცვა, რაც შესაძლო ინფექციათა განვითარების რისკს აქვეითებს (განსაკუთრებით, ეპიდემიების დროს).

პრეპარატის ძირითად მომხმარებლებს შეადგენენ არა მარტო სასუნთქი სისტემის დაავადებისა და რესპირაციული ვირუსული ინფექციების მქონე ადამიანები, არამედ თამბაქოს მომხმარებლები (მათ შორის, „აქტიური" და „პასიური" მომხმარებლები, რომლებიც მხოლოდ სიგარეტის ბოლს შეისუნთქავენ), მომღერლები და მასწავლებლები (რომელთა სახმო იოგები განსაკუთრებით იძაბება), მთელი რიგი სხვა კატეგორიის პაციენტები.
გამოყენების მოცემული სფერო ისლანდიური ხავსის მოქმედი ნივთიერებებისათვის სამაგალითოდ ეფექტური და ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანია ალტერნატიულ, „ქიმიურ" პრეპარატებთან შედარებით.

ამგვარად, ცეტრარიას ექსტრაქტის მიღება, ლეგენდებით მოცული ძველი დროის დარად, ადამიანებს სრულიად განსხვავებული დაავადებების მკურნალობასა და პროფილაქტიკაში დაეხმარება.


## ისლა მინტი ისლა მოოსი

- ყელის ინფექციურ-ანთებითი დაავადებები, როგორიცაა: ფარინგიტი, ლარინგიტი, მათ შორის ალერგიული წარმოშობის (მშრალი გამაღიზიანებელი ხველა, ხმის ჩახლეჩა);
- მშრალი ხველის თერაპია მწ. და ქრ. ბრონქიტებისა და ბრონქული ასთმის დროს კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში;
- სახმო იოგების მეტისმეტი დაჭიმვა (მომღერლებში, მასწავლებლებში, ლექტორებში).
- პირის ღრუს და ხახის ლორწოვანი გარსის სიმშრალე და გაღიზიანება (მშრალი, არასაკმარისად ნოტიო ჰაერის ჩასუნთქვა შენობებში გათბობის პერიოდში, კონდიცირებით აღჭურვილ შენობებში, ცხვირის სუნთქვის შეზღუდვის გამო და აგრეთვე სპორტული შეჯიბრების დროს).

ხმის წასვლის, ხმის ჩახლეჩისა და
მშრალი გამაღიზიანებელი ხველის დროს!




„გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს"

# ბენდერელთა მოძრაობის გადამრჩენი ქართველი საბჭოთა სუკისა და გერმანელთა „აბვერის“ ორმაგი აგენტი იყო

***ქართველები, როგორც ცნობილია, საიდუმლო ფრონტზეც აქტიურად ილვწოდნენ. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე გვესაუბრება ისტიორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ნიკა თევზაძე.***

– ლვოვში უკრაინის აჯანყებულთა არმიის (უპა) უკანასკნელი სარდალი ვასილ კუკი (პოლკოვნიკი კოვალი) გავიცანი. მან მითხრა, რომ უპა-ს რიგებში ქართველთა სამი ბატალიონი იბრძოდა და მიამბო ქართველი მზვერავის შესახებ, რომლის ფსევდონიმიც კარლო იყო. ახსოვდა მხოლოდ ის, რომ კარლო ყოფილი მესაზღვრე ოფიცერი იყო. ომის დაწყებისთანავე ალყაში მოხვდა. გერმანელთა ტყვეობას სასწაულით გადაურჩა და როვენშჩინაზე ერთ-ერთი გლეხის ოჯახს შეეკედლა.

1942 წელს როვენშჩინაზე პოლკოვნიკ ვასილი მედვედევის სპეცრაზმი გამოჩნდა. მედვედევს მთელს როვენშჩინაზე და უშუალოდ როვნოში დივერსიულ-სადაზვერვო საქმიანობა უნდა გაეშალა. კარლოც ჩეკისტების ყურადღების ქვეშ მოექცა. მესაზღვრეები, მოგეხსენებათ, უშიშროების ჯარებს განეკუთვნებიან. კარლოთიც უშუალოდ მედვედევი დაინტერესდა. მან ის გულდასმით დაკითხა, შემდეგ საკონტროლო დავალება მისცა., რასაც კარლომ თავი წარმატებით გაართვა. ამის შემდეგ მედვედევისგან ახალი დავალება მიიღო, დაუკავშირდეს სდ-ს (გერმანელთა უშიშროების სამსახური) და ჰიტლერელთა ნდობა მოიპოვოს. მედვედევმა პირდაპირ უთხრა: ფაშისტების ნდობა მოიპოვე, რასაც დაგავალებენ, ყველაფერი უდრტვინველად შეასრულე, მოვა დრო და ჩვენები შენთან კონტაქტზე გამოვლენ!

**– მედვედევი ენდო კაცს, რომელიც მტრის ზურგში ოფიციალურად არ დაუტოვებიათ?**

– უკვე ომის შემდეგ, მისი მოადგილე პოდპოლკოვნიკი ლუკინი მწერალ თეოდორ გლადკოვს მოუთხრობდა: ჩვენს რაზმში ერთი ქართველი მოვიდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ყოფილი მესაზღვრე ოფიცერია. მედვედევმაც რაციით მის შესახებ მოსკოვში შეკითხვა გაგზავნაო. შემდეგ ლუკინი ამბობს, რომ შემოწმებით დადასტურდა, რომ ქართველი სიმართლეს ამბობდა. ამას გარდა თბილისში მას დარჩა და, რომელიც ერთგვარ მძევლად იქცა. თუკი კარლო ჩეკისტებს ულალატებდა, ამისთვის პასუხს აგებდა მისი და, რომელიც კარლოს ერთადერთი ახლობელი იყო. „მას მშობლები არ ჰყავდა, დასთან ერთად ბავშთა სახლში გაიზარდა,“ – უთხრა ლუკინმა გლადკოვს. ამან მედვედევის არჩევანი განაპირობა.

**– კარლომ მედვედევის დავალება შეასრულა?**

– დიახ, ის გერმანელებზე გავიდა და მათი ნდობა მოიპოვა. მალე სდ-მ ის ზდოლბუნოვოში გაგზავნა. კარლოს უბრძანეს ქართველ ემიგრანტ, ვინმე კაკაბაძეს დაახლოებოდა, რომელიც ზდოლბუნოვოში დისლოცირებული ქართული ლეგიონის ბატალიონს მეთაურობდა. კარლო და კაკაბაძე დამეგობრდნენ. სდ თავის მხრივ ყველაფერს აკეთებდა, რათა კარლოს კაკაბაძის ნდობა მოეპოვებინა. ასეც მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს კაკაბაძემ განუცხადა: „ვიცნობ ხალხს, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან. გინდა, მათ შეუერთდე?“ კარლომ დადებითად უპასუხა. ამის შემდეგ კაკაბაძემ მას როვნოში გადაყვანა გაუხერხა. ერთხანს კარლო მფრინავთა სასადილოში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობს, შემდეგ ცნობილ რესტორან „დოიჩერგოფში” აგრეთვე ჭურჭლის მრეცხავად მოაწყვეს. შტურბანფიურერი ვაინერი, რომელიც კარლოს უშუალოდ მეურვეობდა, ავალებს მას ქართული ლეგიონების ოფიცერ, ვინმე კახიანს დაუახლოედეს. კარლომ დავალება შეასრულა. მალე ის და კახიანი ძმაკაცები გახდნენ. კახიანი სწორედ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი აღმოჩნდა, რომლის თაობაზეც კაკაბაძე ეუბნებოდა. ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა უპა-სთან (უკრაინის აჯანყებულთა არმია) და ბანდერელებს ინფორმაციასაც აწვდიდა. კარლომ არ იცოდა, რომ „დოიჩერგოფის“ ოფიციანტი ლიდია ლისოვსკაია საბჭოთა აგენტი იყო და მას ფხიზლად უთვალთვალებდა. პარალელურად, ქალი სდ-სთანაც იყო დაკავშირებული. იქ მისი აგენტურული მეტსახელი „კუკლა“ გახლდათ. ასევე, ორმაგი აგენტი ბრძანდებოდა ლისოვსკაიას დეიდაშვილი მარია მიკოტაც. სუკში მისი აგენტურული მეტსახელი „მაია“ იყო, სდ-ში კი – „ჩვიდმეტი“. მედვედევის სპეცაგენტი კუზნეცოვი (მეტსახელები „კოლონისტი“, „პუხი“) ლისოვსკაიას უშუალო უფროსი გახლდათ. ქალის ბინა მისი ერთ-ერთი საიმედო თავშესაფარი იყო. პარალელურად, ლისოვსკაია კუზნეცოვის საყვარელიც გახლდათ.



თუკი კარლო ჩეკისტებს ულალატებდა, ამისთვის პასუხს აგებდა მისი და, რომელიც კარლოს ერთადერთი ახლობელი იყო

**– კუზნეცოვის პიროვნებისადმი უამრავი კითხვის ნიშანია.**

– ნიკოლოზ ივანეს ძე კუზნეცოვი ურალზე, სოფელ ზირუანკაში დაიბადა. გერმანული ბავშვობაშივე შეისწავლა, რადგანაც მეზობლად გერმანელი კოლონისტები ცხოვრობდნენ. აქ შეხვდა კიდეც თავის პორველ სიყვარულს, რომელზედაც შემდგომში დაქორწინდა. კუზნეცოვის ცოლი ყველა საბჭოთა ნორმებით კულაკი იყო. კოლექტივიზაცია დაიწყო თუ არა, კუზნეცოვი, როგორც „კულაკების სიძე,“ კომკავშირიდან გარიცხეს. ამას ავტომატურად ტექნიკუმიდან გარიცხვაც მოჰყვა. კუზნეცოვმაც ახალგაზრდა ცოლთან ერთად მშობლიური სოფელი დატოვა, თუმცა, ქალაქში მას არანაკლები ფათერაკი ელოდა. ოჯახს რჩენა სჭირდებოდა, კუზნეცოვს კი, რომელიც სამშენებლო ტრესტში მოეწყო, პატარა ჯამაგირი ჰქონდა, ამიტომ კომბინატორებს დაუახლოვდა. ამის გამო დააპატიმრეს და გაასამართლეს. ცოლმა ეს შეიტყო თუ არა, უმალ გაეყარა. ციხეში კუზნეცოვმა ერთი წელი დაჰყო, შემდეგ კი „კარგი ყოფაქცევისთვის“ ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. ასე მხოლოდ მათ ექცევიან, ვინც ენატანიობს. როგორც ჩანს, უშიშროების აგენტიც სწორედ ამ დროს გახდა. გათავისუფლების შემდეგ კუზნეცოვი სუკის ინფორმატორია. მას არ ჰქონია უმაღლესი განათლება, არც ოფიცრის ჩინი. 1937 წელს კვლავ დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს. 1939 წელს კი მოსკოვში გადაჰყავთ. კუზნეცოვი, რომელიც თავს ვოლგისპირელ გერმანელად ასაღებს, მოსკოვური ბოჰემის წრეში ტრიალებს. მალე ის უცხოელ დიპლომატებთან კონტაქტზე გადის. ის დაუკავშირდა სლოვაკეთის საელჩოში მდუვან კრნოს, რომელიც ხაფანგში გააბა და აიძულა, საბჭოთა აგენტი გამხდარიყო. სლოვაკეთი იმხანად გერმანიის სატელიტი იყო. კრნომ ჩეკისტებს განუცხადა, რომ აბვერზეც მუშაობს. მალე მისი რეკომენდაციით კუზნეცოვი გერმანიის სამხედრო ატაშეს წარუდგინეს. კუზნეცოვმა ატაშეს ნდობა მოიპოვა, მის დავალებებს ასრულებდა და თავის უფროსებს სუკში ყოველივეზე ამომწურავ პატაკებს აბარებდა. ყველა სახის იარაღს ზედმიწევნით ფლობდა, იყო ბრწყინვალე სამბისტი. გერმანული, ფაქტობრივად, მისი მეორე მშობლიური ენა იყო. კუზნეცოვიც რაზმში ჩარიცხეს. თანახმად ლეგენდისა, მას როვნოში უნდა ემოქმედა როგორც გერმანული არმიის ობერ-ლეიტენანტ პაულ ზიბერტს. მისი ფუნქცია არა დაზვერვა, არამედ ტერორი და პროვოკაციები იყო.

**– მოდი, კუზნეცოვისა და კარლოს ურთიერთობებს დავუბრუნდეთ. მაშ ასე, კარლო როვნოში გაემგზავრა და რესტორან „დოიჩერგოფში“ ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო. ამავე რესტორნის ოფიციანტი ლიდია ლისოვსკაია კი მას გულდასმით უთვალთვალებდა.**

– ასე კარგა ხანს გრძელდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ქალმა კარლოს უთხრა, თბილისიდან მოკითხვა შემოგითვალესო. კარლოს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა მალე ახალი სიურპრიზი ელოდა. ლისოვსკაიას ბინაზე გერმანული არმიის ობერ-ლეიტეტანტს შეხვდა, რომელმაც სუფთა რუსულ ენაზე განუცხადა: მოკითხვა თბილისიდან.

**– ეს კაცი კუზნეცოვი იყო?**

– დიახ. კარლოს დიდი ხნის განმავლობაში ესაუბრა. ამ საუბრის შემდეგ კარლო დარწმუნდა, რომ ქართველ პატრიოტებზე დარტყმა მზადდებოდა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. კარლო კახიანსა და მის ხალხს საკმაოდ დაუმეგობრდა და მიხვდა, რომ ესენი პატიოსანი და პირუთვნელი ხალხია, თავიანთი სამშობლო უანგაროდ უყვართ. რა ქნას, როგორ მოიქცეს? კარლო ამ ფიქრებში იყო, რომ როვნოში ტერაქტი მოხდა. ქალაქის ცენტრში მოკლეს გენერალი გეელი და მაიორი ვინტერი. დანაშაულის ადგილას სდ-მ უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის საწევრო ბლანკი იპოვა. ამის შემდეგ როვნოს ციხეში მყოფი ყველა ბანდერელი დახვრიტეს. დაიწყო უკრაინული ინტელიგენციის მასობრივი დაპატიმრება. დააპატიმრეს ავტოკეფალური ეკლესიის ეპისკოპოსი – სკრიპნიკი (შემდგომში უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი მსტისლავი), ცნობილი მწერალი ულას სამჩუკი და სხვები. მალე როვნოში მეორე ტერაქტი ხდება. ამჯერად თავს დაესხნენ გაულაიტერ კოხის მოადგილე დარგელს. დარგელი უვნებლად გადარ-

(მე-10 გვერდიდან)

**ქმებელიც, ასევე, 20 ლარს, სახელმწიფოც მიმატებს 20 ლარს და ჩემი ყოველთვიური შენატანი გამოდის 60 ლარი, არ შემიძლია მეტი შევიტანო, ვთქვათ, ჩემი ხელფასის 10 პროცენტი და ამ შემთხვევაში რა პროცენტის დამატება დაეკისრებათ დამსაქმებელსა და სახელმწიფოს?**

– თუ თქვენ არ გადაიხდით ამ 20 ლარს და გირჩევნიათ, რომ ახლა აიღოთ ის, რეალურად აიღებთ 16 ლარს, იმიტომ რომ ის 20 ლარი დაიბეგრება, ასე რომ, თქვენი ასარჩევია: 16 ლარი გირჩევნიათ თუ 60 ლარი?! რაც შეეხება საპენსიო შენატანის გაზრდას: ეს არის ხელფასის, მაქსიმუმ, 5 პროცენტი, თუმცა კომპანიისა და სახელმწიფოს კონტრიბუცია იქნება ფიქსირებული – 2-2 პროცენტი ნებისმიერ შემთხვევაში.

**– მაგრამ კომპანიამ ხომ თავისი მოგებიდან უნდა აიღოს ის 2 პროცენტი?**

– ეს მას გაუზრდის ხარჯს, მაგრამ ეს კულტურა, ადრე თუ გვიან, უნდა დავნერგოთ.

**– მე გეთანხმებით, მაგრამ დამქირავებლები რას ამბობენ, გეთანხმებიან, რომ გვიწილადონ დაქირავებულებს თავიანთი მოგება?**

– კომპანიას სახელფასო ხარჯი არ გაეზრდება 2 პროცენტით, რადგან ყველა თანამშრომელი ამას არ დათანხმდება, ამასთან, იქნებიან თანამშრომლობი, რომლებიც ასაკის გამო ვერ მიიღებენ მონაწილეობას ამ სისტემაში. შესაბამისად, კომპანიას სახელფასო ხარჯი გაეზრდება არა ზუსტად 2 პროცენტით, არამედ, საშუალოდ, 1-1,2 პროცენტით. ვიმეორებ, არა მთლიანი, არამედ მხოლოდ სახელფასო ხარჯი, რაც ნამდვილად არ შეუქმნის ფინანსურ პრობლემებს.

# რატომ იქნება დასაქმება აუცილებელი პირობა კერძო პენსიის მიღებისთვის, ვის შეეძლება, ისარგებლოს დაგროვებითი პენსიის სისტემით და რა ბედი ეწევა სახელმწიფო პენსიას

**– თქვენ, ალბათ, გაქვთ დათვლილი, ვთქვათ, ყოველთვიურად 20 წლის განმავლობაში გადავიხადეთ 60 ლარი მე, დამსაქმებელმა და სახელმწიფომ, რა თანხას მივიღებ, პენსიაში რომ გავალ?**

– ყველაზე უხეში გათვლებით, შეიძლება, ასეთი სურათი გამოიკვეთოს: ჩვენ შევიმუშავეთ მოდელები და ადამიანი, რომელსაც ერიცხება 1 000 ლარი ხელფასი და მხოლოდ 20 ლარს გადარიცხავს თავისი ჯიბიდან, 20 წლის შემდეგ საპენსიო ასაკში გასვლის შემდეგ ყოველთვიურად აიღებს დღევანდელ, დაახლოებით, 420 ლარს.

> **დაგროვებითი საპენსიო სისტემით ისარგებლებს 45 წლამდე მოსახლეობა. შეიძლება, მამაკაცებისთვის დავუშვათ 50 წელი, ქალებისთვის – 45 წელი**

**– დაგროვების შეწყვეტა შეუძლია?**

– შეუძლია, მაგრამ თანხა დაიბეგრება და დაჯარიმდება, ამდენად, გამოტანის მომენტისთვის დაგროვილი თანხის ნახევარს მიიღებს. თუმცა გათვალისწინებული იქნება ფორსმაჟორული სიტუაციები: თუ ოჯახის წევრი გარდაეცვალა, რაღაც კატეგორიის დაავადება შეეყარა, თუ თანხა შვილის განათლებისთვის დასჭირდა.... თუმცა სახელმწიფო იმიტომ გაძლევთ სტიმულს, რომ თანხა დააგროვოთ და საპენსიო ასაკში გქონდეთ შემოსავალი, რომ ეს გათვლილია სიღარიბის დაძლევაზე. სხვა შემთხვევაში სახელმწიფოს გაუჭირდება დღეს არსებული სახელმწიფო პენსიის – 150 ლარის გაცემაც და დამატებით კიდევ – 420 ლარისაც. ამიტომ ურჩევნია, ეტაპობრივად გაიღოს ხარჯი დღეს, რომელიც ისევ ეკონომიკაში ინვესტირდება. ეს ძალიან საინტერესო სქემაა: ამ თანხის ნაწილი გავა ქვეყნის გარეთ და ინვესტირდება მსოფლიო ეკონომიკაში, რაც მნიშვნელოვანია, რადგან ამ საპენსიო ფონდის შემოსავალი არა მხოლოდ ჩვენს, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზე იქნება დამოკიდებული. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ინსტრუმენტი, რომელიც სიბერის დაგეგმვის საშუალებას მოგვცემს. ამასთან, ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდასაც: რადგან დღეს საფინანსო რესურსის ერთადერთი წყარო ბანკია, ამ შემთხვევაში კი, საპენსიო ფონდების მეშვეობით ჩნდება დამატებითი ინსტრუმენტი.

**– ეს საპენსიო ფონდები კერძო იქნება თუ სახელმწიფო?**

– კერძო ფონდები იქნება. უცხოურ-ქართული, ჩვენი მოთხოვნა იქნება ქართული თანამონაწილეობა. შევეცდებით, დავაინტერესოთ და შემოვიყვანოთ მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები.

**– როდის ვარაუდობთ ამ სისტემის ამოქმედებას?**

– ვფიქრობთ, წელიწად-ნახევარში ჩავრთოთ ეს კონცეფცია, ბევრი დეტალია დასამუშავებელი, რასაც ერთ ინტერვიუში, ბუნებრივია, ვერ ჩავტევთ.

**ნინო ხაჩიძე**

---

ჩა, თუმცა თავდამსხმელის გარეგნობა დაიმახსოვრა: მაღალი, ქერა მამაკაცი, რომელსაც გერმანული არმიის ობერ-ლეიტენანტის ფორმა ეცვა. კარლოს ამის თაობაზე კახიანმა მოუთხრო. კარლოს თავზარი დაეცა, მიხვდა, რომ იდუმალი ტერორისტი სწორედ ის ობერ-ლეიტენანტი იყო, ვისაც ლისოვსკაიას ბინაში ესაუბრა.

**– მაშ მოუხელთებელი ტერორისტი კუზნეცოვი იყო?**

– დიახ, ის გერმანელ მაღალჩინოსნებს ხოცავდა, შემთხვევის ადგილას კი უკრაინელ ნაციონალისტთა ბლანკებს აგდებდა. სდ-ში ჩათვალეს, რომ ტერაქტები ბანდერელთა ნახელავია. შედეგად უკრაინული ინტელიგენციის დაპატიმრებები დაიწყო. ამას უკრაინულ სოფლებში მასობრივი სადამსჯელო ოპერაციები მოჰყვა. როვენშჩინაზე გერმანელ დამსჯელთა მთელი არმია შეიყვანეს, რომელთაც სისასტიკით ცნობილი პოლკოვნიკი, პიპერი მეთაურობდა. თვით ნაცისტებიც კი მას „სიკვდილის ოსტატს“ ეძახდნენ. პიპერის მეომრებმა მთელი სოფლები მიწასთან გაასწორეს, არ ინდობდნენ არც მოხუცს, არც ქალს, არც ბავშვს. კარლოს ამან თავზარი დასცა. საკმაო ყოყმანის შემდეგ, ის კახიანთან მივიდა და ყველაფერი გაუმხილა. მან უთხრა, რომ საბჭოთა აგენტი იყო და მედვედევის დავალებით სდ-ს დაუკავშირდა. თქვენთან კონტაქტი სდ-მ დამავალაო, – უთხრა კარლომ. თან დაუმატა, რომ რუსები საქმის კურსში არიან.

– მზადდება პროვოკაცია. როგორც ჩანს, რუსები ლამობენ, გერმანელთა ხელით გაგისწორდნენ, – კარლომ ეს კახიანს პირდაპირ უთხრა.

**– კახიანს როგორი რეაქცია ჰქონდა?**

– ბუნებრივია, მას თავზარი დაეცა. თავდაპირველად ფიქრობდა, რომ კარლოს აღიარება მორიგი ტრიუკია და ეს რუსების დავალებით მოხდა. ასე ფიქრობდა უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის როვნოს ფილიალის უშიშროების სამსახურის უფროსი კრავჩენკოც. შეშფოთებას ზრდიდა ისიც, რომ კახიანთან კონტაქტების შედეგად, კარლომ მართლაც უნიკალური ინფორმაციები მოიპოვა. კერძოდ, მან დაადგინა როვნოში ბანდერელთა რეზიდენტის, მეტსახელად „ბირის“ ვინაობა. კარლო იფიცებოდა, ამის თაობაზე არავისთვის არაფერი მითქვამსო, მაგრამ კრავჩენკო ყოყმანობდა. მართლა ასეა კი? იმსახურებს ნდობას ადამიანი, რომელიც სუკისთვის და გერმანელებისთვის მუშაობს? კრავჩენკო აპირებდა კარლო როვნოდან გაეყვანა, ბანდერელთა ბანაკში მიეყვანა, სადაც გულდასმით დაკითხავდნენ, მაგრამ კახიანი ამას წინ აღუდგა. კრავჩენკოს მან მტკიცედ განუცხადა, რომ კარლოსი სჯეროდა.

ამასობაში როვნოში ახალი ბობოქარი მოვლენები დატრიალდა. კუზნეცოვმა და მისმა მეგობრებმა მოიტაცეს გერმანელი გენერალი მაქს ილგენი, რომელიც ეგრეთ წოდებულ „განსაკუთრებულ ჯარებს“ მეთაურობდა. ამ ჯარის შემადგენლობაში იყვნენ ვლასოველები, კაზაკები, ქართველი და შუააზიელი ლეგიონერები. გერმანელებმა დაადგინეს, რომ „განსაკუთრებული ჯარების“ შემადგენლობაში რუსების აგენტურა მუშაობდა. ილგენიც კარგად ორგანიზებული შეთქმულების მსხვერპლი გახდა. აბვერის კონტრდაზვერვამ ზოგიერთი რუსი ჯაშუში დააპატიმრა. მას არც სდ ჩამორჩა, რომელსაც სულაც არ სურდა, აბვერელი კონკურენტების წინაშე დამარცხებულად წარმოჩენილიყო. რუსები ყოველმხრივ ცდილობდნენ, შექმნილი სიტუაცია კახიანის ჯგუფის განადგურებისთვის გამოეყენებინათ. კარლომაც კახიანი გააფრთხილა, რომ სდ მის აყვანას აპირებდა. იმავე დღეს კახიანმა, მისმა რამდენიმე თანამებრძოლმა და კარლომ როვნო დატოვეს. ქალაქიდან გაღწევა „ბირმაც“ შეძლო. მას ვერც გერმანელები, ვერც რუსები ვერ მისწვდნენ.

**– ანუ, ისინი კარლომ გადაარჩინა?**

– დიახ. ამის შემდეგ ისიც და კახიანიც უპას წევრები გახდნენ. უკრაინულ წყაროებში საკმაოდაა ცნობები „ქართველი კარლოს“ შესახებ. ბანდერელებმა მისი დახმარებით აიყვანეს ცნობილი რუსი ჯაშუში „ჩაპაი“.

**– კარლოს და კახიანს რა ბედი ეწიათ?**

– კახიანი უპა-ს რიგებში არსებულ ქართული ნაწილების შემადგელობაში იბრძოდა და 1945 წელს რუსებთან შეტაკებისას დაიღუპა, ხოლო რა ბედი ეწია კარლოს, უცნობია.

**ჯულია დემეტრაშვილი**

**„მაესტროს" პოპულარულ პროექტს, „უცნობ ისტორიებს" კადრს მიღმა ნინო განუგრავა ქმნის. ის ცნობილი ქართველების უცნობი სამყაროდან ყველაზე საინტერესო ამბებს ყოველ შაბათს „გვიყვება.". ნიჭიერი და არაორდინარული ნინო განუგრავა ტელეკომპანია „მაესტროში" ერთი უცნაური ისტორიის წყალობით მოხვდა. ნინოსთან საუბარი ამ თემით დავიწყეთ, და ექსკლუზიურად „თბილისელებისთვის" მისი და ზალიკო სულაკაურის ოჯახური ტანდემის წარდგენაც ვცადეთ.**

# რატომ დაჰყავს ზალიკო სულაკაურს ღამით ცოლი ვაჟა-ფშაველას საფლავთან და ვინ შეასხა მას ფრთები

**ნინო განუგრავა**: ჩემი ისტორია, რომელიც დაკავშირებულია „მაესტროსთან," საკმაოდ უცნაურად დაიწყო. პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე ვარ, ასევე ვსწავლობდი ტელერეჟისურის ფაკულტეტზეც. იმ პერიოდში, როდესაც „მაესტროზე" „საკანი" დაიწყო, როგორც მაყურებელი ისე ჩავერთე ამ პროექტში, ღამეებს ვათენებდი გრეჩიხასთან ერთად. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო აქტუალური „ფეისბუქი," სოციალური ქსელის ინტერესს „ოდნოკლასნიკით" ვიკმაყოფილებდით ***(იცინის).*** ერთ ღამეს მეგობრის მეგობრების ჩამონათვალში, მამუკა ღლონტი აციმციმდა. ბევრი არ მიფიქრია, არც ვიცი, რამ დამარტყა თავში, მივწერე მამუკას, თუ როგორ მომწონდა პროექტი „საკანი" და შევთავაზე, ეგებ პრაქტიკანტად ამიყვანოთ-მეთქი. არც მიფიქრია, რომ მამუკა ღლონტი პასუხს დამიბრუნებდა, ვიფიქრე, ჩემნაირი, ალბათ, რამდენი სწერს-მეთქი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მომივიდა პასუხი: დამირეკეთ და მისი ტელეფონის ნომერი. ეს ისეთი ემოციური იყო ჩემთვის, სახლში მრგვალი მაგიდა გვქონდა, ორი დღე იმ მაგიდის ირგვლივ დავდიოდი ***(იცინის).*** როცა „მაესტროში" მოვედი, მამუკამ სამონტაჟოში შემიყვანა, მემონტაჟეებს უთხრა ერთი სიტყვა – „ასწავლეთ" და დამტოვა იქ. ასე აღმოვჩნდი „მაესტროში", ძალიან მალე კი – იქ, სადაც იქმნებოდა „საკანი", რომელსაც მაშინ ძალიან ბევრი ადამიანი უყურებდა. ეს ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილება იყო.

**– როგორ გაჩნდა ძალიან საინტერესო პროექტი „უცნობი ისტორიები"?**

– ამ პროექტის გაკეთების იდეა ერთი წლის წინ გაჩნდა ძალიან სპონტანურად. გოდერძი ჩოხელის დაბადების დღე იყო, მაშინ დილის გადაცემაზე ვმუშაობდი. პროდიუსერს ვუთხარი, რა კარგი იქნებოდა, ახლა ერთი მძღოლი რომ მყავდეს, ჩოხში წავიდოდი და ყველაფერს გადავიღებდი, რაც გოდერძი ჩოხელს უკავშირდება-მეთქი. ჩემი ნატვრა გავახმაურე, სევდიანი თვალებით შევხედე პროდიუსერს და იქ დასრულდა ჩვენი საუბარი. თუმცა, წარმოვიდგინე, როგორ გადავიღებდი ჩოხში იმ სახლს, სადაც გოდერძი ცხოვრობდა; იმ ნაკვეთს, სადაც ის შრომობდა, თოხნიდა. ისე „დავინახე" ეს ადგილები, თითქოს იქ ვიყავი. ამ შემთხვევიდან დიდი დრო არ იყო გასული, ერთხელაც, მე და ჩემი ოპერატორი, ირაკლი მეტრეველი კლუბ „ნალში" ვიყავით. ირაკლის ვუთხარი: რაღაც სიახლე მინდა, მომბეზრდა ერთი და იგივე საქმის კეთება-მეთქი, ირაკლი „ამყვა": მეც მაგ დღეში ვარ, მოდი რამე მოვიფიქროთო. „მაესტროში" კაციშვილმა არ იცოდა, მე, ირაკლი მეტრეველი და ბექა ფარჯიანი ისე წავედით პატარძეულში, გადავიღეთ ყველაფერი, რაც უკავშირდებოდა გოგლა ლეონიძეს. დავამონტაჟეთ მასალა და უკვე მზა ფორმატი ვაჩვენეთ ტელევიზიის დირექციას. ეს მათთვის შოკი იყო, გასაიდუმლოებულად გადაღებული მასალა ძალიან მოეწონათ. მეორე გადაცემა გავაკეთეთ იპოლიტე ხვიჩიას შესახებ, უფრო მაგარი გამოგვივიდა, ვიდრე პირველი და ასე დაიწყო „უცნობი ისტორიების" ისტორია. გადაცემებზე დღეს ისევ მე, ირაკლი და ბექა ვმუშაობთ. როცა ტიტრების გაკეთება გადავწყვიტეთ, აღმოვაჩინეთ, რომ ყველაფერი ჩვენ ვიყავით – იდეის ავტორებიც, ოპერტორებიც, რეჟისორებიც, პროდიუსერებიც, მემონტაჟეებიც, ხანდახან მძღოლებიც.







**– როცა ძალიან ცნობილი ქართველების სამყაროში შედიხარ, ეხები მათ ნივთებს, რომლებიც დაცულია მუზეუმებში, რა ემოციები გაქვს?**

– ოო, აი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. არაერთხელ მითხოვია მუზეუმის თანამშრომლებისთვის, თუ შეიძლება, ამ ნივთს ხელით შევეხები-მეთქი. როცა ვნახე ტერენტი გრანელის ხელნაწერი, სადაც რამდენიმე ადგილი იყო ჩასწორებული, გაფაციცებული ვაკვირდებოდი, ნეტავ, რა დაწერა და რა გადაასწორა-მეთქი. დიდი ემოციები მქონდა, როცა შევეხე ევგენი მიქელაძის დირიჟორის ჯოხს; სურამის სახლში იმ ტახტს, სადაც დააწვინეს ტერენტი და აწამებდნენ. კიდევ ერთ მომენტს გეტყვით, როცა ვიწყებ მუშაობას და ვურეკავ რესპონდენტებს, სულ ვთხოვ, რომ რაც შეიძლება, ასაკოვან ადამიანებს დამაკონტაქტონ. მათ უკეთ იციან ბევრი რამ, უკეთესად ახსოვთ ის ადამიანები, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდათ და ვინც, ჩვენი გადაცემის გმირები არიან. მათი ორი წინადადებაც კი მირჩევნია და უხდება გადაცემებს. რამდენჯერმე ისეთი შემთხვევაც მქონდა, როცა ჩავწერე და მერე დამირეკეს, ისინი გარდაიცვალნენო. მიხარია, რომ მოვასწარი და ისინი უცნობი ისტორიების ისტორიაში დარჩნენ. მხოლოდ მათ შეეძლოთ იმ დეტალების გახსენება, რაც ამ ადამიანებთან იყო დაკავშირებული. მინდა გავაკეთო გადაცემა გოდერძი ჩოხელზე,

**ნინო: „ისე გამოვიდა, რომ საქორწინო მოგზაურობა „კაზანტიპზე" გვქონდა"**

ვისაც უკავშირდებოდა ამ პროექტის იდეა, მაგრამ, სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, ეს ჯერ ვერ მოვახერხე. ამ ბოლო დროს დამჩემდა ქუჩებში მემორიალური აბრების თვალიერება. ამას წინათ გავიარე სახლთან, სადაც ეწერა, რომ იქ ცხოვრობდა გიორგი შავგულიძე. მაშინვე გაჩნდა იდეა და ცოტა გავბრაზდი კიდეც საკუთარ თავზე, გიორგი შავგულიძე როგორ დამავიწყდა-მეთქი *(იცინის).*

**– ახლა ცნობილ ისტორიებზე გადავიდეთ, საკმაოდ ცნობილი და პოპულარული მეორე ნახევარი გყავს, ზალიკო სულაკაური ჩართულია „უცნობ ისტორიებში"?**

– ზალიკო ამ პროექტის აქტიური მაყურებელი და ჩვენი დიდი გულშემატკივარია. სანამ ზალიკო ჩემს ცხოვრებაში გაჩნდებოდა, ყველა ახლობელი მეუბნებოდა, შენ ვინ გაგიძლებს, ვინ აიტანს შენს რეჟიმს, სულ გადაღებებზე, გარეთ ხარ გავარდნილიო. 2-3 დღით დავდიოდი გადაღებებზე, სახლის ადამიანი არ ვიყავი. ზალიკოსთან არც მჭირდება იმის ახსნა, რომ რეგიონში უნდა წავიდე გადაღებაზე, რადგან ასე სჭირდება საქმეს. მას კარგად ესმის ჩემი, თუმცა უკვე ვცდილობ, ორ-სამი დღე არსად არ დავრჩე. ყველაფრის გადაღება ერთ დღეში მოვასწრო, რომ გვიან, მაგრამ მაინც თბილისში ვიყო.

**ზალიკო:** ნინოს გეოგრაფიული არეალი მთელი საქართველოა. დილით შეიძლება, სიღნაღში იყოს, საღამოს – გურიაში. ყველანაირად ვგრძნობ, რას აკეთებს, რას განიცდის, რა უხარია. უთქმელად მესმის მისი. შეიძლება იმიტომაც, რომ ჩემი სამყაროც ხელოვნებაა. შესაძლოა იმიტომაც, რომ შევხვდით ორი ერთნაირი, გადარეული ადამიანი და ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთის. ნინო ხომ არ იყო სახლის ქალი, მეც ასე ვიყავი. სახლიდან გავდიოდი, წარმოდგენა არ მქონდა, როდის დავბრუნდებოდი უკან. სადაც მიღამდებოდა, იქ მითენდებოდა ***(იცინის).*** ახლა უკვე სხვანაირადაა, ორივე, როგორც კი საქმეს მოვრჩებით, მოვრბივართ სახლში, რომ საინტერესოდ გავატაროთ საღამო. სულ გვაქვს შეკითხვა, რა ვქნათ დღეს? სად ვიგიჟოთ? შეიძლება, წავიდეთ და თბილისს გადმოვხედოთ ზემოდან. შეიძლება, ავიდეთ მთაწმინდაზე, ვაჟას მივეახლოთ და გამარჯობა ვუთხრათ. ამის გარეშე გამორიცხულია ჩვენი ცხოვრება.

**ნინო:** ჩვენ ალბათ, სტანდარტულ ოჯახად, ცოლ-ქმრად ვერასდროს ვიქცევით. ზალიკოს მთელი „მკაცრი ქართული ქმრობა" დილით დასმული შეკითხვაა, დღეს რა ჩავიცვა, დამიდე რაა ***(იცინის)...***

**ზალიკო:** კვერცხის შეწვა იცის, სამზარეულოში, იმედი მაქვს, კიდევ უფრო დაოსტატდება.

**– ორივე არაორდინარულები ხართ, როგორც ჩანს, ბევრი გაქვთ საერთო.**

– კი, ძალიან ბევრი. ერთმანეთს ფართო თვალებით ვხედავთ. ერთმანეთს ყველანაირად ვუდგევართ მხარში, სურვილებსა და გატაცებებშიც კი, ისე დავემთხვევით ხოლმე ერთმანეთს, ხანდახან ორივეს გვიკვირს.

**– ორივე ექსტრემალები ხართ, ორივეს გყავთ მოტოციკლი. რომელი იყავით ინიციატორი ამ ამბის?**

**ნინო:** ამ ამბავში ზალიკომ ჩამითრია. სა-

# სად გრძნობს თავს ყველაზე კარგად „მის სტუდენტის" გამარჯვებული ანი მკალავიშვილი და რატომ არ ფიქრობს ის საქართველოში სამოდელო კარიერის გაგრძელებაზე

*მეექვსე წელია, რაც საქართველოში კონკურსი „მის სტუდენტი" ტარდება. ამ მხრივ გამონაკლისი არც წლევანდელი წელი ყოფილა და მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერი უნივერსიტეტის წარმომადგენელს შეეძლო. წლევანდელ კონკურსში 17 გოგონა მონაწილეობდა. „მის სტუდენტის" ტიტული კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს, ულამაზეს* ***ანი მკალავიშვილს*** *ერგო.*

**ანი**: წელს უნივერსიტეტს ვამთავრებ. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ და მაგისტრატურის გაგრძელება უცხოეთში მინდა. მოდელობას რაც შეეხება, ამ კუთხით ჯერჯერობით სერიოზულად არ ვფიქრობ, რადგან საქართველოში ეს საქმე პროფესიის დონეზე არ არის განვითარებული. თუმცა, თუ იქნება სერიოზული შემოთავაზება, დავფიქრდები.

**– ეს შენთვის პირველი კონკურსი იყო?**

– არა, 2011 წელს ია კიწმარიშვილმა ჩაატარა New face და მასში ვიღებდი მონაწილეობას, თუმცა მაშინ სერიოზული არაფერი ყოფილა.

**– ამჯერად კი „მის სტუდენტი" გახდი. რა პრიზები მიიღე?**

– დიახ, „მის სტუდენტი" გავხდი. სხვადასხვა პრიზი იყო, მათ შორის კი ყველაზე მთავარია ენის შემსწავლელი ერთთვიანი კურსი ლონდონში.

**– კონკურსებს ხშირად ახლავს ხოლმე შური და ინტრიგები. შენს შემთხვევაში თუ ჰქონდა მსგავს რამეს ადგილი?**

– ჩემს შემთხვევაში მსგავსი რამ არ მომხდარა. სხვათა შორის, არ ველოდი, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ძალიან კარგი გოგოები შეიკრიბნენ, ყველანი ძალიან მეგობრულები იყვნენ და არანაირ ჩხუბსა და მსგავს სიტუაციას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ერთმანეთს გულწრფელად ვულოცავდით ნომინაციებს. კიდევ კარგი, ბოროტი განზრახვები არავის ჰქონია.

**– ბუნებრივია, ძალიან კარგ ფორმაში ხარ. როგორ უვლი თავს?**

– ადგილი, სადაც ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს, არის სალონი და იქ ძალიან ხშირად მიწევს მისვლა. ელემენტარული რაღაცეები, რაც გოგომ უნდა იცოდეს – თავის მოვლა, თმის სწორად გაკეთება და ასე შემდეგ, მე არ მეხერხება და ამიტომ სულ სალონში დავდივარ. ისე, ფორმის შესანარჩუნებლად ძალიან მნიშვნელოვანია სწორად კვება და, ანაკლიაში რომ ვიყავით, კონკურსის პერიოდში ვცდილობდით, სწორად გვეკვება. ახლა ცოტა ისე ვარ და აუცილებლად უნდა ჩავდგე ფორმაში. კვებასთან ერთად, ვარჯიშსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.



**ბიჭს რაღაც უნდა ჰქონდეს ისეთი, რაც მომეწონება, მაგრამ კონკრეტულად რა, ვერ ვხვდები**

**– დარწმუნებული ვარ, თაყვანისმცემლების ნაკლებობას არ უჩივი.**

– რა ვიცი, არა *(იცინის)*. „ფეიბუქზე" მწერს ძალიან ბევრი, მაგრამ, ეგეთ ნაწერებს ძირითადად არ ვკითხულობ. ხშირად გაცნობას მთხოვენ ხოლმე. მაგრამ, „ფეისბუქზე" გაცნობა და მსგავსი რამეები სერიოზულად არ მიმაჩნია. ზოგი ლექსებს მწერს, ზოგი – რაღაც კომენტარებს, ზოგს საერთოდ არ ვხსნი *(იცინის)*. ამას უკმაყოფილებაც მოჰყვება ხოლმე – „პასუხი არ იცი?" ერთადერთი, ვცდილობ, მადლობა გადავუხადო ყველას. მერე მოდის ათასნაირი ტექსტი – „მე შენ მაინც შეგხვდები და გაგიცნობ" და ასე შემდეგ. ერთი-ორჯერ ჩემს მანქანაზე ყვავილები ვნახე, თუმცა, ვისგან იყო, არ ვიცი.

**– საინტერესოა, შენ როგორი ბიჭები მოგწონს?**

– ჩამოყალიბებული კრიტერიუმები არ მაქვს. ბიჭს რაღაც უნდა ჰქონდეს ისეთი, რაც მომეწონება, მაგრამ, კონკრეტულად რა, ვერ ვხვდები. ქერა თუ შავგვრემანი – ასეც ვერ ვიტყვი. ისე, უფრო შავგვრემანი ბიჭები მომწონს. ცანცარა ბიჭები მეზიზღება.

**– რა უნდა გააკეთოს ბიჭმა შენს მოსახიბლად, ან – პირიქით, რა არ უნდა გააკეთოს?**

– ბიჭი რომ მანქანაზე იწყებს ლაპარაკს, უკვე მომწონს, იმიტომ რომ, ვგიჟდები მანქანებზე – ეს ჩემი სისუსტეა. ამის შემდეგ უკვე შევდივარ კონტაქტში. რა არ უნდა გააკეთოს? არ უნდა ვნახო მოუწესრიგებელი, ჭუჭყიანი. აბსოლუტურად ყველაფერს ვაკვირდები და, თუ რამე ისეთს შევნიშნავ, ყველაფერს ხაზს გადავუსვამ. მაგალითად, ბიჭს ჭუჭყიანი ფეხსაცმელი რომ დავუნახო, საერთოდ კონტაქტშიც არ შევალ; კიდევ, უზრდელი არ უნდა იყოს. საერთოდ, თავმდაბალი ბიჭები მომწონს, თავხედ ბიჭებს ვერ ვიტან, თავაზიან და ზრდილობიან ბიჭებს ვანიჭებ უპირატესობას.

**– ზოგიერთ გოგოს ცოტა „მოძველბიჭო" ტიპებიც მოსწონს, შენ არა?**

– ძალიან მომწონს, მაგრამ, ისეთი, რომელმაც იცის, სად რა უნდა თქვას და სად რა უნდა გააკეთოს. ძალიან წესიერი ბიჭებიც არ მომწონს.

**– სიყვარული როგორ უნდა აგიხსნას ბიჭმა, რომ შენი მოხიბვლა შეძლოს?**

– ასე სიყვარულის ახსნა და მხოლოდ სიტყვები ჩემთვის საკმარისი არ არის ხოლმე; მთავარია, ეს მაგრძნობინოს და, თუ უნდა, საერთოდ არ მითხრას.

**– ძვირფასი საჩუქრებით თუ ცდილობენ შენს მოხიბვლას?**

– კი, არის ასეთი შემთხვევებიც, როცა ადამიანს ბევრი ფული აქვს და ჰგონია, რომ ამით ყველაფერი შესაძლებელია. ასეთი ადამიანისგან საჩუქრებს არასდროს ვიღებ და ვეუბნები, რომ ტყუილად იხარჯება. ასეთი რამეები ძალიან მაღიზიანებს. ვერ ვიტან ისეთ ბიჭებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ, რადგან ფული აქვთ, ყველა გოგოს „დაკერავენ". ასე მხოლოდ უტვინო გოგოების დაკერვა შეიძლება.

**ქეთი კაპანაძე**

ხლში ორი მოტოციკლი გვყავს, თუმცა ჩემი მოპედი ზალიკოს მოპედთან რას მივა *(იცინის)*.

**ზალიკო**: მე „დავსაჯე" და მოვწამლე მოტოციკლით. მე ვასწავლე ტარება, თუმცა, მგონი, ავტომობილის საჭესთან უფრო მაგარია. თუშეთის გზა მსოფლიოს ათ ცუდ გზას შორის მეხუთე ადგილზეა. ნინი ისეთი ექსტრემალი მძღოლია, ყველა მოსახვევი და კენჭი ზეპირად იცის. ისეთ რთულ გზებზე დაქრის, ვერ წარმოიდგენთ.

**– ზალიკო, შენ ჩაიყვანე ნინო თუშეთში?**

– ერთადაც ვყოფილვართ, თუმცა პირველად ჩემამდე იყო იქ ნამყოფი. ჩემი არ იყოს, ოღონდ ბუნებაში ახეტიალე, მეტი არაფერი უნდა. ამაში, ვაღიარებ, რომ ჩემზე მაგარია.

**ნინო**: ჩვენი ამბავი რომ გაიგეს, ისე გაუხარდათ ჩვენს ნაცნობ და ახლობელ თუშებს, ერთმა მოხუცმა კაცმა მთის ყვავილების თაიგული გამომიგზავნა.

**– მაინც ერთ სფეროში გიწევთ მუშაობა – ტელევიზია, ჟურნალი, შორს არაა ერთმანეთისგან. ზალიკო, ნინოს წყალობით თავადაც ხომ არ აპირებ სატელევიზიო სფეროში ჩართვას?**

**ზალიკო**: ტელევიზიიდან არც მე ვარ შორს, ხშირად მიწვევენ გადაცემებში, თუმცა ნინომ პროფესიულადაც ჩამითრია ამ „ბანაკში". მაქვს საინტერესო საბავშვო გადაცემის იდეა, რასაც მომავალში, ალბათ, ერთად განვახორციელებთ. მე ხომ ბავშვების გარეშე არ შემიძლია. ნინოს ესმის ჩემი, იცის, რომ გადამკვდარი ვარ ბავშვებზე, როგორც ჩემს სტუდიაში, ასევე გასართობ ცენტრში. ღამის თერთმეტ საათამდე სამსახურში ყოფნა მაქვს გამოწერილი. როგორც თოვლის ბაბუა არ ისვენებს ახალი წლის დღეებში, ასე ჩემთვისაც არ არსებობს დასვენება. ასეა, აბა, მარტო წვერით კი არ ვგავართ ერთმანეთს მე და თოვლის ბაბუა *(იცინის)*.

**– აბა, „კაზანტიპზე" რას აკეთებდი, ისე იშვაითი ადამიანი ხარ – ქართველ კაცს ცოლი კაზანტიპზე მიყავდეს, არ გამიგია.**

– აი, ამ მხრივაც არაორდინარულები ვართ. „კაზანტიპზე" ვიყავი ნინოსთან და ჩემს შვილთან, მიშიკოსთან ერთად. რატომაც არა! ნინო ცალკე მუშაობდა, მე – ცალკე. საღამოს ვიცლიდით ერთმანეთისთვის.

**ნინო**: ისე გამოვიდა, რომ საქორწინო მოგზაურობა „კაზანტიპზე" გვქონდა *(იცინის)*.

**– ზალიკო, ნინო ხშირად არის შენი მუზა?**

– პირდაპირი გაგებით, ჯერ არ ყოფილა. თუმცა, ნინო ჩემი ცხოვრების დოპინგია. როცა ადამიანი გიყვარს, მასთან ერთად ძალიან ბედნიერი ხარ. ნინომ ჩემი ცხოვრება უფრო გააცოცხლა და გააფერადა. ნინო ჩემი სტიმულია. მეხმარება, რომ უფრო მეტი ვაკეთო, ფრთები მაქვს შესხმული. ჩემს ცხოვრებაში არსებობს ორი ქალი – ნინო: ჩემი მუზა და დოპინგი და ჩემი შვილი სალომე, რომელიც ჩემი ცხოვრების მარგალიტია *(იცინის)*.

**თამუნა ნიჟარაძე**

**ქართველები, რომლებიც დიდი შემოსავლებით არ გამოვირჩევით, ყველაზე მეტ ფულს სურსათში ვხარჯავთ, თუმცა ჩვენი შემოსავლების ფონზე ერთი უცნაური სტატისტიკაც გვაქვს – მილიონ ასი ათას ოჯახზე 900 000 ავტომობილი მოდის, რითაც მილიონერთა ქალაქ ჟენევასაც კი „ვუსწრებთ". რაში იხარჯება ჩვენი მოსახლეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯები და როგორია ეს მონაცემები ევროპულ სტანდარტებთან მიმართებაში, ამის შესახებ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, სოსო არჩვაძეს გავესაუბრეთ.**

# ვინ ითვლება საქართველოში ღარიბად და რატომ ჰყავს მილიონ ასი ათას ოჯახს 900 000 ავტომობილი

**სოსო არჩვაძე**: საქართველოში სამომხმარებლო ხარჯების ყველაზე დიდი წილი, არანაკლებ 35%, სურსათზე მოდის. რაც შეეხება სამომხმარებლო ფულად ხარჯებს, აქ სურსათის მაჩვენებელი 40%-ს აჭარბებს. სურსათის სამომხმარებლო ხარჯებში მოჰყვება კომუნალური და სხვა მომსახურების ხარჯები, ამას მოსდევს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საოჯახო მოხმარების ტექნიკა. არ დაგვავიწყდეს, რომ საკმაოდ დიდი განსხვავებაა ღარიბი და მდიდარი მოსახლეობის მონაცემებს შორის. მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში ღარიბი მოსახლეობის ფულადი წილი სურსათში მათი სამომხმარებლო ხარჯების ნახევარზე მეტია, მდიდრების შემთხვევაში – დაახლოებით 18 %. შეიძლება ითქვას, რომ ქართველები ყველაზე მეტ ფულს ვხარჯავთ სურსათში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო დაბალი ეკონომიკური განვითარების საფეხურზეა. ევროპული სტანდარტების მიხედვით, თუ ოჯახი სამომხმარებლო ხარჯების 1/3-ზე მეტს ხარჯავს სურსათზე, ის ოჯახი ითვლება ღარიბად; ამ სტანდარტის მიხედვით, საშუალო ტიპური ქართული ოჯახი შეიძლება მივიჩნიოთ ღარიბად ყველაზე მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახების წილი, რომელთაც აქვთ საშუალება, საკუთარ თავს მისცენ ბევრი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უფლება, არ აღემატება საერთო მოსახლეობის 2-2,5%-ს, ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით 23% ჩვენი სტანდარტებით ღარიბია; მათგან 9% – ღატაკი, რომელიც მხოლოდ სურსათით გადის ფონს.



**რაც უფრო დაბალშემოსავლიანია ქვეყნის მოსახლეობა, მით მეტს ხარჯავს ის სურსათზე, თამბაქოსა და სასმელზე**

**– რა კრიტერიუმებით ფასდება დღეს ღარიბი, ღატაკი და საშუალო ფენები და როგორია ამ შეფასების ქართული სტანდარტი?**

– თუ საქართველოში ერთი ოჯახის, იგივე შინამეურნეობის შემოსავალი 700 ლარია, მაშინ ღარიბად ჩაითვლება ის ოჯახი, რომლის მედიანური შემოსავალიც 420 ლარზე ნაკლებია. ექსპერტთა შეფასებით, ჩვენთან საშუალო ფენას მიეკუთვნებიან ის ოჯახები, რომელთა შემოსავლები ოფიციალურ საარსებო მინიმუმს აღემატება 3-6-ჯერ. ევროპული სტანდარტით, საშუალო ფენას მიაკუთვნებენ იმ ოჯახებს, რომელთაც აქვთ სახლი, თითოეულ ოჯახის წევრზე დაახლოებით 20 კვადრატული; აგარაკი, 1-2 ავტომობილი, აძლევენ თავს უფლებას, წელიწადში ორჯერ დაისვენონ... მკითხველი მიხვდება, ჩვენთან ვინ ფასდება ასეთი კრიტერიუმით.

**– მდიდრები?**

– შეიძლება ითქვას, რომ ასეა. მას დეპოზიტზე უნდა ჰქონდეს თანხა, რომელიც 18 თვის საარსებო მინიმუმის ეკვივალენტურია. ქართველებმა მდიდრებზე ვიცით გამოთქმა „ჩაქცეული", მაგრამ ამ სიტყვის შესატყვისი ქონების რაოდენობრივი პარამეტრი სტანდარტულად დადგენილი არაა.

**– მდიდრები რაში ხარჯავენ უფრო მეტ ფულს?**

– მათი დიაპაზონი ამ მხრივ, რა თქმა უნდა, მრავალფეროვანია; მდიდრები ფულის დიდ ნაწილს ხარჯავენ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში: მოგზაურობაში, შოპინგში, გართობაში, რელაქსაციაში, სწავლა-განათლებაში, ესთეტიკურ ოპერაციებსა და პრევენციულ ჯანმრთელობაში; ფაქტობრივად, არ არსებობს სამომხმარებლო მიმართულება, რაზეც მდიდარს ხელი არ მიუწვდება ან ინტერესი არ გააჩნია. თუმცა, მათი ხარჯების მონაცემებშიც ყველაზე დიდი პროცენტული წილი სურსათს უკავია – მდიდრების სამომხმარებლო ბიუჯეტიდან ხარჯები სურსათზე 3,8-ჯერ მეტია, ვიდრე ღარიბებისა, მაგრამ, მდიდრების, ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის სამომხმარებლო რაციონში სურსათს მხოლოდ 18% უკავია. მაშინ როცა ღარიბებთან ეს მაჩვენებელი მათი ხარჯების ნახევარზე მეტია. ისინი პროცენტულად უფრო ნაკლებს ხარჯავენ, ვიდრე ღარიბები, თუმცა, მოიხმარენ უფრო მაღალი ხარისხის ნედლეულითა და მოხმარების მაღალი მზაობით უზრუნველყოფილ პროდუქტს და, შესაბამისად, მათი ფასიც მაღალია. მდიდრების, ისევე, როგორც ღარიბების ხარჯებში, მეორე „ადგილი" უკავია კომუნალურ და სხვა სახის მომსახურების ხარჯებს. ამას გარდა, მდიდარს სახლში, შესაძლოა, ჰქონდეს ბევრი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა, სიგნალიზაციით დაწყებული, სატელიტური თეფშებით დამთავრებული, რაც, შესაბამისად, ზრდის ხარჯს. მე სპეციალურად გავაკეთე ანალიზი და, შემიძლია, გითხრათ, რომ, თუ ღარიბ მოსახლეობაში კომუნალური და სხვა მომსახურების ხარჯები არის 21-22%, მდიდარი მოსახლეობის კომუნალური ხარჯი დიდად არ განსხვავდება მათგან და ეს მაჩვენებელი 24%-ს შეადგენს კომუნალური ჩამონათვალის უფრო ვრცელი ნომენკლატურის გამო.

**– და სხვა არამატერიალური სიკეთეები: დასვენება, კულტურა, მოგზაურობა – რა თანხებს ვუთმობთ მათ?**

– ამის პასუხად ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ესტონეთში მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს მოსახლეობაზე 3-ჯერ ნაკლებია, მაგრამ იქ გამოსული ახალი მხატვრული რომანის ტირაჟი საშუალოდ 10-12 ათასია, ჩვენთან კი დიდი ხანია, ასეთი ტირაჟებით წიგნი აღარ გამოდის და, თუ ვინმე ორ-სამ ათას წიგნს გაყიდის, ეს უკვე კარგი მაჩვენებელია. კითხვადობის ინტენსივობით ჩვენზე სამჯერ ნაკლებ მოსახლეობაში გამოცემული წიგნების ტირაჟი ოთხჯერ მაღალია. გაეროს მონაცემით, ეკონომიკური განვითარების მხრივ, ჩვენ 112-ე ადგილზე ვართ, უფრო წინა, 79-81-ე პოზიცია გვიკავია ე. წ. ადამიანისეული განვითარების ინდექსით. ბოლო ათი წელიწადია, მოსახლეობის პრიორიტეტად იქცა განათლება. საგრძნობლად მოიმატა ამ მხრივ გაწეულმა ხარჯებმა. ევროკავშირის ქვეყნებში განათლებაზე საშუალოდ იხარჯება მთლიანი შიდა პროდუქტის 5,8%, ხოლო ჩვენთან – 3,2 %. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საშუალო ფენა თითქმის არ არსებობს და მოსახლეობის უმეტესობას საკმაოდ დაბალი შემოსავალი აქვს, საკმაოდ მაღალია მოსახლეობაში განათლების მიღების მოტივაცია. ქართველი შეიძლება მშიერი დარჩეს, მაგრამ ცდილობს შვილს კარგი განათლება მისცეს, რაც რა თქმა უნდა, კარგი ტენდენციაა. ხარჯების ნუსხაში ასევე მნიშვნელოვანია ჯანდაცვა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გადასვლასთან დაკავშირებით არ დაჯამებულა ბოლო მონაცემები, მაგრამ 2013 წლის მონაცემებით საქართველო არის იმ ქვეყნების პირველ ათეულში, სადაც ჯანდაცვაზე გაღებულ ხარჯებში მოსახლეობის წილი 69%-ია. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა კომუნიკაციების მოხმარების მაჩვენებელი. შესაძლოა, სტუდენტს საშუალო ოჯახიდან არ ჰქონდეს ტრანსპორტის ფული, მაგრამ უნდა ჰქონდეს კარგი მობილური ტელეფონი.

**– თქვენი მონაცემებით, საქართველოში მილიონ ასი ათასი ოჯახია და თითქმის 900 000 ავტომობილი. ეს სტატისტიკა რაზე მეტყველებს?**

– ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო და უფრო იზრდება ავტომობილების კონცენტრაციის ოდენობა თითოეულ ოჯახზე. იმატებს ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომელთა მფლობელობაში ერთზე მეტი ავტომობილია. ევროპული სტანდარტით, განვითარებულ ქვეყნად ითვლება ის ქვეყანა, სადაც კომუნალური საზოგადოებრივი ტრანსპორტი არის მოწესრიგებული და არა ის, სადაც ბევრი ავტომობილია. ამის მაგალითად მოვიყვან ჟენევას, რომელიც მილიონერთა ქალაქია და სადაც ცხოვრების დონე ძალიან მაღალია, განვითარებულია ყველა ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტი: ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი. ჩვენი სტატისტიკა ამ მხრივ მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს – ჩვენ გვჭირს პროვინციული სნობიზმი; ჩვენ არც ისეთი მდიდრები ვართ, რომ ამდენი ავტომობილით მოვიწონოთ თავი ***(იცინის)***. ჩვენთან დღეს ტენდენციებად იქცა საბანკო ვალებით ავტომობილების შეძენა, იპოთეკით ქონების დატვირთვა. მე ამის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ერთ სტატისტიკას მოვიშველიებ – მეორე კვარტალში ჩვენმა საბანკო სექტორმა ხელში ჩაიგდო კერძო მესაკუთრეთა 86 მილიონი ლარის ქონება, საგრძნობლად გაიზარდა მოვალეთა რეესტრში შეტანილ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა რაოდენობა. ჩვენ ვიღებთ ვალებს ისე, რომ ხშირად არ გვაქვს გაცნობიერებული მათი გადახდის გზები და საშუალებები. ჩვენ საბაზრო ეკონომიკაში ფონს გასვლა გვინდა იმ წესებით, რითაც არ გვიცხოვრია, ასე კი არ გამოდის.

**თამუნა ნიჟარაძე**

**მიხარია, როცა იმ ქართველების წარმატებებზე ვიგებ, საქართველოს საზღვრებს გარეთ რომ შრომობენ, თავს არ ზოგავენ და ცდილობენ, თავისი ნიჭიერებით გაუთქვან სახელი საკუთარ ქვეყანას უცხოეთში. მსახიობი, სპორტსმენი, სცენარისტი და რეჟისორი – ბექა სიხარულიძე ამერიკაში, ერთ-ერთი ქართველია, რომელსაც ფილმებსა და სერიალებში იღებენ, ნელ-ნელა წინ მიიწევს და ახლა, საკუთარი სცენარითაც გადაიღო ფილმი. ბექა ახლახან დაოჯახდა მაია გუშარაშვილზე, რომელიც, ასევე ამერიკაში ცხოვრობს. ის დიდი ხანია, ოჯახის შექმნაზე ფიქრობდა და, გვიხარია, რომ, როგორც იქნა, იპოვა თავისი შესაფერისი მეწყვილე ცხოვრების გზაზე. ჩვენი ჟურნალი ულოცავს გაბედნიერებას და ულევ სიხარულს, სიყვარულსა და ბედნიერებას უსურვებს.**

# როგორ აღმოაჩინა ცხოვრების თილისმა შორეულ ამერიკაში ბექა სიხარულიძემ და რით ანებივრებს რომანტიკული ქმარი ახალშერთულ ცოლს

**ბექა სიხარულიძე**: ზოგადად, ქალს და ქართულ ტრადიციებს ძალიან დიდ პატივს ვცემ. ამერიკაში წლებია, ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ. თუმცა, როგორც კი თავისუფალი დრო მაქვს, ეგრევე თვითმფრინავის ბილეთს ვიღებ და თბილისისკენ გამოვრბივარ.

**– საკმაოდ დიდხანს არჩევდი საცოლეს და მიხარია, რომ როგორც იქნა, იპოვე შენი მეორე ნახევარი და დაოჯახდი. გილოცავ!**

– დიდი მადლობა მოლოცვისთვის. 36 წლის ვარ და უკვე დრო იყო დავოჯახებულიყავი. თან, სულ ვამბობდი, მე ქართველი ცოლი მინდა, ტრადიციულად აღზრდილი, ჭკვიანი და ლამაზი-მეთქი. აი, სწორედ ასეთია ჩემი მეუღლე. მაია ამერიკაში ცხოვრობს და მუშაობს წლებია. მასთან ჩემმა უახლოესმა მეგობარმა დამაკავშირა. ჯერ ტელეფონით ვსაუბრობდით და ვმეგობრობდით.

**– მაიაც ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა?**

– არა, მაიკო ნიუ-იორკში ცხოვრობდა, მე კი – ლოს-ანჯელესში და მხოლოდ სატელეფონო საუბრები გვქონდა. მთელი ექვსი თვის განმავლობაში ვსაუბრობდით, მერე კი მე ჩავფრინდი, პირადად გავიცანი და ამის შემდეგ, მთელი ორი წელი ვმეგობრობდით. სუფთა, წმინდა მეგობრობა გვაკავშირებდა. პროფესიით ფინანსური ანალიტიკოსია და მუშაობს თავისი პროფესიით.

**– რატომ გადაწყვიტე, რომ უცნობ გოგონასთან დაგერეკა და გესაუბრა. პირადად, ხომ არ იცნობდი მას?**

– იმდენი კარგი რამ მითხრეს მაიკოზე, დავინტერესდი. ამიტომაც, დავურეკე. თან, მისი სურათიც ვნახე და მომეწონა. სატელეფონო საუბრებით მივხვდი, რომ ძალიან საინტერესო ადამიანი იყო. ისე დაგვთენებია, აღარ გვინდოდა ხოლმე ტელეფონის გათიშვა ***(იცინის).*** არადა, ჩემი ქალაქიდან მის ქალაქამდე, ხუთი საათი უნდა ფრენას. სხვა რომ ყოფილიყო – ნებისმიერი ქალი, ამ დროს ნამდვილად არ დავკარგავდი ფრენაში. აი, ეს არის სიყვარული! რომ შევხვდი, იმწუთას მივხვდი, ეს ადამიანი ჩემი იყო.

**– სიყვარული როგორ აუხსენი? როდის მიხვდი, რომ თავდავიწყებით გიყვარდა?**

– არ გვითქვამს ერთმანეთისთვის მომწონხარ ან მიყვარხარო. თუმცა, დიდი ხანია ორივეს გაცნობიერებული გვქონდა, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. ერთი წელია, მაია ლოს-ანჯელესში გადმოვიდა საცხოვრებლად. მე მანამდე, საქართველოში ვიყავი, ფილმი გადავიღე. აქ რომ ჩამოვედი, დავურეკე და ვუთხარი, საქმე მაქვს, იქნებ შევხვდეთ და ვილაპარაკოთ-მეთქი. დამთანხმდა, შევხვდით და პირდაპირ ვუთხარი, გადავწყვიტე ცოლი მოვიყვანო-მეთქი. მკითხა, ვინ არისო. ვუპასუხე,



**იმდენი კარგი რამ მითხრეს მაიკოზე, დავინტერესდი და ამიტომაც, დავურეკე. თან, მისი სურათიც ვნახე და მომეწონა**

ქართველი გოგოა და იმედია, ამით ჩვენი მეგობრობა არ შეწყდება, ჩემი დაოჯახება მეგობრობაში ხელს არ შეგვიშლის-მეთქი. ვერ მიხვდა, იმდენად მოულოდნელი იყო ჩემგან ეს სიტყვები. მითხრა, გისურვებ დიდ ბედნიერებას შენ და შენს მეუღლეს; ვინ არის, ამდენი ხანია ვმეგობრობთ და მის შესახებ არასდროს, არაფერი გითქვამსო. გამეცინა და ვუთხარი, შენ მას იცნობ, ქართველია და მის სახელს და გვარსაც გეტყვი – მაია გუშარაშვილია-მეთქი. არ დაიჯერა, გაოგნდა ***(იცინის).*** სიურპრიზი იყო ეს სიტყვები მისთვის ჩემგან.

**– რომანტიკული ქმარი თუ ხარ?**

– საერთოდ რომანტიკული ვარ და თუ მიყვარს, ეს გრძნობა მიორმაგდება. თან, საინტერესო მაშინ ხარ, თუ ნებისმიერ ურთიერთობაში რომანტიკული ხარ. რომანტიკა არ ნიშნავს, რომ ცნობილი ბრენდის ჩანთა ან ხუთკარატიანი ბრილიანტის ბეჭდები უყიდო ყოველკვირა ცოლს. ჩემთვის რომანტიკა საწოლზე დადებული ერთი ვარდია.

**– გავიგე, შენს საყვარელ ცოლს, საკმაოდ ძვირად ღირებული მანქანა უყიდე. იცოდი, რომ უნდოდა, თუ უბრალოდ, სიურპრიზი გაუკეთე?**

– დიახ, ახლად შერთულ ცოლს, მანქანა ვუყიდე. სიურპრიზი გავუკეთე, მაგრამ არ მიფიქრია, რომ ეს ჩვენს სიყვარულს უფრო გაამძაფრებდა. უბრალოდ, სურვილი მქონდა და გავუკეთე საჩუქარი. მას ეს არ უთხოვია, პირიქით, ის სულ ცდილობს, მე მასიამოვნოს და გამანებივროს საჩუქრებით. არასდროს მთხოვს რაიმეს ყიდვას. აბა, ცოლი რომ მომეყვანა და ეთქვა, მე ეს მინდა და მიყიდეო, ერთ ადგილას დავცხებდი პანჩურს და გავაგდებდი ***(იცინის).*** რაც შეეხება მანქანას, მინდოდა, სიურპრიზი გამეკეთებინა – მიმეყვანა ჩუმად და გასაღები მიმეცა სახლში. მაგრამ, არ გამოვიდა. აქ ცოტა სხვანაირი კანონებია, ვისიცაა მანქანა, მან უნდა გააფორმოს საბუთები. თან, ოფიციალურად ხელი არ გვაქვს მოწერილი. ამიტომ, ვუთხარი, ჩემთვის გამომყავს მანქანა და შენზე გავაფორმოთ-მეთქი. დაიჯერა. რომ გამოვიყვანეთ, მერე მივეცი გასარები, ეს შენია-მეთქი და გადაირია ***(იცინის).*** „მერსედესია" „ე" კლასის და საკმაოდ ძვირად ღირებული, სულ მთლად ახალი, 2014 წლის.

**– რა შეცვალა მაიამ შენს ცხოვრებაში?**

– ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცალა, რაც მაია ჩემს გვერდითაა და ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ. ორი წლის განმავლობაში, რაც მას ვიცნობ, წარმატებებსაც ადვილად ვაღწევდი და მგონი, ეს ადამიანი ჩემი ცხოვრების თილისმაა ***(იცინის).*** მაია, ასაკით ჩემი ტოლია, ხასიათებითაც ვუგებთ და გვერდში ვუდგავართ ერთმანეთს, ნებისმიერ საკითხში. მისი შემოსვლა ჩემს ცხოვრებაში, ნამდვილად იღბლიანია და მადლობა, ამისთვის ღმერთს. მე გვერდით ქართველი, ტრადიციებზე აღზრდილი, ჭკვიანი, ლამაზი ცოლი მინდოდა და აღმოვაჩინე შორეულ ამერიკაში.

**– ამ ურთიერთობის დაკანონებას, ანუ ქართულ ტრადიციულ ქორწილს როდის გეგმავთ?**

– გადავწყვიტეთ, რომ ქორწილის გადახდა არ გვინდა. ამერიკაში გვინდოდა ხელის მოწერა, მაგრამ საქართველოში ვაპირებთ ჩამოსვლას სულ მალე და მანდ, ჩვენს მიწაზე, მოვაწერთ ხელს ტრადიციულად, ახლობლების გარემოცვაში. მე გადაღებები მაქვს და ამიტომ, ჯერ ვერ ვიცლი. იმედია, საახალწლოდ დასვენება მექნება და მაშინ მოვახერხებთ ჩამოსვლას, ჯვრისწერასაც და ხელის მოწერასაც. სხვათა შორის, ჯვრის დაწერას ვაპირებთ, მაგრამ 500-კაციანი ქორწილი, ნამდვილად არ გვექნება. უბრალოდ, ხელს მოვაწერთ, ჯვარს დავიწერთ და დიდხანს ბედნიერად ვიცხოვრებთ.

**– მაია თეთრ, საქორწილო კაბას ჩაიცვამს?**

– არა, მაია, თეთრ საქორწილო კაბას არ ჩაიცვამს, სადად იქნება გამოწყობილი. უბრალოება ორივეს გვიყვარს და გადამეტებას არ ვაპირებთ. ერთი თვეა, ერთად ვცხოვრობთ. არც თაფლობის თვე გვქონია დიდხნიანი. ერთი დღით ვიყავით წასულები ლოს-ანჯელესიდან ერთი საათის სავალ კურორტზე, რომელსაც ბილიკანის მთა ჰქვია. მოკლედ, ასეთი მინი თაფლობის თვე გვქონდა. ჯვრისწერის მერე კი დიდხნიან, მაგარ დასვენებას ვგეგმავთ სრული კომფორტით – კუნძულებზე, მაგრამ ამას ჯერ ვერ გავამხელთ. ასე რომ, ორი თაფლობის თვე გამოგვივა ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

**კარგა ხანია, ყველასთვის საყვარელ კომპოზიტორსა და შემსრულებელს, დათო ევგენიძეს არ გავუნებივრებივართ კონცერტებითა და ინტერვიუებით. საქმე ისაა, რომ ის წელიწადნახევრით მოსკოვში იმყოფებოდა და სულ ახლახან დაბრუნდა. თუ რას საქმიანობდა ცნობილი კომპოზიტორი მოსკოვში, რა სიახლეებია მის კარიერაში და როდის დაგვპატიჟებს დათო ევგენიძე თავის საიუბილეო კონცერტზე, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# როგორ აპირებს დათო ევგენიძე საქართველოს აოხრების გამო, თემურ ლენგისთვის სამაგიეროს გადახდას

**დათო ევგენიძე**: მოსკოვში დროებით გავემგზავრე – ჩემი მეგობრის, ფედიას – ფიოდორ ბანდარჩუკის დაბადების დღეზე. ჯერ მეილებით, მერე ტელეფონით, მერე სკაიპით ამაფეთქეს და რატომღაც ვიფიქრე, რომ საიუბილეო თარიღი იყო. რომ ჩავედი, აღმოჩნდა რომ 47 წლის გამხდარა. ბევრი სიურპრიზი დამახვედრა. „არტ პიქჩერს" არის მათი სტუდია, რომელიც 20 წლის წინ დაარსდა და მართლა 24 საათი ერთად ვიყავით იმ წლებში. დაბადების დღეზე მისვლისთანავე მიკროფონში გამოაცხადა დათო იყო ერთ-ერთი ის, ვისთან ერთადაც თავის დროზე, კინოსტუდიას ვხსნიდით და დათო იქნება დღეს ამ საღამოს მთავარი პროდიუსერიო. არადა, წინასწარ არ ვიყავი გაფრთხილებული. ამ დაბადების დღეზე თავი მოიყარა მთელმა რუსულმა ბოჰემამ.

ამის შემდეგ ესპანეთში „მარბელაზე," ფესტივალ made in ussr-ის მუსიკალურ პროდიუსერად გამომაცხადეს. ასევე, სტუდია გაიხსნა, რომელსაც ერქვა: „სტუდია დატო ევგენიდზე ი ფიოდორა ბონდორჩუკა".



თბილისელობა იყო აზროვნების კოეფიციენტი

**– რამდენ ხანს დარჩით მოსკოვში?**

– წელიწად-ნახევარი *(იცინის)*. ახლაც გადის ORT-ზე ფილმი „სუდია", რომლის კომპოზიტორიც მე ვარ, რეჟისორი კი – ლევან კოღუაშვილი. საერთოდ, იქ ყოფნის პერიოდში 9 ფილმისთვის დავწერე მუსიკა.

**– ერთ-ერთი აქაც გადის ქართულად გახმოვანებული – „უკანასკნელი მაგიკიანებიდან". საკმაოდ შეიყვარა ეს პროდუქტი ქართველმა მაყურებელმაც.**

– ეს რეზო გიგინეიშვილის ნამუშევარია. წესით ამ ფილმისთვის სუფთა სომხური მუსიკა უნდა შემექმნა, მაგრამ მე თბილისურ-სომხური გამომივიდა.

მიყვარს თბილისი. სადაც კი დავდიოდი ცხოვრების განმავლობაში, ხან კანარის კუნძულებზე დავრჩი კონტრაქტით, ხან – ესპანეთში, ხან კიდევ სად, ვერსად ვერ ვძლებდი დიდი ხნით. დრო მოდიოდა და მე ვბრუნდებოდი თბილისში. თბილისელობა იყო აზროვნების კოეფიციენტი, რომელიც, სამწუხაროდ, ახლა ცოტა დანგრეული მეჩვენა.

**– საინტერესოა, წელიწად-ნახევრის შემდეგ ჩამოსულს, რა მოგხვდათ ყველაზე მეტად თვალში?**

– ქუჩაში ძალიან ბევრ წვერიანს ვხედავ – 17-25 წლამდე, სტუდენტური პერიოდის ბიჭებს. მაგ ასაკში, ჩემს დროს, წვერს იშვიათად თუ ვინმე ატარებდა. ახლა ათიდან 8 წვერიანია. წვერი ქვეცნობიერად ასოცირდება გლოვასთან, ომთან, თვითგვემასთან, მარხვასთან. ამ ფაქტმა, ამ თაობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ჩამაფიქრა. ზუსტად არ ვიცი, რა არის მიზეზი, – მოდა თუ ფსიქოლოგიური შედეგი. მოდა ჯობია. მოდა ბევრად უწყინარია, ვიდრე სტრესული, ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

**– რუსეთში რა სიტუაციაა?**

– რუსეთში, მით უმეტეს, ყირიმის დაბრუნების შემდეგ, ხალხში ნაციონალური და იმპერიული შეგრძნებები ძალიან გამძაფრდა.

**– ამიტომ ხომ არ წამოხვედით?**

– მაგიტომ წამოვედი. პირადად ჩემს მიმართ არაჩვეულებრივი დამოკიდებულება ჰქონდათ, ახლაც დღეში 10 პროდიუსერი მაინც მირეკავს შემოთავაზებებით. ძნელია, იყო ქართველი – მარტო დათო ევგენიძე და ცხოვრობდე ქვეყანაში, სადაც შეიძლება, შენს ქვეყანაზე ცუდი თქვან. ეს იგივეა, რომ ჩემზე თქვან. ჩემი მეორე ქალაქია მოსკოვი. 1977 წელს ჩავაბარე იქ კონსერვატორიაში, ასპირანტურაც იქ დავამთავრე. ორმოცამდე რუსული ფილმისთვის მაქვს მუსიკა დაწერილი. ვფიქრობ, ჩვენს შორის პოლიტიკა არის ხისტი ოცდამეერთე საუკუნისთვის.

**– ერთი პერიოდი „ხვანჩკარა" და „ბორჯომი" რომ ამოიღეს ექსპორტიდან და „ჩიტო-გვრიტო" და „მიმინოც" გაუნაწყენდათ, მაინც?**

– როგორც კი დაბრუნდა ქართული ღვინოები და „ბორჯომი", ეგონათ, ვერ დაიმკვიდრება ბაზარზე ადგილს, მაგრამ იმდენად უყვართ რუსებს, რომ კარგად იყიდება. თან, საკმაოდ ძვირი ღირს ქართული ღვინო სხვა ღვინოებთან შედარებით.

რისი ნოსტალგიაც აქვს ზოგიერთ თაობას საბჭოთა კავშირის დროიდან ის რუსეთი აღარ არსებობს. ის მოსკოვი აღარ არის. ახლა როგორაა იცით, ადრე თუ ჩადიოდა ქართველი კაცი მოსკოვში ერთი დიპლომატი კონიაკით და იქ ქარხანაში 100-მილიონიან საქმეს აკეთებდა, ახლა იქითა მხრიდან ზის რუსი ოლიგარქი, რომელსაც ოქროს უნიტაზი უდგას და ლატოია ჯექსონი და ჯენიფერ ლოპესი ჩამოჰყავს დაბადების დღეზე ჩუმად თავის აგარაკზე.

**– როგორც შევიტყვე, ვიზის გასაგრძელებლად ყოფილხართ ჩამოსული და წასვლას რომ აპირებდით, აეროპორტიდან გამობრუნებულხართ. ეს მანამ, სანამ სულ ჩამოხვიდოდით. რა იყო ამის მიზეზი?**

– ამის მიზეზი იყო ჩემი დაბადების დღე. ვაპირებდი იქ გადამეხადა, მაგრამ აეროპორტში მივხვდი, რომ აქ მინდოდა და ამიტომ გამოვბრუნდი. გადავიხადე დაბადების დღე აქ, ჩემი მეგობრების გარემოცვაში და მერე წავედი. სხვათა შორის, საიუბილეო ასაკი მაქვს, 55 წლის გავხდი.

**– როდის ხართ დაბადებული?**

– 2 დეკემბერს და 1 დეკემბერს ვაპირებ, კონცერტის ჩატარებას. მინდა, რუსთაველის თეატრში ჩავატარო, ვნახოთ...

**– კიდევ რა სიახლეები გაქვთ?**

– ახლახან ჩემი ლექსების წიგნი გამოვიდა. ჯერ გაყიდვაშიც არ არის. „საქართველოს ფოსტა" ჰქვია.

**– იმედი მაქვს, ეს წიგნი საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს წიგნის ბაზარზე.**

– ვნახოთ... არსებობს ლეგენდა, ბაირონი თურქეთ-საბერძნეთის ომში რომ წავიდა საომრად, იქ მონათა ბაზარზე, ერთ-ერთი ქართველი თავადიშვილი შეისყიდა, გაათავისუფლა და ვიღაცა ბერს გამოატანა საქართველოში. ამ ისტორიას მოვაყოლე მოთხრობასავით, რომელსაც ახლა ვწერ.

კიდევ სიახლე ის არის, რომ კინოს ვიღებ მე თვითონ, როგორც რეჟისორი. სცენარი თითქმის დამთავრებული მაქვს. მოქმედება პარიზში ხდება. ფილმს ჰქვია „ევროპა". ეს ქალის სახელია, რომელიც ქართველ და რუს გმირს უყვარს. მომავალი წლის აგვისტოში იწყება გადაღებები.

**– მოსკოვში ოჯახთან ერთად იყავით წასული?**

– კი, ერთად ვიყავით – მე და ჩემი ცოლშვილი. უფრო სწორად, ბიჭები მყავდა წაყვანილი, გოგოები გათხოვილები არიან. 5 შვილიშვილი მყავს, – 3 პარიზში უფროსი გოგოსგან, 2 ლიკასი – ამერიკაში.

**– როგორი ბაბუა ხართ?**

– ცუდი ბაბუა ვარ. ერთი შვილიშვილი მყავს მარტო ნანახი. ჩემი უმცროსი შვილი და ერთ-ერთი შვილიშვილი ტოლები არიან. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ჩემს შვილიშვილებს ასეთი სახელები ერქმეოდათ: ესთერი, ითანი, ვიქტორია, ანა-სოფია და ალექსანდრე. იმედი მაქვს, საქართველოში მშვიდობა იქნება და ერთ დღეს ყველანი ერთად მოვიყრით თავს. ამაზე ბევრად რთული პერიოდები გვაქვს გავლილი, ჯერ მარტო თემურ ლენგის ლაშქრობები გავიხსენოთ. რვაჯერ აგვაოხრა. თემურ ლენგზე კინოს იღებენ ჰოლივუდში და მე ვწერ ამ კინოსთვის მუსიკას. იქ დავსჯი, იმ მუსიკით გადავუხდი სამაგიეროს. „უნივერსალ პიქჩერსი" იღებს, საკმაოდ დიდბიუჯეტიანი ფილმია. რამდენიმე თემურ ლენგია, სხვადასხვა ასაკში. ბოლოს, სიბერეს, ჯეკ ნიკოლსონი თამაშობს. რუსებმა დაიჩემეს, რომ თემურ ლენგი რუსი იყოო.

**– დედით?**

– არ ვიცი, ამბობენ რუსი იყოო და არც მონღოლური გარეგნობის და თვალის ჭრილი ჰქონიაო. არადა ყველა გრავიურაზე მონღოლური გარეგნობითა და თვალის ჭრილითაა გამოსახული. თემურ ლენგის რუსობაზე თავის თეორიებსაც გვთავაზობენ.

**– როგორი იქნება 1 დეკემბერს თქვენი საიუბილეო კონცერტი?**

– მე ხომ კონცერტებს არ ვიმეორებ. ყველა კონცერტი ერთხელ იკვრება. ესეც ახალი იქნება, რაც აქამდე არ ყოფილა. არ ვატარებ ხშირად კონცერტებს. თუ მუსიკამ არ დაგაფიქრა... ზოგს ჰქონია, რომ მუსიკა მარტო კარგ განწყობაზე უნდა გაყენებდეს. არადა, მუსიკა ყველაზე აბსტრაქტული და კოსმიური მესიჯია.

**ეკა სალაღაია**

# ალკოჰოლი და ღვიძლი



## ნაბახუსევის სინდრომი და ღვიძლის ალკოჰოლური დაზიანება

**ღვიძლის დაზიანების ერთ-ერთ უხშირეს მიზეზს ალკოჰოლის ჭარბი ან სისტემატიური მოხმარება წარმოადგენს. ალკოჰოლი არღვევს ლიპიდების მეტაბოლიზმს, რის გამოც ცხიმები ლაგდება ღვიძლის უჯრედებში და იწვევს ღვიძლის ცხიმოვანი დაზიანების, ალკოჰოლური ჰეპატიტის და მოგვიანებით, ციროზის განვითარებას. ალკოჰოლის სისტემატურად მომხმარებელთა თითქმის 100%-ს აღენიშნება ალკოჰოლური ცხიმოვანი ღვიძლი, 35%-ს - ალკოჰოლური ჰეპატიტი, ხოლო 10-20%-ს - ალკოჰოლური ციროზი.**

**რა ფაქტორები უწყობს ხელს ღვიძლის ალკოჰოლურ დაზიანებას?**
ალკოჰოლის მეტაბოლიზმის პროდუქტები ძლიერ ტოქსინებს წარმოადგენენ და ახასიათებთ ძლიერი ჰეპატოტოქსიური მოქმედება - აზიანებენ ღვიძლის უჯრედებს. ამიტომ, ალკოჰოლის სისტემატურად და ჭარბად გამოყენებისას ვითარდება ღვიძლის ალკოჰოლური დაზიანება.

ყველა ადამიანის ორგანიზმი ინდივიდუალურია და სხვადასხვაგვარად რეაგირებს ალკოჰოლის მიღებაზე. ღვიძლის დაზიანების ხარისხი და სიმძიმე ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინდივიდუალურ მგრძნობელობაზე, ალკოჰოლის დოზასა და მისი მოხმარების ხანგრძლივობაზე. ალკოჰოლით ღვიძლის დაზიანებას ხელს უწყობს ჭარბი წონა, დიაბეტი, ისეთი პრეპარატების მიღება, რომლებიც ასევე აზიანებენ ღვიძლს (ანტიბიოტიკები, სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები და ა.შ).

**რას გულისხმობს ალკოჰოლის ჭარბად მიღება?**
ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება გულისხმობს დღეში 30 გ-ზე მეტი სუფთა ალკოჰოლის მიღებას, რაც შეესაბამება 200-300 მლ ღვინოს, 400-500 მლ ლუდს, 70-80 გ არაყს ან მაგარ სასმელებს. ამ რაოდენობაზე მეტი ალკოჰოლის მიღება, განსაკუთრებით თუ ეს რეგულარულ ხასიათს ატარებს, იწვევს ღვიძლის დაზიანებას, თუმცა სიმპტომები სხვადასხვა ინტენსივობით ვლინდება და კლინიკურად ღვიძლის დაზიანება შესამჩნევი ძალიან გვიან ხდება.

**რა ნიშნები და სიმპტომები ახასიათებს ღვიძლის ალკოჰოლურ დაზიანებას?**
ღვიძლის ალკოჰოლური დაზიანება შესაძლოა თავიდან უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს. პირველად შეიძლება გამოვლინდეს ცხიმიანი საკვების აუტანლობა, მცირე დისკომფორტი ან ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში, რასაც თავიდან სიმპტომური ხასიათი აქვს, ხოლო შემდეგ მუდმივად რჩება. ისეთი სიმპტომები, როგორებიცაა ზოგადი სისუსტე, მოთენთილობა, ძილის დარღვევა თავის ტვინზე ტოქსინების უარყოფითი მოქმედების გამოვლინებაა. ალკოჰოლური ჰეპატიტის ან ციროზის განვითარებაზე მიუთითებს: კანისა და ლორწოვანი საფარველის სიყვითლე, შეშუპება, მომატებული ტემპერატურა, ასციტი, ღვიძლის და/ან ნაღვლის ბუშტის გადიდება.

**რა არის ნაბახუსევის სინდრომი?**
ღვიძლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას დეტოქსიკაციური მოქმედება წარმოადგენს. ღვიძლი ახდენს გარემოდან მიღებული (ალკოჰოლი, პრეპარატები, საკვები) და თავად ორგანიზმში წარმოქმნილი (სხვადასხვა ნივთიერებების და უჯრედების მეტაბოლიზმის პროდუქტები) ტოქსინების გაუვნებელყოფას. ალკოჰოლით გადატვირთვის შედეგად ღვიძლი ველარ მუშაობს სრულყოფილად და ვერ უმკლავდება როგორც გარედან მიღებულ ასევე, ორგანიზმში წარმოქმნილ ტოქსინებს. ამის გამო, ტოქსინები უარყოფით გავლენას ახდენენ თავის ტვინზე და ვლინდება ნაბახუსევის სიმპტომები: თავის ტკივილი, გულისრევა, ღებინება, კონცენტრაციის უნარის დაქვეითება.

ალკოჰოლის რეგულარული მიღებისას ნაბახუსევის სიმპტომები გაცილებით ინტენსიურია, რადგან ღვიძლი თანდათანობით კარგავს უჯრედების აღდგენის უნარს.

**როგორ ხდება ღვიძლის ალკოჰოლური დაზიანების თავიდან აცილება და მკურნალობა?**
პირველ რიგში, აუცილებელია ალკოჰოლის მიღების შეწყვეტა და ღვიძლის დამზოგველი დიეტის დაცვა. მედიკამენტურ მკურნალობაში უპირატესობა ენიჭება დეტოქსიკაციას და ღვიძლის დამცავი პრეპარატების გამოყენებას, როგორიცაა ჰეპა-მერცი.

ჰეპა-მერცი არის უნიკალური, ჭკვიანი პრეპარატი ღვიძლისთვის მოქმედების ორმაგი მექანიზმით. ყველა სხვა მსგავსი პრეპარატებისგან განსხვავებით, ჰეპა-მერცი არა მარტო იცავს ღვიძლის უჯრედებს დაზიანებისგან, არამედ ეხმარება ალკოჰოლით დაზიანებულ ღვიძლის უჯრედებს აღდგენასა და ნორმალურ ფუნქციონირებაში.

ჰეპა-მერცით ხანმოკლე თერაპიული კურსის ჩატარება სასურველია ალკოჰოლის მიღებამდე და ნებისმიერი სიმძიმის ნაბახუსევის სინდრომის დროს, განსაკუთრებით ღვიძლის უკვე არსებული დაავადებების (ჰეპატიტი, გაცხიმოვნება, ციროზი) ან დაზიანების ხელშემწყობი ფაქტორების არსებობისას, როგორიცაა სიმსუქნე, დიაბეტი, ჰეპატოტოქსიური პრეპარატების მიღება.

ნაბახუსევის სინდრომის დროს, ჰეპა-მერცი ერთის მხრივ, ეხმარება ღვიძლს ადვილად გაუმკლავდეს მიღებულ ალკოჰოლს და იცავს მას დაზიანებისგან, ხოლო მეორეს მხრივ, ხელს უწყობს ღვიძლის უჯრედების ფუნქციონირებას და მათი მუშაობის გაძლიერების ხარჯზე უზრუნველყოფს ორგანიზმის დეტოქსიკაციას. სწორედ ამიტომ, ჰეპა-მერცი ეფექტურად ამცირებს ნაბახუსევის სიმპტომების ინტენსივობას და ხანგრძლივობას.

ალკოჰოლის რეგულარულად გამოყენებისას, ღვიძლის დაზიანების შესამცირებლად, პერიოდულად აუცილებელია ჰეპა-მერცის მიღება. ჰეპა-მერცის თერაპიული კურსის მინიმალური ხანგრძლივობა არის 10 დღე, თუმცა მკურნალობა სასურველია გაგრძელდეს 30 დღის განმავლობაში.

ჰეპა-მერცი აღადგენს ალკოჰოლის რეგულარულად მიღებით დაზიანებული ღვიძლის უჯრედების ნორმალურ ფუნქციონირებას, აფერხებს ღვიძლის ალკოჰოლურ დაზიანებას და ციროზის განვითარებას.

ჰეპა-მერცის მიღება უსაფრთხოა 12 წლის ასაკიდან. არ არის რეკომენდებული ორსულობის და ძუძუთი კვების დროს.

ჰეპა-მერცი შექმნილია გერმანული ფარმაცევტული კომპანია "Merz Pharma"-ს მიერ და საქართველოში ანალოგი არ ჰყავს.

სტატია მოამზადა:
"პროგრესული ექიმების გაერთიანება"
www.Med-Doctor.net




გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

# ბრძნული აზრები

**დოსტოევსკი**: ერთმანეთი რომ გიყვარდეთ, უნდა ებრძოლოთ საკუთარ თავს.

**დარვინი**: ნურასდროს დაუმეგობრდები იმ კაცს, რომელიც შენი პატივისცემის ღირსად არ მიგაჩნია.

**საადი**: არ ჰკითხო შენს ნაკლოვანებებზე მეგობრებს – გაჩუმდებიან და არ გიპასუხებენ. უკეთესია, გაიგე, რას ამბობენ შენ შესახებ შენი მტრები.

**ლესინგი**: ყველაზე ნაკლები მადლი ცხოვრებაში – ქონებაა, ყველაზე დიდი – ცოდნა.

**სენეკა**: პირველი მიზეზი უბედურებისა ისაა, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ მადლიერების სათანადოდ გადახდა.

**ვინკელმანი**: სიტყვის ხელოვნებაში ბევრის თქმა კი არ არის ძნელი, არამედ ცოტას თქმა.

**რენანი**: კარგად ლაპარაკი ხმამაღლა კარგად ფიქრს ნიშნავს.

**ფრანკლინი**: სიმდიდრე, რაც მთავარია, დამოკიდებულია ორ რამეზე: შრომისმოყვარეობასა და ზომიერებაზე. სხვანაირად შეიძლება ითქვას: ნუ დაკარგავ ნურც დროს და ნურც ფულს, გამოიყენე ის საუკეთესო ვარიანტით.

**ბიორკი**: თუკი ჩვენ ვფლობთ სიმდიდრეს, თავისუფლები და მდიდრები ვართ; თუ სიმდიდრე გვფლობს ჩვენ, ჩვენზე ღარიბი არავინაა.

**ვიტგენშტეინი**: ნუ მოითხოვ ძალზე ბევრს და ნუ გეშინია იმის, რომ შენი სამართლიანი მოთხოვნები არაფერს მოგიტანს.

**დელაკრუა**: მუდმივად და მკაცრად შესრულებული რომელიმე საქმე აწესრიგებს დანარჩენ ყველაფერს ცხოვრებაში და ყველაფერი ამის ირგვლივ ტრიალებს.

**ლომონოსოვი**: ვისაც ცოტა არ შეუძლია, ის ვერც ბევრს გააკეთებს.

**გერცენი**: ცარიელი პასუხები კლავენ სამართლიან კითხვებს და გონებას საქმის ძირითადი არსიდან წყვეტენ.

**ლაროშფუკო**: წარმოუდგენელი სიამოვნებაა, როდესაც საკუთარ თავზე ვსაუბრობთ; თუმცა, ეჭვი იმის შესახებ, რომ, შესაძლოა, ჩვენი მოსაუბრეები იმავე აზრს არ იზიარებენ, არ უნდა გვტოვებდეს.

**ჩეხოვი**: ალბათ, როცა შეყვარებულები ვართ, ეს არის ადამიანის ნორმალური მდგომარეობა – შეყვარებულობა მიგვითითებს, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი.

**შვებელი**: ბიოლოგიური სილამაზე პასიური თავდაცვაა.

**ეშენბახი**: ცოტა ცოდნა არ სჭირდება იმას, სხვებთან შენი არცოდნა რომ დამალო.

**სტენდალი**: ქალთან საუბარი ხშირად მეტ ცოდნას გვაძლევს, ვიდრე მეცნიერთან.

# თუ გაიმოიცნობთ

1. ქირურგიის ეს დარგი ინდოეთში აღმოცენდა. ძირითადი პაციენტები ყოფილი დამნაშავეები იყვნენ. **რა დარგი?**

2. ძველი ბერძნები შესანიშნავად იყენებდნენ მშვილდ-ისარს, მაგრამ, ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სპორტის სახეობად არ შეიტანეს, რადგან, ვაჟკაცურად არ მიიჩნევდნენ. **რატომ?**

3. ამით ჩინეთში, ტრადიციისამებრ, წელიწადში ერთხელ, ყველას დასანახავად, იმპერატორიც მუშაობდა. მისი დეტალების მოპარვისთვის ქურდი „ოთხში ამოღებით" ისჯებოდა. ძველ რომში კი ამ იარაღით ქალაქების საზღვრებს აღნიშნავდნენ. **რით?**

4. ცოდნის ერთიან სისტემაში ძველმა ბერძნებმა შეიტანეს: არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა. **რა ერქვა ამ სისტემას?**

5. როდესაც საფრანგეთის მეფე ცოლს ირთავდა, სადედოფლო მას უგზავნიდა თავის კაბას, ხელთათმანსა და ფეხსაცმელს. **რატომ?**

6. **რა ბრძანება გასცა** ჩინელმა იმპერატორმა, რათა ისტორიკოს სიმა ციანს ყურადღება არ გაფანტვოდა და სამეცნიერო საქმიანობაში ხელი არ შეშლოდა?

7. მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთში პურის საცხობს სხვა მიზნითაც გამოიყენებდნენ. **დაასახელეთ, რის მაგივრობას სწევდა ის.**

8. პირველი პირამიდის ამგები იმხოტეპი, ფარაონ ჯოსერის მთავარი მინისტრი და ღმერთ ტოტის უმაღლესი ფარაონი, ცნობილი იყო როგორც არქიტექტორი და ექიმი. სიკვდილის შემდეგ თავად ის გამოაცხადეს ღმერთად და ეს იყო ერთი იშვიათ შემთხვევათაგანი, როცა მისი კულტი საბერძნეთსა და რომშიც მიიღეს. **დაასახელეთ მისი რომაული სახელი.**

9. ძველი ეგვიპტელები ამისგან პირამიდების ასლებს აკეთებდნენ; დიდმა მიქელანჯელომ მისგან თავისი ცნობილი „პიეტას" მოდელი გააკეთა, იაპონელი პოეტები კი მასზე თავიანთ საუკეთესო ლექსებს წერდნენ და აკვირდებოდნენ, მათ თვალწინ როგორ უერთდებოდა იეროგლიფები მარადისობას. **რა მასალაზეა საუბარი?**

10. ყველა ინდიელი ტომი სხვა ტომის ხალხს გარკვეულ სახელს ურჩევდა. **ვის ეძახდნენ აპაჩები და ნავახები „გრძელ დანებს"?**

*პასუხები იხილეთ 65-ე გვერდზე*

# პოპულარულ ცდომილებათა ლექსიკონი

### ლემინგები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ – ჯგუფურად მიემართებიან ზღვის მორევისკენ

ლემინგები მიეკუთვნებიან მღრღნელთა თაგვების, ბიგების ოჯახს და იმით არიან ცნობილნი, რომ მათი პოპულაციის მკვეთრად გაზრდის (მომრავლების) შემთხვევაში, ისინი მასიურად მიემართებიან ზღვისკენ და ტალღებში იღუპებიან. ეს ხდება არა იმიტომ, რომ მათ თავის მოკვლა აქვთ გადაწყვეტილი (დავუშვათ იმისათვის, რომ დარჩენილ თანამოძმეებს უფრო მეტი საკვები ან მეტი ტერიტორია ჰქონდეთ), არამედ, ასე ვთქვათ, სანავიგაციო შეცდომის გამო. საქმე ისაა, რომ ლემინგები ახალ ტერიტორიებზე დასახლებისას, ხშირად ლახავენ წყლის წინაღობებს – მდინარეებს და ტბებს, ხოლო, როდესაც გზაზე ზღვას გადაეყრებიან, ამას ჩვეულებრივი წყლის წინაღობად აღიქვამენ და უშიშრად მიემართებიან შტურმზე.

ისეც ხდება, რომ ლემინგები ახალი ტერიტორიების ძებნის მომენტში მთების მიუვალ, ციცაბო ფერდობებს ლაშქრავენ.

### სფინქსს ცხვირი ეროზიისა და ტემპერატურის ცვალებადობის შედეგად აქვს დაშლილი

სფინქსს, რომელიც გიზეს პირამიდის გვერდითაა განთავსებული, როგორც ცნობილია, ცხვირი არა აქვს. თუმცა, ვერსია იმის შესახებ, რომ მისი ცხვირი ბუნებრივი პროცესების შედეგად არის დაშლილი, არასწორია. სფინქსს ცხვირი ჩამოატეხეს თურქმა ჯარისკაცებმა მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ქვემეხებიდან სროლაში ვარჯიშობდნენ. ზოგიერთები კი, ამ ვანდალიზმში ბრალს ნაპოლეონის ჯარისკაცებს სდებენ, რომლებიც ასევე ხალისით ილებდნენ მიზანში სფინქსს გენერლის ეგვიპტეში ლაშქრობის დროს (1798-1799 წლები). მაგრამ, ეს მაინც არ არის სწორი, რადგანაც ცნობილია, რომ ნაპოლეონი ძალიან უფრთხილდებოდა და აფასებდა ისტორიულ რელიკვიებს.

### კეტჩუპი

ტომატის საწებლის ეს ვარიანტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩინეთიდან გადმოსახლებულებთან ერთად შევიდა. ჩინელები მას „ეტციაპს" უწოდებდნენ. გერმანელ ემიგრანტთა 25 წლის შთამომავალმა ჰენრი ჯონ ჰაინცმა, ამ ჩინური საწებლის მასობრივი წარმოებისა და ეშმაკური რეკლამის წყალობით, დაამზადა ამერიკული პროდუქტი „კეტჩუპი", რომელიც ასე კარგადაა ცნობილი.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლd1-d8!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




ვაშლი – ვიტამინებია, ვიტამინები – კუნთებია, კუნთები – ძალაა, ძალა – ფულია, ფული – სექსია, სექსი – შიდსია... გინდა ვაშლი?

***

სასაფლაო ერთადერთი ადგილია, სადაც




მთვრალი კაცის დანახვა ნაკლებად შეგაშინებს, ვიდრე პატარა, ბაფთიანი გოგონასი...

***

– რატომ აღარ რეკავ, აღარ გიყვარვარ?

– არა, აღარ ვსვამ...

***

ცოლი დივანზე მიწოლილ ქმარს დაადგა თავზე?

– ზურ... იცი, ტრუსიკი არ მაცვია...

– კარგი ჰო, დავიწყებ მუშაობას და ყველაფერს გიყიდი...

***

ცოლი ქმარს მალაზიაში აგზავნის:

– პური ამოიტანე, კვერცხი თუ იყოს, ათი წამოიღე...

ჩავიდა კაცი მალაზიაში.

– პური მომეცით... კვერცხი გაქვთ?

– კი.

– მაშინ, ათი პური...

***

– კი მაგრამ, რა შეატყვე ამფერი ცოლს, რო ექვიანობ..

– მაგფერი არაფერი, მარა შვილები რაღაც ნამეტანი ლამაზები და ჭკვიანები გვყავს...

***




თუ აიღებ იპოთეკით ერთ მილიონს, მთელი ცხოვრება უნდა იხადო... და თუ მოიპარავ, ციხეში მხოლოდ შვიდი წელი იჯდები... – ეს ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს.

***

– ქალბატონო, როგორ ფიქრობთ, უცნობ მამაკაცს დათანხმდებით სექსზე?

– არა!

– მაშინ, იძულებული ვარ, წარმოგიდგეთ – გელა.

***

პატრული ღამის მორიგეობის დროს.

– გოგონა, თქვენი საბუთები.

– აიღეთ...

– რაზე მუშაობთ.

– Night Butterfly...

– ვერ გავიგე?

– რა გგონიათ, რომ მარტო თქვენ გადაგარქვეს სახელი?

***

– ცოლს რატომ ეყრები?

– წარმოგიდგენია, მთელი ღამე არ მოსულა სახლში, დილით კი მითხრა დაქალთან დავრჩიო.

– მერე რა?

– იტყუება, მაგ კახპა... მის დაქალთან იმ ღამეს მე ვიყავი...

## ანეკდოტი ნუგზარ ყვაშალისგან

სვანმა პირველად წაიყვანა ცოლ-შვილი ზღვაზე. უცებ ბავშვი წამოხტა და ყვირის:



– მამიიი! დედიიი!.. შეხედეთ, რა ჩქარა გარბის კატერი!

მამა წამოჯდა, ხელი მოიჩრდილა, გახედა და წყნარად უპასუხა:

– ისეთი გიჟი რომ მოგდევდეს თხილამურებით, შენ უფრო ჩქარა გაიქცეოდი!

## „მთვარეული“ სპორტსმენის ამბავი

რუსეთის ერთ ქალაქში ვართ ჩემპიონატზე. გადავყევი მეც ხელს. საცხოვრებელში უკომპრომისო დისციპლინაა. გადავყევი მეც ხელს-მეთქი, გითხარით და 20.00 საათზე რომ დავაგვიანე საცხოვრებელში, აფორიაქდნენ თურმე ბიჭები. რომან რურუაა მორიგე ზედამხედველი იმ ღამეს (საერთოდაც, ის იცავდა შინაგანაწესს).

– სადაა ეგაძე? – იკითხა თურმე. ბიჭებმა „გაუადვილეს“ – მოვა, აბა, სად წავაო.

ღამის 2 საათია... შევიპარე და დავიძინე.

– ბიჭო... მალვიძებს მეგობარი მოჭიდავე, – რომანს ვუთხარით შენზე „ლუნატიკია“ და უაზროდ დადისო, აბა რა გვექნა? თუ ძმა ხარ, კაცი არ მოგვამდურო, როგორმე გაამართლე ნათქვამიო.

ვაი შენს ომარს... რაღაც უნდა მოვიმოქმედო. შუაღამეა... ავდექი და თვალდახუჭული დავადექი თავზე მძინარე რომანს და ვაჭერ თითებს მკერდსა და მუცელზე.

გაიღვიძა და წამოხტა:

– რა დღეში ხარ, კაცო, შენ?!

– ააჰ, აჰ, აჰ... – შეუძახეს ბიჭებმა, – არ გააღვიძო, არ გააღვიძო, შეიძლება, გაგიჟდეს და დაგვკბინოს ყველა... ყველას დაგვკბენს! „აპასნია, აპასნი!!!“

რომანი ჭკვიანი კაცია, პატიოსნების ეტალონი და... დაუჯერებია.

„ეს ასე იყოს, მაგრამ „თამაში“ თუ არ გავაგრძელე, მიხვდება“, – გავიფიქრე.

მეორე ღამეა, სპორტსმენებს თავიანთი ხელით გაურეცხავთ რაღაცეები და ფანჯარაზე გაუკიდებიათ გასაშრობად... დავიძინეთ... შუა ღამეს ავდექი, მივედი სარეცხიან ფანჯარასთან თვალდახუჭული.

– გელიიი! – ვიყვირე ისე, რომ თვალს არ ვახელ, ვაფოთიალებ ხელებს. წამოიშალნენ ბიჭები (ვითომ არ იციან), წამოხტა რომანიც. ბიჭებმა ხელი ჩამკიდეს და ტაატ-ტაატით მიმიყვანეს საწოლთან. დავწექი და დამეძინა (ვითომ!). რომანი ჩაწყნარდა, მაგრამ ჯერ სადაა... „თუ თამაშია, ბოლომდე უნდა ვითამაშო“. ცოტა რომ ჩაცხრა და ჩაწყნარდა იქაურობა, ვაცალე და ისევ თვალდახუჭული წამოვდექი ოთახის სიბნელეში. წყალი უნდა დავლიო (ვითომ). შუაში მდგომ მომცრო მაგიდაზე წყლით სავსე გრაფინი დგას. თვალდახუჭულმა გავწიე ხელი, წყლიანი ჭურჭლისკენ, მაგრამ – ბოდიში, რამდენჯერაც გავწიე ხელი, იმდენჯერ მიტია გრაფინმა... გავიგრძელე ხელი – გრაფინი მაინც მშორდება. მალულად გავახილე თვალი და რას ვხედავ, რომან რურუა ნელ-ნელა, ისე რომ (მთვარეული) არ გამაღვიძოს – თავისკენ სწევს გრაფინს. ვითომ დავკმაყოფილდი... ისევ დავწექი და დავიძინე. რომანს მთელი ღამე არ უძინია, საწყალს. ან რა დააძინებდა, ბიჭებს უთქვამთ, ეგ ხომ მთვარეულია და მთვარეული, მაგრამ გაბრაზებულია თქვენზე, ბატონო რომან, და ფრთხილად იყავით, დამუქრებულია, გრაფინი უნდა გლეწო თავშიო... გაათევდა ღამეს, აბა, რას იზამდა.

**ომარ ეგაძის ნაამბობის მიხედვით**
**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

## ნოდარ დუმბაძის ნაამბობი




წითელი პარასკევია. ნოდარ დუმბაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ზაურ ბოლქვაძე და ოთარ მამფორია რესტორან „თბილისში“ ქეიფობდნენ. დიდი ფულის პატრონი არც ერთი ბუმბერაზი არ იყო და შეკვეთაც შედარებით მოკრძალებული ჰქონდათ. უცებ გვერდით ჩაიარა იუმორით სავსე პიროვნებამ, მაშინდელმა რაიკომის პირველმა მდივანმა ავთო საყვარელიძემ, გადახედა მწერლების მოკრძალებულ სუფრას, მიუახლოვდა, დალოცა და ბოლოს ეუბნება:

– ბიჭებო, შეგიძლიათ, რაც თქვენ გესიამოვნებათ, ყველაფერი შეუკვეთოთ და თამამად იქეიფოთ, თქვენი სუფრა გადახდილია.

მოქეიფეები ცოტა დაიძაბნენ – არ ელოდნენ ასეთ „ჟესტს“. საყვარელიძემ შეამჩნია და გაეცინა:

– არ გატყუებთ, ბიჭებო, მართლა გადახდილია. დღეს წითელი პარასკევია, ჩვენი, კომუნისტების საზეიმო დღეა...

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ცქრიალა ღვინო „სამეფო“ — ხალისიანი განწყობისთვის!

„დუგლაძეების ღვინის კომპანიას“ 2014 წელს დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა. ამ ათი წლის განმავლობაში კომპანიამ მომხმარებლის დიდი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა.

„დუგლაძეების ღვინის კომპანია“ იუბილესთან დაკავშირებით მომხმარებელს ცქრიალა ღვინო „სამეფოს“ განახლებული შეფუთვით და გაუმჯობესებული ხარისხით სთავაზობს. რებრენდინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება პროდუქტის შეფუთვას დაეთმო. დიზაინზე კომპანია branding.ge მუშაობდა.

**მაკა ჭიჭინაძე, კომპანიას branding.ge-ს არტდირექტორი:** — „ვიზუალური რებრენდინგის მიზანს მომხმარებლისთვის აქამდე ნაცნობი და საყვარელი პროდუქტის დახვეწა და გათანამედროვება წარმოადგენდა, ოღონდ ისე, რომ პროდუქტის ცნობადობა შენარჩუნებულიყო. პროდუქტის სპეციფიკიდან გამომდინარე გვინდოდა, რომ შეფუთვაც სოლიდური და დახვეწილი გამოსულიყო, მიზნის მისაღწევად დიზაინზე მუშაობისას გამოვიყენეთ ლაკონიური ფორმები, ფერთა შეზღუდული პალიტრა და პოლიგრაფიის თანამედროვე ეფექტები; ძირითადი ელემენტის — გვირგვინის აქცენტირება საინტერესოს, გამორჩეულს და სადღესასწაულოს ხდის პროდუქტის ვიზუალს, ამასთანავე არ უკარგავს ხელმისაწვდომობის აღქმას, ვინაიდან კომპანიის საქმიანობა მთლიანად მომხმარებელზეა ორიენტირებული“.

ცქრიალა ღვინო „სამეფო“ გამოირჩევა როგორც დამზადების წესით, ასევე სრულიად ახალი, განსხვავებული გემოთი. „სამეფოს“ წარმოებისთვის გამოყენებულია: ზემო იმერეთში მოყვანილი ციცქას ჯიშის ყურძნისაგან დამზადებულ ღვინო; ქართლის მევენახეობის რაიონებში მოყვანულ ჩინურისა და გორული მწვანეს ჯიშებიდან დამზადებულ ღვინო, ასევე კახეთში, კერძოდ, ყვარლის ტყის პირის ფერდობებზე და ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის მიმდებარე ნაკვეთებზე მოყვანილი მწვანეს ჯიშებიდან მიღებული ღვინოები. „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ წარმოადგენს

> „დუგლაძეების ღვინის კომპანიის“ ისტორია უკავშირდება ბატონი დიმიტრი დუგლაძის სახელს. ღვინის წარმოების ტრადიციას დღემდე მისი შვილები იგივე შემართებით აგრძელებენ. კომპანიის წარმატებას დუგლაძეების საგვარეულოს მრავალწლიანი ცოდნა და გამოცდილება, ვაზის და ღვინის უსაზღვრო სიყვარული, ასევე ძველი და თანამედროვე ტექნოლოგიების სიმბიოზი განაპირობებს.

ინტეგრირებულ საწარმოს სრული საწარმოო ციკლით, რომელიც ღვინოს, საკონიაკე სპირტს, ბრენდის და ცქრიალა ღვინოს აწარმოებს. ქარხანა მთლიანად მოდერნიზებულია, აღჭურვილია მსოფლიოში აღიარებული კომპანიების მიერ წარმოებული მანქანა-დანადგარებით, როგორებიცაა Della Toffola, Krones, Cavagninno & Gatti, Seitz Enzinger Noll . კომპანია აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებსა და ბიზნესფორუმებში. „დუგლაძეების ღვინის კომპანიის“ პროდუქცია ექსპორტირდება: უკრაინაში, ყაზახეთში, ამერიკის შეერთებული შტატებში, ჩინეთში, ესტონეთში, ლატვიაში, პოლონეთში. 2013 წლის აპრილში კი ის ერთ-ერთი პირველი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია იყო, რომელსაც რუსეთის ფედერაციაში ღვინის ექსპორტის უფლება მიენიჭა. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს პროდუქციის ფართო ასორტიმენტს: 18 დასახელების, თეთრი (მშრალი, ბუნებრივად ნახევრად ტკბილი) და წითელი (მშრალი, ნახევრად მშრალი, ბუნებრივად ნახევრად ტკბილი) ღვინო მინის ბოთლებში, სასუვენირო შეფუთვაში, თიხის ჭურჭელში.

„დუგლაძეების ღვინის კომპანიის“ ისტორია უკავშირდება ბატონი დიმიტრი დუგლაძის სახელს. ღვინის წარმოების ტრადიციას დღემდე მისი შვილები იმავე შემართებით აგრძელებენ. კომპანიის წარმატებას დუგლაძეების საგვარეულოს მრავალწლიანი ცოდნა და გამოცდილება, ვაზის და ღვინის უსაზღვრო სიყვარული, ასევე ძველი და თანამედროვე ტექნოლოგიების სიმბიოზი განაპირობებს.

**ზაალ დუგლაძე, შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანიის“ გენერალური დირექტორი:** — „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ აგრძელებს მომხმარებელთა შორის საკმაოდ პოპულარული ცქრიალა ღვინო „სამეფოს“ წარმოებას. მოგეხსენებათ, ცქრიალა ღვინო „სამეფომ“ უკვე მრავალი წელია დაიმკვიდრა ბაზარზე თავისი გამორჩეული ადგილი. კომპანია ტრადიციული და საკუთარი ინოვაციური პროცესების გამოყენებით ამზადებს უმაღლესი ხარისხის ცქრიალა ღვინოს, რომელიც გამოირჩევა ხილის ტონებით და ხავერდოვანი და დახვეწილი გემოთი. განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ჩვენი კომპანია ცდილობს არ გადაუხვიოს თავის საფასო პოლიტიკას და ცქრიალა ღვინო „სამეფო“ შესთავაზოს მომხმარებელს მაქსიმალურად ხელმისაწვდომ ფასად. აქვე მინდა აღვნიშნო, კომპანიის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩვენი კომპანია მთელი თავისი პროდუქციის სრულ რებრენდინგს ახორციელებს, რაც ვიზუალურთან ერთად სტრატეგიულ ცვლილებებსაც გულისხმობს. მომხმარებელს უკვე აქვს შესაძლებლობა დააგემოვნოს განახლებული ცქრიალა ღვინო „სამეფო“. უახლოეს მომავალში დახლებზე ჩვენი ქარხნის მიერ წარმოებული სხვა პროდუქციაც სრულიად ახალი შეფუთვით გამოჩნდება. ორგანიზაციაში შევიმუშავეთ და დავნერგეთ სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემა საერთაშორისო სტანდარტის ISO 22000-ის მოთხოვნათა შესაბამისად. „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ ქართული ღვინის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია და გეგმავს თავისი სარეალიზაციო ბაზრების კიდევ უფრო გაფართოებას. „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ ბაზარზე გამოჩენის დღიდან ზრუნავს თავის მომხმარებელზე, მუდმივად

> „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ იუბილესთან დაკავშირებით მომხმარებელს ცქრიალა ღვინო „სამეფოს“ განახლებული შეფუთვით და გაუმჯობესებული ხარისხით სთავაზობს

სთავაზობს სიახლეებს და მომავალშიც აუცილებლად გავანებივრებთ საინტერესო პროდუქტებით.

დავინტერესდით რამდენად კონკურენტუნარიანია ცქრიალა ღვინო „სამეფო“ და როგორია მასზე მოთხოვნა? — გვესაუბრება სუპერმარკეტების ქსელ „უნივერსამის“ მმართველი **დავით ფარესაშვილი:**

— ცქრიალა ღვინო „სამეფოზე“ მოთხოვნა მაღალია, რაც უპირველესად განპირობებულია მისი მაღალი ხარისხით, გემოვნური თვისებებითა და ხელმისაწვდომი ფასით. ასევე აღსანიშნავია, წლების განმავლობაში, ბრენდ „სამეფოს“ მიერ მომხმარებელთა შორის მოპოვებული პოპულარობა. საქმე ისაა, რომ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა მაღალი ხარისხის პროდუქტი ხელმისაწვდომ ფასად მიიღოს. რამდენიმე თვის წინ „სამეფო“ ჩვენს ქსელში განახლებული შეფუთვით გამოჩნდა, რამაც მომხმარებლის თვალში, სხვა ცქრიალა ღვინოებთან შედარებით, კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახადა და მის რეალიზაციაზე აშკარად პოზიტიურად იმოქმედა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი კომპანია უკვე საკმაო ხანია წარმატებულად თანამშრომლობს ცქრიალა ღვინო „სამეფოს“ მომწოდებელთან. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული საიმედო პარტნიორობა გვაძლევს საშუალებას, მივაწოდოთ მომხმარებელს როგორც ცქრიალა ღვინო „სამეფო“, ასევე „დუგლაძეების ღვინის კომპანიის“ სხვა პროდუქცია.

**ნათია დოლიძე** [R]




„ალკოჰოლის დიდი ოდენობით მიღება ვნებს ჯანმრთელობას“

**მირანდა მირიანაშვილს ჩემი დახასიათება ნამდვილად არ სჭირდება. მას ყველა ძალიან კარგად იცნობს. თუმცა, ცოტა რამეს მისი ცხოვრებიდან, მაინც შეგახსენებთ. ის წლებია, რუსეთში, მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. მოგზაურობს ძალიან ბევრს და მსოფლიოს ეგზოტიკური ადგილების ხშირი სტუმარია. ადგილი, სადაც ყველაზე კარგად გრძნობს თავს, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ცენტრალური და ლათინური ამერიკის ჯუნგლებია. ხელოვნება მისი ცხოვრების ნაწილია. ამ მხრივ, სადაც არ უნდა იყოს გამუდმებით ახლის ძიებაშია.**

# რატომ არ ურჩევს არავის მირანდა მირიანაშვილი ჯუნგლებში დასვენებას და რამდენი ხნით სწყდება ის ყოველწლიურად ცივილიზაციას

– კოსტა-რიკა ზრაპრული ქვეყანაა, ლამაზი და საინტერესო. ის კონკრეტული ადგილი კი, სადაც ცივილიზაციას ვემალებით ნამდვილად უნიკალურია და საფრთხეს მოკლებული არაა. საშიშიც კი შეიძლება დავარქვათ. იქ ყოველ წელს რაღაც ექსტრემალური ხდება. საბედნიეროდ, მსგავსი რამ ჩვენ არ გადაგვხდენია. ჯუნგლებში ყოველ წელს, 3-4 კვირით მივდივართ და სრულიად მოწყვეტილები ვართ გარე სამყაროს: არც ტელეფონი გვაქვს, არც ინტერნეტი, არანაირი საკომუნიკაციო საშუალება არ გაგვაჩნია მარტო რაცია გვაქვს. მხოლოდ მე და ჩემი მეუღლე ვართ შუაგულ ტყეში *(იცინის).* ეს ადგილი მართლაც რომ საოცარია. დანიშნულებამდე მისასვლელად, ჯერ უნდა ჩაფრინდე სან-ხოსეში, იქიდან პატარა თვითმფრინავით გადაფრინდე გოლფიტოში და ბოლოს, დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში, ნავით უნდა გაცურო ნაპირამდე. ჯუნგლებამდე მხოლოდ მოტორიანი ნავის მეშვეობითაა შესაძლებელი მისვლა. პირველად, რომ ჩავედი ცოტა შემეშინდა, მივდიოდით და არაფერი ჩანდა, არც სახლები, არც ადამიანები, აბსოლუტური გარეული სამყარო იყო, მარცხნივ უკიდეგანო წყალი, ხოლო მარჯვნივ – გაუვალი ჯუნგლები. მივდიოდით და არ მთავრდებოდა ეს გზა, თან უკვე ბნელდებოდა. ნაპირს რომ მივუახლოვდით, ერთი პატარა ხიდი დავინახე, რომელსაც ბილიკი მოსდევდა და ამ გზით უნდა შევსულიყავით შუაგულ ტყეში. ამ დროს ვიკითხე, თუ სად ვიყავით. მითხრეს, რომ 200 მეტრის შიგნით იყო ყველაფერი. შუაგულ ჯუნგლებში დამხვდა სახლი. ბოლოსდაბოლოს დავბინავდით, მაგრამ არ გეგონოთ, იქ სასტუმროში ვცხოვრობ. ტყეში არის სახლი, რომელსაც არც კარი აქვს და არც ფანჯრები. პირველად შიში ნამდვილად მძლევდა, მაგრამ მერე გონებამ საოცარი დასვენებდა დაიწყო. დილის 6-ის ნახევარზე, მაიმუნების ყვირილის ხმაზე ვიღვიძებ, რომლებიც ისეთ ხმებს გამოსცემენ, გეგონებათ ათასობით ურჩხული ყვირის *(იცინის).*

**– სახიფათო სიტუაციაში თუ აღმოჩენილხართ?**

– თუ იცავ წესებს „მე არ გერჩი შენ! შენ არ მერჩი მე“, მაშინ საფრთხე ნაკლებია. თუმცა დაცული არაფრისგან ხარ. პირველად რომ ჩავფრინდი, შევხედე აბრას, სადაც ეწერია „ღამით ცურვა არ შეიძლება, აქ ნიანგებია!“ ხუმრობა მეგონა, ტურისტის მოსახიბლად დაწერილი. თუმცა, შემდეგ ისიც გამახსენდა, რომ ეს ადგილი ტურისტებისთვის არაა განკუთვნილი. როცა იქ ვარ, ზღაპარში მგონია თავი. ფილმებს რომ იღებენ, ისეთი ადგილია. ამ ადგილას ისეთი ხალხი ჩადის, ვისაც ფლორა და ფაუნა აინტერესებს. საოცარი ცხოველებია, ჯოგებად დადიან, ზოგი არც ტახია, არც ვირთხა – ორივეს ჰგავს *(იცინის).* ღამის ტყე საოცრებაა, სულ სხვა სამყაროა. წვიმის შემდეგ გავდივართ ხოლმე ტყეში. ამ დროს ყველა გამოდის სამალავებიდან. ღამე უფრო შენელებული რეაქცია აქვთ, არ ეშინიათ შენი. იქ ძალიან დატვირთული რეჟიმი გვაქვს. დილით 2 საათი იოგა, შემდეგ საათ-ნახევარი ვცურავ, მერე ვსაუზმობ და მივდივარ ტყეში. არ გეგონოთ ტყეში ვსეირნობ, ძალიან რთულია სიარული. 3-4 კილოგრამს ვიკლებ ხოლმე. ეს არის ადგილი სადაც ვმშვიდდები, ყოველგვარ დაძაბულობას, სტრესს ვიხსნი, ვიწმინდები, ვფიქრობ, მომავლის გეგმებს ვადგენ, ვწერ ბევრს და ვკითხულობ. სუფთა ენერგიას მმატებს იქაურობა. ძალიან მიყვარს ხალხი ვინც იქ მუშაობს, სულ მელოდებიან და ახლაც სულმოუთქმელად მელიან.



ტყეში ვცხოვრობ სახლში, რომელსაც არც კარები აქვს და არც ფანჯრები

**– მოგზაურობა როდის დაიწყეთ?**

– პირველად უცხოეთში რომ წავედი, 9 წლის ვიყავი, მშობლებმა წამიყვანეს. მაშინ საბჭოთა კავშირის პერიოდი იყო და პოლონეთში, ბულგარეთში მივდიოდით. მამა ძალიან კრეატიული ადამიანია, გემით მივდიოდით ოდესამდე და შემდეგ მანქანით ვაგრძელებდით გზას. პრაღაში მამას მეგობრებთან ჩავდიოდით. იქიდან ცოტა ჩეხურიც მახსოვს.

**– მშობლები ახსენეთ. ვიცი, რომ მამათქვენი ძალიან მკაცრი იყო...**

– კი, ძალიან მკაცრი იყო. მთელი ბავშვობა თქვენობით ველაპარაკებოდი. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, დაგვსვა მე და ჩემი და და გვითხრა, რომ უკვე დიდიები ვიყავით და შეგვეძლო, შენობითაც მიგვემართა *(იცინის).* გემით ვმოგზაურობდით და ისე მოხდა, რომ გავხდი „მის კრუიზი“. ეს მამამ არ იცოდა, კაიუტაში იყო. ჩვენ გავიპარეთ, დედაც წამოგვყვა. მაშინ 16 წლის კი ვიყავი, მაგრამ საკმაოდ მოწიფულად გამოვიყურებოდი *(იცინის).* რომ დაასახელეს რა მოთხოვნებიც იყო საჭირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, გულმა არ მომითმინა და გავედი. მე გავიმარჯვე და გავხდი „მის კრუიზი“, დამახურეს გვირგვინი და მიმიწვიეს კაპიტნის მაგიდასთან სავახშმოდ. აქ უკვე შემეშინდა. რა უნდა გაგვეკეთებინა? სხვა გზა არ გვქონდა და იმ ადგილიდან გამოვიპარეთ. ამ დროს კაპიტანმა დამიწყო ძებნა და მოადგილე გამოგზავნა ჩემს მოსაყვანად. კაიუტაში მამას ეძინა, კაკუნმა გამოაღვიძა. კარი გააღო და შერჩა ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც იმის სათქმელად მოვიდა, რომ მირანდას კაპიტანი სავახშმოდ ელოდებაო *(იცინის).* წარმოიდგინეთ, ახალგაღვიძებული მამა რა დღეში ჩავარდა *(იცინის),* გაგიჟდა კაცი. ბუზს არ ვუფრენ, თქვენობით ველაპარაკები და კაპიტანი მიბარებს სავახშმოდ – როგორია? მამამ ჩაიცვა თეთრი ჯინსები და ამოვიდა ჩვენთან. რაღა უნდა მექნა, ვუთხარი სიმართლე. საბოლოოდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა *(იცინის).*

**– სხვადასხვა მხატვრის ძალიან ბევრი ნამუშევარი გაქვთ. კოლექციონერი ხართ?**

– როდესაც საკუთარ თავს კოლექციონერად მოიხსენიებ, უნდა იცოდე, რომ ამ კოლექციას პატრონობა სჭირდება. უამრავი ნამუშევარი მაქვს, მაგრამ ამ ყოველივეს არ აქვს კონცეფცია: არ მაქვს კატალოგი, არ ვაკეთებ გამოფენებს, ნამუშევრები არ მიმაქვს მუზეუმებში. კოლექციონერობა დიდი მუშაობაა და არა მხოლოდ ნამუშევრების ფლობა. თითოეულ ნამუშევარს ჩემი (ჩვენი) ემოციის ფონზე ვიძენ, ალბათ ოდესმე იმას, რაც მაქვს კოლექციას დავარქმევ. მთელი ელიტა მიცნობს როგორც კოლექციონერს, მაგრამ მე ასე მიმაჩნია, უფრო თავისუფალი მყიდველი ვარ. კოსტა-რიკაში აღმოვაჩინე ერთი მხატვარი – ტაპია. ისეთი ნამუშევრები ჩამოვიტანე იქიდან, ყველა გაოგნებულია. ავსტრალიის აბორიგენთა მხატვრობაზე აღარაფერს ვამბობ. ეს მართლაც, რომ საოცრებაა. იქ ერთი თვე გავატარე, დიდი აღმოჩენები მქონდა. მსოფლიომ რამდენიმე წლის წინ აღმოაჩინა აბორიგენთა ხელოვნება. მეც პირველად ვიყავი ავსტრალიაში და ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, ამ დონის მხატვრობა თუ დამხვდებოდა. სადაც მივდივარ, ყველგან ახალს ვეძებ. ეს ჩემი პროფესიაცაა, პირადი ინტერესებიც და საერთოდ, ესაა ჩემი ცხოვრება. იქ, ერთი შეხედვით, პრიმიტიული ხალხი ცხოვრობს, არანაირი ინტელექტუალური ზრდა მათ არ გააჩნიათ. ამ ადამიანებს შორის ძალიან საინტერესო მხატვრებია. მათი შემოქმედება ღრმა და ჩვენნაირია. ადრე, აბორიგენები ქვიშაზე ხატავდნენ. ფუნჯი და ტილო თეთრმა ხალხმა ჩაიტანა აბორიგენთა იზოლაციაში 70-80-იან წლებში, 30 წლის წინ ჩამოყალიბდა აბორიგენთა მხატვრობა. მათ მაღალი პენსიები აქვთ და ქვეყანა მაღალ კომპენსაციას უხდის. თითქოს დამნაშავედ გრძნობენ ამ ხალხის წინაშე თავს. ზარმაცი ხალხია – არც სწავლა უნდათ და არც მუშაობა. ორი სისუსტე აქვთ: კაზინო და სასმელი. ერთ-ერთი მხატვრის რამდენიმე ნამუშევარი მაქვს. ქალი იყო, მაჩინო ერქვა, სამწუხაროდ, უკვე გარდაიცვალა. მაჩინოს ნამუშევრები, აბსოლუტური კით ჰერინგია. უბრალო აბორიგენის ნამუშევრები მისი სიღრმით ჰგავს ჰერინგის, რომელმაც ნიუ-იორკში მიიღო განათლება და შემოქმედების უმაღლეს მწვერვალზე იყო. ამ მსგავსებამ დამაეჭვა და ინფორმაციის მოძიება დავიწყე. მაინტერესებდა, იყო თუ არა საერთო ავსტრალიელებსა და ჰერინგს შორის. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ჰერინგს არანაირი შეხება არ ჰქონია ავსტრალიის აბორიგენებთან. ძალიან მინდა შედარებითი გამოფენა გავაკეთო, დიდი მხატვრების და აბორიგენების.

**ᲔᲗᲝ ᲮᲣᲠᲪᲘᲫᲔ**



გვ. 73

როგორ აღმოაჩინა ცხოვრების თილისმა შორეულ ამერიკაში ბექა სიხარულიძემ და რით ანებივრებს რომანტიკული ქმარი ახალშერთულ ცოლს



გვ. 13

როდის ხდება გია აბესალაშვილი „ბულკი“ და რატომ არასდროს ექნება მას ფული



სად გრძნობს თავს ყველაზე კარგად „მის სტუდენტის“ გამარჯვებული ანი მკალავიშვილი და რატომ არ ფიქრობს ის საქართველოში სამოდელო კარიერის გაგრძელებაზე

გვ. 71


საქარ... ...დი... ...სიგ ჩასმული ბადახში

თბ...

www.tbiliselebi.ge

24 – 30 ნოემბერი * ... 47(726) * ფასი 1,50 ლარი

ISSN 1987-569X